

K62.614
2



საქართველოს პირები



ສາທາລະນະລັດ
ປະຊາທິປະໄຕ

ДАНИИЛ ЧОНКАДЗЕ



СУРАМСКИЙ ЗАМОК

ТИФЛИС

1932

„Ф Е Д Е Р А Ц И Я“

899.962 } - 3

ՀԱՅՈՂԻ ՑՐԿԵՎԱՐԸ



სურამის ციხე

206. % 16/25 29/3 06


ቍዕስናሰውያዊያንስዎች እና ስማያዊያንስዎች

ამ გამოცემას დაწიული აქვს

ଓଡ଼ିଆ ପାଠ୍ୟକର୍ତ୍ତା

“ՀԵՂԵՐԸ ԿՈՎԵՐԱՎԸ ՀԵ ՅՈՒՆ ՇԿԸ”

K62.614
2



© 2013

1932



බ. ඩ. ඉ. ඩ. නොලිගරාසුරුස්තීස 1-ඥ ස්තාම්පා

ඡේපෙටා № 272

මතාවලිංග නො 1175

රුප්‍රාග්‍රාම 5000

291 අ. ආ. 19. 1/160. 1810. 37.50



ହାନିକୁଳ ପ୍ରମଜାଙ୍ଗ
ସ୍ଵେଚ୍ଛାରୀଳିସ ଫାମିଲୀବ୍ରେଶିଲ୍ସ

ჭირასიტუაცია

დანიელ ჭონქაძის ხელნაწერები, სამწუხაროდ, სრულებით არ შენახულა. მისი შემოქმედებილან მხოლოდ „სურამის ციხე“-ზ მოაღწია ჩევნამდის და ისიც მხოლოდ ეურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილი რედაქციით. აი რატომ „სურამის ციხის“ სწორი ტექსტის დადგრინდათვის, სამწუხაროდ, ხელსაყრელი პირობები არა გვაქვს.

ტექსტზე მუშაობა საინტერესოა, როდესაც არსებობს ნაწარმოების ხელთნაწერის სხვადასხვა გარიანტი, ან ავტორის სიცოცხლეში დაბეჭდილი სხვადასხვა რედაქცია. მათი შედარებითი შესწავლა ხშირად ბევრს საგულისხმიერო მასალას აძლევს როგორც მკელევარს, ისე რედაქტორს, ბევრს ბუნდოვანს და ჩევლებრივი მეითხველისათვის საიდუმლო აღგილს შექსა პფენს. დანიელ ჭონქაძის შემოქმედებაზე მუშაობის დროს ჩვენ ასეთს შესაძლებლობას მოკლებულნი ვიყავით, რადგანაც „სურამის ციხის“ გარდა მწერლის მხატვრული შემოქმედებიდან არაფერი დარჩენილა და „ცისკარის“ რედაქცია ერთადერთია აეტორის სიცოცხლეში დაბეჭდილი.

„სურამის ციხის“ ყველა შემდეგი გამოცემები—მცირეოდენი ცელილებებით, უფრო-კი ტექსტისადმი— გამომცემელთა თავისუფალი და დაუდევარი მოპყრობით, რაც გამოხატულია სიტყვების, წინადაღებებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, ტექსტის საგრძნობი მოცულობის გამოტვირთვებით, და ზოგჯერ მწერლის ენისა და აზრის თვითნებითი

დამახინჯებითაც-კი, — დაბეჭდილია მწერლის სიკვდილის
შემდეგ. ჩეენ ამ მისნით ავიღეთ „სურამის ციხის“ გამო-
ცემანი 1875 წლისა, 1879 წლისა, 1910 წლისა, 1914
წლისა და 1929 წლისა. შევადარეთ ერთიერთმანეთსა და
აღმოჩნდა, რომ 1875 წლის გამოცემისათვის უდაოდ სა-
ფუძლად შეკრის „ცისკრის“ რედაქტირის „სურამის ციხი-
სა“, ხოლო შემდეგი გამოცემები აქიდან გადაუბეჭდათ.
ყოველ შემდეგ გამოცემაში გამეორებულია წინა გამოცე-
მათა შეცდომები და ახალიც აუარებელია მიმატებული,
რაც გამომცემელთა დაუდევრობით და ტექსტის შესწავ-
ლის მოთხოვნილების უქონლობითა გამოწვეული.

ჩეენს წინაშე საკითხი დაისვა: ტექსტის დადგენის
მიზნით ვიხელმძღვანელოთ თუ არა სხვადასხვა გამოცემე-
ბით?

ჩეენ ეს საკითხი უარყოფითად გადავსწყვიტეთ, რად-
განაც გამომცემლები არც ტექსტის დაცვის და არც კო-
მისამართის მოცემის აუცილებლობას არ ისახავენ. ყო-
ველი შემდეგი გამომცემი, როგორც ჩანს, უკრიტიკოდ
სარგებლობს წინა გამოცემით. „ცისკრის“ რედაქტირის
არ იხედებოდა და ტექსტის უფრო მეტი შეცომებით
სტრიქონავდა.

აღნაშნულ გარემოებათა გამო ამ გამოცემებს ტექსტის
დადგენისათვის, შეიძლება ითქვას, არავითარი მეც-
ნიერული ლირებულება არა აქვთ. ამიტომ „სურამის
ციხის“ ტექსტის აღდგენაში საჭიროდ და მიზან-შეტონი-
ლად მივიჩნიეთ უკრნალ „ცისკარში“ დაბეჭდილ ტექსტს
დაყყრდენოდით, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, უკრნალ
„ცისკარში“ დაბეჭდილი ტექსტი ზუსტად აღვედგინა.

ამ მიზნით ავიღეთ „სურამის ციხის“ ერთ-ერთი უკა-
ნასკნელი გამოცემათაგანი. შევადარეთ „ცისკრის“ რედაქ-

ცის და მის მიხედვით შევასწორეთ. ამრიგად, ჭინამდებარება გამოცემაში „სურამის ციხის“ ტექსტი ზედმიწევნით აღდგენილია „ცისკარში“ დაბეჭდილის მიხედვით.

ცნობილია, რომ ბეჭვდითი საქმიანობა არ არის უზრუნველყოფილი შეცდომებისაგან. კორექტურული შეცთომები „სურამის ციხის“ „ცისკარში“ დაბეჭდილ ტექსტშიაც მოვეპოვება, თუმცა გაცილებით ნაკლები, ვიდრე უკანასკნელ გამოცემებში. კორექტურული შეცთომები შევასწორეთ, მაგრამ ქვემოთ, რედაქტორის განმარტებებში „ცისკრის“ რედაქციის ადგილები მაინც საჭიროდ დავინახეთ აღვენიშნა, სადაც მკითხველს აგრძელება ვაძლევთ „სურამის ციხის“ ტექსტში ყველა აღნიშნული შენიშვნების ასსნა-განმარტებას.

ასეა დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ ტექსტი აღდგენილი. არსებულ პირობებში ეს რედაქცია მიგვაჩნია ერთად-ერთ სწორ და სახელმძღვანელო რედაქციად, რომელზედაც მკლევარს შეუძლიან მეცნიერული კვლევა-ძიება აწარმოვოს.

ჭინამდებარე გამოცემას დართული იქნება ჩვენი დამსახურებული პეტლიცისტისა და კრიტიკოსის ფილიპე მასარაძის ერცელი ჭერილი დანიელ ჭონქაძე და მისი დრო პირველად 1904 წელში დაბეჭდილი.

* * *

ჩვენ გვსურს დააიცალ ჭონქაძის „სურამის ციხის“ გარშემო ორი გარეშემდება აღვნიშნოთ.

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ უდაოდ პირველი და მძლავრი ნასროლი იყო ბატონ-ყმობის წყვდიაღით მოცულ ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უდიდეს ნაწილზე მცირე ნაწილის გაბატონების, ძალშომრეობის, ცხოვრების დაგუბების დროს.

შაშინ, როდესაც ალექსანდრე ოჩბელიანი
თავის წერილში „უწინდევლ დას ბატონიშვი-
ბი საქართველოში“ („ცისკარი“ 1859 წ. № 11)
ამტკიცებდა, რომ ბატონის და ყმას ზორის მამაშეოლური
დამოკიდებულებაა, ბატონი ყმაზე, მის კეთილ დღეობაზე
დიდის ყურადღებით ზრუნავს, ხოლო ყმა მას, თუმცა მო-
ლიდებით, მაგრამ ერთგულობით პატივისცემით ექცევა.
დან. ჭონქაძის „სურამის ციხე“-მ მკვეთრად გა-
დაშალა ყმისალმი ბატონის უადამიანო მოქცევა და ბა-
ტონისადმი ყმის ბოლმა-შურისძიება.

„სურამის ციხე“-მ საშინლად ააღელვა თვითკმაყოფი-
ლების ბურანში მყოფი ჩეენი ბრწყინვალე წოდება. ისეთი
ლიბერალური სულიერი განწყობილებით, როგორიც იყო
ალ. ოჩბელიანი, ისიც-კი ვერ იქაებს თავს და ასე ესმაურე-
ბა ჭონქაძის „სურამის ციხეს“. „იმან (ე. ი. დანიელ ჭონ-
ქაძემ—მ. ზ.), —წერს ალ. ოჩბელიანი, —რომ ის თავისი
თხზულება გამოსცა თვალყურის დევნა დაუწყეთ. ვინ რას
იღებულა... არავის არა უთქვამს—რა, ვარდა ორისა, ამი-
სათვის, რომ პირდაპირ იმათზე იყო მიმართული ის
თხზულება და იმათი სახელიც გამოყვანილი. ამისთანა
თხუზულებაში ისე პირდაპირ დასწერა იმ პირებზე, რა
გარდილობას იტყვიან... აქ მხოლოდ ორ პირს ეწყინე-
ბათ“.. ცოტა ქვევით ალ. ოჩბელიანი გინაგრძობს: „იყო,
მართალია, ერთი საცოდაობა, საიდუმლო შურის სიმ-
სხვერპლე, მაგრამ არა ისე, როგორც ალწერს ჭონქაძე,
ცოტა-კი მიეგვანება მას... მართალია, ახლანდელი ჩეენი
ზოგიერთის მებატონეებისაგან ბევრჯელ მომხდარა თავის
ყმების ძირიანად აკლება და ჯარიმების წართმევა, მაგ-
რამ ამ გვარი საქმეები სრულებით არ მომხდარა, ნამეტ-
ნავად იმ პირებისაგან, ვიზედაც ამბობს ჭონქაძე. ამ გვარ

საქმეებსა ძალიან კარგად გამოყითხვა უნდა და მის უკან
შეუდგეს წერას, თუ არა და აჩეარებითა სოფელი არ
აშენებულა. ¹⁾

აღ. ორბელიანის ეს წერილი ჩერნოვის მეტად საგუ-
ლისხმიეროა: აქიდან ცხადია და უდიო, რომ „სურამის
ციხის“ ავტორი შემოქმედების ჩასალას რეალური ცხოვ-
რებიდან პერებს. მოთხრობაში ასახულის ანალოგური,
თუნდაც მსგავსი შემთხვევები დანიელ ვონქაძის გარშემო
მრავლად ყოფილა, მათ აუდელებით მწერალი „შევიწროე-
ბულს და შეურაცყოფილს“ გამოჰქომაგებოდა. დანიელ
ვონქაძის „სურამის ციხე“ — წიგნია სისხლითა და
ცრემლით დაწერილი იქით მხარის ქვეყანაში მცხოვრები,
უფლება-ყურილი, მძიმე ტანჯვის და ძალმომრეულის უდელ-
ქვეშ მწარედ მგმინავი ხალხისა. და ეს წიგნი შეუფერავი
სინამდეილის ფერადებით გადმოწერილი ამ ხალხის გუ-
ლიდან, ხალხის ცრემლსა და ბოლმა ნალველში ამოვ-
ლებული კალმით აკინძული დიდის გამბედაობით იმავე
მხრის ხალხის ღვიძლი შვილის დანიელ
ვონქაძის მიერ ნატყორცნია.

დანიელ ვონქაძის „სურამის ციხე“ ნამდვილი
პოლიტიკური პამყლეტი იყო. „სურამის ციხე“ შძლაერი
ამონახეთქი იყო ხალხის გულში ჩაგუბებული დამტკრე-
ბის, შეურაცყოფის პროტესტისა და „თავდაუკრელი“
ცხოვრების ძლიერი სურვილისა.

აღ. ორბელიანის ამავე წერილიდან ცხადია, რომ
დან. ვონქაძის „სურამის ციხეშ“ მაშინდელ საზოგადოე-

1) სახელმწიფო უნიკერსიტეტის ხელმაწერების შესხეული — აღ.
ორბელიანის წერილი — „დანიელ ვონქაძის „სურამის ციხის“ შესახებ—
„დართულს დართული“ № 1645.

ხაში დიდი სენსაცია გამოიწვია. შან ააღელვა და აამცურია მაშინდელი ცხოვრების ჭაობი. პრივილეგიურმა კლასში ასეთი გამედული პროტესტით შიში იგრძნო, აყაყანდა და კალნიერი მშერლის მიმართ საშინლად ამხელრდა. ამისი საბუთია ალ. ორბელიანის ხსენებული წერილი. ამისივე საბუთია ის, რომ დან. ჭონქაძის სიკვდილს ეურთალი „ცისკარიც“-კი თითქმის სიჩუმით შეხვდა. მხოლოდ ივანე კერესელიძე „ცისკარის“ 1860 წლის მე-VII-დე ნომერში, როგორც რედაქტორი, ათავსებს სხვა ცნობებთან ერთად „რედაქციისაგან“ ცნობის მსგავს წერილში, მართალია უდაოდ თანაგრძნობით და ტკიფილებით გამსყვალულს, მაგრამ მცირე ცნობას დანიელ ჭონქაძის სიკვდილის გამო. ივანე კერსელიძეს კეცვა დიდი თანაგრძნობით დაწერილი ლექსი დანიელ ჭონქაძის გარდაცვალებაზე¹⁾. 2) მაგრამ, როგორც ჩანს დროზე გამოქვეყნება ამ ლექსისა კერსელიძეს ვერ გაუბედნია.

დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ დაბეჭდვა, როგორც 60-70-იანი წლების ქართული უურნალ-გაზეთებიდან მოჩანს, ჩვენს მოწინავე ახალგაზრდობას ბევრჯელ სდომნია, მაგრამ კარგა ხანს ვერ მოუხერხებია. 1869 წელს „დროების“ № 31-ში²⁾ ვეითხულობთ ასეთს „საბიბლიო-გრაფიო ცნობას“: „იბეჭდება პეტერბურგში და ახლო ზამთრი გამოვა მოთხრობა დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“. შემდეგ 1870 წ. „სასოფლო გაზეთი“ მწუხარებას გამოსთქვაშს, რომ დაპირება პეტერბურგის ქართველმა ახალგაზრდობამ ვერ შეასრულა და „სურამის ციხე“ აქამდის ვერ დაბეჭდა; მხოლოდ 1875 წელს მოხერხდა „სურამის ციხის“ ცალკე გამოცემა³⁾.

¹⁾ ივანე კერსელიძე 1878 წ. გვ. 74.

²⁾ ეს განცხადება კარგა ხანს იბეჭდებოდა „დროებაში“.

აშენავათ რამდენად ძნელი და მტკიცნეული ყოფილი
60-70 წლებშიც-კი ბატონისა და ყმის ურთიერთობის
საკითხი, რომელსაც დ. ჭონქაძე ასე მოურიდებლად შეუსრულა.

* *

მეორე საგულისხმიერო გარეშოებაა დან. ჭონქა-
ძის შემოქმედების ენა. 50-იანი წლების დასასრულს,
როდესაც დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ იძექდება
უურნალ „ცისკარში“, ჩევნს საზოგადოებრივ ცხოვრებას
წელავრად აწვება ახალი ეკონომიკური ფაქტორის (კაპი-
ტალიზმის) განვითარება და ლამობს მის ყოველმხრივ
გარდაქვნას.

ახალმა დრომ ჩევნს ლიტერატურულ ცხოვრებაში შე-
მოიტანა არა მარტო ახალი ცდები, ახალი თემები, არა-
მედ ახალი ლიტერატურული ფორმა, ახალი ენა.

50-იან წლებში „მამათა“ და „შეილთა“ გაყრის და-
საშუალების გარშემო ბრძოლა ერთ უმწვავეს მოე-
ლენად გადაიქცა. „მამათა“ ბანაკი ეპოტინება, ებლაუქე-
ბა და მტკიცნეულად იცავს არა მარტო თავისი ძელი
ცხოვრების ჩვეულებებს, არამედ თავის ენასც. ის რა
საინტერესო მმავას ვკითხულობთ უურნალ „ცისკარის“
1860 წლის VI №-ში: „ქართული ენის თემები,— წერს
ალ. ორბელიანი,— სამათ გაიყოფება: პირველი საღმრთო
წერილად ანუ ეკლესიურად, მეორე... დარბაისელთ უბნო-
ბად და მესამე გლებ-კაცობის ენად... იხლა თუ ჩემშე
მოაგდებთ და ამომარჩევინებთ მე სამუალს ენას ამოვარ-
ჩევ, დარბაისელთ ენას, იმისთვის რომ უფროსთ უწინ-
დელი საერთო წიგნები დარბაისელთ ენაზედ უწერიათ
და იმათის ენითვე ულაპარაკნიათ: ვითარება „რუსულა-
ნიანი“, „ცისრამიანი“, „დავრიშიანი“, „სიბრძნე სიცრუე“,

„ყარაბანიანი“, სხვანი და სხვანი და ბოლოს ყიტყი
 „ვეფხვის ტყაოსანი“... ჩეენი საშუალო ინუ დარბაისელი
 ენა, ასეთი უნაკლო ენა არის, რომ დიაღ ადვილად
 შეიძლება რომ ესე, რაც უნდა მაღალი საგანი იყოს,
 იმაზედაც და კარგად გამოვა ყოველი ქართული
 სიტყვიერება. მართლად, ჩეენს საშუალო ქართულს
 ენას, როგორც გნებავთ ისე მიმოხრით, ისე მიმოქ-
 ცვთ და გამოთქმას ხომ ისე ლბილად გაიგონებს ყური,
 შეტი საამო იყოს სმენისათვის, მაშინ, როდესაც რომ
 გლეხ-კაცებრს ენაზედ ეს არ შეიძლება. მართალია, გლეხ-
 კაცების ლაპარაკი მარტივი ენა არის და ადეილი გასა-
 გონი, შეგრამ მაღალი საგანი რომ ვერ გამოვა რიგიანად,
 არა ყურს საამოდ, რადგან მოშვებული ენა არის გლეხების
 ლაპარაკი. ჩემის აზრით, მაშ ისევ სჯობია, იმ გვარი
 ქართული ენა დაიდოს, რომ ყოველს საგანში საუცხოვო
 რამ იყოს და ყოველს ფერში მოსაამარებელი.“ ასე ამ-
 ტეკცებს ალ. ორბელიანი დარბაისელთ ენის უპირატე-
 სობასა და აუცილებლობას.

ენის საკითხი საბაბი გახდა ორი. ძველსა და იშალ
 მსოფლმხედველობას შორის ატესილი სამკვდრო-სასიცოც-
 ხლო ბრძოლისა. საზოგადოებრივ ფენათა ბრძოლაში ლიტე-
 რატურა, მიუხედავად ძეველი თაობის სასტიკი წინააღმდე-
 გობისა, მაინც ფეოდალთა სასახლიდან ლამობს ქოხში გადა-
 ნაცელებას. ლიტერატურაში იჭრება მასების ენა. ამ მოვლე-
 ნის პირველი მკეთრი და აშეარა გამომეღავნებელი ჩეენს
 ოფიციალ ლიტერატურაში. ერთი სთავე ია, რომელმაც,
 როგორც სამართლიანად აღნიშნავდა იმ დროის ერთი საუ-
 კეთესო წარმომადგენელი პლატ. ითსელიანი, „და-
 ბადა ენა ქართული იხლისა გვარისა მწერლობისათვის“.

ამ ამ ახალ ენას მოაქვს იმ დროის თვითურიალ ლიტერატურაში. როგორც უცნობი ჩვეულებრივი სალაპარაკო ენა, შეიძლება ითქვას, „გლეხ-კაცთა“ ენა, ისე ახალი იდეები, ახალი მისწრაფებანი, მთელი ახალი, უფრო რთული მსოფლი-მხედველობა.

შეტად საცელისშთავრისა, ომშ დანაულ ჭონქაძე ლიტერატურის ამ ახალი გზის გაყაფვაში, შეიძლება ითქვას, პირდაპირ რევოლუციონური გზით მიდის. შან სალიტერატურაში ენად ხალხური-ჩვეულებრივი სალაპარაკო ენა გადააქცია. შეიძლება ითქვას, დანიელ ჭონქაძეს სალიტერატურო ენად კუთხური, ხალხური (დუშეთის რაიონის—არაგვის ხეობის ერთი ნაწილის) ენა აქვს გამოყენებული მთელი თავისი ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებებით.

ალენიშვილავთ უფრო დამახასიათებელ მოვლენებს:

დაბეჭდილია	უნდა იყოს
1) რაც უნდა რა —	რაიმე
2) რამტენი, რამტენიმე,	რამდენიმე, რამდენი.
რამტენთამე —	იმდენი
3) იმტენი —	როგორც
4) როგორათაც	რაღაც
5) როგორლაც	ძლიერი
6) ძრიელი	მეტე
7) მეტრე	მეტე
8) მითომც	ვითომც
9) გამოვალს	გამოვა
10) წიერთოთ	წაერთმიათ
11) შეაკრთმა	შეაკრთო
12) ჩამოხდნენ (ცხენიდან)	ჩამოხტნენ
13) ირიცხოდა	ირიცხებოდა

- | | |
|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 14) გული შემიხსტა — | გული შემიჯრთა |
| 15) დაიწყო ლაპა —
რაკი თავისთან — | დაიწყო ლაპარაკი თავის
თავთან |
| 16) ზაეყვარებინა,
შეერთება — | ზეეყვარებინა, შეერთება |
| 17) მამცემს — | მომცემს |
| 18) ისი — | ის |
| 19) ისენი — | ისინი |
| 20) ტრედი — | მტრედი |
| 21) რო, ხო — | რომ ხომ (რამოდენიმე უმ
თხვევის გამოყლებით, რაც კორექტორის დაუ-
დევრობით უნდა იიხსნას). |
| 22) სანამ... მანამ — | სანამდის... მანამდის |
| 23) მა ვის უნდა ეთქვა — | მაშ ვის უნდა ეთქვა |
| 24) თანდებულის ხმარება მოქმედებით ბრუნვასთან —
თვან, დვან, (იშვიათია-დან.) მაგ. ქალაქითვან,
ბატონითვან, ცხენითვან, შებლითვან, პირიდვან,
გულწუნილიდვან და სხვა. | თვან, დვან, (იშვიათია-დან.) მაგ. ქალაქითვან,
ბატონითვან, ცხენითვან, შებლითვან, პირიდვან,
გულწუნილიდვან და სხვა. |
| 25) ზნის თემის ნიშნის ავ-ის მაგივრად ყველვან
ნახმარია ამ. მაგ. მოგვილოცამს, სედამს,
გახლამს, ნახამდა, იკლამდა, მომიმარ-
თამს, ახსომს, ვზრუნამ, ნუ მყითხამ,
ავუშრუკამთ, და სხვა. | ზნის თემის ნიშნის ავ-ის მაგივრად ყველვან
ნახმარია ამ. მაგ. მოგვილოცამს, სედამს,
გახლამს, ნახამდა, იკლამდა, მომიმარ-
თამს, ახსომს, ვზრუნამ, ნუ მყითხამ,
ავუშრუკამთ, და სხვა. |
| 26) მრავლობით რიცხვში მდგომ ქვემდებარესთან
შემასმენელი ყოველთვის მრავლობით რიცხვშია
ხმარებული. | მრავლობით რიცხვში მდგომ ქვემდებარესთან
შემასმენელი ყოველთვის მრავლობით რიცხვშია
ხმარებული. |
| ა) სახლები დაქცეულები — | სახლები დაქ- |
| ბ) არიან | ცეული არის |
| ბ) ფანჯრები იყვნენ | ფანჯრები იყო. |

- გ) ჯარი მშათ ყოფილიყვნენ — ჯარი მშათ
ყოფილიყო და შემოხვევიყო სამართლებულების
დ) ეაშიქებოდნენ... ბევრი
კარგნი კაცნი — ეარჩიქებოდა ბევრი
კარგი კაცი.
ე) დაიხოცნენ ბევრი შათგანი — დაიხოცა
ბევრი შათგანი.
ვ) წამოიძახეს ყველამ — წამოიძახა ყველამ და
სხვა.

- 27) სუბიექტური ნიშანი პირველი პირისა ფ-ი იქარ-
გება, როცა, ის უნდა დაერთოს უ-ნითა და ფ-ნით
დაწყებულ ფუძეს: უყოთ, უყიდით, უზამ, უთხრა,
დაუჯდებოდი, უთხარი, მოუკლა, უყვარდი,
გაუგზავნე, დაუმალე და სხვა, მივარდი, გამო-
მოვარდი, ჩავარდი, შევარდი და სხვა.
28) მესამე პირში ორმაგ სუბიექტურ ნიშანს ხმა-
ხმარობს ჰ-ჰ-ს: და ჰსდევს, ჰსთქო, ჰსჩანს, ჰსთქო
ჰსთქეა და სხვა. ხშირად სუბიექტური ნიშნის
ორმაგი სმარება სხვა პირშიც გვხვდება. მაგ.
ესტყუო.
29) ცნებითი ბრუნვის და ვითარების შაჩქენე-
ბელი ზონისართის ნიშნად ხმარებულია „თ“
(რამოდენიმე შემთხვევაა ნიშანი დ-ით). როგორც
ჩანს დან. ჭონქაძისათვის „თ“ დამახასიათებელია.
ბერათ, აზიმახლრიტათ, ფეშქაშათ, ჩუმათ, ნიშ-
ნათ, განსასვენებლათ, ნალვლიანათ, საშინლათ,
სასარგებლოთ და სხვა.
30. ხშირად უარის ყოფა — არ, აღარ — ის შავივ-
რადაც ავტორი ხმარობს: ვერ, ვეღარ: მაგ.
ვარდომ ვერ ვაიგონა: ვარდო ვერ წარმოიდ-
გნდა, გულმა ვეღარ ვაუძლო.

31) წოდებით ბრუნვაში ე-ზე დაბოლოვებული სი-
ხელები ვ-ს არ იღებენ, მაგალითად — ჩემო სი-
ცოცხლე, ჩემო სინითლე.

აღნიშვნული მცირედი ცნობებიც აშკარად მოწმობენ,
რომ დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხე“ ახალი და მასთან
ერთად აღკრძალული იყო, როგორც თემის, იღებულის
თვალსაზრისით, ისე „გლეხ-კაცების“ ენის შემოტანით.

* * *

სამშუხაროდ, როგორც აღვნიშნეთ, დანიელ ჭონ-
ქაძის ხელნაწერები სრულებით უკვალოდ არის დაკარ-
გული და საშუალებას მოკლებული ვართ მისი მთლიანი
ფიგურა და ლირებულება მიეცეთ მეტხველს წინამდებარე
გამოცემაში. მიუხედავად დიდი ძებნისა კერძო პირებთან,
დან. ჭონქაძის ნათესავებთან და აგრეთვე ჩენი დიდი
შრომისა საქართველოს ცენტრ-არქივში, სადაც დაცულია
საქმეები სხვათა შორის სასულიერო სემენარიისაც, რომელ-
შია; სწავლობდა და მოღვაწეობდა „სურამის ციხის“ აფ-
რორი, მაინც მისი ცხოვრების შესახებ მეტად უმნიშვნელო
ცნობები აღწონსდა. დანიელ ჭონქაძის დაბალების თვის,
წლის და იდგილის სისწორით აღდგენის საბუთებიც-კი
ვერ მოენახეთ. გასაკვირველია სიმწირე ფაქტებისა.

წინამდებარე გამოცემას დამატებაში დაცურთეთ და-
ნიელ ჭონქაძის ინდერძი და წერილი თავის ცოლის ძმას-
თან ივანე ფეოდოროვთან. ეს და ზოგი სხვა მასალები დიდი
სიკარულით მოქ. ა. რ. ქ. ხ. ნ დ ა ძ ი ს მიერაა შეგროვეილი.
ვფიქრობთ, ეს მასალებიც არ იქნება ინტერესს მოკლებული
დანიელ ჭონქაძის პიროვნებისა და შემოქმედების შესწავ-
ლის საქმეში. „სურამის ციხის“ წინამდებარე გამოცემის
გარედაქტირების დროს ზოგიერთი ბიბლიოგრაფიული
ხასიათის მასალის მითითებისათვის პროფ. სიმ. ხუნდაძეს
ულრჩეს მაღლობას მოვახსენებთ.

სერგაშვილ შპს



จุฬาลงกรณ์ บริษัท จำกัด

ამ ზაფხულის,—იმ საშინელ სიცხეში, როდესაც 287²) ქალაქში მცხოვრები ეძებდენ სიგრილეს ქალაქის გარეთ, იქ რამტენთამე ყმაწვილთა, რომელთაცა რიცხვში ერთა თქვენი უმორჩილესი მოსამსახურე, დადეს პირობა მთელ ზაფხულს, ყოველ საღამოს შეყრა რიყებულ, ანისხატის ჩასწერით და იქ დროების გატარება კარგა შუალამებდინ. იმ პირობაში, სხვათა შორის, იყო ერთი მუხლი, რომლითაც მორიგე პირს უნდა ეთქო ერთი მოთხრობა, ანუ ანდაზა³) ანუ რაც უნდა რა ჩვენი საქართველოს ცხოვრებითვან.

იყო ერთი იმ მშვენიერთა საღამოთაგანი, რომლითაც, სიცხის გარდა, ისე მდიდარია | ჩვენი საქართველო. უმაწვილებშა ის იყო იბანეს და ზოგი ჩაის მიირთმევდა, ზოგი იცომდა, ზოგნი შემოხვევიყვნენ და ყურს უგდებლნენ დ. პ., რომელსაც ჩუხლზედ ედო თარი, უკრავდა და დაბლა ხმით დალილინებდა. შემდგომ რამტენიმე ხანისა, როდესაც ყველამ მიირთვეს ჩაი და ბიჭები შეუდგნენ ვახშამის მზადებას, ყმაწვილებს მოაგონდათ, რო მორიგეს ჯერ არ აესრულებინა თავისი რიგი. მოიკითხეს მორიგე, ვამოჩნდა, რო რიგი ვათავებულიყო, სთხოვეს ერთს, სთხოვეს მეორეს, მაგრამ არავინ არ მიიღო თავისზე ეს ვალდებულება. მივარდა საქმე წილის ყრაზე და ერთი

ჩვენგანი წამოდგა, მსთქო: იწილო, ბიწილო, ზენო
შანო და სხვანი და დააბოლოვა ნიკო დ-ზე.

— თქ! ნიკოს გაუმარჯოს, მოგვილოცამს,—დაუ-
ძახეს სულ ყველამ.

— უკაცრიათ ყმაწვილებო, დღეს შიპატიცე,
თქვენმა მზემ არ ვიცი, რა ესთქო, არ მოემზადე-
ბულვარ.

— ეჭ, ნიკოჯან! ახსენე ღმერთი და დაიწყე: იყო
და არა იყო რა-თქო და სხვას ღმერთი ვიშველის,
გარწმუნებ!—უთხრა დარიგებით სიკომ.

— მაშ კარგი, სმენა იყოს და გაგონება,—და
დაიწყო:

I

289

| იყითხე გლეხთაც კარგი ქალობა!
სოფელსაც, ხედამ? აქეს ჩეილი გული,
სოფელმაც იცის, სცან, სიყვარული,
შენ კი

ი. კარესელიძე⁴⁾

— აი, ის სახლები მუხრანბატონიანთი არის,
ხედავთ?—და გაიშვირა ხელი მუხრანბატონიანთ
სახლებისკენ.

— დიახ, დიახ, გახლავსთ,—უპასუხეს ყმაწვი-
ლებმა.

— ეხლა ის სახლები დაქცეულები არიან, არ
ვიცი რათა. პატრონები ყურს ალარ უგდებენ, გული
აუცრუვდათ იმათზე, მაგრამ მაგათაცა ჰქონდათ

თავისი დრო; ერთხელ ეგენიც იყვნენ პირველი სახელმწიფო დღები ჩვენ ქალაქში და ყოველი ქალაქში ჩიმოშველეული უთუოთ ნახამდა ამ სახლებსაც სხვათა შორის. მაგრამ მხოლოდ ეს სახლები არ იყვნენ ჩინებულნი, ანბობენ, რო იმისთანა ტანოეანი, ლამაზი, ზღილი და ჩაცმული მოსამსახურები არსაიდგან არ გამოვიდოდნენ, როგორც იმ სახლებითვან. თვითონ ხელმწიფეს, თურმე, შურდა იმათი მსახური. ამ მსახურთავანი იყო ვინმე დურმიშხან: ძალიან ყოჩილი და | ლამაზი ყმაწვილი კაცი, მუხრანბატონის ნაზი. 290 რი და ქალი—გულის ვარდი, საყვარელი გოგო მუხრანბატონის მეულლისა. მე ისე ვერ აღვწერ იმ გოგოს სილამაზეს, როგორც ცხონებული ჩემი გამზღველი, რომლისაგანაც გამიგონია ეს ანდაზა, და იმიტომ დავანებებ თავს: ალეს ხესავით ტანი, შევი გიშრისავით თვალები, ბროლის შუშა თითები. ერთი სიტყვით, სიკო, შენ კატოზე უფრო ლამაზი!

— კარგი, იმათ შეუყვარდათ ერთმანეთი, სხვა?— უპასუხა სიკომ.

— დიახ, შეუყვარდათ ერთმანეთი ისე, როგორც აღმოსავლეთში მცხოვრებთ შეუძლიანთ სიყვარული. მაგრამ, უკაცრავად, შეუყვარდა მხოლოდ გულის ვარდს, დურმიშხანს რომელ არ ყვარებიყო შეეიტყობთ შემდგომ. საწყალი გულის ვარდი სულით და გულით მიეცა თავის სიყვარულსა. იმისთვის, გარეშე თვისის სიყვარულისა, ალარ იყო ცხოვრება. ჩამდენჯერ ეს მტკვარი ამ აღვილს, სადაც ეხლა ჩვენ ვლხინობთ, იყო მოწამე იმათი სიყვარუ-

ლისა. საწყალი ქალი რას მოიგონებდა, რომ იშის
დურმიშხანს იმ დროს, როდესაც ის ელაპარაკებოდა
თავის სიყვარულს, გულში სულ არა ჰქონდა სიყვა-
რული და ეძებდა შემთხვევას, მოხერხებით ეთქო
291 იმისთვის თავისი გულის | პასუხი.

ერთხელ, როდესაც ჩეკულებისამებრ დურმიშხან
და გულის ვარდი შეიყარნენ აქ და ლაპარაკობდნენ
თავიანთ მომავალ ცხოვრებაზე, იმ დროს უცრად
უთხრა დურმიშხანმა:

- იცი, გულოჯან, მე სადაური ვარი?
- რა კითხვა არის? ვიცი.
- მე ვარ იმერელი, წერეთლიანთ ყმა, ეგრე,
როგორც შენ, იმისთანა გოგოს საყვარელი დედის
ერთა შეილი.
- ახლა რა უყო, იმიტომა ხარ კარგი ჩემო საყვა-
რელო.
- დიახ, მაგრამ იცი, მე აქ როგორ გადმოვედი?
- არა, არა, მითხარ, გეთაყვა.

— ერთხელ ჩემი ეხლანდელი ბატონი ბძანზე-
ბოდა იმერეთში მაშინდელ ჩემ ბატონთან. იმ დროს,
როდესაც ისენი ეწეოდნენ ქეიფს, აյი. მომიხდა მე
შესვლა იმ ოთახში, სადაცა ისენი ისხდნენ და რაღაც
ჩემი უბედურების წერა იყო, მომიწონა მუხრანბა-
ტონმა და მაქო. ის იყო, ჩემი საქმე გათავდა; მეო-
რე დღეს, რო მოდიოდა შინ მუხრანბატონი, იმისი
ბიჭის ცხენს უკან შემომისვეს და გამომაყოლეს
უკან. საწყალი დედა ჩემი რა ნაირად იკლამდა თავს
უნდა გენახა გულოჯან, მთელი ქვეყანა ზედ დაწ-

დო, მაგრამ ვერ დააყენეს. მე ტუტუცს, მიკეირდა 292 მის
ის მწეხარება, რა ვიცოდი, რო ის იყო უკანასკნე-
ლი ჩემი ნახეა დედისა. რა გამოვსცადე შემდგომ იმისა,
შენ ვერ წარმოიდგენ ვარდო. და რა არ გამოვსცა-
დე? შიმმილი, წყურვილი, სიცივე, ცემა, დაცინება
და სხვა ბევრი ამისთანა გამოვსცადე თქვენ საქარ-
თველოში. ვინც რასმე დააშავებდა, ყველა ჩემი ბრა-
ლი იყო: ვინ რა მოიპარა? იმერელმა. ვინ რა გა-
ტეხა? იმერელმა. ვის დასცინიან? იმერელის ბიჭს.
ვისა სცემენ გაჯავრებულ გულზე? იმერლის ბიჭს.
ვის გასაჯავრებლად სთქონ იმერლების დასაცინი
ანდაზები? იმერლის ბიჭისა. მე ვარდო! ბევრჯელ
მიგმია ლმერთი ჩემი გაჩენისათვის, ბევრჯელ მიტირ-
ნია მწარე ცრემლითა, მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგე-
შის მცემელი? არავინ. თვით ლმერთი—ეს ყოვლად
უმოწყალე ნუგეშის მცემელი არ იყო ჩემთვის,
იმისთვის, რო არ ვიცნობდი იმას. ასე ჩემო ვარდო,
სანამ შენ გაგიცნობდი, ერთი კაცი არ მყოლია,
რო შემეჩივლა ჩემი გულის დარღები.

— რა საჭიროა ეგ ლაპარაკი, დაანებე თავი,
შენი ვარდო გიბრძანებს,—უთხრა ვარდომ და აკოცა
ერთი იმ გვარად, როგორც კოცნას ბევრი ჩვენგანი
თავის სიცოცხლეში | არ ეღირსებიან... ბედნიერი 293
დურმიშხან!...

— იცი, დურმიშხან, მე რა მოვიგონე? როცა
ჯვარი დავიწეროთ, დავეთხოვოთ ჩეენს ბატონებს
და ერთი სამი თვე წავიდეთ თქვენსა; რანიერად
გვეხარდება საწყალ დედა შენს!

— იმიტომ უფრო იმაზე, რო მივუყვან ჩემს გულის ვარდოს, არა?

— ჰო, იმაზედაც.

— მემრე მოვალთ დედა ჩემისაგან, თუ ისევ ცოცხალი მაინც არის, მემრე ჩემო ვარდო? — დაფიქრებით უთხრა დურმიშხანმა.

— მემრე რა? შენ დაიწყებ ნაზირობას, ესე ჩემს საყვარელ ქალბატონს დაუწყებ მსახურებას.

— მემრე წავა დრო, გაგეიჩნდება შენსავით ლამაზი ბიჭი; შენ გაზდი დიდი ამბით. განა გეყვარება ჩვენი შვილი, გული?

— ძრიელ, ძრიელ! — საჩქაროთი სთქო ვარდომ.

— წარმოვიდგინოთ, რო ერთხელ მოვიდა ვინმე ჩვენ ბატონთან და სთხოვა ჩვენი შვილი, რა იქნება მაშინ?

იმ კითხვამ შეაკრთომა გულის ვარდი: საწყალს არას დროს არ წარმოედგინა, რო შესაძლებელი იყო, წაერთოთ იმისთვის შვილი.

293 — ეგ არ შეიძლება! ქალბატონი სადა | მყავს, განა ჩემი ქალბატონი ისე დამივიწყებს? არა, ეგ არ იქნება! — რამტენსამე ხანს შემდეგ სთქო ვარდომ ჩაფიქრებით.

— წარმოვიდგინოთ, რო შენი ქალბატონი იმ დრომდინ მოკვდა, იმის ფეხს სულ არ უყვარხარ, მაშინ?

— ომ! ეგ არ შეიძლება, დურმიშხან, არა! უწინ დღე დამელიოს.

— ქვეყანაშე შეუძლებელი არა არის რა, არა გულოჯან; სანამ ჩენ ბატონის ყმანი ვართ, ჩენში ბედნიერება არ შეიძლება. უთხარი შენს ქალბატონს, რო, თუ შენი ბედნიერება უნდა და გწყალობს, მე ვამანთავისუფლოს, უთხარი, რო უმისოთ ჯვარს არ იწერსთქო.

შემდგომ ამ ლაპარაკისა ვამოვიდა ერთი კვირა და შეყვარებულნი აქვე შეიყარნენ. დურმიშხანს ეჭვა უბეში განთავისუფლების წიგნი.

— აბა ახლა, ჩემო დურმიშხან! აკი ვითხარი, რო შეილებს არავინ ვაგვიყიდის-მეთქი. ახლა ჯვარი როდის უნდა დავიწეროთ?

— ჯერ ასე ჩქარა არა, ჩემო ვარდო, მოითმინე, აჩქარებით საქმე არ ვაკეთდება.

— ახლა რაღა მიზეზი იპოვე, ჩემო ბრძენო? მოითმინე და მოითმინე, ხან რას მოიგონებს და ხან რასა!

— | რა ვქნა, ჩემო სიცოცხლე, კიდეც დამტინი, 295 რო შენი ბედნიერებისათვის ვზრუნამ. ასე გვონია, მე კი არა მსურს, რო ჩქარა დაგიძახოცოლი, ჩემო ფურჩნილო ვარდო, მაგრამ დროება ითხოვს მოითმინებას, მემრე ჩენი ბედნიერება უფრო საფუძველიანი იქნება.

— რა, რა, ახლა რაღა მოიგონე, მითხარი ჩქარა.

— ვარდოჯან, ნუ ჯავრობ, მშეიდობიანათ დამიგდე ყური, შენ თითონ ვამამართლებ.

— სთქვი, სთქვი, ჩქარა!

— გარდოვან, ეხლა თავისუფლები გართ, მარტო
თალია, მაგრამ იცი, რო რაც ზედ გვაცვია, იმისი მეტი
არა გვაქვს-რა?

— რა უყოთ! შენ ინაზირე, მე ჩემს ქალბატონს
ეცმისახურები. განა ვერ ვიცხოვრებო, აქამდინ როგორ
ვცხოვრობდით?

— არა, სანამ ჩვენ ჩვენი იმდენი არ გვიქნება
საცხოვრებელი, რო სხვის თავდაუკვრელად ვიც-
ხოვროთ, მანამ ჩვენი განთავისუფლება, განთავი-
სუფლება არ არის.

— მაშ, რა უნდა ვწენათ, ჩემო დურმიშხან? თუ
ლმერთო!

— შენ არაფერი, შენ შენ ქალბატონთან უნდა
296 იყო, მე კი, მე უნდა წავიდე, ვიმუშაკო, რაც იქნება,
რითაც იქნება, ლმერთი მომიმართაში ხელს, ჩემი
ვარდო, წიგნი ვიცი, ენები და რამტენიმე ხელობა.
წავალ ვიშოვნი ფულს, გაემდიდრდები და ისე მოვალ
შენთან. თვე! რა ტკბილათ გაყოცებ მაშინ, ჩემო
სიცოცხლე! — დაუჭირა თავი და აკოცა ტკბილათ
თვალებში.

— მაშ კარგი, თუ შენ ვინდა ეგრე, მე რა
მეტქმის! როდის ვინდა წახვიდე? — ნალვლიანათ
შეითხა გულის ვარდომ.

— ბევრი ცდა იღარ უნდა, ყოველი საათი
დაგვიანებული აგვიანებს ჩვენს შაერთებას. სჯობია
ავსჩქარდე; ხვალე წავალ.

— ხვალ, მაშ ხვალ წახვალ საწყალო ჩემო დურ-
მიშხან! ვინ მოგივლის უჩემოთ, ვინ გაგირეცხს, ვინ

დაგიკერებს, და ან ავათ რო გახდე, ვინ მოგიცლის, აპა! - და აკოცა შუბლზე. აკოცე, ტკბილათ აკოცე საწყალო გულის ვარდო, განაგრძელე ეგ ლაპარაკი, ეგ არის უკანასკნელი შენი ბეღნიერების საათი, ამის შემდეგ შენი პირიფან აღარ ამოვა სიტყვა სიყვარულისა. ახ, რა ბეღნიერი იქნებოდი, რო ეხლა მომჯედარიყავ, ვარდო, მიტევების სიტყვა ბაგეზე, უმანკო სიყვარული გულში, ეით უმანკო ყმაწვილის ძილი, მშვიდი იქნებოდა შენი სიკვდილი და ბეგრნი ჩამოაგდებდნენ დანანის | ცრემლს შენს საფლავზე, 297
მაგრამ მემჩე?.. მაგრამ რათ უნდა წავირბინოთ წინ.

მეორე დღეს დურმიშხანი ლამაზათ მორთული, ვერცხლის ყანწებით, შეერცხლილი იარალით შეკაზმული, კარგი შავი ცხენით გავიდა ქალაქითგან. შემდგომ წასვლისა სწორეთ ერთი თვის უკან დურმიშხანმა გამოვზავნა წიგნი?) გულის ვარდოსთან და შემდეგ თითქმის მთელ სამს წელიწადს ყოველ თვეს უგზავნიდა ვარდოს წიგნებს, რომელშიაც სწერდა ყოველთვის თავის ჩქარა მოსვლას.

ბევრმა წყალმა ჩაიარა ამ სამს წელიწადში, ბევრი ცელილება მოხდა ქვეყანაზე, არ შეიცვალა მხოლოდ გული ვარდოსი. იქ ისევ ისე ენთო წმინდა სიყვარული დურმიშხანისა, როგორც პირველს დღეს მათის გაცნობებისას. ვარდომ შეინახა წმინდათ თავისი სიყვარული, თუმცა, რო ეარშიკებოდნენ და თხოულობდნენ ბევრნი კარგნი კაცნი. დურმიშხანი რალას აკეთებდა ამ დროსგან იმან მეორე წელი-წალის შემდგომ ტფილისს წასვლისა დიდის ამბით

დაიწერა ჯვარი სურამში და შევიდა ზედსიძელ.
და აი, ერთხელ, სამის წლის შემდგომ ქალბატონში
დაუძახა ვარდოს და ვარდო რო მოვიდა, უბძანი
მოტანა სარკისა. ვარდომ მოართო საჩე. ქალბა-
298 ტონში | გაისხედა სარკეში, გაისწორა კავები, ლენიაქი
და უთხრა ვარდოს:

— კიდევ ლამაზი ვარ ვანა, ვარდო?

— ლამაზი, ძრიელ ლამაზი ბძანდები, ჩემო
სიცოცხლე, შენამც გენაცელებიან რაც ქვეყანაზე
ლამაზი ქალები არიან,—უპასუხა ვარდომ და აკოკა
ხელზე.

— რათა, გოგო, შენც ხო შიგ ჩაყვები, შენც
ხო ლამაზი ხარ.

— ვანა მე კი არ მექადრება, მე უფრო არ უნდა
გენაცეალო, ჩემოდენათ ვის უყვარსარ.

— კარგი, კარგი, ჩემო ვარდო, შენ კარგი
გოგო ხარ და ლამაზიც და იმიტომაც ბევრნი გთხოუ-
ლობენ.

— ეჭ, რას მიბძანებ შენი ჭირიმე, ქალბატონო,
დაიცადეთ, თუ დურმიშანთან არ დაგამეზლოთ,—
ლიმილით უთხრა ვარდომ.

— რო აღარ მოვიდა შენი დურმიშანი, მოდი
და თავს ნუ დაანებებ, რო დაგივიშყა! მე გავიგონე,
მითომც სხვაც შეერთოს და...

— რა არის, ქალბატონო, სულ მავითი მაში-
ნებთ, შეირთო და შეერთოს, კაცი. იმაზე ხო არ
ჩამოკიდებულა, მე ჩემი ბედი არ დამემალება.

— პო, ეგ მიყვარს, ჩემო ვარდო, ოლბათ ლეთის ნება არ⁶) იყო თქვენი ცოლქმრობა, ოლბათ | ერთმა- 299
ნეთთან იქნებოდით უბედურნი, რო ღმერთმა განვა-
შორათ ერთმანეთს. მოითმინე, შეილო, და ღმერთი
შენი მოთმინებისთვის ისე ვაგამედნიერებს, რო
დურმიშხანი არა, იმაზე კა გებიც დაგნატრიდნენ.

ეს სიტყვები ვარდომ, მართალია, ვერ ვაიგონა-კი
რისთვის იყვნენ ნათქომნი, მაგრამ შეიტყო, რო
კარგს არას მოასწავებდნენ. მართალია, ვარდო არ
წირმოიდგენდა, რო იმის დურმიშხანი უორგულებდა
იმას, მაგრამ ევონა, რო ის ან ტყვეო ჩავარდნილ-
იყო და ან მომკედარიყო. იმისთვის შეეშინდა რა
უბედურებისა, უნდოდა ჯერარ შეეტყო სრულებით
და გადაესხვაუერებინა სიტყვა, მაგრამ გულმა
ველარ გაუძლო და ისე — აჩვენა თავი ქალბატონს,
მითომც, რასაც ის ეუბნებოდა ისე ფრთხილათ,
იმან იცოდა დიდი ხანია.

— რა ვქნა, ქალბატონიჯან, რაც ლეთის ნება
არის, ის იყოს, თქვენ კარგათ ბძანდებოდეთ, ალ-
ბათ ჩემი წერა ესრე იყო: რა უყო, უნდა მოვითმინო.

— მაში იცი, რაკ უნდა გითხრა?

— ვიცი ქალბატონო, იმ დღეს შევიტყე, მაგრამ
არ ვიცი, როგორ ყოფილა საქმე.

— რაღა როგორ ყოფილა, შეილო, აი იმის
ჭიგნი. მე მეცოდები, იმიტომ ვერ ვითხარი | აქამ- 300
დინაც. ნუ იწუხებ, შეილო, ებლაც შენი თავი ჩეკნია
აზნაურმა მოხოვა.

სანამ ქალბატონი ამას ეუბნებოდა, ვარდოშ
დაუწყო კითხვა დურმიშხანის წიგნს, მოწერილს
სურამითგან.

ამ სწორე პირი იმ წიგნისა.

„ჩემი დიდი ქალბატონი, თავიდი წერეთლის
ქალი მარიამის დიდი მუხანბატონის მეუღლის ვი-
რი მოსცეს ღმერთმა მის უკანასკნელ ფეხის მტვერს
დურმიშხან წამალაძეს. მემრე ამას მოგახსენებთ, ჩე-
მო ქალბატონო, შენი ჭირიმე, მე თქვენითგან რო
ჭამოვედი, ვაჭრობა დავიჭყე, იქით-აქეთ დავდიოდი,
ჩემ გულში ვანბობდი, რო ცოტა რა ფულს მოვა-
გროებ-მეთქი და მემრე წავალ და ჩემთვის ვიცხოვ-
რებ-მეთქი, არც ბატონს შევაწუხებ და ვარდოსაც
ცოტა რამ ექნება-მეთქი. მაგრამ ცოტა ფულებს რო
მოუყარე თავი და ჭამოსვლა დავაპირე, ერთს ლამეს
დავრჩი სურამს, აფთანდილაანთ ეძახიან, ერთი გლეხ-
კაცი გახლამს, იმასთანა. აქ ჩემი აღა, რომელზედაც
ვარდოს ვწერდი ხოლმე წიგნებში, ის ჩამომეუკიდა,
რო არ იქნება, რო იმ კაცის ქალი არ შეირთოო (იმის
ნათლული იყო) და იმიტომ უნდოდა იმისი გათხოვება,

301 და მეც ხათრი ველარ გაუტეხე და იმ კაცის | ქალზე
ჯვარი დავიწერე და ზედ-სიძედ შევედი. ასე ჩემო
ქალბატონო! ბარემ მინდოდა, რო ვარდოზე დამე-
წერა ჯუარი, მაგრამ ალბათ ლეთის ნება არ იყო.
ახლა ჩემ მაგიერ ვარდოს უთხარით, რო კარგი კა-
ცი ითხოვოს და რაც უნდა, ჩემგან მოითხოვოს.
სხვა, თუ ჩემს ანბავს იკითხავთ, მშვიდობით განწლა-
დართ. ებლა ერთი შიკი მეყოლა,“

იმ საათს მები რო დასცემიყო, ისე არ შეკრ-
თებოდა ვარდო, როგორც შეკრთა ამ წიგნის წა-
კითხვის შემდეგ. კითხვის ღრმას იქამდინ რო მივიღა,
სადაცა დურმიშხანი სწერდა თავის ჯვარის წერასა,
თვალები დაუბნელდა, ვეღარა დაინახა რა და მიეშო
ტახტზე. მარჯვენა ხელზე დანდობილი, თავი ჩამო-
კიდებული, საშინელი ყვითელი ვარდო გვანდა
წუხილის სტატუს და იყო კეშმარირად შშვენიერი,
ისე მშვენიერი, თვით ქალბატონმა რო დაინახა,
გულმა არ გაუძლო და აკოცა შუბლზე.

— ვარდო, შვილო, გოგო, ვარდო, პირჯვარი
დაიწერე, შვილო,— შეკრთომით ეუბნებოდა ქალბ-
ატონი და უსრესდა ცხვირის ნესტოს და ყურებს,—
გოგოებო! ბიჭებო! ვინა ხართ მანდ, მიშველეთ.

ამ ხმაზე ჩამტენიმე გოგო შემოუიდა და იმათი
მეცადინეობით ჩამტენიმე ხანს უკან, მობრუნდა ვარ- 302
დო, ვაახილა თვალები და ამოიოხრა.

— პირჯვარი დაიწერე, შვილო, ღმერთს შეეხვეწე,
რო მან განაქარეოს შენი მწუხარება,— არიგებდა
ქალბატონი, მაგრამ ვარდოს არ ესმოდა იმისი და-
რიგება, ის ტიროდა მწუხარეთ...

— საწყალი ვარდო, შესანდობარი დავლიოთ ყმა-
წვილებო, დლეიისთვის ეყოფა.

— ვინც არ დალიოს, — დაიძახა ერთმა ჩვენ-
განმა.

— აგრე იყოს!

— კიდევ ვანაგრძელოს, — დაიძახეს სხეათა.

— კიდევ რალა? იმავე დღეს ენახათ, როგორის-
ვარდი რალასაც ჩუმად ელაპარაკებოდა ერთ გან-
თქმულ მკითხავს.

რამტენიმე წუთის შემდეგ კახურმა ღვინომ და
ცხონებულ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსებმა დაავიწ-
ყეს ყმაწვილებს ვარდოც და ისიც, რო უნდა დაე-
ლიათ იმისი შესანდობარი. იხალგაზრდის არ ახ-
სრმს სიკვდილი და ეჯავრება ისიც, რაც მოაგო-
ნებს იმას.

II

მეორე დღეს ყმაწვილები შეიყარნენ ჩვეულების
303 წინ და როგორც-რო მოვიდა | ნიკო, მოსთხოვეს გა-
გრძელება; მაგრამ, რადგანაც ნიკოს რიგი აღარ იყო,
ის აღარ ინბობდა, მოიკითხეს მორიგე, გამოჩნდა, რო
სიკო ე—სა უნდა ეთქო. სიკომ ბევრი აღარ ათხოვ-
ნინა, ჩაიკეცა ქუდი, მოიკეცა, მოითხოვა ყურადღება
და დაიწყო.

— ახლა ყმაწვილებო, გთხოვთ ცოტა უკან მივბ-
რუნდეთ.

— დაიხიეთ, ყმაწვილებო,— დაუძახა ალექსი პ—შა,
რომელსაც ჰქონდა ხასიათი, სულ ყველა აზრიზე ეთქო
რამ წინააღმდეგი, რომლისთვინაც ჩვენ დავარქვით
იმას საშინელი ფილოსოფოსი.

— თუ არ ვსტუმი,— დაიწყო ისევ სიკომ,— მეო-
ნია დურმიშხანი ჩვენ ვარდოს საყვარელი, უფალმა
ნიკომ გაუშო შეჩა გზაზე ქალაქის ვარეთ. ქალაქით-
ვან რო ვავიდა ლურმიშხანი... მაგრამ მოითმინეთ
მოგახსენოთ იმისი ჩამომაფლობა.

- ახლა შენ თვითონ დაიხიე, — უთხრა ალექსიმ.
- კარგი ალექსი, თორემ იღარ ვიტყვი.
- ალექსი! ხო¹) გახსოვს ჯარიშა. ის ყანწი ისევ
ცოცხალია, — დაუძახეს ყმაშვილებმა.
- ჰო, კარგი, მემრე?

დურმიშანი იყო ე ჯერ იდამ და ევასი, მემ-
რე ნოე და არ ვიცი ვისი, და მემრე, როგორც თვი- 304
თონ უთხრა ვარდოს, წერტლიანთ ვოგოსი, და იმავე
წერტლის შვილის შვილი. დურმიშანის დედა იყო
ისე უბედური, რო მოეწონა თვრაშეტი წლის წე-
რტლის ვაჟს და იმის შემდეგ ვიჩნდა დურმიშანი,
თვით სახიერი მსგავსი ცოტათ წერტლისა. ქეთი-
ლი ზნითა, ჩატული ყოველთვის სუფთათ, დურმიშ-
ანი იყო საყვარელი თვით დიდი ბატონითგან უკა-
ნასკნელ ბიჭამდინ და ვინ მოიგონებდა, რო ბატო-
ნი გამოიმეტებდა იმას გასაცამათ. და იმისათვის
მეორე დღეს, როდესაც შეიტყვეს, რო მეხრანბატო-
ნისათვის მიურთმევიაო, ისე. შეწუსდნენ ყველანი,
როგორათაც თავის შვილზე, ანუ ძმაზე. ისტორია არ
აჩვენებს რა იყო მიზეზი დურმიშანის ისე ადვილათ
გამეტებისა ბატონისგან, იმიტომ რო, როგორც
ატყობდნენ შინაურები, ბერიკაცს უყვარდა ისი და
ბერჯელ ეთამაშებოდა ხოლმე და უცვავებდა. ეს
საყვარელი გამოიჩნდა, სხეათა შორის მაშინ, რო-
დესაც დურმიშანს აშორებდნენ დედას, ანბობენ, ვი-
თომც დიდ ბატონს მარჯვენა ულეაშმა დაუშე-
კანკალიო და თვალებზე ცრემლივით რაღაც დაუ-
ნახესო. მოსამსახურენი, რომელიცა ყოველ შემთხვევ-

ვაში ეძებენ დასაწყის მიზეზს, პოობდენ ორ მიზეზს
305 იმის გაცემისასა, პირველს, რო მითომ ბატონს უნ-
დოდა ჩევილინებინა შეიღისთვის ყოველივე ური-
გოება, რომელიც გამოვა გოგოსთან ქავშირითვან,
და მეორე, მითომც უნდოდა დაესაჯა დურმიშხანის
დედა იმისთვის, რო იმან გაბედა აშიკობა ბატონის
შეიღილთან. მაგრამ ისევ მოსამსახურენი ანბობენ, რო
ახალგაზრდა ბატონმა სულ არ იწუა შეიღის და-
კარგეა და იმავე დღეს, როდესაც მამამ იმისმა სხვას
აჩერე იმისი შეიღი, ის წავიდა სანალიროთ შიმი-
ნოთი და ძრიელ მხიარულად ნადირობდაო. საწყალი
დედა დურმიშხანისა! ის მოკედა სწორეთ დურ-
მიშხანის წაყვანის შემდეგ, ერთი წელიწადი რო
გამოვიდა სიჭლექით. შემდგომი ცხოვრება დურ-
მიშხანისა იცით წინა მოთხრობით. ისიც ისე გა-
შობიზარდა, როგორც ეხლა იზრდებიან იმისი მსგავ-
სი უპატრონო ბიჭები, რომელთაც ცხოვრებას
სრულებით არავინ არას დაპლევს.

მეორეთ რო იყრიცეს მამლებმა, დურმიშხანი
ადგა, ახსენა ლმერთი...

— თქ, შენმა მზემ, თუშური სკუპი არის,— და-
ძახა ალექსიმ.

— რა ვენა,— ლოლიკის კურსი არ გამიგონია
შენგან, ჩემო საშინელო ფილოსიფონსო და რა უყო,—
უპასუხა სიკომ გაჯაერებით.

— თქვი, კაცო, მაგას ყურს ნუ უგდებ,— უთხ-
რეს ყმაწევილებმა.

მეორეთ რო იყიდელეს მამლებმა, ადგა დურ-
მიშხანი, ახსენა ღმერთი, გამოიყვანა თაელიდგან
ცხენი, დააურვა, აქამა ქერი და შეკაზმა. რასაკეირ-
ველია, რო ამ დროს გულისეარდიც არ იყო უსაქმოდ
და შეელოდა დურმიშხანს, რითაც შეეძლო. მამალმა
რო მესამეთ იყიდელა, დურმიშხანმა მოუკირა ცხენს
მოსართავები, გადაუგდო ხურჯინი, გამოვიდა და გა-
მოუდგა გზას, საით იმ დროს რო გევითხნათ თვითონ
დურმიშხანისათვის, გარწმუნებთ, ეერ გეტყოდათ,
საით მიდიოდა. სადა ჰქონდა იმას დრო, რო ეფიქრა
ამაზე. იმას სურდა მხროლოდ ჩქარა გასულიყო
ტუილისიდგან, იმიტომ რო ტყილისი და თავის
ყმობა იყვნენ იმისთვის ერთი, იმიტომ რო
ტყილისი იგონებდა იმას იმ მწარე დროებას, რო-
მელიც გაატარა აქამდისინ, იმიტომ უკანასკნელ რო
უნდოდა ჩქარა გამოეცადა ის ცხოვრება, რომელზე-
დაც კაცი არ აძლევს ანგარიშს სხვა თავისთანას,
და იხმარებს თავის დროებას, როგორც უნდა და
როგორც კეთილს იგონებს. და აი, მიდის ჩემი დურ-
მიშხანი... შეხედეთ, როგორ კოხტათ ზის ცხენზე,
ტახტის აზნაურს არა გავს? და ვისი ეშინიან, რო
კოხტათ არ იჯდეს, ვის შეუძლიან, | რო ხმა გასცეს. 307
რაა ¹⁰⁾ რომ აზნაური არ არის?

ეს და ბევრი ამისთანა აზრები რიგ-რიგათ მოს-
დიოდა დურმიშხანს და ისე ავიდა ძეგვს, რო ვერც-
ყი გაიგო, მაგრამ გზასა აქვს როგორილაც ხასიათი,
რო როგორც გინდა მხიარული იყო, მაინც შემდგომ
გავლისა რამტენიმე ვერსისა, როდესაც ცოტათ



დაიღალები, როგორილასაც შეკრითება ვული და დამატება
გაცემია ფიქრით. მაშინ ან უნდა იმღერო და ან
ძრიელ ჩაუიქრდე. შემსევდერი პირელზე იტყვის,
რო მითომ ძრიელ შეიარული იყო, შეორებე კა
მითომც ძრიელ დაღონებული, მაგრამ როგორც
პირელ შემთხვევაზე, ეგრეთვე მეტრებე სცდებიან
გარე შემსედელი, იმიტომ რო რჩისავე შემთხვევას
ძრიელ მეშაობს მგზავრის ტანტაზია და იმისაგან
არის ის მდგომარეობა. რამტენ ზეციერ ციხეს
ააშენებს მაშინ მგზავრი, რამტენ რასმე მოგონებს
იმისთანას, რომელიც არის დროს არ აუსრულდება
იმას; მაგრამ ის 'არის' მაშინ კმაყოფილი, და არა
თუ კმაყოფილი, არამედ ის ჰპოვებს იმაში ბედ-
ნიერებას.

ძეგნ რო მიასაუყდა, დურმიშხანი იყო სწო-
რეთ ამ მდგომარეობაში. აი იმან დაინახა მშენიე-
რი ყანა, რომელიც ქარს ეთამიშებოდა, როგორც
მოჩეული პატარძალი თავის ¹¹⁾ დანიშნულს. ქირი ეხ-
308 ვევა, ურუეუნებს სიყვარულის | სიტყვათა, მავრამ
ყანა,—ეს კედლეცი პატარძალი,— მითომ მოჩეულის
ტა აშორებს თავს. აი ცხვირი, მოგროებული შეად-
ლეს ერთ ხის ქვეშ. შეხედეთ მეცხვარეს, როგორ
სრული კმაყოფილებით უკრავს სტვიჩს და ეუსწენე-
ბა ქების თავის მურიას. უყურეთ მურიას, როგორი
ცულისხმის გადევნით უგდებს ყურს თავის პატრონს,
მითომ უნდა, რო არც ერთი სიტყვა არ დაივიწყოს
და ყოველივე სიტყვა იკრიფოს მარცელებივით. აი
გუთანი ათუღელა, თავის მოუშორებელი ოროვ-

ლათი. ¹²⁾ შეხედეთ გუთნის დედას! კრეზი, თავისი სიმდიდრით არ იყო ისე ქმაყოფილი, რომ მაშინ გორგ არის ხოლმე¹³⁾ ის მაშინ, როცა უბრძანებს შეხედებს ხარების გარევას. ხარები! შეხედეთ, როგორი აუყოლებით ოროელასთვინ ფეხები, რუგორუ კარგს მოთამაშეს ცეკვაში მუსიკისათვის. ჩვენი კაბბები! შეხედეთ, რანაირ ბრძენივით ჩატიქრებული მიღის, თითქო სწავლიდეს ერთ პითაგორის თეორებას. ¹⁴⁾

გესმით შორიოგან ბულბულის სტენა? კაცი უნდა იყოს ყრუ, რო იმ სტენაში არ გაიგონოს ხმა სიყვარულისა, უნდა ედებას ქვა გულის მაგიერ, რო ამას არ მოაგონდეს თავისი ახალგაზიდობა, თუ მოხცებულია, და ქაბუკი თავის საყვარელი, იმიტომ, რო არ იქნება, რო ახალგაზრდა ყმაწვილს არავინ | უყ- 309 ვარდეს.

ყოველთავე ამათ დურმიშხანსაც მოავონეს ის მცირედი დროება, რომელიც გაატარა იმან თავის გულის ერთონან და ჰელნებდა, რო იმ დროს უკვარდა ისი, და არა თუ გულისებარდი უყვარდა ეხლ, დურმიშხანს, არამედ გამხადებული იყო ისი, რო მოჰსალშიაყო მთელ ქვეყანას.

— „მართლა და რა კარგი იქნებოდა, — ფიქ- რობდა დურმიშხანი, — რო შევანდეს ერთი უკვარი ხარ-კამები, ¹⁵⁾ ერთი ოციოთ დღის მიწა, და ჩემი... ჩემი გულის ვარდი. მაგრამ ეს ფიქრი შეცვალა სხვა შძიშე ფიქრიმა, იმან რო ყოველ იმას, რასაც მოპოებას ფიქრობდა დაუწერმიშხანი, უნდოდა ფული,

რომელიც არა ჰქონდა იმას. რასაკეირელია, რო
რამტენიმე მარჩილი, ¹⁶⁾ ნაშოვნი დურმიშხანისაგან
ნაზირობის დროს დიდი შრომითა, და იქნება რო
უსამართლობითაც არ ეყოფოდა იმას თავისი გან-
ზრახვისათვის და დურმიშხანი ჩაფიქრდა ძრიელ.
მხოლოდ ეხლა წარმოიდგინა იმან ყოველივე უშემ-
წეობა თავისი მდგომარეობისა.

— ეჭ, რა უშავს, ღმერთი მოწყალეა! — სთქვა თა-
ვის გულში დურმიშხანმა, ¹⁷⁾ — ეს იცო ძნელი, ეს
წყეულ ყმობითგან გამოხსნა თავისა, თორემ ახლა მე
ვაცი... — და დაიწყო ფიქრი, რა ცხოვრება უნდა
310 აერჩია. | შემდეგ რამტენიმე ხნის ფიქრისა დურმიშ-
ხანში გადასწყვიტა, რო უნდა დასდგომოდა ვისმე
ვაჭარს მოჯამაგირეთ. მაგრამ ვის? ჯერ ეხლა, რო-
ცა ესე გამრავლებულია ვაჭრობა, ჯერ ეხლაც ძნე-
ლია შოვნა ალაგისა ვაჭრებში, უმეტესად უცნობი
კაცისთვის, თუ გინდ რო ბრძენი იყოს, და მაშინ,
რასაკეირელია, რო უფრო ძნელი იქნებოდა, უმე-
ტესად დურმიშხანისთვის, რომელიც იყო უპატ-
რონო და უთვისტომო. მაგრამ დურმიშხანი არ იყო
იმგვარი, რომ ამისთანა შემთხვევას შეეშინებინა.

— და ჩი ბევრს ვფიქრობ, თუ დამიყენა ვინ-
შემ მოჯამაგირეთ, ხო კარგი, თუ არა, გავყიდი
ცხენს, იარალს და იმ ფულითა და რაც მე მაქვს
იმითი გავხსნი საღმე დუქანს ხა, ხა, ხა, მე თითონ
გავხდები ვაჭარი. მე თითონ მეყოლება ბიჭები!
„ბიჭო! ჩამოუსხო ტეტიას ლვინო!“ „არა, დედაგ, შე
თითონ უფრო ძვირათ შიყიდნია, ხელს არ შოშცუმს“,

წარმოიდგენდა ის, მითომც ¹⁸⁾ ყიდიდა.

ამ ფიქრებით მიეიდა ერთ წყაროსთან, რომელიც სჩანდა იყო მგზავრების დასასვენი აღგილი, და, რადგანაც ჯერ პური არ ეჭამა, ჩამოხდა ცხენითგან, მოხადა ხურჯინი, შეუყარა ცხენს დუშაყი ¹⁹⁾ და გამოუშო საძოვრად. თითონ მოხსნა პირი ხურჯინს, ამოილო იქიდგან | პური და ყველი, გაიშალა სუფრის 311 მაგირ ხელსახოცი და დაუწყო პურს ჭამა.

ეს იყო პირებელი პურის ჭამა დურმიშხანისა ისეთი, რომელიც არ იყო ბატონის ნასუფრალი, და, უნდა გენახათ, რა გემრიელი იყო ის პური!

საკვირველია ლმერთმანი, კაცის ცხოვრება. ბევრჯელ, როდესაც ის აირჩევს ცხოვრების გზას და დაადგება იმაზე გავლას, უცემად გამოუვარდება რამე, ჰერიშს ხელს, გალააგდებს იმ გზიდგან და დააყენებს სხვა გზაზე, რომელსაც სულ არ მოელოდა. ესრეთივე შემთხვევა მოხდა დურმიშხანის ცხოვრებაში.

დურმიშხანში რო გაათავა პურის ჭამა, დაინახა, რო ცხენს ჯერ არ დაესცენებინა, და ამისთვის გაიშალა ნაბაღი და წამოწევა. ამ დროს იმ წყაროსკენ მიბრუნდნენ სამნი ისმალონი. დურმიშხანს ევონა, რო ისენი მტრები იყვნენ და გასაცარცვად მიდიოდნენ და ამიტომ გაიშინჯა იარაღი და მოემზადა პასუხის საგებლად. ისმალონი მივიღნენ წყაროსთან, მიესალმნენ დურმიშხანს და ჩამოხდნენ.

— უკაცრავად ნუ ვიქნები, ყმაწვილო, შენი ჭიროვე, კითხვისათვის: საიდგან მობრძანდებით? — ჰერთა

ერთმა იმ ოსმალთაგანშა, რომელიც, სჩანდა, რუს
იმათი უფროსი.

— ქალაქითვან ვიახლები, ჩემი ბატონო, — უპა-
312 სუხა დურმიშანშა. |

— იქაური ბრძანდები?

— არ ვიცი, როგორ მოგახსენო, იქაურიც ვახ-
ლავარ და არც ვახლავარ იქაური.

— როგორ ეგ?

დურმიშანშა უთხრა ყოველივე თავის თავის
გარემოება. თავიდგან ბოლომდისინ.

— ბედნიერი ხარ, ყმაწვილო, — უთხრა ოსმალომ,
რომ გაათავა დურმიშანშა, — ჩა გინდა, უსისხლოთ
განთავისუულებულხარ მონობიდგან. ბევრს არ ერ-
გება ხოლმე ეგ ბედნიერება. ღმერთო, ის ბავშვი არ
მაძლევს მე მოსეუნებას, დღე და ღამე მიდგას თვალ-
წინ და არ ვიცი, საით გავეძლო... ერთხელ მეც ვი-
ყივ ბედნიერი, ერთხელ მეც შემეძლო შემეხედნა
წმინდა სინიღისით ცისთვის, მაგრამ ეხლა... კაცის
მკვლელი, ქრისტეს ორგული, რა ცა შემირიგებს
მე! — დაიწყო იმან ლაპარაკი თავისთან.

დურმიშანი უყურებდა იმას განკვირვებული.

— რას ბძანებთ, ბატონო? მე სრულებით არა
ვავიგონე-რა, მხოლოდ იმის მეტი, რო თქვენ ოს-
მალო არ უნდა ბძანდებოდეთ.

— ქართველი ვახლავარ, — დალონებით უთხრა
ოსმალომ.

— მაშ რა არის ეგ თქვენი ოსმალური ტანისა-
313 მოსი, ან იმათი ქცევა რათ მივიღიათ? |

- სხვათა-და-სხვათა მიზეზთა გამო.
- თუ უზრდელობაში არ ჩამოაწართმევთ კა-
თხვას, შეიძლება მიბძანოთ ის მიზეზები?
- ის მიზეზები? —ჩაფიქრებით სთქო ოსმალომ,
აიწივა რიცე ზეით და მოიწმინდა შუბლითგან თვ-
ლი. — ის მიზეზები? რატომ, შენ შენი ცხოვრება მით-
ხარი, მეც ჩემი უნდა გითხრა. ამბობენ, რო შენი
ჯავრი რო სხვას შესჩივლო, ნახევარი სიმწირე და-
გეკარგებათ. გამოვსცდი, ეგონებ, ყმაშვილო, თავს
არ მოგაწყენ.
- არა, შენი ჭირიმე, რას მიბძანებ!
- მე ეხლა მქეიან ოსმან-აღა, დაიწყო ოსმა-
ლომ...
- ხვალ, ხვალ! — დაიძახეს ყმაშვილებმა, — ხვალ
ალექსი იტყვის, — და ჩააჩუმეს სიკო.

III

ოსმიან-აღა.

— იყავ ლეში
 იქნეიტოა კანონი

— ყმაწვილო, თქვენი სახელი?

— ღურმიშხან.

314 — | დიახ ღურმიშხან, საარაგვოზე გივლიათ როდისმე?

— არია, არსად.

— ჩამ შენ არ გინახავს ერთი შშეენიერი ქვეყნის კუთხეთაგანი, ჩემთვის მაინც! ამ საარაგვოზე, ხელ არაგვის პირზე, ბოლორნას და ნაოზას შაუა, არაგვის გაღმა არის სოფელი გ.²⁰⁾ ეს სოფელი, თითონ პატარა, დიდი სჩანს თავის ეენახებით. ამ სოფელში, რომელიც არის საბატონი, ²¹⁾ იდგა მამაჩემიცა, ჩემ საუბედუროთ, ბატონის ყია. თითონ მხნე, მყოლელი ყევარი ხარ-კამეჩისა და რამტენიმე მწველელი ძროხისა; ეგრეთ შეონებელი სამი დღის ვენახისა. მანაჩემი იჩიცხოდა თავ კაცად ჩვენ სოფელში და არა დავა, ანუ სხვა რამე შესახები სოფლისა არ გადაწყდებოდა ჩვენ მეზობლებში, რო არ დაპყითხოდენ შალიქას, — ეს იყო მამა-ჩემის სახელი. ახ, რა დრო იყო ის! რა კმაყოფილებით დაუჯდებოდი

ხოლმე მე უდელზე და უზრუნველად დავიძახოდი ოქტომბერის
ელას წავიდა ის დრო,—დრო უმანქოებისა, ეამი
წმინდისა სინდისისა და ის ყმაწევილი, რომელსაც გუთ-
ნის-დედა უბრძანებდა ხოლმე ოროველას მღერას და
ამსანავები შურით ისმენდნენ იმის სიმღერას, არის ის-
მალოს იანიჩარის ასის თავი, ²²⁾ მქონებელი დიდის სიმ-
დიდრისა, მაგრამ გასვ | რილი ქრისტიანე სისხლში. 315
ას, სიხარულით დავანებებდი თავს ყოველსავე ეხლან-
დელს სიკეთეს ჩემსა, რო შეიძლებოდეს მობრუნება
უწინდელი ჩემი დროსი, იმ დროსი, როდესაც ვი-
ყავი ხოლმე დღის მეხრე და ვიღებდი ერთ ალოს.

მაგრამ ბევრის ხანს არ გასწია ამგვარმან ბედ-
ნიერებაშა ჩვენმა. ერთხელ მამა-ჩემი წავიდა ძნის
მოსატანათ, უნდა ჩამოეტანა ძნა თავდაღმიართზე,
ნეულებისამებრ მოუძლოდა ის ურეშს წინ, რო არ
დაქანებულიყო. მაგრამ ურეში დაქანდა, ხარ-კამეჩის
თავი ველარ დაუჭირა, კამეჩებმა წააქციეს და
ურეშმა გაქცილირა. იმის სიკედილის შემდეგ ჩვენ
სიხლში ²³⁾ ყოველივე გადაბრუნდა გულალმა. ბა-
ტონმა კერ წაგვართო ვენახი, იმიტომ ვითომც, რო
აღარ შეგვეძლო მოყლა, მემრე თითო-თითოთ ხარ-
კამეჩი და უკანასკნელათ უბრძანა დედა-ჩემს, რო
გადასახლებულიყო იმასთან სახლის მოსამსახურეთ.
საწყალი დედა ჩემი უნდა გენახა, რა მშეუხარებით
ესალმებოდა სიხლს! ლმერთო, რა გვარათ არ ესვე-
წებოდა საწყალი ბატონს, რო დაენებებინა თავი და
არ მოეშილა ოჯახი, მაგრამ ბატონს ვითომ არ ეს-
შოდა.

— იტირებს, იტირებს და დაჩუმდება მარტინ როსტოკის
აზრი რომელთამცე ²¹) ბატონთა; იმით ჩემინიათ, რო
316 ჩენ კაცნი არ ეიყვნეთ, ჩენ არ შე | გვეძლოს სიყ-
ვარული და სიძულე, იმათ პგონიათ, რო ჩენ არა
გვქონდეს გული, არ გვქონდეს სჯა.

— დედა-შვილობას, აგრემც ღმერთი გილაც-
ხლებს შვილებს, შენი ღვთის ვულისათვის დამანებე
თავი, — ეხვეწებოდა დედა-ჩემი, — რა მოსამსახურე
უნდა ვიყო, მე თქვენი ბატონური ცხოვერებისა არა-
ვიცი რა. ჩემი შვილები აქედგან უფრო გემსახურე-
ბიან. რასაც მოვიყვანთ, სულ შენ მოგარომევთ, ჩენ
ნაცარს ავფშრეკამთ და იმას ვსჭამთ, ოლომც ნუ
მოვიშლი თჯის! საწყალო ჩემი შვილებო! და
იმან მიგვიკრა გულზე იმგვარათ, მითომც ის იყო
გვდებდნენ სამარეში.

— ემ დედაყაცო, მე არ მიყვარს ბევრი ლაპა-
რაკი! ხვალვე მზათ იყავი! — უბრძანა ბატონში და
გაიცინა, იმიტომ რო ერთმა წევარმა რაღაც სისა-
ცილო ქნა. ოც! რა საზარელი იყო ის სიცილი დე-
დი-ჩემის მწუხარებასთან! მე დარწმუნებული ყარ,
რო, ზაშინ არ იცინოდა კაცი, კაცში იცინოდა ეშ-
მაკი. იმისთანა დროს, მხოლოდ ეშმაკს შეუძლიან
ვაცინება.

რაღა მოგაბეჭრო თავი ბევრი ლაპარაკით: მეორე
დღეს ჩაგვყარეს ურემში და მიგვიყვანეს ბატონთან.
ჭალბატონთან რო წაგვადგინეს, იმან გაგვშინჯა და
317 გვიბრძანა, რო | მე და ჩემი და, — ერთი დაცა მყენ-
და მე — უნდა ეყოფილიყავით პირის მოსამსახურე,

დედა-ჩემს კი უბრძანა ყოფნა პურის მცხობლად. ასე ვავატარეთ დროება თითქმის ხუთა წელიწადი. თვი თონ ნა მოსამსახურე, შენ იგრძნობ, რანაირ დაეიტან. ჯებოდით იმ საშსახურში! მაგრამ ამბობენ, კაცი ჯოჯობეთსაც შეეჩევათ. ჩენც შევეჩიენით ჩენს ცხოვრებას და თითქმის ვიყავით იმითი კმაყოფილი, არ ვიცი იმიტომ თუ, რომ უარეს ცხოვრებას მოვე-ლოდით.

ერთხელ მოვიდა ჩემ ბატონთან ერთი მღვდელი კახეთითგან. ვახშამზე რო ვემსახურებოდი იმათ, იმ მღვდელს ჩემმა ბატონმა თვალით აჩვენა ჩემზე. მღვდელმა ამხედა, ჩამხედა და ბატონს დაუწყო რა-ლაც ლაპარაკი ჩუმათ. არ ვიცი რათა, მაგრამ სტუმარმა რო დამიწყო ყურება, ურუანტელმა დამიარა ტანში და ამეშალა თმა. გულმა შემიტყო, რო ჩემ თავზე ვროვ-დებოდა რაღაც უბედურება.

მეორე დღეს ბატონმა დაიბარა დედა-ჩემი და უბძანა, რომ მოვემზადებინეთ მე და ჩემი და იმ მღვდელის გასაყოლათ.

— რათა, შენი ვიჩიშე?

— რათა? გავყიდე და იმიტომ!

რასაკეირეელია, ეს გამეღაენება მე მივიღე ისე, 318 მითომც მცოდნიყოს და შევჩეოდე იმ აზრს და, რა უფრო გამიკეირდა, დედა-ჩემმაც არ დაიწყო ტირილი. მხოლოდ შებარბაცდა ცოტათ და მე და-მიჭირა თავი და გულზე მიმიკრა. ხელებზე შევატყი, რო ჰქონდა ცივი ყინულივით და უკანკალებლნენ.

შემდგომ რამტენიმე წევთისა დედა-ჩემი დაეჭირა
მიწაზე და დაუწყო ხვეწნა ბატონის. ისე, როგორც
შეუძლიან შეხვეწნა დედას, რომელსაც საუკუნოთ
ართმევენ შეიღება. ბატონში უბძანა ბიჭებს, რო
გაეგდოთ ის კარში. დედა ჩემი ადგა და გამოვიდა,
მხოლოდ ჰყითხა ბატონის, საროლიოთ მოეემშადე-
ბინეთ. ბატონშა უბძანა რო სახეალიოთა.

იმ ლამეს, შუალამისას, როდესაც სულ ყველაზ
დაიძინა, დედა-ჩემი ადგა, ჩუმათ გამალეიძა და
შემდგომ დარიგებისა—სად მომეცადნა, გამვზავნა
კარში. ცოტა ხანს უკან გამოვიდა ჩემთან დედა-ჩემი
ჩემი დით.

— აბა ახლა, შეიღებო, ვახსენოთ ღმერთი და
შეცუდგეთ გზას!—გვითხრა დედაჩემშა, გადაგვშერა
პირჯვარი, გაგვიძლვა წინ და გვითხრა რო მიყო-
ლვიყავით.

ლამე იყო შემოდგომისა, ბურუსიანი და ბნელი.
დედაჩემშა იფიქრა, თუ საძებნელათ გამოგვიდგებო-
დნენ, მოგვეძნიდნენ უფრო უალავო-ალაგს და
319 ტყეში, და იმიტომ დაადგა | ქალაქის გზას და იმაზე
წამოვეკიყვანა. რომ ირაერავა, ჩამოვედით ლართის-
კარის²⁵) ვალაქში. აქ დედა-ჩემშა იგვსვა ჩვენ ერთი
დიდი მუხის ხეზე, რომელიც სხვებზე უფრო იყო
შემოსილი ფოთლით და გვითხრა, რომ ვყოფილვი-
ყავით იქ ჩუმათ. მთელი დღე გავატარეთ იქ და,
რო დაღამდა, წამოვედით და ჩამოვედით ქალაქში.

შემდგომ მე მიკვირდა, რატომ ბატონი არ გამო-
ვიდგა მეთქი, და ან დედა-ჩემშა ქალაქისკენ რათ

წამოგეოყვანი და არა ფშავისკენ, სადაც დედა-ჩემს
პყვანდნენ დედის ძმები; მაგრამ გაძოჩნდა, რო მა-
ტონი მართლა გამოგვდგომიყო საძებნელათ მეძებ-
რებით და ვეძებნეთ ფშავის ²⁶⁾ გზაზედ. და დედა-
ჩემმა შეიტყო რა, რო ესე იქნებოდა, წამოგვიყვანა
ქალაქს.

ქალაქს რო ჩამოგედით, ერთი კვირა ისე გაგვი-
ძნელდა ცხოვრება, რო კინალამ შიმშილით დავი-
ხოცენით. სოფლიდგან რაც ხორავი წამოგილეთ, ის
მესამე დღესვე გამოგველია და მემრე თუმცა მთხოვ-
რობა დავიწყეთ, მაგრამ არავინ არა მოგვცა-რა:
ჯერ ერთი იმიტომ, რო მთხოვრობასაც თავისი
ოსტატობა უნდა, რო შეაბრალოს თავი, რომელიც
ჩენ არა გვქონდა, და მეორე—არა გვქონდა იმის-
თანა ნაკლულებენება სხეულისა, | რო შევებრა- 320
ლებინეთ ხალხს. მაგრამ განგება დეთისა არსად
აგდებს კაცს უნუგეშოთ. ერთ კვირას უკან დედა-
ჩემმა დაგვიყენა ერთ ბერძენს მოჯამაგირეთ, თი-
თონ-კი დაიჭირა კლდის უბანში ²⁷⁾ ერთი პაწიწა
ოთახი და დაიწყო პურის მცხობლობა. დამავიწყდა
მეოქო, რო დედა-ჩემმა დაირქო სომხობა და სულ-
ყველას სახელები გამოგვიცვალა: თითონ დაირქო
მათუა, მე დამარქო კარაპეტა და ჩემს დას—შუშანა.
ესე გავატარეთ დრო თითქმის ხუთი წელიწადი,
ჩემი და ვაიზარდა და მივათხოვეთ სომეხს, ჩენც
დავდიოდით სომხურს საყდარში, მაგრამ არც მე და
არც დედაჩემი არა ვზიარებულვართ იმ ხუთ წელი-
წადში, იმიტომ რო სომხის საყდარში ზიარებას არ

გვაძლევდა ნებას სეინილისი და არც გვაშიიარებდნენ,
მეონი რო შეიტყობდენ, რომ ქართველები ეიყავით;
ქართულ ექლესიაში კი ვერა ებედავდით ზიარებას,
იმიტომ რო გამოჩენისა გვეშინოდა. ერთხელ, მარია-
შობის მარხვეაში, დედაჩემი იტყდა, როთუ არ ვეშიარე
არ იქნებაო. მე ვთხოვე, რო მღვდლისათვის არ
ეთქო სრულებით თავის ჩამომავლობა. დედამ მომერა
პირობა, მაგრამ ეტყობა, რო სეინილის ძლიერ შეე-
წყვებინა, რო ვერ გაეძლო და ეთქო სულ ჯელა.
იმავე დღეს, როცა სთქო აღსარება, ვიღაც კაცი-
321 ჩა | დაგვესხნენ, შეგვიკრეს ხელები და გაგვიგდეს
წინ.

რო მივყვანდით, საწყალს დედაჩემს სცხვენოდა ჩემი
და თვალებით მესეეწებოდა, რო ზიმეტევებინა
იმასთვის ეს შეცდენა. საწყალი დედა!..

ბატონთან რო მიგვიყვანეს, იშან, შემდგომ სხვა-
თა და სხვათა სასტიკთა ტანჯვათა, უბრძანა ბიჭებს,
რო შევებით გუთანში. დიახ, გუთანში! ისე, როგორც
აბამენ ხარებს. ხარის უღელი დაკვადეს კისერზედ.
მაგრამ ეს სასჯელი ბატონმა მპოვა სუბუქად, იში-
ტომ რო გუთანში ხარები დადიოდნენ ძრიელ ნე-
ლა და ვერ დავიღლებოდით. და იმისთვის მეორე
დღეს შეგვაბა კევრში. კევრზე დაჯდა თითონ და
გვერეკებოდა. ცოტაც რომ დამდგარვიყავით, მო-
სუნთქვისათვის, მაშინვე გველოდა სახრე. კარგა მო-
გეხსენება, რამტენი სირბილი შეუძლიან კაცს, უმე-
ტესად ისე დასუსტებული. როგორც იყო დედა
ჩემმა თითქმის ეთჯერ შემოტეჩინა კალოს ისე, რო

ერთი ჩივილიც არ ამოსვლია პირიდგან. მეთერზე და გადასაცემი შემოვლა, დელაჩემი უცურად წაიქცა და მოკვდა. საწყალს დედაჩემს არც კი დააცალეს მშეოდათ მომკვდარიყო. ბატონს ეგონა, რომ იტყუცბდა იჩის და იმიტომ სახრით | დაუწეულ 322 ცემა, რომ პეყონებინა, და ასე სახრის ქვეშ ამოუვი- და სული.

— გამოუშეით, ბიჭებო, ეგეცა, ხომ ხედავთ, ამხანავი იღარა მყავს! — უთხრა ბიჭებს ბატონშია ჩემსე.

ბიჭებმა ვამომირშევს: საღამოზე მომცა საშინელი სიცხე, შეაღმერდე ფუწვალე საშინელად. მე მეგონა რო ცოტბალი ჩინაგლეს ჯოვლებეთში მეთქი; შემდგომ შეაღამისა-კი იღარა მასსომს რა, გავხდომილ-ვიყავი ავათ შევი ხაოცულით. ჯერ ისე ავათ რო ვყოფილიყავ, ვინ იყო ჩემი პატრიონი, ვის ასტკიოდა ჩემთვის გული, რო საოფლეში, ამ საშინელ შესაყირ ავათმყოფობაში, ვინ უნდა მომქარებიყო. მაგრამ არ ვიცი, როგორ, მხოლოდ სამ კვირის უკან მოვედი გრძნობას. ერთმა ჩეგვენმა დედაკაცმია, რომელსაც არ ესმოდა არც სიცოცხლე, არც სიკუდილი და არც ივათმყოფობა, და რომელიც თურმე მივლიდა მე ივათმყოფობაში, შემატყობინა, რო ჩემ გარდა-კიდევ სხვანიც ბევრი იყვნენ ჩემსა ავათ. ამ ივათმყოფობით ჩემი ბატონის სახლში მოკვდა სამი კაცი; იმათში ერთია ერთი პირშით შეიღლი ჩემი ბა-ტონისა.

გავიდა სამი წელიწადი ჩემი მოყვანის შემდეგ.
323 ბატონიც შემირიგდა, ვგონებ იმიტომ, რო პოვა
ჩემში სასარგებლო ნივთი. და რა უნდა მოგახსენო:
ეძებდა ჩემში ერთგულობას და დარწმუნებულიც
იყო, რო მე ვიყავ იმისი ერთგული; ხა! ხა! ხა!
ერთგულობას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკ-
ლა ულელში... საკეირველნი არიან, შენმა გაზდამ,
ეგ ხალხნი!

მე შემისრულდა ოცდა სამი წელიწადი. ამ
დროს ქალბატონს ჰყანდა ერთი გოგო, სახელად
ნატო. წაბლის ფერი ვრძელი თმა, ბამბისავით ²⁵⁾
თეთრი პირისახე, ცოტათ მსხვილი ტუჩები, მშე-
ნიერი თეთრი კბილებით, ტანი შუათანაზე უფრო
დაბალი და წვრილი. ნატო იყო მართლა-და ლა-
მაზი, მაგრამ რა იყო იმაში უფრო მშენიერი,—
ეს იმის თვალები. არ ვიცი როგორ გამოვსახო ეს
თვალები. შენ სხვაგან სადმე რო ყოფილხარ დიდ-
ხანს და რო მოსულხარ, შეგინიშნავს, როგორ უყუ-
რებია შენთვის დედაშენს?

— მე დედა არ მახსოვს,—უპასუხა დურმიშხანშა.

— არ, უკაცრიავად, დამავიწყდა. ნატოს თვალები
იყურებოდნენ ისე, ის თვალები იყვნენ ცისფერნი და
ისევ სავსე საიდუმლოთი, როგორათაც ცა. ის თვა-
324 ლები რო შემოგხედავდენ, თითქო გიყვავებდნენ, |
თითქო გთხოვდნენ შეწყალებას, თითქო გეუბნეოდ-
ნენ: ას, რა კარგი კაცი ხარ. მე ვიყავ, ნატო რო
მიყურებდა ხოლმე სწორედ კატის მდგომარეობაში,
როდესაც იმას უსომენ ზურგზე ხელს. როცა ის მი-

ყურებდა ხოლმე, ღმერთს ვეხვევეწებოდი, რო იმას ეყურებინა დიდხანს, მაგრამ საწყალი ნატო არ იყო იმისთანა, რო სულ ყველასთვის ეყურებინა სხვა გომბიოებივთ. მე დარ, მუნებული ვარ, რო ბუნება შეცდენილიყო, რო ის დაიბადა მოსამსახურეთ, ჩვენი ქალბატონი-კი—ქალბატონათ.

ერთხელ მე და ნატო ერთად ვიყავით ქალბატონის ოთახში. ქალბატონმა, რაღაზედაც გაჯაფ-რებულმა, ნატოს უბძანა, მოტანა რილისაცა, ნატო გაიქცა მოსატანათ, მაგრამ ის ნივთი ვერ იპოვა დროშე.

— თუ, შე მამაძალლო, თუ, შე უნამუსო,— შეუტივა ქალბატონმა ნატოს, რო მოეიდა ისი,— ნეტავი საჭმელი იყოს, რო ჩქარი იპოვნო. რაზე ვეჭმევი ამ აზარქლებს,²⁹⁾ რაზე ვეჭლეებინები? გაგყიდი, შე უნამუსო, აღარ შემიძლიან შენი გაძლება!

— ქალბატონო, მაპატივე, შენი ქირიშე, დროზე ვერ ვიპოვე ბატონის მზემ.

— შეხე, შეხე ამ უნამუსოს, როცა ტყუილათ უნდა დაიფიცოს, მაშინვე ბატონს | მივაჩდება ხოლმე. 325

— არა, ღმერთმანი..—და ტირილით ველარ დაას-რულა სიტყვა.

მე ველარ ვავძელ ყურება და ჯამოველ კარში. ცოტა ხანს შემდეგ გამოვიდა კარში ნატოც.

— ნატო, ძალიან ვაწუხებს ქალბატონი?— ვკითხე მე დალონებით.

— ისე, რო ლაშის თავი მოვიკლა,— მიპასუხა იშან და დაიწყო ისევ ტირილი.



— ნუ სტირი, ნატო, ღმერთი მოწყალეობათხურა
გინდოდეს ხოლმე, მე მომკითხე, როგორც შევიძლებ
და რითაც, შეგვეწევი. ამის შემდეგ შენ—და, მე—
ძმა, მეც შენისთანა თბოლი და უპატრონო გარ.

უნდა გენაბა, რა მაღლობითი თვალებით შემომ-
ნედა მაშინ ნატომ.

— ჩემო ძმაო!—მითხრა ნატომ, გამომართო ხე-
ლი, მაკოცა და შევარდა შინ გაწითლებული.

მე გული ისე არ შემახტა, როგორც შეუხტება
ხოლმე დის კოცნაზე. იმ წლიუანებაში, რომელშიაც
მე და ნატო ვიყავით, ყოველივე დაძმობილება გა-
რეშე პირთა დასრულდება ხოლმე ცოლქმრობით,
თუ არამ დაუშალა.

326 შენთვის საჭირო არ არის მოვახსენო. | ყოველივე
ბოდვა სიყვარულისა, და სწორე მოვახსენო, ეხლა
ვიც-კი შევიძლებ მოვონებას.

კარგი ხანი რო გამოფიდა ჩეუნი შეუვარებისა,
ერთხელ მოვახელე დრო და ესთხოვე ბატონს ჯვა-
რის-წერის ნება.

— რას მიჰქარამ, ბიჭო? ჯვარის დაწერა კი არა,
მამა გიცხონდა!

— შენი ჭირიმე, ბატონო

— ვისზე უნდა დაიწერო ჯვარი?

— იმას არა გთხოვ,—შენი ჭირიმე! —ქალბატო-
ნის გოგოზე.

— ქალბატონის გოგოზე?

— დიახ.

— დიახ! — გამაჯავრა ჩე ბატონშა, — დიახ, თითქო არ იყვნენ სხვა გოგოები, რო შინაური არ მოძებნო?

— რა ვქნა, შენი ჭირიმე, ეს მომეწონა და.

— რაო? მოგეწონა? მომეწონა, თითქო ბატონის შეილი იყო! სხვა კი არა მოგეწონა რა, შამა გიცხონდა??!

— ბატონი!..

— წადი, დაიკარგე, არ შეიძლება! მოსამსახურეს შინიდგან არ გავუშვებ და არც შენ მოგცემ ნებას. შინ მინდიხარ!

რას ვიტუოდი. შენი შტერი იყოს ისე, როგორიც მე გამოვედი ბატონის | ოთახიდგან. ნატო კარ- 327 ში თურმე იდგა და მიცდიდა, რა ანიავს გამოვიტანდი. გამოსული რო ღამინახა, აღარც-კი მათქმევინა, ისე დაიწყო ტირილი.

შემდეგ ეს ჩემი ლაპარაკი, რომლიდამაც მოველოდი ბელნიერებას, გახდა წყაროთ ჩემი უბედურებისა. აი როგორ: ჩემ ბატონს აქამდისინ ხეირიანად არც-კი შეეხედნა ნატოსთვის და თითონ ნატოც თურმე ერიდებოდა იმას: მაგრამ მე რო ვსთხოვე იმაზე ჯვარის-წერა, მაშინ გაეშინჯა და მოსწონებიყო.

ერთხელ ჩემთვის ვიჯექი და ვფიქრობდი, როგორ მომებდინა ნატოზე ჯვარის დაწერა. უეცრიდ მომვარდა ნატო და ჩამომეკიდა ყელზე.

— ნოდარ, შენი ღვთის გულისათვის, მიშველურა ვქნა: ჩვენი ბატონი, როგორილაც მიყურებს, თით-

ქო მეაშიკება. ისეთი თვეოლებით მიყურებს ხოლმე,²⁰⁾
რო საშინელია. რა ვქნა მითხარი?

ამ სიტყვებმა მე თმა ამიშალეს და სისხლი მო-
მიყვანეს ყელში.

— თავი მოარიდე. ნუ შეპხვდები ხოლმე! — უთ-
ხარი მე.

— ეგ შეც ვიცი, უწინ დღე დამელიოს, სანამ შე
328 იმისი აშიკობა მივიღო, მაგრამ მემრე რა ვქნა? |

— ღმერთი გვასწავლის მემრე.

იმავე დღეს ბატონს გაემეორებინა ნატოსთვის
აშიკობა. ნატოს, რასაკვირველია, რო იმისთვის
არ მიეცა პასუხი. გამოვიდა სამი კვირა და ბა-
ტონს აღარა უთქვამს რა ნატოსთვის.

სამი კვირის შემდეგ დამიბარა ბატონშა, მომცა
ერთი წიგნი და მიბძანა წალება იმისი ქალაქს
ერთ იმის მოქეთესთან და იქიდგან მოტანა იმ წიგნის
პასუხისა. მე გამოვართე ის წიგნი და წავედი ქალაქს.
იმ წიგნში თურმე სწერდა ჩემი ბატონი, რომ ჩე დავე-
ჭირეთ ქალაქში სამიოთ კვირა. სამი კვირა რო
გავიდა, წამიკითხეს წიგნი და მითხრეს, რომ წავსუ-
ლიყავ სოფელში. მე მაშინვე შევიტყე, — რისთვისაც
იყო ეს საქმე მოხდენილი და როგორიათაც ²¹⁾ მოვედი
სოფლის ბოლოს, შემხვდა ერთი ბებერი დედაკაცი.

— დედაშვილობას მითხარი, ჩენი გოგო რასა
იქს? — ვეითხე იმას.

— ეჲ, შვილო, ნუ მკითხამ. შენი მტერი იყოს,
რო ის არის!



— რა ანბავია? მითხარი ჩქარია, დედაშვილობას, — შეკრთმით უთხარი მე.

— რა ანბავია, შვილო ჩვენი ბატონი გააშიერიყო იმას, და იმ წაწყმენდილს დაყვავებით რო ვერა ექნა-რა, მემრე ძალა ეხმარა და შიშით, თურმე, უნდოდა შაეყვეპირებინა თავი. საწყალს ქალს ჯერ-კი 329 ეთმინა, მაგრამ შემდეგ მოთმინებითგან გამოსულიყო და წყალში ჩავარდნილიყო. აი ნაოზას თავში, თურმე, იპოვეს საცოდავი.

მე ვეღარ გავიგონე უკანასკნელი სიტყვები, გაცხარებული მივარდი ბატონთან.

— ბიჭო, რა ანბავია? — დამიძახა იმან, — ეშმაკს გიგავს ეგ სახე!

— არაფერი! სად არის ნატუა?

— ეშმაკმა იცის შენი თავი! სულ შენი საქმეა, შე ძალლი-შვილო, უთუოთ...

მე ალარ დავასრულებინე სიტყვა და მივარდი ხანჯლით.

— რას შერები, შე მამაძალლო! მიშველეთ. მომქლა, — დაიკივლა ბატონმა.

ეს იყო იმის უკანასკნელი სიტყვა. შემდეგ დაიწყო სასიკედილოთ ხრიალი. ბატონის შეკავლებაზე გამოვარდა ქალბატონი და, ეს ანბავი რო დაინახა, შეჰქივლა და შევარდა თავის ოთახში. იმის ხმაშ მომაგონა, რომ კიდევ მყვანდნენ ჯავრის ამოსაყრელნი პირნი და გამოვუდეგ იმას. ოთახში რო შევარდი, დავინახე რო ქალბატონი გარდახვევიყო შვილს და იყარამდა.

— ნოდარჯან, მე მომკალ, ჩემ ვიგოს ნუ მომიქ-
ლამ, არა დაუშავებია-რა შენთვის.—მითხრა ქალ-
330 ბატონშა ხვეწნით. | მე ნუ მომკლამ, შენთვის არა და-
მიშავებია რა,—გაიმეორა ყმაწვილმა.

ზაგრამ მე არ მესმოდა იმათი ხევწნა. სისხლი-
საგან გაგიუცებულმა მე დავაკალ დედა შეილსა. გაბ-
რაზებული სისხლისაგან გამოვარდი კარში, შევასექი
ცხენშე და გამოვიქეცი. საღამოზე დამეწივა მდევი-
რი და, რასაკვირველია, არა თუ იმათგანმა დამიქი-
რა ვინშე,²²⁾ ან შოინდომა მოკვლა, არამედ თითონვე
მასწავლეს, რო გადავარიდნილვიყავ ახალციხისკენ. მე
მართლა დავიჯერე იმათი დარიგება და მესამე დღეს
მივედი ახალციხეს. აქ მაშინვე გამოვცხადდი მუფ-
ტისთან და მოვახსენე სურვილი მათი სჯულის მი-
ღებისა. მეორე დღეს დიდის ანბათ მივიღე თათ-
რობა, ვგმე ქრისტე. აქ ყველა ისმალოს დიდეკუცებმა
დამაჯილდოვეს, მირჩიეს სტამბოლში წასცლა და
იანიჩარის ჯარში გამშესება. მე წავედი და გავმწეს-
დი. უნდა მოვახსენო, რო აქ ჩემი გარეგანი ცხოვ-
რება იყო ძრიელ კარგად, მაგრამ რა სრულდებო-
და ჩემს გულში, ის უწყოდა მხოლოდ ღმერთმა.

მოკვლა უბრალო ყმაწვილისა, და უმეტესად გადა-
დგომა ქრისტიანობისა არ მაძლევდენ მე მოსვენებას
და არც ეხლა მასვენებენ. მხიარულებაში, ძილში,
331 ომში, ან თუ | საცა გინდა, ყოველგან სისხლში შეს-
ვრილი ყმაწვილი მიდგა წინ და მეუბნება სალ-
მობით:

— მე რა დაგიშავე, რათ მომკალ?

რამტენჯერ მე ვეძიე თმში სიკედილი, რამტენ-
ჯერ გიქივით გადავარდი გახშირებულ თმში, რომ
ჩქარა გაესწორებულვიყავ ცხოვრებას, მაგრამ მტრის
ტყვია არა მპოულობდა მე, და სიკედილის მაგივრ
გამივარდა მამაცობის და გულალობის ხმა და იმან
მაშინინა ასისთავობა. მავრამ ამის შემდეგაც არ
დაშიშვილდა ჩემი სვინიდისი, შემდევ, იმ ფიქრით რო
ვავიქარეო ეს აზრები, დავიწყე ვაჭრობა. ვაჭრო-
ბაში მოვიგე ფული, მაგრამ ჩემი სვინიდისი არ
დაშევიდდა.

— ღმერთო, მომეტევება როდისმე მე ჩემი შე-
ცოდებანი? — სთქო ჩუმათ ჩაფიქრებულმა და თი-
თონვე დაატანა — საიდუმლო ხმა მეუბნება, რო
არაო.

— ღმერთი მრავალ-მოწყალეა, — უთხრა დურ-
მიშხანშა, — მე ვამიგონია, რო არ არის ცოდვა, რო-
მელიც არ მიეტევოსო, თუ წმინდა გულით მო-
ნანებს.

— არა, ჩემთვის არ არის მოტევება, — ჩაფიქ-
რებით სთქო ოსმან-ალამ, — არა სჩანს მოტევება.

— სასოწარკვეთილებას ნუ მისცემ თავსა, ღმერ-
თი მრავალ-მოწყალეა, — გაუმეორა | დურმიშხანშა. 332

— ეხ! გვიცოლა, უკაცრავად მოვაწყინე, თავი, —
დალონებულის ლიმილით უთხრა ოსმან-ალამ და
უბძანა ბიჭებს ცხენების მომხადება.

— შენც ჩვენთან წიმოხვალ, ვგონები? — ჰეითხა
დურმიშხანს, — გზაზედ მოვილაპარაკებთ შენ მომავალ
ცხოვრებაზე.

— გიახლები.

რამტენიმე წუთის ა') შემდეგ შეჯდნენ ცხენზე და
გასწიეს. ჭირი იქ დავაგდე, ლხინი აქ მოვიტანე.

— ომ! ეგ შენ არ უნდა გეთქო! — უთხრეს ალექ-
სის, რო გაათავა.

— მა ეის უნდა ეთქო?

— ქნიაზ-ლიბერალს.

ქნიაზ ლიბერალს ერძახოდით ქნიაზ ლ. დ—სა,
იმიტომ, რო დიდი გულმოდგინებით სურდა ყმების
განთავისუფლება და ყოველსავე ბატონ-ყმობაზე
ამბავსა შეიტყობდა ხოლმე სულ ყველაზე წინ.

ხვალ სთქოს იმან.

— ხვალ ქნიაზ-ლიბერალმა³⁴⁾... ქნიაზ-ლიბერალო,
მოემზადე, მაგრამ მაღალ ფრაზებს-კი თაერ დაანებე.

— თქვენი გამოჯვაერებული ბატონ-ყმობაზე სულ
333 არას ვიტყვი, — სთქო ქნიაზ-ლიბერალმა.

IV

— ნათლი მამ, გაბედე-მეთქი, გაბეტე!

— ხმ, ხმ! დედა-კაცო, გადუბრუნე, ე მწვალი.

სულ დასწევი!

— კარგი, სიტყვა ბანზე ნუ ააგდე, შენ გეუბ-
ნები!

— რასა, შენი ჭირიმე?


— გაბედე-მეთქი ჩემი ნათლულის გათხოვება.

— აკი ვბედავ, თუ მთხოვა ვინმემ.

— აი მეც მოციქული.

— არა, შენი ჭირიმე, არა, მე იმას ვერ მოვცუმ!

- რატომ?
- რა ვიცი, ჯერ ერთი იმიტომ, რო... ეს, ბიზ-
რი მიზეზებია, რატომაც არა.
- მაინც რა არის, მითომჭ ბიჭი არ ვარგა?
- ბიჭი კარგია, მაგრამ...
- დაანებე თავი მაგ მაგრამებს.
- მაგრამ უთვისტომოა.
- ამ სიტყვებს პირველი მოლაპარაკე დაიღრიჯა
ისე, თითქო უჩხვლიტა რამემაო.
- რა, უშავს, რო უთვისტომოა, იმიტომ კაი
ბიჭი არ არის? ჯერ ორი წელიწიდია რაც ჩემთან
არის და ას თუმნამდის ფული იშოვნა, კარვი არ
არის?
- 334
- კარგია, მაგრამ მე, ხომ იცი იმ ქალის მეტი
არა მყავს-რა, მინდა რო ერთ ხეირიანს მივცე
ვისმე.
- ვინ არის შენში ხეირიანი?
- ვისაც ლმერთი მოგვცემს. მე მინდა ერთ საწ-
ყალ აზნაურს მიესცე ვისმე.
- აქ ისევ პირველი მოლაპარაკე დაიღრიჯა ისე,
თითქო გულითგან მოსწყვეიტეს რამეო.
- ახლა რა არის, რო აზნაური არ იყოს?
- აზნაური სხვა რამ არის, ჩემო ნათლია. ერ-
თი გოგო-ბიჭი მაინც ეყოლება მოსამსახურეთ, წყალს
მაინც თითონ არ მოიტანს, პურს მაინც თითონ არ
ვამოაცხობს.
- განა იმისი ცოლი კი გამოაცხობს პურს? განა
იმის კა არ შეუძლიან, რო იყოლიოს გოგო, ბიჭი?



— რატომ, მაგრამ იმან ფული უნდა აძლისა,
აზნაურს თავისი ეყოლება.

— თუ აგრეა, ხვალვე უყიდი ყმებს!

— უყიდე, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

— მემრე ხო მისცემ? *

— არ ვიცი! უმოკეთოა, ნათლი, უმოკეთო! შეც
ოჯახის შეილი ვარ, მტერი მყავს და მოკეთე, მინ-
და იმათში თავი გამოვიჩინო სიძითაც და მოკე-
თითაც.

— სულ ტყუილია, ჩემო ნათლიმამ, ასეთ ქორ-
335 წილს უნდა, რო პირველ რავადის შეილს არა ჰქო-
ნიყოს.

— რა გამოა იმითი?

— ის გამოვა, რო იმ დროებით შენ მტრებს
იჩითი თვალებს დაუყენებ, მემრე დურმიშანი ისევ
დაიწყებს ⁽²⁾) ვაჭრობას, მოიგებს ფულს და, ხომ იცი,
ფულს რა შეუძლიან?

— ფული გვარიშვილობას ვერ გამოუცვლის.

— მართალია, მაგრამ, რო ის გვარიშვილები
დაპატიდნენ იმას, ის გვარიშვილები რო თავზე
აღვნენ იმას, რო იმათ ასესხოს ფული?

— თუ, შენ შენი მოჰყე! ახლა ვინდა გელაპარაკება.

— ფსტყუი თუ?

— არ სტყუი, მაგრამ რათ ისეთი იყოს, რო-
გორც შენ ანბომ, შენ დურმიშანს უნდა ჰქონდეს
ბევრი, ასი თუმანი.

— ექნება.

— საიდგან?

— თავისი ვაკე-ვაკობით. და მე ვიცი რითაც.
 მე მივსცემ ჩემი ქონების ნახევარს!

— რათა?

— ის მე ვიცი! აყი გეუბნები, რო უნდა შეუდ-
 გი ლმერთსა: იქნება კიდევ მეღირსოს მოტევები. | 336

— თუ, მოჰყევ კიდევ. როგორ დაანეხებ შენ მა
 შენ ბოდვებს თავს?

— როცა მოვკვდები.

— კარგი, მამა ნუ წაგიშვინდება, მაგისთანა ლა-
 პარაკეს თავი დაანეხე.

— მაინც რას მეტყვი?

— მემრე, მემრე, ჯერ ვახშამი ვსჭამოთ: სუფრა
 გაშალეთ, ვინა ხართ მანდა,—დაუძისა მეორე
 თახეში.

— ეგ „მემრე“, ეს ერთი წელიწადია მესმის შენ-
 გან.

— რა ვქნა, შენი ქირიმე, ჩემო ნათლია, ვერ
 გამიბედნია და რა წყალში ჩავარდე?

ასე ლაპარაკობდნენ ორი ხნოვანი კაცი სუ-
 რამში, ქრისტიანობის ღამეს, მჯდომნი ქართული
 დარბაზის ^{ვე} კერის პირს. პირველი ამათგანი იყო,
 თუ იყანით, ჩენი ნაცნობი ოსმან-აღა, რომელმაც
 შემდგომ შენგედრისა დურმიშხანთან, ის დაიქირა
 მოჯამაგირეთ და იმარებდა ვაჭრობაში. მეორე იყო
 სურამის მცხოვრები გლეხი სახელად... მიგრამ რად
 გინდათ სახელი.

დასხდნენ ვახშამზე. პირველად დაჯდა ჩენი
 უსახელო, მემრე იმისი მეუღლე, შემდეგ იმისი ქალი
 და უკანასკნელად ოსმან-აღა.

- 337 — აბა, ნათლულო, არ გათხოვდები?
- კარგი, ნათლიას მშემ, დამეხსენ, — და მოს-
ტვობით დაიხედა ძირს.
- მტყუანს რა უთხრა, რო კიდეც გიაჩეპა
ხოლმე, ¹⁷⁾ როგერზე!
- კარგი, თორემ წავალ აი! — უთხრა ქალშა და
დაპკრა ხელი მუხლზე.
- რა საქმრო გიშოვნე, რო იცოდე?
- თვალი იმასაც დაუდგება, მე ქმარი არ მინდა!
- რატომ, ქალო?
- არა და იმიტომ, ¹⁸⁾
- მაინც? მოლოზნათ ხო არ უნდა წახვიდე?
- არა.
- მაშ ქმარი რატომ არ გინდა?
- არ მინდა, მე დედასთან უნდა ვიყო.
- მაშ შენ უნდა დაპბერდე?
- ჰო.
- ნუ, მამაშვილობას, აგრე ნუ გაწყრები! — ღი-
მილით უთხრა ოსმან-ალამ.
- * მაშ ნუ მეუბნები ხოლმე შენც და არც მე
გეტჭვი.
- ჰო, ვიცი: მამა-შენმა გაგათხოვოს კი არ
გათხოვდები, მაგრამ მე რო ვიშოვნო საქმრო, იმას-
კი შეირთამ განა?
- არა.
- ახლა რა არის შენი არა და არა?
- დურმიშხან, აქ მოდი! — დაუძახა შეორე თავის-
ში. დურმიშხანი შემოვიდა.

— გადახტი, აკოცე ჩემს ნათლულს, და ხელშე
რო ბეჭედი გაქვს, მიეცი ნიშნათ! — უთხრა ოსმან-
აღამ დურმიშხანს ყურში, დურმიშხანი გადახტა,
აკოცა ქალს და მისცა ბეჭედი. ქალმა შექივლა, წა-
შოხტა სუფრიდგან და გავარდა კარში.

— უი, დამიდგა თვალები! ეგ რა ჰქენით? —
სოქეა დედამ, შეხედა ოდნავ ლიმილით და ტუჩებზე
მიიღო თითები.

მამამ შეხედა ოსმან-აღას გაჯავრებით და დაინახა
იმის თვალებზე ორი ცრემლი. საწყალს იმას მოა-
გონდა, რო იმისთვინაც შეიძლებოდა ამ გვარი ბეჭ-
ნიერებია თავის ნატოსთან.

— რას შევრები კაცო? სტირი? ეს რა შიყავი,
რაზე შემარცხევინე? გამხილებს შენვე შენი სეინიდისი,
თუ არა?

— არა, ნათლიმამ, ეს სხვა ცრემლი იყო. დაუ-
ძახეთ ჩემს ნათლულს გამოვიდეს. მომილოცავს სიძე.
მოდი დურმიშხან, დაჯექი. ეხლავ გამოვა შენი და-
ნიშნულიც.

— მაშ აღარ ხუმრობთ, — ჰსოჭვა მამამ ლიშილით.

— რალა ხუმრობა! აბა თუ კაცი ხარ ეხლაც ნუ
მოგვცემ შენ ქალს! ლმერთმანი გავალ და შოელ სო-
ფელში თავს მოგჭრი.

— მართლა, დედაკაცო, ტყუილი-ლა არი, | წა- 339
დი, შემოიყვანე შენ შენი პატიორძალი.

— აგრე უეცრად როგორ იქნება? აკი გითხარი,
ცოტა დამაცალე-მეოქი.

— კეთილ საქმეს ცდა არ უნდა, — უპასუხა ისმან-
აღამ.

რამტენიმე დროს შემდეგ შემოიყვანეს ქალთადა
მოუსევს დურმიშანს გვერდით.

— ეს, ასე ჩეარა არ მინდოდა, მაგრამ რა კი
მოხდა, რალა გაეწყობა. ღმერთმა დაგლოცოთ, ჰეი-
ლებო, და მე მაღირსოს გახარება თქვენის ბეჭნი-
ერებით! — უთხრა იმათ ქალის შამამ.

— ადექით, ხელზე აკოცეთ! — ასწავლა ოსმან-
ბაღამ.

იხალ დანიშნულნი ადგნენ და ხელზედ აკოცეს,
როგორც ქალის მშობელს, აგრეთვე ოსმან-აღას.

— ღმერთმან გაყურთხოთ, ჰეილ... — ვეღარ
დაასრულა და გადმოსცეიდა ცრემლები ოსმან-აღას.

მეორე დილას აღარ იყო სურამის ვარშემო სო-
ფელი, რომელშიაც დიდი და პატარა არ ლაპარა-
კობდა ამ ანბავს. კიდევ გამოვიდა ცოტა ხანი და
ისევ სოფლები შეიყარნენ დურმიშანის ქორ-
წილში. და აი, დურმიშანი დგას ეკლესიაში ღვთის

340 ტაძრის წინ და ძძლევს პირობას თავის მეუღლეს
სიკედილამდე სიყვარულისას, მაგრამ უყვარდა იმას
თავისი დანიშნული? არა, იმას არ უყვარდა არც
ესლანდელი თავისი დანიშნული, არც გულის ვარდი
და არც ოსმან-აღა, ღირსი სიყვარულისა იმა კეთილ-
თათვის, რომელიც უკი იმან დურმიშანს და არც
ღმერთი, შემომქმედი მისი. იმას უყვარდა შხოლოდ
სიმდიდრე და თავის პატივი და იმათ მოპოვებას
შესწირა ყოველივე კეთილი გრძნობა გულისა. რათ
უნდა იმას სიყვარული, როდესაც იმას აუსრულდება
თავისი ოცნება, როდესაც ის იქნება შრიდარი, პატივ-

ცუმული და დამოუკიდებელი. რა ფასითა ყიდულობდა ამ სიკეთეთა, იმას არა ჰქონდა საჭიროება ვაშოვითხვისა. და აი სიმღიდისთვის მამაკაცი პყიდის თავის, როგორც ურთი კურტიზინჯათაგანი.²⁹⁾ საწყალი თსმინ-აღა! იმან მისცა დურმიშხანს ნახვარი თავისი ქონება იმ აზრით, რომ ის ერთხელ მოიგონებდა იმას და აუნთებდა ღმერთს ერთს სანთელს იმისი ცოდვების შესასუბუქებლად და იმის სავალის ჩამოაგდებდა ერთს ერთგულს ცრემლს. საწყალო თსმინ-აღა! რა მუარედ მოსტუკედი შენ ფიქრებში!

ოსმან აღამ თრი თევე დაიცალა დურმიშხანს და
შემდეგ წილივანა სტამბოლში ჩასაზარებლად თავის
ქონების ნახევარისა. რა მიცილნენ სტამბოლში, ოს- 341
მან-აღამ ნახევარი ქონება თავისი მართლა მისკა
დურმიშხანს, მეორე ნხევარი კი შესწირა ეკლესიას,
თითონ კი შემდგომ დალოცებისა პატრიარქიდგან,
ცხადად აღიარა ქრისტე. მოგეხსენებათ, რა წვალე-
ბას მიღებდა ის მაშმადიანთაგან? იმ აზრით, რომ
როგორმე მიექციათ ისევ მაშმადიანთა სკულპტ., ოს-
მალოთ მოლებმა და სხვათა იხმარეს ყოველი ზესაძლო
შათგან ცბიერება, მაგრამ რომ სიკეთით ვერ შეიძ-
ლეს იმისი მიექცევა, მემზე იხმარეს ძალა და ამისთ-
ვის მოღალეს იშაზე სხვადასხვა ტანჯვანი, მაგრამ
იმითაც რო ვერა გახდნენ რა, შემდგომ კრეს შაყა, ესე
იგი, გისჭრეს შეაზე. დურმიშხანი კი იმ დროს, რო-
დესაც იმას აწვალებდნენ და შემდეგ ისე საშინლად
მოპილეს, არა ფიქრობდა არც ერთსა ლონისძიებას
იმის შეელისათვის და შემდეგ სიკვდილისა იმტენი

კერ შეიძლო, რო გამოეთხოვნა სტამბოლის მართებლობისათვის იმისი დამარხვის ნება ¹⁰⁾,

საწყალი ოსმან-აღას გვამი ეგდო რამტენიმე ხანი სტამბოლის ქუჩებში, სანამ შეწუხებულთა იმის სუნითა არ მოიგონეს გადაგდება იმისი ზღვაში.

და სად ჰქონდა დურმიშხანს დრო ქალაჩუნასა-
342 ვით ტირილისა, ან რბენისა ეკლესიებში ოსმან-აღას სულის განსასვენებლათ! ის იმ დროს, როდესაც ოსმან-აღას აგდებდნენ ზღვაში, იდგა ბოსფორის ¹¹⁾ პირზე და ელოდა გემს ყირიმიდგან საქუდე კალმუხის ტყავებით, დაკვეთილს ოსმან-აღიდგან და იმისგან გადაცემულს დურმიშხაზე. იდგა იქ და ფიქრობდა გაყიდვით სად უფრო მოიგებდა, იქვე, თუ უკეთუ წამოილებდა საქართველოში.

— ჯერ იქ ვივაჭრებ,—სთქო რამტენიმე წუთის შემდეგ,—და მემრე წავალ საქართველოში.

ამ გარდაწყვეტის შემდეგ დურმიშხანი დარჩა მართლა სტამბოლში რვა თვე და ისე გაერთო ვაჭრობაში, რო არც ერთხელ არ მოაგონდა ცოლი და არ შეატყობინა, რო კიდევ იყო ცოცხალი. რვა თვის შემდეგ დურმიშხანმა მთელი ქარვანი სხვადასხვა ფარჩები წამოილო სტამბოლითდგან და წამოეიდა შინ. შინ ცოლმა დაახვედრა მშევნიერი ვაერი... საწყალ ქალს ეგონა, რომ იმითი გაახარებდა დურმიშხანს, ის მოეხვეოდა და აკოცებდა ტკბილად ვაერის დედას, მაგრამ დურმიშხანმა დაპხედა ყმაწვილს, გაიღიმა და ჰქითხა დედას:

— ჯერ ხო არ მოგინათლამო?

— არა, მაგრამ ჩვენიანთ გოგია მთხოვს, | გვ. 343
მოვნათლამო, — უპასუხა ცოლმა.

— გოგია კი არა, მოგია არ გინდა! უთხარი, რო
თავადიშვილს უნდა მოეანათვლინო-თქო.

— თავადიშვილი რალა არის, ის გოგია უფრო
მოკეთობას არ გიზამს?

— შენ რა იცი, რაც არის?! შენ შენი საქმე
იცოდე, შენ ჩემ კითხვაში ნუ შემოდიხარ!

— მაინც კი ვიტყვი, რო ჩვენ თავადიშვილი
მოკეთობას ვერ გვიზამს.

— რა იცი შენ? ერთხელ რო დიდმა თავადმა დაგი-
ძახოს შენ ნათლიდედა, ერთხელ რო იმისმა ცოლმა
გამოგარჩიოს შენ სხვა დედაკაცებში და მოგიკითხოს,
აბა მითხარი რად ლირს, ჰა? შემდეგ გაიზღება შენი
შვილი, ვინ იცის მაშინ როგორ უპატრონოს. შენ
რა იცი, დედაკაცი! — და დურმიშხანი დაფიქრდა
და წამრიდგინა⁴²⁾ როგორ გაზღიდა შვილს. იი, ხე-
დავს, ის ზის ცხენზე და ახლამს თავის ნათლიას. დიდ
მეიდანზე გდია დიდი ქვა და იმაზე დგას ეერცხ-
ლის თასი, აი გამოაჭენა ერთმა თავადისშვილმა ცხე-
ნი, წამოიგდო თოფი, ესროლა თასს, მაგრამ ააც-
დინა; აი მოდის მეორე, ოჯ, იმანაც ვერ მოარტყა,
აი იმის ნათლიამ გამოაქროლა - ცხენი, სტყორცნა
თოფი და ვერ მოარტყა. |

344

აქ მოაჭენებს ცხენს იმისი შვილი. კოხტათ გად-
მოიგდო თოფი, ესროლა და გადააგდო თასი. კითხუ-
ლობენ: ვინ არის ეს ყმაწვილი, თითონ მეტე იყით-
ხამს იმის დედ-მამას და გამოჩნდება, რო ის არის

დურმიშხან წამალაძის შვილი. რა ბედნიერი იქნება
 მაშინ დურმიშხანი! ან აი იმისი შვილი, ჯერ კა-
 ბუკი, შევიღა ბერათ. შეხეთ რა მშვენიერი ანგე-
 ლოზივით სახე აქვს, ყური დაუგდეთ რა მშვენიერი
 ტკბილი ხმით კითხულობს მარხვანს, უხედეთ ამ
 კითხულობაზე როგორ გასწირეს თავ-სული მლოც-
 ველთა, ხოლო აქა-იქ ისმის ბერების ქვითქვითი.
 აი ერთხელ იმისი ნათლია შეხვდება კათალიკოზე
 და თავის ნათლულის კითხვას აქებს იმასთანა. აი
 შენიშნა კათოლიკოზმა, წაიყვანა თავისთან, აკურთხა
 ილუმენიად, არხიმანდრიტათ და ეპისკოპოზად, აი
 დურმიშხანის შვილი,—ეპისკოპოზი, ზის ცხენზე და
 წინ მოუძღვის დროშას და მოჰყავს საცლესიო ჯა-
 რი ბატონის მოსაშველებლად. კითხულობენ: ვინ
 არის ეს ახალგაზდა ეპისკოპოზი! დურმიშხან სოვ-
 დაგრის შვილი. ოდე რა ბედნიერი იქნება ჩაშინ
 დურმიშხანი. ან ეკინ იცის, იქნება კათოლიკოზიც
 გახდეს. ოდე! მაშინ კი დურმიშხანი აღარ დაუკრამ-
 და თავს არც ერთს თავადს.

345 მეორე დღეს სურამში აღარ იყო თონე, | რომელ-
 შიაც არ იცხობოდა პური და ნაზუქი დურმიშხანის
 შვილის ნათლობისთვის. მართლა-და საგანგებო
 ნათლობა რამ, თურმე, გააკეთა. თავის დღეში რაც
 რამ კი ენახა ჩვენ საქართველოში, თუ თათრებში,
 ყველა მოამზადებინა და თითქმის დღის სავალზე
 აღარ იყო სოფელი, რომლიდამაც დიდი და პატარა
 არ მოიპატიუა. ყმაშვილი მონათლა თავადმა ქაი-
 სოსრო აბაშიძემ, რომელიც იმ დროს იყო იმ მხა-

რეს, და დაანათლა ერთი ქომლი კაცი. ნაცვლად
ამისა მკლავის ძლენად გაუგზავნა დურმიშხანშა ერთი
უმშვენიერესი არაბული ცხენი, აკიდებული სხვადა-
სხვა ძვირფასი ფარჩებით.

სწორედ ამ დროს იყო დაწერილი ის წიგნი,
რომელიც წიიკითხა საწყალმა გულის ვარდმა.

მართლა, გულის ვარდი! ის კი დაგვავიწყდა!
ეხლავ მოგახსენებთ იმის ისტორიასაც. დეებსენ გაი-
ზარდოს მანამ ზურაბი, ეს სახელი დაარქვეს დურ-
მიშხანის შეილს. დეებსენ გაიზარდოს, ჩვენ კიდევ
შევხვდებით იმას, როდესაც ის იქნება მშვენიერი
ყმაწვილი კაცი, სიამპარტავნე მამისა, ნუგეში დე-
დისა და ოცნება ბევრ ლამაზთა ქალთა.

*

V

ავლაბარში, სუფ-კარაპეტის ეკლესიის ¹⁾ აღმო- 19²⁾
საფლეთის მხრით, ზედ გორაზე, იმ დროს, როდესაც
ხდებოდა ის საქმეები, რომელთაცა ეხლა მე მოგახ-
სენებთ,—ჰსთქო მორიგემ,—იდგა მხოლოდ ერთ-
ოთახიანი იაქათილის სახლი, რომელსაც ჰქონდა ორი
ფანჯარა დასავლეთისაკენ, მაგრამ იქიდგან არა სჩან-
რა, იმიტომ რო ის ფანჯრები იყვნენ გაკრულნი ზეთ-
ჭასმული ქალალდით. ეს სახლი ცოტა რო მიელავ-მოე-
ლავებინა კაცს გარეთგან: ქალალდის მაგიერ ჩაესოთ
მინები ფანჯრებში და გაელესნათ, იქნებოდა | სა- 20
სიამოვნო შესახედი. მაგრამ ეხლანდელის მდგომა-
რეობით იცქეროდა როგორლაც დალონებით.

სამოქანიანი

იყო იანვრის დილა, ქროლა ქარი და შეწუნით
აყრიდა ნამექერს ფანჯრებსა. იმ სახლში მცხოვრებნი,
ორი ქვრივი დედაკაცნი, ის იყო ამდგარიყვნენ და
ერთი ჰვეიდა სახლს, მეორეს კი ახლათ ამდგარსა
ლოგინითგან წამოესხა. სინჯაფის ქათიბი, ქურსში 11)
შეეყო ფეხები და თბებოდა. პირველი იყო კარგა
მოხუცებული, თითქმის სამოც-და-ათი წლისა და
წლოვანებით ცოტათ მოხრილი ტანში, მაგრამ პი-
რისახეზე სჩინდა, რო ის თავის დროზე ყოფილიყო
არა უვარებისი. მეორე იყო ასე ოც-და-ხუთმეტ
წლამდე: ცოტა დიდი ცხვირი, ხმელი პირისახე,
წვრილი, თითქო დასკინიან ვისმე, იმისთანა ტუ-
ჩები, თვალები შავი, მაგრამ იმისთანათ შემოგხე-
დავდა, იტყოდი, რო ეს დედაკაცი ჩემს სულსაც-კი
ხედავსო. პსჩანს რო ის არ ეკუთვნოდა იმგვარქალთა,
რომელნიცა თავის ცხოვრებაში არ მიიღებენ შრო-
მას განსაჯონ არც ერთი ხაგანი.

— არა დედიჯან, მე აღარ შემიძლიან ეს, რაც
გინდა მიყავ, ისევ სხვა ხელობას დავიწყობ, — უთხრა
21 უმცროსმა ქალმა მოხუცებულსა. |

— რატომ, შეილო, რა არის?

— რა არის, ბევრჯელ ისე შევწუხდები ხოლმე,
რო არ ვიცი რა ვქნა.

— რისგან, შეილო?

— იმისაგან, რო ადამიანი მოლის, მართალი სა-
კიროება აქვს, ტირის, გეხვეწება, გაფიცებს, რო
მართალი უთხრა და შენ უნდა დაუწყო ეშმაკმა
იცის რა?

— რა ვქნათ, შეილო, ჩვენი მამა-პაპაც ეგრე უკუჭელა და ჩვენც ეგრე უნდა ეიყვენოთ.

— აი ეხლა იმ საწყალ გოგოს მივეცი პირობა, ხეალ მოდი და ხეალ გეტუვი-მეთქი, რაც უნდა ჰქნა, ამაღამ სიზმარში ვნახავ მეთქი, მაგრამ მე წუხელ სიზმარი სულაც არ მინახავს, ის-კი ეხლავ მოვა, აბა რა უნდა უთხრა?

— ვინ გოგო, მე არ შახსოვს?

— იი ერთი ლამაზ-ლამაზი გოგო არ მოეიდა, რო ტიროდა კიდეცა.

— ჰო, მე კარში გავედი მაშინა, მემრე რა იყო?

— რა იყო! საშინელი ტირილით მეუბნება, რო დანიშნულმა მომატუეაო, ჯერ მე შემიყვარა და მე-მრე სხეაზე დაიწერა ჯვარიო.

— ახლა რა უყოთ? ცოტა მოხდება ხოლმე მა-გისთანა მაგალითები? |

22

— იმას ჰერნია, რო ის იყო პირველი მაგის მა-გალითი, — დალონებით სთქო უნცროსმა.

— მემრე რა შინდაო?

— გინდა თუ არა ერთი იმნაირი რამ მასწავ-ლეო, რო მეც ისე მოუკლა იმას გულიო, როგორც იმან მომიკლაო.

— შენმა მზემ, ვერას ეტულდი, გიფრვით ტირილს დაიწყებდი იმასთან.

— არა, თუმცა ¹⁵⁾ მომდიოდა ტირილი, მაგრამ მაინც კიდევ გაუშალე ქერი და უთხარი, რო გორიჯვარი და არბოს წმინდა გიორგი ელოცნა და ისენი დასჯილნენ იმის ორგულს.

— ცოტა შორს უნდა გაგეგზავნა, უნდა გეთქო
სპარს-ანგელოზი, ან ლომისა, ან ლაშარის ჯვერი,¹⁶⁾
ისე რო ასრულება გაძნელებულიყო.

— რას ბძანებ, იქაც ვერ მიღის! ჩემ და ღმერთ
შეა ერთი ილარია არის-რაო, მე იმისთანა რამე მას-
წავლე, რო ეშვავის ძალით ასრულდესო.

— მემრე, რა უთხარი შენ?

— რას ვეტყოდი: უთხარი დღეს მოსულიყო და
აი საცაა მოვა და არ ვიცი, რა უთხრა.

— შაშ, როცა მოეიდეს უთხარი, რო დედა გი-
23 კითხამს-თქო. |

იმ დროს, როცესაც ესენი ასე ლაპარაკობდნენ,
გულის ვარდი და ეთხოვა თავის ქალბატონს და წა-
მოვიდა ამათთან. ეს იყო იმის მეორე დღეს, რო-
ცესაც შეიტყო დურმიშხანის დაქორწილება.

გულის ვარდმა გაყინულის ხელებით დააკაკუნა
კარები.

— ვინა ხარ? შემოდი!

— უკაცრავეად, შეგაწუხეთ, უდროოთ გიახე-
ლით, — პსთქო ვარდომ, რო შევიდა შინ.

— არაფერი, შეილო, არა უშავს-რა, მოდი გათბი,
მოდი ქურისთან, — უთხრა უფროსმა დედაკაცმა.

გულისვარდი მივიდა, გაიხადა ქოშები, ავიდა
ტახტზე, ასწია საბანს და მიუჯდა ქურსს.

— აი, დედავ, ის ქალი, წუხელ რო გითხარი, —
უთხრა უნცროსმა ქალმა დედას, გულის ვარდი რო
გათბა მაშინ.

მოხუცებულმა დაათვალიერა გულის ვარდი.

— იმ ულმერობის, შენზე ლამაზი ეინდა უნდო-
და, მზის უნახავს ხო არ იშოგნიდა?

გულის ვარდმა მორცხობით დაღუნა თავი და
თვალები აევსო ცრემლით.

— ნუ სწუხარ, შეილო, — უთხრა იმავე დედა-
კაცმა, — ნუ სწუხარ, შენ არა ხარ მაგისი პირველი
მაგალითი!

24

— ჰო, შენ არა ხარ მაგისი პირველი მაგალი-
თი, — დაუმატა უნცროსმაც ნაღვლიანათ.

— ასლა რა გინდა, შეილო? — უთხრა უფროსმა.

— შენ ქალს ჰყითხე, რაც მინდა.

— ასწავლე იმისთანა რამ, რო შური იძიოს.

— შურის ძიება ცოდვა არის შეილო, ლმერთ-
ზედ მიანდე, ლმერთი ილოცე, რო იმან გადაუხადოს
მაგიერი.

— არა, დედი, მე თითონ უნდა გადაუხადო მა-
გიერი, გადაუხადო ისე, რო იცოდეს, ის მე ვიყავ
და არა სხვა ვინმე.

— მაშ, რა ვქნათ, შეილო? იმ რას გეტუვი: ჯერ-
ხნობით არ შეიძლება გადახდა, უნდა მოიცადო
კარგა ხანი.

— რამტენიც გნებავთ, თუნდა სიკედილამდე,
ოლონც კი ბოლოს მოუკლა მე იმას გული.

— მაშ, იცი რას გეტუვი?

— მიბძანეთ.

— ისწავლე მეითხაობა და როდესაც ყოველსავე
მეითხაობის საიდუმლოებას ისწავლი, ძაშინ შენ
თითონ მოიგონებ, რაგვარათაც დასაჯო შენი მტე-
რი. გინდა?

— მინდა! — ცოტა ხანს უკან ჰსიტქო გულისხმოვარდმა.

25 | — არა, შვილო, ჯერ ეგრე ჩქარა პირობას ნუ მამცემ, ჯერ მოიციქრე კარგა.

— ფიქრი აღარ უნდა! მე ერთხელ შევიძლებ დავსაჯო ჩემი გულის მომკვლელი, სხვა რაღა მინდა?

— იცი, შვილო, რას იწყობი არა, აი მე რა გითხრა: ეხლანდელი დლით შენ ეყრები ქვეყანას. ამის შემდეგ გახდები კუდიანი, მყითხავი. ამის უკან ჩველა დაგიწყებს შენ ყურებას არა თუ როგორც აღამიანსა, არამედ როგორც რასმე კაცსა და ეშმაკს შეასა. გიფიქრია ეს?

— მე ფიქრი აღარ მინდა!

— არა, ამაღამ კიდევ იფიქრე, თუ შეგიძლიან ლშერთსაც შეეხეეშე და ხვალ მითხარი, რაზედაც გარდაწყვეტი, ახლა მშეიდობით.

ამ ლაპარაკის შემდეგ გულის ვარდი გამოვიდა და წამოვიდა შინ.

— ეგდა გვაკლდა, — უთხრა უნცროსმა ქალმა დედას დაყველრეპით, ვარდო რო გამოვიდა კარში, — აბა რაზე მოიხვიე თავზე სხვის შვილი, რო შენი თავის შენახუაც გიძნელდება?

— რა ექნა, შვილო! მე მეგონა, რო ჩეენი ხელობა შეაშინებდა და დაინებებინებდა თავს თავის განძრახეას. სჩანს, რო არა ხუმრობს საწყალი.

26 | — ახლა რაღას იქ? ხო ნახე, რო მე არა მგავს.

— შენ რა? ის რაღა კარგს შვრება, ხორცით დალუპულმა, სულიც უნდა დალუპოს.

— მაინც კიდევ ბარაქალა, ქალო, თუ დალუპა,
ისე მაინც, რო უმტეროს თავის მტერს!

— ახლა რით უნდა უმტეროს მითომ, თუგინდ
ჩვენი ხელობა ისწავლოს?

— მაშ, არას ასწავლი?

— არა, მე იმედი მაქვს, რო ამ ერთ წელიწადს
დაავიწყდეს თავის განზრახვა და გახდეს ისევ პა-
ტიოსან დედაკაცათ. იმითი დაეიხსნით ჩვენ ქრის-
ტიანე სულს ჯოჯოსხთილგან და ეგება იმისთვის
ღმერთმა ღაგეომადლოს.

— რო არა ქნას და მოინდომოს სწავლა?

— ვასწავლი, სულ ვასწავლი რაც-კი ყიცი, და
მემრე თითონ იცის. როგორც მოიხმარებს ჩემს სწავ-
ლას. ამის გარდა, შეილო, რას გეტყვი? ეგ გოგო
კიდეც გამოგვადგები ჩვენ, ხო იცი, რო თავადების
გო-ოა. ვისაც ჩვენში საჭიროება ექნება მოასწავლის
ჩვენთან და იმითი ერთ ლუქმა პურს ვიშოვნით.

სანამ ესენი ამის ლაპარაკობდნენ, გულის ვარდი
მივიღა შინ, შევიდა ქალბატონითან და სთხოვა გან- 27
თავისუფლება.

— რათა, გოგო, განა შეგძულდი? — ჰქითხა ქალ-
ბატონშა.

— არა, ქალბატონო, ღმერთმანი, არა, — უპა-
სუხა ვარდომ არევით.

— მაშ, რისთვის მანებებ თავს? ხო არავინ
არას გაწუხებს, ჩემო ვარდო? მითხარი, შეილო.

— არა, მაგრამ...

— მაგარი რალა არი, მითხარი ჩქარა, რათ გინდა განთავისუფლება?

— იქნება უფრო კარგმა კაცმა მითხოვის,— უნდა ეთქო გულის ვარდს, მაგრამ ტირილში ეყრ გამოთქო.

— რაო, რაო, გოგო?

— იქნება უფრო კარგმა კაცმა შემირთოს,— განუშეორა გულის ვარდმა.

— მო, თუ აგრეა, ხვალე თავისუფალი იქნები, მაგისთვის რასა სტირი, ტუტუპო? ამაღამ ბატონი რო მოვა, ვეტყვი და ხვალე წიგნს დაგიწერინებ! საღ უნდა იცხოვრო?

— ჩემ დედიდასთან.

საწყალმა გულის ვარდმა ამითი დაიწყო ტყუილის ლაპარაკი. იქამდინ არც ერთხელ არ ეთქო განზრიანება ტყუილი.

შეორე დღეს განთავისუფლებული გულის ვარდი მიადგა ჩვენ ნაცნობ კარს, ავლაბარში და დაუწო 28 კაკუნი. შიგნიდგან ხმამ! შეიპატიეა.

ნუ შეხვალ, საწყალო გულის ვარდო, დაიწერე პირჯვარი, ასსენე ლმერთი, შეაფურთხე ეშმაქს და გაბრუნდი უკან!

არ ესმის! შევიდა საწყალი გულის ვარდი!

— რაო, შვილო, მოიფიქრე? — პეითხა მოხუცებულმა დედაყაცმა, რო შევიდა გულის ვარდი.

— მოვიფიქრე და გადავსწყვიტე, რო უნდა ვის-წავლო,— უპასუხა გულის ვარდმა.

— ბარაქალა, ქალო, მე არა მგვანებიხარ, ⁴⁷⁾ — სისხლი
უთხრა უნცროსმა.

— ეს რაღა კარგს შვრება. ყმაწვილები ხართ
ჯერ თქვენ ორთავ საწყლებო, სისხლი გიდულთ —
უპასუხა მოხუცმა ორთავ. — კარგი, შეიღო, — მიუბ-
რუნდა გულის ვარდს, — თუ არ დაგიშლია, გად-
მოდი ჩვენთან. ღმერთმა ქნას, რო არ ინანო ეს
ზენი განზრახვა.

— ხვალვე გადმოვიტან ჩემს ბარგს, — უპასუხა
გულის ვარდმა.

ამის შემდეგ მთელი ერთი წელიწადი იშსახურეს
ამ მკითხავებმა გულის ვარდი, მაგრამ მკითხაობისა
არა ასწავლეს ჭრა.

— ყმაწვილია, ქარი გაუფა თავიდგან და მემრე
კიდეც დამიმადლებს, რო არ გავრიე ჩეინ ცოდვებ-
ში, ამბობდა მოხუცებული, მაგრამ იმ ერთი წელი-
წადის შემდეგაც | არა სჩანდა ცვლილება გულის 29
ვარდის განზრახვაში.

ამ ერთი წელიწადის შემდგომ მოკვდა მოხუცე-
ბული მკითხავი და უნცროსმა მპოვა რო ⁴⁸⁾ გულის
ვარდის დათხოვნა ამის შემდეგ აღარ შეიძლებოდა
და ამისთვის, რაც კი რამ საიდუმლოება იცოდა
მკითხაობისა, სულ ყველა ასწავლა და მიაჩემა კით-
ხეა ყოველთათვის, ეინც კი მოვიდოდა საკითხავათ.
აღარ გამოვიდა ბევრი ხანი, რო დაბალ ხალხში
დაიწყეს ლაპარაკი ვარდუას მკითხაობაზე და აუა-
რებელმა ⁴⁹⁾ ხალხმა დაიწყო დენა საკითხავათ!

ათ წელიწადს შემდეგ გულის ვარდი, აწოდილია
უწინდელი გულის ვარდოსი, და ვმუჭნული და ვამხ-
დარ პირისახით, იჯდა ორ-სართულიანი ⁵⁰) ძვირფას
ხალებით მორთულს სახლში და უკითხამდა რამტე-
ნთამე პერთ. რამტენიმე ქართლელი და ქახელი თა-
ვადიშვილი, მოსულნი მხოლოდ იმისთვის, რო ეკით-
ხეინებინათ ვარდუასთვის, იჯდნენ მეორე ოთახში
და ელოდნენ თავის რიგს.

— მე აქ ვერ გეტყვით, რაც მინდა, — უთხრა
ერთმა ვასათხოვარმა თავადის შვილის ქალმა, რო
შევიდა ვარდოსთან, და გაწითლებულმა დალუნა
თავი.

30 — მიბძანდი მაგ მეორე ოთახში, ეხლავ | გია-
ხლები.

— ქალი გავიდა.

— რა ვქნა დედიჯან, არ ვიცი, როგორ შეგატ-
ყობინო მე ჩემი მწუხარება, — უთხრა იმან ვარდუას
რო შევიდა ისი.

— რატომ შვილო, რა არის იმისთანა?

— შენ ვერ გაიგებ ჩემ მწუხარებას. ჩემ მწუ-
ხარებას იგრძნობს მხოლოდ ის, ვისაც თითონ გა-
მოუცდია, მაგრამ შენ... შენ იყურები ისე, რო შენ
არ იცი, რა არის სიყვარული.

— სიყვარული? ჰო, მე მაგისი არა ვიცი რა, მე
სიყვარულისა არა ვიცი რა, არაფერი, — ჰსთქო ვარ-
დომ სიჩქარით და დალონებით.

— აյი გითხარ? მე თუ არა მიშველე-რა, მოვკვდე-
ბი... მიშველე რამე დედი, შენი ღვთის გულისათვის, —

გულამომჯდარმა უთხრა, ქალი მისწვდა და აკოცა
ხელზე.

— ვინ არის შენი შეყვარებული?

ქალმა უთხრა.

— ნუ სტირი, ღმერთი მოწყალეა, მოვახერხებთ
როგორმე, შეგიყვარებს შენ შენი საყვარელი, მაგრამ
ქორწილში კი უნდა დამპატიერო.

— ჰო, უთუოთ, უთუოთ, ღმერთს გეფიცები,
ოღონდ კი ნეტავი ამისრულო და!

გულის ვარდმა აასრულა იმ ქალის თხოვნა 31
ერთ კეირას უკან უთილისმოთ.

— აბა მიკითხე, ჩემო ვარდო, ჩემი ალექსანდრე
რასა იქს? ერთი თვეება წიგნი არ მომსელია, — ეუბნებო-
და ვარდუას უწინდელი იმისი ქალბატონი, რომელ-
თაც, შემდგომ შეტყობისა ვარდუას ხელობისა, არა
თუ აქცარა სიყვარული, არამედ სიყვარულთან იგრძნო
იმნაირი შიში იმისი, რანაირათაც ეშინოდა თავისის
ქმრისა.

ვარდუამ გაშალა ქერი.

— ალექსანდრე, ქალბატონო, ეხლა ცხენზე ზის
და ჯირითობს. აი მეფეც იქ არის და უყურებს
ყმაწვილების ჯირითობას. აი ალექსანდრემ გააჭენა
ცხენი. ჰო, ბარათაანთ თეიმურაზი გამოუდგა, ეს-
როლა ჯირითი. ყორალ ბატონო! ჯირითი დაიჭირა
და გააბრუნა ცხენი. გააჭენე თეიმურაზ, ცხენი,
გააჭენე, მოვიდა, დაგეწია ბატონი, ოჳ, შიგ ბეჭებ-
ში არ მიარტყა საწყალს! აი მეფემ აქო ალექსანდრე.
ქალბატონო! უყურებ, მეფემ აქო ალექსანდრე. სხვა
რალა გინდა?

— არათერი, შვილო, მადლობელი ვარ! — განცუ-
ვიფრებულმა უთხრა ვარდოს.


მე აღარ შეგაწყენთ ^{ა)} თავს გულის ვარდოს წეით-
ხაობითა. მოგახსენებთ მხოლოდ, რო ვარდომ იმ
დროს შეიტყო ბევრი. რამ იმისთანა, რომელიც
32 იყვნენ შესარცხვენელნი კაცთა ჩამომავლობისთვის.

გავიდა კიდევ ათი წელიწადი. ათი წელიწადი!
ხუმრობაა ათი წელიწადი? დაიხოცნენ ბევრი მათ-
განი, ვისთანაც გვერდი ჩენ შემთხვევა გაცნობისა
ამ მოთხრობაში. დარჩნენ მხოლოდ თავნი პირნი;
დურმიშხანი თავის ცოლშვილით, ესე იგი ერთი
შვილით, და ვარდო თავის განთქმულის მკითხაობით,
დარჩნენ ისე, როგორც ორი ფალავანი შეა მეი-
დანზე, მომზადებულნი დასაჭიდავათ.

ვნახავთ ვინ ვის მოერევა.

VI

აპრილის სალამოს ის იყო ჩავიდა მზე სურამის
გორის იქით და იქიდგან შადრევანივით ავრიდა
სხივთ, რომელნიცა ერეოდნენ რა ჰაერს, ხდიდნენ
იმას ცეცხლის ალივით. ბუნება გართული ზის სა-
ლამში, არც ერთი სიოთი არ შეარყევდა ფოთოლთა.
აქა-იქ მოდიოდა მხოლოდ ჭიკჭიკი ყოველთვის
მოუსვენართ ჭიკჭიკთა, რომელნიც ღამისთვის ეძებ-
დნენ მოხერხებულ საჯდომსა და ამიტომ ერთმანეთს
ართმევდნენ ალაგებს. მენახირებმა ის იყო ტუიდგან
გამორექს ნახირი შოლტის ტლაშა-ტლუშით და



სიმღერით მოუდიოდათ შინ. ნახირი მოდიოდა შინ 33
გაქმარებული, ჩუმათ, მხოლოდ აქა-რქ კი შემღვე-
ლიდნენ ხოლმე დროითა და დროით ძროხები,
თავიათ ხბორების მეტის-მეტი სიყვარული რო მოა-
გონდოდათ ხოლმე მაშინ ¹²⁾ რამტენსამე დედაკაცს
მხარზე უდგათ კოკები და დამწერივებულნი მიეშუ-
რებოლწენ წყალზე დუმილით.

ამ ტროს დურმიშხანის სახლის გვერდით შწვანე
ხავერდივით მინუორზე ძეირფასი ხალი იყო გაშ-
ლილი და იმაზე იყო ^{წამოწოლილი} ჩვენი დურმიშ-
ხანი. ცატათ მზისგან გაშავებული და ხმელი პი-
რისახე, ეგრეოვე ძარლვიანი ხელები და სრულებით
გამხდარი ტანი აჩვენებდნენ, რო ის კაცი არ იყო
შინ ჯაჭვის მოყვარე. ხოლო რამტენიმე ხაზი პირი-
სახეზე, და ქალარა თმაში და ულვაშებში უმოწმებდნენ,
რო ის არასდროს არა ყოფილიყო უსაქმო და
დაედო იშაზე თავისი ბეჭედი. ¹³⁾ მაგრამ, რასაკვირ-
ველია, ესე ჩვენ ვხედამთ დურმიშხანს თითქმის ოც
წელიწლის შემდეგ.

დურმიშხანმა ის იყო შოსწია ერთი ჩიბუხი შშვე-
ნიერი ტრამბოლის თამბაქოთი, გადააგდო ჩიბუხი
იქით, გადაბრუნდა გულალმა და დაუწყო ყურება
მოწმენდოლ ფირუზზივით ღია ლურჯს ცას. იმან
უცურა, უყურა ცას და ჩაფიქრდა. იმას მოაგონდა 34
თავის სიყმაწვილე, ის სიყმაწვილე, როდესაც და-
დიოდა კონკებში და ყველა მსახური სცემდა თავში,
მოაგონდა შემდეგ პირველი გაცნობა გულის ვარ-
დისა, ამისი სიყვარული.

— ჩა ძრიელ უცვარდი საწყალს! — ფიქრობდა
დურშიშხანი — რო ის არა ყოფილიყო, ხომ არგა-
მანთავისუფლებდა ბატონი. ჩა კარგათ მოვიქცე,
ჩა ნაირათ ვაჩვენე თავი, რო მითომ მიუვარდა,
მაგრამ ლმეროთმანი ლირდა სასიყვარულოთ. ჩამექნი
ვატყუე საწყალი, რომ მოვალ-მეთქი. მარილა,
ფული რო დავპირდი უკანასკნელ წიგნში, რატომ
არ გაუგზავნე? ეჭ, რათ უნდა ფული, ჩემთვის უფ-
რო საჭიროა. ნეტა სად იქნება ეხლა საწყალი? ეინ
იცის როვორ დაბერდა, როგორ გაფუჭდა. ნეტა
მომიგონებს ხოლმე კიდევ? მომიგონებს კი არა და
მგონია ერთმა ბიჭმა ვინმემ შეირთო და შეიულებით
აიგსო. სად ეცლება ჩემ მოსაგონებლად... საწყალ ოს-
მან-აღა. აბა თუ ერთი ვაწირეონე იძისათვის, ამა თუ
ერთი სანთელი აუნთე! სირცხვილი შენთვის, ჩემია თა-
ვი! იმ საწყალმა ნახევარი თავის ქონება მოვცა, იმისი
წყალობით ხარ ასე ბედნიერ! ... ჩავქნა, ლმერიმანი,

35 ფულები კი არა მშურს, მაგრამ მოცლა არ არის.
ჩა უყო. ვვვ! ჩა საშინელი იყო საბრალო მისაკ-
ლავათ რო მიშყვანდათ; რანაირათ შემოსედა,
თითქო მეხვეწებოდა ჩასმე. ჩა იქნებოდა ჩოდამე-
ბარხა? მე და ჩემმა ლმერომა, არ ვემართლები...

— მამაჩემს ვახლავარ, — უთხრა ერთმა ყმაწვილმა
კაცმა, რომელიც ის იყო მოვიდა საიდლამც და
შორიახლო ჩამოხტა ცხენითვან.

— ოჭ, შეილო ზურაბ, შენ!? — წამოიძახა ჯურ-
ნიშხანმა წამოხტა ყმაწვილივით და აკოცა პირჩე —
რასა იქ, შეილო, ხო კარგათა ხარ?

— კარგათა ვარ, დედა სად არის?

— აქ არის. ჯერ არ გინახაშს?

— არა, პირდაპირ შენთან მოვედი.

— ბარაქალა, შეილო. ყოველთვის წინ მამა

უნდა გაახარო ხოლმე. სხვა, რა ანბავია, როგორ
რასმე მოიარე, როგორ რასმე დახვალ ამხანაგებში?

— ნულარ მეტყვე, მამავ. ალარ შემიძლიან ამ
საშინელ ამპარტავან თავადებში ცხოვრება.

— რა არის, რას გიშლიან ისენი?

— რალა რა არის? ხმას ამოვილებ, თუ ხუმრიობაში,
ანუ რაშიმე გავერევე იმათში, მაშინვე ჭირისაეკთ
მომზორდებიან ხოლმე | და დაიწყებენ ბუტბუტს: 36
„კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახი-აო...“

— რატომაო? რითა გჯობიან შენ ისინი: შეძ-
ლებით, სილამაზით, გაზრდილობით თუ ვაჟკაცო-
ბით?

— არც ერთით.

— მაშ რა უნდათ? რითა გჯობიან?

ჩამომავლობით.

— ჰმ, ჩამომავლობით... ჩამომავლობით. ჩაფიქ-
რებით განიმეორა დურმი ხანმა, — აბა ერთი ჰერთხე
იმათ მამათვან თავის კაცობით ვინ იშოვნა ყმა და
მამული? ვინ იშოვნა იმტენი ფულები, რო რომელიც
უნდა თავადიშეილის მამული იყიდოს?

დურმიშხანი თავის გამდიდრებას აწერდა მხო-
ლოდ თავის ვაჟკაცობას.

— მაგას არა ფიქრობენ, — უპასუხა ზურაბმა.

— შენი ვალია, რო ჩააგონო. იმათი მამები არ არიან, რო მეხვეწებიან ხოლმე შვილის მონათლას, იმისთვის რომ ელიან კარგს კუნკულას. ¹⁶⁾ როცა ფულები სჭირდებათ, დაბლა მიკრავენ თავს? მოიცადონ! შენ ეს მითხარი, მეფემ ვერსად შეგნიშნა?

— ვერსად. არსად მოხდა იმისთანა შემთხვევა. მაგრამ ეხლა რაღასაც იძახიან, მითომ ომი იქნებაო. აბა, ზაშინ შევიტყობთ, ვინ კუ ყოფილა და ვინ ლომი.

37 | — შენ კი გენაცვალე, შვილო! იმედი მაქვს, შვილო, რო მამა შენს არ შეარცხევნ, ¹⁷⁾ მაგრამ ეგ რა სთქვი! ომი! ვისთან უნდა იყოს ომი!?

— არ ვიცი; მგონია, რო ოსმალოებთან უნდა იყოს, მაგრამ სწორეთ არავინ არა იცის რა.

— ეგ ვერაფერი ანბავი მოშიტანე, შვილო. შვილო, ომი ვაჭრობის მტერია. უეცრათ რო ომი მოხდეს, დავიღუპებით.

— აი, აქი გითხარი, თითქო მე ვიყო ომის მიზენი, იმნაირ საყვედურს მეუბნები.

— კარგი, კარგი, ბარაქალა! — და დურმიშხანი დალინდა. დაინახა რა ესე ზურაბმა, გამოესალმა და წავიდა დედასთან. დურმიშხანმა, რო შეხედა მიმავალ ზურაბს და დაინახა შშვენიერი ვაჟეაცის ტანი, სიამპარტავნით გაიღიმა.

— რასაკეირველია, შეიშურებენ ჩეენი თავადი-შვილები. ვინ იქნება იმათ-ში ჩემი ზურაბისთანა. — სთქვა სიამაყით დურმიშხანმა თავის გულში და შემდეგ დაიწყო ფიქრი თავის ვაჭრობის საქმეზე, — ეს

კი აეგი ანბავი მომიტანა ჩემში ბიჭუკამ. თუ ხვალვი მივეშველე ჩემ ქონებას, სულ დავილუბები. ამა მაშინ ნახე,⁴⁸⁾ დურმიშხან, აზნაურ-შეიოლობა!

მეორე დილით დურმიშხანი ადგა აღრე, | გაი- 38
ყოლა თავისი ოსმალოთაგანი სამი ბიჭები და გასწია
სტამბოლისაკენ.

მიღის დურმიშხანი ქონების შესაძენად; ის კი
არ იცის, რანაირი უბედურება გროვდება იმის
თავზე.

ბევრი დრო აღარ გამოსულა დურმიშხანის
წასვლის შემდეგ, რო მეფემ დაიბარა თავისი პირველი
ეჭირი და უბრძანა საქართველოს სამძლევრების გა-
სინჯვა ისმალოს მხრისენ და, საცა საჭიროდ ჰპო-
ვოს, ააშენოს ციხეები. ვეზირი წამოვიდა, გაშინჯა
საზღვრები და სხვათა შორის ჰპოვა ციხის აშენების
საჭიროება სურამში. მაშინვე საჩქაროდ მოაგროვეს
მასალა, დასწევს კირი და შეუდგნენ შენობას.

— იბა და ახლა თუ იქნება რამე, უთუთ უნდა
გამოვიჩინო თავი, — შესტეო ზურაბმა და ამ აზრით
მიაშეელა რამტენიმე ურემი. მაგრამ საკეირველი-
იყო, რამტენჯერაც აიტანეს ის ციხე ერთი ხუთიოდ
ადლამდე, იმტენჯერ იჭექა და გასკდა შუაზე; რა-
ღაც აეგი სული უშლიდა იმ ციხის გაკეთებას.
მღვდელს ახდევინეს პარაკლისი, მაგრამ მაინც კი-
დევ არ იქნა, მაინც კიდევ გასკდა კედელი. უკანას-
კნელ ყოველი ღონისძიება მოიხმარეს, მაგრამ არა-
ფრით არა იქმნა რა; კედელმა თავისი არ დაიშალა.
რა ქნან?

39 — მოდი ქრთი მკითხავს ვაკითხეინოთ! — წამომ-
ძახა ვიღებიც.

— მკითხავს! მკითხავს! — დაიძახეს ყველამ, ვინც
კი ახლდა ვეზირს.

მოახსენეს ეს აზრი ვეზირს. ვეზირმა მოიწონა,
მაგრამ საქმე დადგა იმაზე, ვისთვის უნდა ეკითხვი-
ნებინათ. ეინ იყო იმისთანა განთქმული მკითხავი.

— ავლაბრელი ვარდუა! — წამოიძახეს რამტენ-
თამე პირთა.

— საკვირველი რამ არის. ერთხელ ისეთი რამ
მითხრა, რო ის საქმე მე და ლვოის მეტმა არაეინ
იცოდა, — მსთქო ერთმა.

— მეც, კაცო, — უპასუხა შეორებმ.

— მეც, — დაიძახეს რამტენთამე.

— ერთხელ ჩემი დედაკაცი ყოფილიყო და სა-
კვირველ რამებს მოსთქომდა, — დაასრულა ვეზირმა.

— მაშ მოდი და წავიდეს ვინმე საკითხავათ,
არა ვეზიროვი — ჰერითხა უფროსმა თავადისშეიღმა.

— წავიდეს, წავიდეს! რაც ჩქარია იქნება, ის
სჯობია, — ბრძანი ვეზირმა.

მაშინვე ერთი ყმაწვილი თავადისშეიღმა შაჯდა
ცხენზე და თავის ბიჭებით წამოვიდა ვარდუასთან.

40 ქალაქში რო მოვიდა გულის ვარდთან, იმასთან
ჰერულებისამებრ ყმაწვილ კაცთა და უმეტეს იმის-
თანა პირთა, რომელთაც აქვსთ მინდობილი სახელ-
მწიფო საქმე, ელჩმა გაყარ-გამოყარა ყველანი და
მივიდა ვარდოსთან.

- რა გინდა, შეილო? — ჰეითხა ვარდომ.
- ყმაწეილმა უთხრა, და, რო გაათავა და ჩაჩუმდა, ვარდოს მოუკიდა ლიმილი.
- აბა ეხლა მოვიდა შენი დრო, ჩემო თავო, თუ რამ შეგიძლიან, — სთქო ვარდომ თავის გულში და ჩაფიქრდა.
- ბევრს ნუ ფიქრობ, ჩემო ვარდუავ, ჩეარა მითხარი! — უთხრა ყმაწეილმა.
- არა, შეილო, სიჩქარით საქმე არ გაკეთდება და არც თუ ციხე აშენდება. ჯერ მითხარი.
- მეითხე ჩეარა, რაც გინდა, — დააყოლა ყმაწვილმა.
- ჯერ მითხარი, სურამში პსკეოფრობს ვინმე ვაჭარი დურმიშხანი?
- პსკეოფრობს.
- შეილი რამე ჰყავს?
- როგორ არა, ერთი ჩემი ტოლი და ამხანავი, პშვენიერი ყმაწეილი ზურაბ.
- კარგი? ახლა წადი და უთხარი ვეზირს, რო 41 თუ თითონ არ მოვიდა, კითხვა არ შეიძლება-თქო. უთხარი, რო მე ვთხოვ იმას მოსვლას ჩემთან, თუ საქართველოსთვის ქეთილი უნდა.
- რას მეუბნები დედა-კაცო? მითხარი რამე, ასე ვერ წავალ.

— არა, შეილო, შენთეის არ იქნება თქმა. შენ
დროს ნუ ჰქარგავ, ჩქარა წადი; საქართველოს ბედი
ეხლა შენზე არის დამოკიდებული — და ის ყმაწვეილი
თითქმის ძალად გამოაგდო კარში.

— მაშ, რა ვენა, რა უთხრა ვეზირს?

— უთხარი, რო თითონ მოვიდეს. საჭირო არის
თქო!

ყმაწვეილი მაშინვე შეჯდა ცხენზე და გასწია
უკან.

გულის ვარდი ჩატიქრებული შამოვიდა შინ და
მლოდნელნი ყველანი დაითხოვა. უთხრა, რო მისუ-
ლიყვნენ ხეალ. იმავ დღეს გავარდა ქალაქში ხმა,
რო ჯარიდგან მოვიდა კაცი ვარდოსთან საკითხავათ
და იმის შემდეგ ვარდუა დაჯავრიანდაო.

— აბა, ჩემო თავო, — ფიქრობდა ვარდო, — აბა
ეხლა მოვიდა დრო შენი შურის ძიებისა... აბა თუ
შეგიძლიან რამე, ახლა შეგეტყობა. პოი, წყეულ
იყავ, დურმიშან! რისთვის დამლუპე მე საწყალი! რა
42 გინდოდა ჩემგან, | რა დაგიშავე, რისთვინ ჩამაყენე
ამ მდგომარეობაში? საწყალო ჩემო თავო! დალუ-
პულო ხორცით, სულითაც უნდა დაილუპო, — და
დაიწყო საწყალმა ტირილი მწარეთ. — ი შე ლაჩარო,
ჩემო თავო! შეგეშინდა? — ცოტა ხანს შემდეგ ისევ
დაიწყო ლაპარაკი: — აბა შენი გულის მკვლელი ჩა-
გივარდა ხელში, აბა რა წვალებას მოუგონებ. იმის
სიკვდილი? ცოტაა იმისთვის. დედეწვალოს ისე, რო-
გორც მე ვეწვალე ამ ოც წელიწადში.

ვეზირს, როგორც—კი მოახსენეს ამ მკითხავის პასუხი, მაშინევ შეჯდა ცხენზე და შინაც იღარ მიბრუნდა, ისე პირდაპირ მივიღა ვარდუასთან.

— აბა, ჩემო საყვარელო, მიკითხე რა უნდა ვქნა?

— შენ ბძანდები ვეზირი? — ჰქითხა იმას ვარდუამ.

— მე ვარ.

— აბა თუ შენ ბრძანდები და პასუხის გებაც შენა გაქვს ბევრი. საწყალო ბატონო! რა აგ დროს გრგებია შენ ვეზირობა. ღმერთო! რას ეხედავ წყეულნო უსჯულონო, სად მოსდიხართ, რა ვინდათ ჩენი საწყალი საქართველოსაგან? ღმერთო! რა დავაშავეთ და შეგცოდეთ, რისთვისა გვსჯი ასე საშინელათ? ვაი, 43 ვაი, რამტენი მოდიან! ღვთის მშობელო დედაო, შენ დაგეისხენი. ღმერთო! მხოცენ, ი დედებს ართმევენ შეიღებს და ქათამივით პევლენ. ნუ მისცემ, საწყალო ქალო! ნუ მისცემ შენ შეიღს. ომ! წაართო წყეულმა, უშველე, ბატონო, უშველე თორემ დავიღუბებით!

— რა ვქნა, მითხარი? — ოცნებით ¹⁹⁾ უთხრა ვეზირმა.

— ი ვხედავ, — განაგრძელა ვარდუამ: — უსჯულოთ ჯარი შემოეხეია ჭიანჭელისავით სურამის ციხეს. ჩქარა, ჩქარა ააშენეთ, მხოლოდ ²⁰⁾ ის დაიჭერს ჯარს. თუ რო ის არ არის, აქ მოვლენ. ღმერთო, რა მოგვივა მაშინ! შენი წვრილ-შვილი მაინც შეიბრალე, ბატონო, შენი წვრილ-შვილი, ნუ დაახოცინებ უსჯულოთ, — და ვარდუამ დაიწყო ტირილი.

შაროთლა ტიროდა თუ ტყუილათ, არ ვიცი. ოცდა
ერთ წელიწადში ისწავლა ისეთი აქტიონება, რო
ლმერთმა შეარცხეინოს იმასთან ეხლანდელი განთქ-
მული აქტიონები.

— რა ვქნა? რა უნდა ვქვენა? მითხარი ჩქარა, —
უთხრა ვეზირმა.

— უნდა როგორმე ააშენო სურამის ციხე.

— აკი ვაშენებ, მაგრამ მექუევა, რა უყო?

44 — ამოყარე ის საძირკველი, რომელიც | ჩაგი-
ყრია, ორ ადლზე კიდევ მოთხარე, გაანათვლინე
მლელელს, მაგრამ... ეს რას ეხედავ? ლმერთო შენ დამიხ-
სენ! ბატონო ამოილე ხანჯალი და აქეე მომკალ,
მადლი იქნება შენთვის. ჭი წყლი იყოს ის დღე,
რა დღესაც მე მკითხაობა დავიწყე! ბატონო, ნუ
გაიგონებ, რასაც გეტყვი. ირა, გაიგონე, კარგა უუ-
რი დამიგდე, რასაც გეტყვა, საჭიროა რო იცოდე.
იმის ასრულებაზე ჰქიდია საქართველოს სსნა, სა-
ქართველოს გამარჯვება.

— მითხარი, შენი ლვთის გულისათვის, მითხარი
ჩქარა!

— ციხეში, ხერდის მაგიერად, დედის ერთა
ვაერი უნდა დაატანოთ: დურმიშხანის ვაერი, ზურაბი.

— როგორ თუ ვაერი? როგორ თუ ზურაბი?! რას
ანბობ დედაკაცონი! — შექრთომით ჰქითხა ვეზირმა.

— ზურაბი! დიახ ზურაბი უნდა დაატანო კე-
დელში! უიმისოთ კედელს ვერ ააშენებ! ჭი დედამი-
წივ, გასკდი და ჩამიტანე, რო ამისთანა სიტყვა

ამოვიდა პირიდგან! შე საწყალო დედაჩემო, რათა მშობე ქვეყნის საწყევად?!

— რათა, დედავ, შენ რასაცა ხედავ, იმას ანბობ,
შენი რა ბრალია, — დალონებით უთხრა ვეზირმა და
საშინლად ჩაფიქრებული გამოვიდა იქიდგან და, 45
შინაც ილარ მიშხედა, ისე წავიდა უკან.

— კარგს ძლვენს არ მიუტანს ჩემს დურმიშხანს
ვეზირი! ნეტავი იკითხოს შინც, ვინ გაუგზავნა. დედე
გაიგოს, რაც შეუძლიან საწყალ გოგოს. სუ! ჩემო
გულო! ოცი წელიწადი მეტია ლმერთს გავეყარე, რას
მაშინებ მე იმითი!

VII

მიდის ჩვენი ვეზირი სურამს საშინელი ჩაფიქ-
რებული და დალონებული. მზე-კი მხიარულათ იყუ-
რება, თითქო იცინის კაცის მწეხარებაზე, ვითომც
არაფერი კავშირი არა აქვს კაცთა ცხოვრებასთან. ვე-
ზირი რო მივიდა სურამს, იმავე დღეს გასცა ბძანება,
რო იმავე დღეს ძველი საძირკველი ყოფილიყო სულ
ამოყრილი და საძირკველი მოთხრილიყო კიდევ ორ
ადლებე. ბძანება რასაკვირველია, მაშინვე აღასრულეს
და მეორე დღეს, შემდგომ პარაკლისის გადახდისა,
ჩაყარეს ახალი საძირკველი და ამოიყვანეს მიწის
პირდაპირ. საქმე მივიდა იქამდინ, როცა ვეზირს უნ-
და გამოეცხადებინა უკანასკნელი რჩევა მკითხავისა.

ძნელია ოდესმე ვალდებულება უპირატესთა ამა 46
ქვეყნისათა. რა სიხარულით დაუტევებდა საწყალი

ვეზირი თავის თანამდებობას, ოლონცუ-კი იმას ნუ გამოაცხადებინებდნენ და ნუ გარევდნენ ამ საშინელ საქმეში! მაგრამ რა ჰქნას? მამული არის განსაკულტობი, ჩუმად უნდა იყოს გული, სჯობს ერთი მოკვდეს მამულისთვის, სანამ დაიხოცნენ ათასნი. ამ ფიქრებით გამაგრებულმა ვეზირმა დაუძახა ოსტატებს.

— რასაც გიბძანებთ თქვენ ბერო, უნდა ასრულოთ დაუყოვნელად, — უთხრა იმათ — ვინც ჩაფიქრდება, ან აუკანკალდება ხელი ასრულების დროს, ის მაშინვე ჩემი ბიჭებითგან მოიკვლება. გესმით?

— გვესმის, შენი ჭირიმე, — უთხრეს ოსტატებმა.

— წადით, ახლა კი ამის მეტი სათქმელი არა მაქს-რა შენ კი, ბერო, აქ მოიცადე, — უთხრა ვეზირმა ოსტატების უფროსს.

— მიბძანე, შენი ჭირიმე.

— სასიამოვნოს არას გეტყვი, ჩემო ბერო, — უთხრა იმას ვეზირმა, — რაც უნდა გითხრა, ისე საშინელია, რო ვერც-კი მითქომს.

— რა უყოთ, შენი ჭირიმე! სასიამოვნოა თუ არა, მიბძანე, შენი ჭირიმე, და თუ იმისი ასრულება ჩემზე ჰქიდია, კარგათ მოგეხსენება, რო თავს არ დავზოგავ.

47 | — კედელში ცოცხალი კაცი უნდა დავატანოთ, — სიჩქარით ჰსთქო ვეზირმა.

— ნუ მიბძანებ, შენი ჭირიმე, — შეკრთომით წამოიძახა ბერომ.

— რა ვქნა, ძმაო, მამულის კეთილ-მდგომარეობა
ითხოვს ამ მსხვერპლს, უიმისოთ ციხეს ვერ ავა-
შენებთ. ერთი სიტყვით, მზათ იყავი! ახლა-კი წადი.

— ღმერთო! ცოცხალი კაცი კედლში! — ჩაფიქ-
რებით მსთქო რსტატმა, გამოდიოდა რა ვეზირიდ-
გან.

ვეზირმა კი დაიბარა ვინც თავიადიშვილები იყვნენ
და გამოუცხადა რა ყოველივე, იმათაც უბძანა რამ-
ტენსამე, რო იმათ მიეყვანათ საცა უნდოდა ზურაბი,
ხელი ეტაცნათ, შეეკრათ და მიეცათ კალატოზები-
სათვის. ხოლო სხვათა უთხრა, რო ამ დროს ჯარი
მზათ ყოფილიყვნენ და შემოხვევიყვნენ იმ ადგილს,
საცა მოხდებოდა ეს საქმე.

შემდგომ რამტენიმე ხანისა, ზურაბი შკვდარივით
ყვითელი, ხელებ-შეკრული იდგა კიდელში და კა-
ლატოზები სიჩქარით აშენებდნენ იმის გარშემო
კედელსა.

— ღმერთო! რა დავაშავე, რისთვის მმარხამთ
ცოცხალს! — დროითა და დროით ამოიძახებდა
ხოლმე ზურაბი დაოსებულის ხმით.

კეთილი თქვეით, თორემ ავი ხმა ჩქარა | გავარდება 48
ხოლმე ^{“1”}) ქვეყანაზე. ზურაბი არ ამოეშენებინათ
მუხლამდისინ, რო იმის დედა მორბოდა ციხისაკენ
თმა-გაშლილი.

— არიქა, მაგრა შეკარით, არ დაანახოთ საწყალ
დედაკაცს! — დაუძახეს ჯარს.

— გამიშვით, თქვენი ლვოის გულისთვის, გა-
მიშვით. ზეილო ზურაბ, სადა ხარ! ვის რა დაუშავე,

რას გემართლებიან, გენაცვალოს დედა! გამიშვით,
ქრისტიანი ეინა ხართ, ჩემ შეილთან! იმასთან დამ-
მარხეთ, იმასთან მომკიდით!

— ნუ გეშინიან, დედი, არ მოჰკლამენ; გულა-
დობაში უნდა გამოსცადონ! — უთხრა ერთმა ჯარის
კაცოაგანმა დალონებით.

— გამიშვით ჩემ შეილთან! გამიშვით ჩემ ზურაბ-
თან! — იძახოდა ზურაბის დედა და მიიწევდა იმას-
თან.

ზურაბმა გაიგონა დედის ხმა:

— მიშველე, დედი! შენს ზურაბს ცოცხალს მარ-
ხამენ! — დაუძახა დედას ზურაბმა.

— შეილო, ზურაბ, სადამდინ?

— ვაიმე, დედავ, მხრებამდინ! — უპასუხა ზუ-
რაბმა.

— კარგი! არ ეყოფა? არ შეიტყვეით იმისი გუ-
ლადობა? მომეცით შეილი, მომეცით ჩემი ზურაბი!
შეილო, ზურაბ, სადამდინ?

49 | — ვაიმე, დედავ გაეთავ... — აღარ დაასრულებინეს
და მსწრაფლ დააყარეს რამდენიმე თაბახი კირი.

— ვაიმე! — შეპყივლა ზურაბის დედამ და მყვდა-
რივით დაეცა მიწაზე.

გულ შეწუხებული წაილეს საწყალი შინ და თით-
ქმის გამოეიდა სამი საათი, რო ძლიეს მოაბრუნეს
გულწუხილიდგან.

— ახ, ნერავი-კი მომაგონა! რაღაც დამავიწყ-
და-ქა! — პსთქო საწყალმა ზურაბის დედამ, გულწუ-
ხილიდგან რო მოპრუნდა, და გაილიმა ერთი იშ-

ლიმილით, რომელიც ტირილს უფრო მიემგზავსება, სანამ სიცილს. საცოდავი შექსცუდა კუუაზე.

— შე საწყალო, რაღა უნდა მოგაგონდეს, შენი ზურაბი ცოცხალი დაშარხეს! — დაიწყო ერთმა მოხუცებულმა დედა-ქალმა და მოძახა ტირილით.

— ახ, ნეტავი-კი მომაგონა! — ჰსოფე ზურაბის დედამ და თავისი იმღვრეული თვალებით უასროთ შეხედა იმ მოხუცს.

ამ დროს დურმიშხანი მოდიოდა შინ ფრიად დალონებული და გულშეკრული, თუმცა-კი არა ჰქონდა იმას სწორე მიზეზი ჭმუნვისა. სასარგებლოთ გაათავა თავისი გაქრობა, ჯიბე აიგსო ფულით, მიდიოდა ცოლშეიღი, რომელიც არ იყო რო | უყვარდა, უმე- 50 ტესად ზეილი. ვგონებ, რო არა ჰქონდა მიზეზი ჭმუნვისა, მაგრამ ამბობენ გული მისანიაო.

დურმიშხანი რო მოახლოვდა სურამს და დაინახა სურამის ციხე თითქმის გათავეუბული, ჰსოფე თავის გულში:

ეტყობა აღარ ხუმრიობენ, შენმა მზემ! შეხედეთ, რამოტენი ციხე აუშენებიათ, ეტყობა რო საშინელი ომი უნდა იყოს. ახლა თუ გინდ მთა-მთას ეხალოს, მე ჩემი საქმე გავათავე. ნეტავ ვინ იქნება ამ ციხის კეთებაზე ზედამხედველი? ნეტა ზურაბმა დაპირისა?

უნდა ეთხოვნა ჩემისა დამდგარიყო, შემდეგ გამოადგებოდა; მაგრამ უჩემოთ ვერ გაბედამდა. ჯერ ყმა-წყილია, არ იცის ანგარიში. ეხლა მე რო მივიღ, ჩემ მისცლაზე გავაკეთებ სადილს, დავპატიუებ და გავიც-

ნობ ვინც გინდა იყოს. ერთი კარგი სტამბოლური ნივთი რამ რო მივართო ფეშქაშათ, მაშინ ხო სულ დავადალებ.

ამ ფაქტებით დურმიშხანი მიადგა თავის სახლს. მოსამსახურებში და რამტენთამე კაცთა იმ სრულის მცხოვრებთა, დალონებით მიიღეს ის. რა არის ეს? უწინ რო მოვიდოდა ხოლმე, სულ ყველანი დიდი და პატარა მოეგებებოდნენ იმას შეიარულათ; არ იკოდნენ, ვის ცხენი გამოერთო, ვინ მიშვერებიყო

51 ცხენიდგან ჩამოსელის დროს: ⁽¹⁾) ახლა-კი, თუმცა მიეგებნენ, მაგრამ რა არის ეს კაეშანი? დურმიშხანმა რო დაინახა ეს, თავზარი დაეცა, ის დარწმუნდა, რო სახლში მომხდარიყო ⁽²⁾) უბედურება რაშე.

— რა ანბავია, ხო მშვიდობაა შინ? — ჰკითხა იმან მოშენებთა შეკრთომით, — ჩემი დედაკაცი სად არის?

— მიბძანდით შინ, შინ გახლამსთ! — უპასუხეს მათ დალონებით.

დურმიშხანი შევიდა შინ. სახლში, დედამიწაზე ვაშლილ საფენზე ისხდნენ რამტენიმე მოხუცებული დედაკაცი შავებით და შუაში უჯდათ დურმიშხანის ცოლი. უკანასკნელი იყო გართული რაღაც აზრით, ჰსჩანდა, რო ცდილობდა რიღისაც მოვონებასა. აქეთკენ იდგა მღვდელი შავი ოლრით და ჯვრით.

დურმიშხანმა რო დაინახა ყოველივე ესე, გახდა მკვდარივით, საშენელმა სიყვითლემ გადაპყრია პირისახეზე და დასუსტებული მიეშო ტახტზე.

— რა არის ჩემ თავს? მითხარით ჩქარა! — წიგნის გვ. 2
შობიახა ტირილით, — მითხარით ჩქარა, ნუ მიკ-
ლავთ გულს!

იმას კიდევ რიღისაც იმედი ჰქონდა. როგორ-
ლასაც დარწმუნებული იყო, რო ეს უბედურება არ
ეკუთნოდა იმის ზურაბს...

| დედაკაცებმა უთხრეს ტირილით ყოველივე სი- 52
მართლე და დურმიშხანი იმ წუთს ⁽⁴⁾) მოხუცდა თით-
ქმის ათის წლით.

— დედაკაცო, რა უყავ ჩემი შეილი! რა უყავ
ჩემი ზურაბი? რატომ იმასთან არ მოჰკვდი, შენ საყ-
ვარელ ზურაბთან! ვაიმე, შვილო, ზურაბ! ჩემო იმე-
დო, ჩემო სიცოცხლე! იქნება ამხანაგებმა გიმტრეს,
შვილო, შენ ისე სჯობდი იმათ, შვილო! რატომ არ
უთხარი, რო მოხუცებული მამაშენი მოეკლათ, შენ-
თან რა უნდოდათ, ჩემო თვალის სინათლე! ვაი,
ჩემს დღეს!

— გამხნევდი დურმიშხან, — დაუწყო დარიგება
მღვდელმა, — შეხედე შენ მაცხოვარს, რამტენი ტან-
ჯვა მიიღო შენოვის, მოიგონე, რო არის სხვა სი-
ცოცხლე, — სიცოცხლე საუკუნო, სადაც ნახამ და
ყოველთვის ერთად იქნებით შენ ზურაბთან.

— დედაკაცო! რა უყავი ჩემი ზურაბი, რატომ
არ გაუთქოთხილდი, მითხარი ჩქარა: სად არის ჩეენი
ზურაბი? — ტირილით ჰქითხა ცოლს დურმიშხანმა
და გამოსწია კაბის სახელს.

— ას, ნეტავი მომაგონა! დამავიწყდა, რაღაც
უნდა მეთქო, — უპასუხა იმან და შეხედა თავისი
ამლერეულის თვალებით.

53 — ვაიმე ოჯახო დაქუცულო! — განაგრძელებდა
დურმიშხანი, — ეს რა მომსელია! ვის რა ვაწყინე,
რატომ მე არ მომკლეს, რატომ მე არ წამართვეს
ჩემი სიმღიდრე, იმან ვის რა დაუშავა, უმანკო
ტრედმა. ვაიმე შვილო, ზურაბ! რათ მოგადგა,
შვილო, ეს დღე? სწორე სიკედილი არც-კი გელიჩხა,
სწორე დამარხვა. ცოცხალი დაგმარხეს, შვილო!
ვაი ჩემს სიცოცხლეს!

— კარგი, გეყოფა დურმიშხან, განა არ იცი, რო
მწუხარებით არას მოუმატებ! — არიგებდნენ იმას
რამტენიმე პირნი.

— დაიცა, შვილო, თუ ცოცხალი ვარ, ვიპოვნი
შენ მტერს, ვიპოვნი იმას, ვინც ეგ დღე დაგაყენა
შენ და ვაი იმის სიცოცხლეს.

— მაცხოვარი ჩვენი გვიწერს მტერთა მიტევებას, —
უთხრა მღვდელმა, — თვითონ მოგვცა მისი მაგალი-
თი; ის ჯვარზე ლოცულობდა თავის მტერთათვის.

მაგრამ მღვდლის სიტყვანი იყვნენ აქ ამთო, იმ
დროსვე დურმიშხანმა დააწყო, რო ხვალვე უნდა
წასულიყო იმ მკითხავის მოსაძებნათ, რომელ-
საც მიეცა ის საშინელი დარიგება ვეზირისათვის,
რომლისაც მსხვერპლი გახდა იმისი ზურაბი, და
იმისთვის გამოიკიანა იმისი მიზეზი.

54 მართლა-და არც იგლოვა ჩვენებურად, არც საყ-
დარში გავიდა ჩეეულებრივ, როგორც ექუთნოდა
დარბაისელ ოჯახის შვილს. არც წირვა უყო თავის
ზურაბს! დურმიშხან ისევ შეჯდა მეორე დღესვე
ცხენზედ და გამოსწია აქეთკენ. როგორც-კი ჩამო-

ვიდა აქ, მაშინევ იქითხა ვარდუა მკითხავის
სახლი. ვარდო იმ დროს ისე განთქმული იყო
მთელ ქალაქში, რო თითქმის ბატარა ბავშვებმაც-კი
იცოდნენ იმისი სახლი და იმისთვის, რასაკვირველია,
პირველმაც შემსვედრმა ასწავლა დურმიშანს იმისი
სახლი.

დურმიშანი მიყიდა.

— ლაიწყო, ყმაწვილებო, ქუხილი, ქექა! და მეხი.
მოემზადენით! — ლაიძახა დაცინებით ალექსიმ.

— წყეული იყავ, მეფისტოფელო! ⁽⁶⁾) — უთხრა
იმას სიკომ, რომელიც სჩანდა, რო დიდი გულის-
ხმის მიმდევნებით უგდებდა ყურს, — თქვი, კაცა!

დურმიშანი მივიდა და იქითხა ვარდო. დურმიშანს
აჩვენეს ვარდუა. ⁽⁶⁾) საკვირველია, ვერც ერთმა ვერ
იცნეს ერთმანეთი, ისე გამოცვლილიყვნენ თრივე
შემდგომ გაყრისა.

— არ შეიძლება ცალკე მოგახსენო რამე? —
უთხრა იმას დურმიშანმა.

— რატომ, აი ეხლავ გავათავებ და გიახლები, —
უპასუხა ვარდუამ. | 55

— თუ შეიძლება, დაითხოვე სულ ყველანი, მე
ბევრი სალაპარაკო მაქვს შენთან, — უთხრა დურმიშ-
ხანმა ამღვრევით.

— ბატონი ბძანდებით, — უპასუხა ვარდუამ.
იმან არ უგდო ყური იმის ამღვრევას, იმიტომ, რო
ბევრი შეხვედრიყო იმას ნახვა იმისთანა მაგალი-
თისა.



შემდგომ რამტენიმე წუთისა, ⁽⁷⁾ ვარდო და შეკრისა.

— მიბძანე, ბატონო, — დაიწყო დურმიზანშია, —
შენ უკითხე ეცნირს, რო ჩემი შეილი დაეტანები-
ნათ სურამის ციხეში?

ამ ლაპარაკში ვარდომ ვააბარა ხელი და გა-
მოილო პატარა ხანჯალი შუთაქის ქვეშითვან.

— მე უკითხე, — უბასუხა ვარდომი სრულებით
მშეიღათ.

— რათა? შე წყეულო, რათა? რა დაგიშვეა?

— დურმიზან, აბა შემომხედე! ვერ მიცნობი?
შენ მოგიკალ გული, მე მოგიკალ შეილი! ახლა
გავსწორდით!

— ოჭ! შე წყეულო, გულის ვარდო, შენა ხარ? —
სოქო დურმიზანმა ჩუმათ, მივარდა და ყელში წაუ-
ჭირა ხელები. სიმწირით აღარ მოაგონდა რო მოეხ-
მარა სხვა იარაღი.

56 | — მოდი ჩემო დურმიზან, ოცი წელიწილია ამ
დღეს ველი! — მსოქო ვარდუამ, მოეხვია და ბექში
ჩაურქო ხანჯალი.

რამტენის საათს უკან მოსამსახურეთ ეპოვნათ
ისენი მკედარნი, მიწოლადილნი ტახტზე, როგორც ირი
საყვარელი მოხვეულნი ერთმანეთსა. ⁽⁸⁾ ეტყობოდა,
რო არც ერთი მათვანი არ ცდილიყო სიკედილისაგან
დაცვას.

დურმიზანის ცოლს, ზურაბის დედას, შემდგომ
შეცდენისა მეუყვარდა სურამის ციხესთან სიარული.
მივიღოდა ხოლმე საწყალი, იდგა, იდგა, ფიქრობდა

რაღასაც და შემდგომ გულისმოსაკლავი დაღონებით
 იტყოდა: — ახ, ნეტავი-კი მომავონა... — და დაღო-ზოგოვა
 ნებულიერ წამოვიდოდა შინ. ესე გაიარა თითქმის
 სამხა წელიწადმა. ზოშმაც გადაიარა ისე, როგორც
 ხანდიხან გადაივლის ხოლმე ქუხილი. ქუხილი ბევრი
 იყო, წვიმა სულ არა. ზურაბის დედამ ერთხელ, რო-
 დესაც ჩეულებრივ იდგა სურამის ციხის წინ და
 ფაქრობდა, მსწრაფლ დაიძახა საშინელის ხმითა: —
 ვაიმე ზვილო ზურაბ! — და შეუწუხდა გული. დასუს-
 ტებულმა სხეულმა ველარ აიტანა ის გულის წუხი-
 ლი. საწყილი მოკვდა. დამარხეს ისე, როგორც 57
 წეუთვნოდა დამარხევა ერთს მათგანსა, რომლისაც
 შეიძლია ესე საშინლად შესწირა თავი მამულს.

ამბობენ მითომ იმ ადგილს, საკა დატანებული
 იყო საწყალი ზურაბი, სურამის ციხე არის ნოტიო
 და ცრემლიცით ჩამოდის წვეთი და თითქმის აქამ-
 დისინ მთვარიან ლამეში გამოდიოდა ერთი იმა-გაშ-
 ლილი დედაკაცი შავის ტანისამოსითა და ტირილით
 მოსძახდა:

სურამისა ცისე,
 სურვილითა გნახე,
 ჩემი ზურაბ მანდ არის,
 კარგა შემინახე!

* * * * *

* * * * *

* * * * *



ରାନ୍ଧିର କୋନଜାହେ ରା ମିଶି ଫରନ

რამდენიმე სიტყვა ამ გამოცხვისათვის

ნაშრომი „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“
 დაწერილია 1903 წლის შემოდგომაზე და გამოცემულია
 1904 წლის გაზაფხულზე, მაშასადამე, 28 წლის წინათ.
 დ. ჭონქაძის მოღვაწეობის შესწავლას კი მე უფრო აღრე
 შეუდევი, რადგანაც მაშინდელ ქართულ მწერლობას ეს
 მწერალი თითქმის სრულებით დავიწყებული ყავდა. მარ-
 თალია, დ. ჭონქაძის მოთხრობა „სურამის ციხე“ ხალხში
 ძლიერ გავრცელებული იყო, პოპულიარულ ნაწარმოებს
 წარმოადგენდა, მაგრამ მის დამწერაზე თქვენ ამაოდ მოსეპ-
 ნიდით საღმე რაიმე ცნობას. ეს მით უფრო გაუგებარი
 იყო პირველი შეხედვით, რომ დ. ჭონქაძის გარდაცვალების
 შემდეგ ჯერ ნახევარი საუკუნე არც კი იყო გასული. რაც
 ანტონ ფურცელაძემ 1863 წელს და გ. თუმანოვმა 1874
 წელს დასწერეს „სურამის ციხის“ ავტორზე, მას შემდეგ
 ამ მწერლის ხსენება ქართულ მწერლობაში აღარ ყო-
 ფილა.

მაშინდელ ქართველ მწერლებს და საზოგადო მოღვა-
 წებს, რომელთაგან ზოგიერთები პირადათაც კი იცნობ-
 დენ დ. ჭონქაძეს, თითქო პირობა მიეცათ ერთმანეთის-
 თვის, რომ ჭონქაძეზე კრინტი არავის დაეძრა. რა თქმა
 უნდა, ეს შემთხვევით არ აიხსნებოდა: აქ აშეარად კლა-
 სობრივი ინტერესი ლაპარაკობდა, რადგანაც ქართულ

მწერლობის მესვეურებათ და ბატონ-პატრიონებად იმ ხა-
ნებში ან თავადები და აზნაურები იყვნენ, ან თავად-
აზნაურობის ინტერესების დამცემები. მაგრამ ამავე
დროს ეს ვაჟბატონები თითქოს ცრემლებს ლერიდენ
საწყალი ხალხის, ე. ი. დატანჯული გლეხეაცობის მწირე
ბედზე, და ამნაირად პირეელი შეხედვით მშრომელ ხალ-
ხის მოსარჩელებად ეჩვენებოდენ საზოგადოებას. რა თქმა
უნდა, ეს ვაჟბატონები დიდი სიამოვნებით გამოვიდოდენ
ჭონქაძის და მისი „სურამის ციხის“ წინააღმდეგ, მაგრამ
ამას ისინი საშინლად ერიდებოდენ, რადგანაც ისეთი გა-
მოსვლით ისინი თვითონვე გამოამტკიცებდენ თავიანთ ნამ-
დევილ სულისკეთებას, ე. ი. ყველასათვის აშეარა გახდებო-
და, რომ ისინი სინამდევილეში გაბატონებულ ტ მჩაგრელ
კლასებს ესარჩელებოდენ და იცავდენ. აი, რისთვის აირჩიეს
იმათ განუმების ტაქტიკა დ. ჭონქაძის მიმართ. იშათთვის
ასეთი ტაქტიკა თითქოს ერთად-ერთი გამოსავალი იყო.
ამიტომ აუცილებლად საჭირო იყო ამ ტაქტიკის წინა-
აღმდეგ გალაშერება. საჭირო იყო იმ სამარისებური სი-
ჩუმის დარღვევა, რომელიც არსებობდა ქართულ მწერ-
ლობაში დ. ჭონქაძის ირგვლივ. ეს იქნებოდა ნიღაბის
ჩაშობდა მაშინდელ ქართველ დიდ და პატარა მწერლე-
ბისთვის, რომლებიც სამშობლოს უერთგულეს მხსნელებად
სახავდენ თავიანთ თავს, რომლებიც თითქო საქართვე-
ლოს და მთელი ქართველი ხალხის კეთილდღეობისთვის
მზად იყვნენ მსხვერპლად შეეწირათ თავიანთი თავი. აუ-
ცილებლად საჭირო იყო ამ სიყალბის და ამ თვალზაქ-
ცობის მხილება. დ. ჭონქაძის და მისი მოთხრობის ნამ-

დფილი ისტორიის აღდგენა ამ მიზნისთვის კარგი გამოსადეგი საშუალება იყო. და მეც იმ ხანებში, სხვათა შორის, ამ საშუალებასაც მივმართე.

მაგრამ ამ საშუალების გამოყენება არც ისე ადეილი საქმე იყო. მწერლობას მაშინ სასტიკად დარაჯობდა მეფის ცენზურა, რომელიც კალმის ერთი მოსმით კრძალავდა ყოველივე იმას, რასაც შეეძლო რაიმე ენების მიუნება თვითმშეცვლიბისათვის, სარწმუნოებისათვის და გაბატონებული კლასებისათვის. ცენზურა მაჯლაჯუნისავით აწვა თავზე შაშინდელ მწერლობას. ის დაუხოგელად სლევნიდა ყოველივე ახალს, ყოველივე ცხოველ-მყოფელ აზრს. მაგრამ ცნობილია, რომ მიუხედავად მეფის ცენზურის მაგარი მუხრუჭებისა, ზოგჯერ მაინც შესაძლებელი ხდებოდა იქიდან გამოძრომა, რაც დამოკიდებული იყო ერთი მხრით ავტორის მოხერხებაზე და მეორე მხრით ცენზურის გონების სიჩლუნგეზე. რა თქმა უნდა, ცენზურის თვალის ასაბმელად საჭირო იყო ერთნაირი ხერხის ხმარება, აზრის პირდაპირ გამოთქმის მაგიერ, შორიდან შემოვლა, სიტყვების და ტერმინების შერჩევა და სხვა და სხვა. ასე გვიხდებოდა წერა მაშინ, განსაკუთრებით ჩვენ, მარქსისტებს, როცა იძულებული ვიყავით ლეგალურ ლიტერატურაში წმა ამოგველო.

დ. კონქაძეზე ხმის ამოლება, თავისთავად იგულისხმება, საჭირო იყო ლეგალურ ლიტერატურაში. მე პირადად კარგად მქონდა წარმოდგენილი ამ საქმის სიძნელე, ე. ი. ერთი მხრით, არც წიგნის შინაარსი დაზარალებულიყო საგრძნობლად და მეორე მხრით შესაძლებელი ყოფილიყო მისი გაძერენა ცენზურის ლუმელში. აქედან აჰევარაა,

რომ ამ გარემოებას თავისი დალი უნდა დაეჩინია სსენებულ წიგნზე. მაგრამ თუ სხეა გარემოებათ არ შეეწყო ხელი, დასახელებულ წიგნს იმ სახითაც კი, რა სახითაც ის იყო შედგენილი, შესაძლებელია მაშინდელ პირობებში არც კი ღირსებოდა გამოქვეყნება. უწინარეს ყოვლისა, ცენზურაში ის მოხდა სწორედ იმ დროს, როცა ერთი მხრით მუშების და გლეხების განმათავისუფლებელი რევოლუციონური მოძრაობის ტალღები სულ უფრო მაღლა მიიწევდა, მეორე მხრით კი ის-ის იყო შორეულ აღმოსავლეთში უეპრად იყეოქა რუსეთ-იაპონიის იმპერიალისტურმა ოშმა, რომელმაც ერთბაშად მიიპყრო როგორც მთავრობის, ისე საზოგადოების ყველა ფენების, ჯგუფების და კლასების განსაკუთრებული ყურადღება. ყოველივე ამას არ შეეძლო რამდენიმედ მაინც არ შეესუსტებია შეფის ცენზურის სისასტიკე განსახილველ წიგნების მიმართ. ჩემ ვანცეიფრებას საზღვარი არა ქონდა, როცა გავიგე, რომ ცენზურში წარდგენილ ხელნაწერში მხოლოდ ორი უმნიშვნელო სიტყვა აღმოჩნდა წაშლილი.

ახლა ვიკითხოთ, თუ როგორ შეხვდა მაშინდელი ქართული პრესა „დ. ჭონქაძეს და მის დოსტ“-ს გამოქვეყნებას? რა თქმა უნდა, ახლა უკვე სხვა დრო იყო, რევოლუციონური მოძრაობა სწრაფად ვითარდებოდა, თუმც ქვეყნის მართვა-გამგეობის საჭე ისევ მეფის და მესი ბურჯვების— მიწისმფლობელი თავადაზნაურობის და კაპიტალისტური ბურეუაზის ხელში იყო: თუმც უნდა ითქვას, რომ „ივერიელთა“ ბატონობა რამდენიმედ შერყეული იყო. იმათ უკვე გაუჩნდათ მეტოქეები ერთი მხრით მესამე დასელების, მარქსისტების და მეორე მხრით ფედერალისტების სახით. უნდა

ითქვას, რომ ფედერალისტები (გამ. „ცნობის ფურცელი“) არსებითად თითქმის არაფრით განსხვავდებოდენ ივერიელებისაგან. ისე, რომ ნამდვილად ორი ბანაკი არსებობდა: ერთი მხრით თავადაზნურულ-ბურ-უაზიული ბლოკი და მეორე მხრით პროლეტარულ-მარქსისტული. ამ ორ ბანაკს შორის უკვე სწარმოებდა გაცხარებული ბრძოლა პრესის საშუალებითაც. ივერიელებს და ფედერალისტებს, ბევრიც რომ სდომებოდათ, ამიერიდან გაიჩინება აღარ შეეძლოთ „სურამის ციხის“ ავტორის შესახებ. მიუხედავად ამისა გადავრილი აზრის წარმოთქმა ამ საგანზე იმათ მაინც ვერ შესძლეს. მართალია, ივერიელ-ფედერალისტების კრიტიკოსები და პუბლიცისტები (მათ შორის — კ. აბაშიძე, შემდეგ კოტეტიშვილი და სხვ.) ბოლო დრომდისაც კი ცდილობდენ დ. ჭონქაძის მიწმეალვას, მაგრამ შეიძლება ითქვას რომ ის მიზანი, რომელიც მე დავისახე ზევით დასახელებულ ბროშიურის დაწერით, მიხწეულ იქნა: მისი გამოყენების შემდეგ დ. ჭონქაძემ დაიკავა ქართულ მწერლობაში ის ადგილი, რომელიც მას სამართლით დიდი ხანია ეკუთხნობა.

მე კელავ გულდასმით გადავიკითხე ეს ბროშიურა და ჩემი დასკვნა მასზე ასეთია: რა თქმა უნდა, ახლა რომ შემხედვით მისი დაწერა, უთუოდ მას გარეგნობით რამდენიმე სხვა სახეს, სხვა ფორმას მიეცემდი. მაგრამ არც ერთ იქ წამოყენებულ დებულებას არ შევცვლილი, ე. ი. წიგნი არსებითად, თავისი შინაარსით იქნებოდა ისეთივე, როგორც ის იქნა დაწერილი ამ 28 წლის წინათ. ამიტომ მე ვერ ვსცანი საჭიროდ რაიმე ცვლილება შემეტანა ამ

წიგნში მისი გადაოვალიერების შემდეგ. ჩემი აზრით შემ-
 ლოდ ამ წიგნის „შესავალი“ საჭიროებს ცოტაოდენ გან-
 მარტებას ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებ-
 ლად. უპირველეს ყოვლისა რევოლუციონური მარქის-
 ტისთვის ან ლენინელისთვის როგორლაც გაუგებარი და-
 რჩება ის ადგილი, სადაც ლაპარაკია დიდბუნებო-
 ვან ანუ გენიოსურ პირებზე. აქედან შეიძლება ისეთი
 დასკვნის გამოყეანა, თითქოს ხალხთა ისტორიული გან-
 ვითარების პროცესში ყველაფერი დამოკიდებულია ასეთ
 დიდბუნებოვან პიროვნებებზე. რა თქმა უნდა, თუ ასე გა-
 ვიგებთ ამ ადგილს, იქ ჩენ უთუოდ აღმოვაჩინთ წმინდა
 წყლის იდეალისტურ მსოფლმხედველობას.
 მაგრამ ავტორმა უკვე დიდი ხნით აღრე სანამ ამ წიგნის
 დაწერას შეუდგებოდა, სამუდამოთ უკუ აგდო იდეალის-
 ტური მსოფლმხედველობა და გადაჭრით შეითვისა
 მარქს-ენგელსის მატერიალისტური ფი-
 ლოსოფია. ამას მოწმობს ყოველივე ის, რაც ავტორს
 დაწერილი აქვს, ვიდრე იგი ად. კონქაძეს და მის დროს „
 დასწერდა. და თუ დასახელებული წიგნის შესავალში
 ისეთი ორქოფული აზრი იქნა გამოთქმული, ეს აიხსნება
 ერთი მხრით, ამ წიგნის დაწერის მეტის-მეტი სიჩქარით
 და, მეორე მხრით, იმ გარემოებით, რომ აქ მე მაშინ შე-
 დგელობაში ვიღებდი მხოლოდ მხატვრულ ნაწარმოებებს
 და იმათ ავტორებს. ვფიქრობ, რომ ამ განმარტების
 შემდეგ ხსენებული ადგილი გაუგებრობას აღარ გამოიწ-
 ვის მკითხველებში.

შემდეგ ერთი შენიშვნა კიდევ. მე ვამბობ იმაზე, რომ
 ამავე შესავალში საჭართველოს და ქართველი ხალხის

წარსული ისტორიის შესახებ არა სწორი კილო იყო ღლებული, რომ თითქო აქ სერიოზული ისტორიკოსისთვის არავითარი საქმე არ მოიძებნებოდეს, რომ თითქო ეს ისტორია შესწავლის ღირსიც არ იყოს. ასეთი დასკვნის გამოყვანა შესაძლებელია ავტორის მსჯელობიდან. რა თქმა უნდა, ესეც არაა სწორი შეხედულება. მაგრამ არსებითად ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ ქართველი ხალხის ძველ ისტორიაში ადგილი არ ქონდა ფართო ხალხურ მოძრაობათ და საზოგადოებრივ რევოლუციებს, ეს სავსებით სწორი აზრია, რომელიც წარმოადგენს საქართველოს წარსულ ისტორიის ანალიზიდან გამოყვანილ დასკვნას. აი ის განმარტებანი, რაც მე საჭიროდ ესცანი გამეცეცებია ამ წინასიტყვაობაში.

დასასრულ კიდევ რამდენიმე სიტყვა. ჩემი შოვალეობა დას. ქონქაძის წინაშე, ვეად იყო თუ კარგათ, მე შევასრულე, რამდენადაც დრო და გარემოება ამაში ხელს მიწყობდა, მაგრამ სამავიეროთ მე აქამდის ვერ შევასრულე ჩემი განზრახვა ორი ქართველი მწერლის ნაწერების შესწავლის და დაფასების შესახებ. მე ვამბობ ალექსანდრე ყაზბეგზე¹⁾ და ეგნატე ნინოშვილზე, განსაკუთრებით კი უკანასკნელზე.

რა თქმა უნდა, ამ ორი მწერლის ბედი სრულიად სხვა იყო და არის, ვინემ დ. ჭონქაძის. გარჩევის და დაფასების მხრით, ისინი ბევრად უფრო ბედნიერები იღმონნდენ დ. ჭონქაძესთან შედარებით: ქართულმა ლიტერატურამ ისი-

¹⁾ მიუხედავად იმისა, თუ ვინ ეყო „ელგუჯას“, „მამის მცენელის“ და სხვა მოთხრობათა ავტორი, ალექსანდრე თუ დიმიტრი ყაზბეგი.

ნი იცნო. ეს აიხსნება იმით, რომ ყაზბეგის და ნინოშვილის ლიტერატურულ მოღვაწეობას სრულიად სხვა საზოგადოებრივ პირობებში ქონდა აღვილი: ეს აღარ იყო ის ყრუ პერიოდი ცხოვრებაში, როცა დ. ჭონქაძეს მოუხდა ცხოვრება. დ. ჭონქაძე ობოლივით განმარტოვებული იყო თავის თანამედროვეთაგან. ეს აიხსნება იმით, რომ იმ დროს არ იყო ისეთი საზოგადოებრივი ძალა, წრე, ჯგუფი, რომელსაც შესძლებოდა მისთვის მხარის დაჭერა. იმ ხანებში კი, როცა ყაზბეგს და ნინოშვილს მოუხდათ ლიტერატურული მოღვაწეობა, უკვე სხვა პირობები იყო. თითოეული იმათვის უკვე ეყრდნობოდა განსაზღვრულ წრეებს, ჯგუფებს და საზოგადოების ფენებს. ეს უნდა ითქვას განსაკუთრებით ეგნ. ნინოშვილის შესახებ.

ჩევნ ვიცით, რომ მაშინდელი საზოგადოების დიდი უმრავლესობა, რომელიც იმავე დროს გაბატონებული იყო მწერლობაშიაც, ეგნატე ნინოშვილს არა თუ არ სცნობდა და გასაქანს არ აძლევდა, არამედ სლევნიდა კიდევაც. მაგრამ იმავე დროს იყო ახალგაზრდობის განსაკუთრებული ჯგუფი (რევოლიუციონური ახალგაზრდობა), რომელიც ეგნ. ნინოშვილს ამოუდგა გვერდში და იწყო მისთვის ზურგის გამაგრება. ეს ჯგუფი თანდათან იზრდებოდა, მატულობდა და ჩქარია ის ძლიერ საზოგადოებრივ ძალადაც იქცა.

ამ, რა დიდი განსხვავებაა იმ ორ ეპოქის შორის. მართალია, ნინოშვილსაც ცუდ დროს მოუხდა ცხოვრება, სხვას კველაფერს რომ თავი დავანებოთ, მან უკიდურეს სილატაკეში და გაჭირვებაში დალია სული, მაგრამ სიკედილის წუთებში მას უკვე შეეძლო ამომავალი მზის სხი-

ვების დანახვა, თავისი იდეალის მოახლოვება. ერთი სი-
 ტყვით იგი ობლად აღარა გრძნობდა თავს.

დიახ, მე განზრახვა მქონდა ზევით დასახელებული
 ორი მწერლის, განსაკუთრებით კი ეგნ. ნინოშვილის ნა-
 წერების განხილვა-დაფასება, მაგრამ ეს მოითხოვდა დიდ
 შრომას და დიდ დროს. ეს მოითხოვდა მთელი ქართული
 მწერლობის შესწავლას. სამწუხაროდ, ამის შესრულება
 აქნობამდის აღარ მოხერხდა და, როგორც სჩანს, ჯერჯე-
 რობით არც არის იმედი, რომ მომავალში მაინც შევსძლებ
 მის შესრულებას.

ფ. მაჟარაძე.

ბორგომი — დიგანი.
 1929 წ. აგვისტოს 27.

ზ ე ს ა გ ა ლ ი

არიან ისეთი ბედნიერი ხალხი, რომელთა მთელი ცხოვრება, ე. ი. სულიერი და ნივთიერი კულტურა, ანუ მთელი წარსული ცხოვრების ნამოქმედარი და ნაანდერძევი, მომავლის იმედი, საესებით და აშეარათ გამოიხატება გენიოს-პირთა სახელოვნო ნაწარმოებებში: ლიტერატურის, მხატვრობის, ქანდაკების თუ მუსიკის. როცა აკეირდებით და სწავლობთ ასეთ ნაწარმოებთ, თქვენ ნათლად ხედავთ, რომ ჩაც ხალხს მთელი საუკუნოების განმავლობაში ღირს-სახსოვარი შეუქმნია და შეუძნია, რაც მის გონიერებას უმუშავია და ნაყოფი გამოუღია, — ყოველივე ამას თითქო აქ, ამ სახელოვნო ნაწარმოებში მოეყაროს თავი და ეპოვნოს თავის გამომეტყველება. ასეთ გენიოსთა რიცხვს ეკუთვნიან, მაგ., ინგლისელების შექსპირი და ბაირონი, გერმანელების გიორგი, შილდერი და ბეთოვენი, იტალიელების დანტე, რაფაელი და მიქელ-ანჯელო. მაგრამ ხალხის სულისკეთება და მისი მისწრაფება — ნაყოფი მთელი მისი წარსული ცხოვრებისა და იმავე დროს მისი მომავალი განვითარების თავდები — კიდევ უფრო თვალსაჩინოა იმ ბრწყინვალე ისტორიულ ხანებში, რომლებიც შეადგენენ, ერთი მხრით, დასკვნას მთელი წარსული ცხოვრებისას და მეორე მხრით, განახლებული ცხოვრების დასაწყისს. ასეთ ბრწყინვალე დროს ჩვენ ვხედავთ ხალხის სულიერ ძალას, მისი მოქმედების ნიჭის და უნარს, თუ როგორ ნაყოფიერათ უმუშავია მის ტვინს წარსულში

და თუ რის შემძლებელია იგი მომავალში. ასეთი ბრწყინვალე მომენტები ხშირი მოვლენა არაა თვით ბეღნიერ ხალხთა ისტორიაშიაც, და ამიტომ ისინი მით უფრო საინტერესოა ჩვენთვის. იმათი საფუძვლიანათ გამოკვლევა და შესწავლა აუცილებლად თხოულობს ხალხის შთელი წარსული ცხოვრების შესწავლას. უამისოდ სრულებით გაუგებარი ხდება, მაგ., ისეთი დიდი ისტორიული მოვლენა, როგორიც არის საფრანგეთის დიდი რევოლიუცია.

მაგრამ ყოველივე ის, რაც ჩვენ ზევით ვთქვით, შხოლოდ ბეღნიერ ხალხთა ხვედრია. ამათ გარდა არიან ისეთი ხალხნი, თითქო ისტორიის მიერ დასჯილნი და გაუბედურებულნი, რომლებსაც არ ყოლიათ გენიოსი-მწერლები თუ ხელოვნების წარმომადგენელნი და რომლებსაც თავის ისტორიულ ცხოვრებაში არ გამოუვლიათ არც ერთი ბრწყინვალე ხანა, როცა ხალხი ამოძრავებულიყოს რომელიმე მაღალი იდეის სახელით და მისი მოგონება ლირს-სახსოვარი გამხდარიყოს შთამომავლობისათვის.

თქმა არ უნდა, რომ ასეთი ხალხის ცხოვრება მეტად საბრალოა; მის წარსულ ცხოვრებას არ აცისეროვნებს და არ აბრწყინებს არც ერთი შესანიშნავი პირი, რომლის ნაწარმოები იმაღლებდეს გრძნობა-გონებას და აღვიძებდეს ინტერესს წინსევლისადმი. შესაძლებელია, ასეთ ხალხს შრავალი განსაკლელი გამოეაროს, ბევრი სისხლი დაელვაროს თავის ისტორიულ ცხოვრებაში თავისი ვინაობის დასაცავათ, ჩაგრამ, მიუხედავად ამისა, ისტორია მას არ იხსენიებს, ვინაიდან მის ცხოვრებაში არ მომხდარა ისეთი რამ, რაც მას ამის ლირსად ხდიდეს. ვინც ჩვენ ისტორიას გაეცნობა, იგი დარწმუნდება, რომ ასეთი ყო-

ფილა ჩვენი ხალხის ცხოვრება წარსულში. აქ თქვენ ხე-
დავთ ხალხის უზომო ჭაპან-წყვეტას, შეუწყვეტელ ომებს
და სისხლის ლერას, მაგრამ ვერც ერთ ისტორიულ ფაქტს,
რომელშიაც იხატებოდეს ხალხის სულის კვეთება და მისი
მისწრაფებანი. მეორე მხრით, ჩვენ აქ ვერ ვხედავთ ისეთ
პირებს, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებით გვიხატავდენ
ხალხის ნამდვილ ცხოვრებას. ან ასაზრდოებდენ მას რაიმე
მაღალი იდეით.

იმ ხალხის ისტორიის შესწავლა, რომლის წარსული
მოკლებულია ასეთ ცხოველ-მყოფელ ელემენტებს, რა-
ღაც უაზრო ხდება და თვით მისი ისტორია უფერულია.
ამ შემთხვევაში ისტორიკოსმა არ იცის, რას მოკიდოს
ხელი, საიდან დაიწყოს, სად ეძიოს თავის თვალთახედვის
ისარი, ვინაიდან, საღაც ვაღაშლით ასეთ ხალხის ისტო-
რიას, ყველგან ერთი და იგივე გხედებათ: ყველგან ომი,
სისხლის ლერა, ღალატი; იცვლება მხოლოდ სახელები და
შელთა აღრიცხვა.

ჩვენ ხშირად გვესმის საყვედური, რომ ქართულ ისტო-
რიას ჯერ არა ყავს გამოჩენილი ისტორიკოსი: მაგრამ
ასეთი საყვედური რამდენადაც მართალია, იმდენად იგი
უსაფუძლოა. და მართლაც, კარგიც რომ გვყოლოდენ,
რას იზამდენ ჩვენში ჰიზო, ლუი-ბლანი, ტიერი, ბოკლი,
ნიბური და სხ. რომელი მოძრაობა, ან რომელი ისტო-
რიული ცვლილება უნდა გაეხადოთ იმათ თავიანთ გამო-
ქველევათა საგნათ, რაზე უნდა მიეპყრათ თავიანთი ყუ-
რადლება? აბა დაასახელეთ ისეთი ლრმა ცვლილება ჩვენს
ისტორიაში, რომელსაც ხაზი გაევლოს ძველსა და ახალს
ცხოვრებაში და რომლის მოჩავე თვით ხალხი ყოფილი-

ყოს; ან ის დიდებული პირები, რომლების ნაწარმოებნი ხალხის გონიერის დაუშრეტელ და ცხოველ-მყოფელ წყაროდ გამხდარიყოს და რომლების გაელენით რამდენიმედ მაინც შემსუბუქებულიყოს მაშვრალთა და ტეირომძიმეთა ულელი? ბევრი ჩვენი წარსული ცხოვრების სიტყვით მა-დიდებული ვაჟაბატონი, რომელსაც ამ ისტორიის არაფერი გაეგება, უმცველად დაგვძრახავს ასეთი აზრის გამოთვემის-თვის ჩვენი წარსული ცხოვრების შესახებ: როგორ თუ ჩვენმა წარსულმა ცხოვრებამ არ იცის ბრწყინვალე ხანა, როგორ თუ ჩვენ არ გვყოლია დიდებული პირებით? — დაგვეკითხებიან ჩვენ გაოცებით. — განა დიდებული პი-რები არ არიან ვახტანგ გორგასლანი, ბაგრატ მესამე, და-ვით აღმაშენებელი, თამრ მეფე, ერეკლე მეორე და სხვა? განა ბრწყინვალე ხანათ არ ჩაითვლება ჩვენს ისტორიაში თამარ მეფის დრო? თქვენ ამაოდ დაეკითხებით ასეთი ბრმა თაყვანისცემით და უმეცრებით გატაცებულ ვაე-ბატონთ: რით ისახელეს თავი ამ პირებმა? ნუ თუ ამის-თვის საკმარისია მხოლოდ აუცილებელი სისხლის ლერა, შეუწყვიტელი ომები, ადამიანთა ულეტი? გარდა ამისა კი ჩვენ ვერაფერს ვხედავთ ვერც თამარ მეფის დროს და ვერც სხვა ზევით ჩამოთვლილ პირთა მოღვაწეობაში, გან-სხვავება მხოლოდ იმაშია, რომ სხვებთან შედარებით, ი ათ დროს უფრო მეტი ხალხი გამჟღაპრა და უფრო მე-ტი სისხლიც დაიღვარა.

მართალია, ჩვენს ძეველ შეერლობაში არის ერთათ-ერთი გამოჩენილი პირი — შოთა რუსთაველი თავისი „ვეფხის-ტყაოსნით“, ბაგრამ რუსთაველი არ გადმოგვცემს თავის ნაწარმოებში ხალხის სულისკვეთებას და მის მი-

სწორადუებათ; „ვეფხის-ტყაოსანში“ თქვენ ვერ ხედავთ ჩვი-
ნი ხალხის ცხოვრებას; ის ზღაპრული პოემაა აღმოსავ-
ლეთის კილოშე, სადაც გაღმერთებულია ქალ-ვაჟის სიყვა-
რული, მონური წეს-წყობილება და მონური ცხოვრება.
ამნაირი შინაარსის პოემამ შეიძლება მოიპოვოს მრავალი
მკითხველი, რომელიც უსაქმოდ და უდარდელად ატარებს
დროს და სხვისი ნაოფლარით ცხოვრობს, მაგრამ იგი
არასოდეს არ შეიძლება გახდეს რომელიმე ნაყოფიერი მო-
ძრაობის ან მოვლენის სათავედ. დარწმუნებული ვარ,
ასეთი აზრი ზოგიერთ ვაებატონს არ მოეწონება და მის
გამომთქმელს სასტიკად გაკიცხავენ, მაგრამ სულ ერთია,
ამით სინამდვილე როდი შეიცელება.

ასე იყო თუ ისე, ხალხი მაინც ცხოვრებდა, რისთვისაც
საჭირო იყო განსაზღვრული ნიერიერი პირობები, რომ-
ლების ნიადაგზე აღმოცენდა და განვითარდა განსაზღვრუ-
ლი საზოგადოებრივი ურთიერთობა — სახელმწიფო და
იურიდიული წეს-წყობილება, გონიერი და სარწმუნოებ-
რივი ზედნაშენები. თუმცა ქართველი ხალხის საზოგადოე-
ბრივი ცხოვრება თავის წარსულში არც ერთხელ არ შერ-
ყულა ისე ღრმად და მძლავრად, რომ მით ერთხაშად და
ძირეულად შეცვლილიყოს მისი საზოგადოებრივი წეს-
წყობილება, როგორც ეს ხდებოდა განვითარებულ და და-
წინაურებულ ხალხთა ისტორიაში, მაგრამ ყოველ შემთ-
ხვევაში, ჩვენი ხალხის ცხოვრება ნელ-ნელა მაინც
იცვლებოდა, მის გულში მაინც ხდებოდა ერთნაირი
ცვლილება. რომ დიდხანს არ მოგვიხდეს ამ საინტერესო
საგანზე გაჩერება, ვიტყვით აქ, რომ მთელი ეს ცვლილება
უმთავრესად ბატონ-ყმური წეს-წყობილების შექმნაში და

ზრდა-განვითარებაში მდგომარეობდა. ერთი მხრით, თა-
 ვისუფალი მიწის მუშა-გლეხი თან-და-თან ხდება ბატონის
 ყურმოკრილ ყმად, მონად, და მეორე მხრით, მთელი მიწა-
 იდგილი, რომლითაც წინად ყმები სარგებლობდენ თანდა-
 თან გადადის ფეოდალური თავად-აზნაურობის და ეკლე-
 სიის ხელში. ეს პროცესი გრძელდება მრავალ საუკუნოე-
 ბის განმავლობაში. იგი იწყება ჩვენში თითქმის VII—VIII
 საუკუნოებში ქრისტეს შემდეგ: მაგრამ უფრო მკა-
 ფიოდ ბატონ-ყმობის ზრდას ჩვენ ვამჩნევთ მეათე საუ-
 კუნიდან. უკიდურეს საფეხურს ბატონ-ყმობა ოღწევს ჩვენ-
 ში მეთვრამეტე საუკუნეში, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის
 პირველ ნახევარში იგი დებულობს ყველაზე უფრო სა-
 ძაგლ და ოღმაშეფოთებელ სახეს, ალბად იმიტომ, რომ
 იმის დღეები უკვე დათვლილი იყო.

მთელი ჩვენი წარსული ცხოვრება მოუნდა ამ ბატონ-
 ყმური წესწყობილების შექმნას და გაძლიერებას. შესა-
 ნიშნავი აქ მხოლოდ ის გარემოებაა, რომ ეს პროცესი
 გაგრძელდა დიდხანს. ბატონ-ყმური ხანა გამოიარა თით-
 ქმის ეროვნის ყველა დაწინაურებულმა ხალხმა, მაგრამ
 არსად ამ წესწყობილებას არ უცოცხლია ისე ხანგრძლი-
 ვად, როგორც ჩვენში. ვინ იცის, კიდევ როდემდი იცი-
 სლებდა ჩვენში ბატონ-ყმობა, რომ მეცხრამეტე საუკუნის
 დასაწყისს ჩვენი ხალხის პოლიტიკური მდგომარეობა ძი-
 რეულათ არ შეცვალა. ბატონ-ყმობის განვითარება
 და იმავე დროს მისი გაქარწყლება ყოველგან დააჩქარა
 ვაჭრობისა და მრეწველობის აღორძინებამ და ეგრედ წო-
 დებული მესამე წოდების შექმნამ და განვითარებამ. სამ-
 წუხაროდ, ჩვენში საკმარისად ვერ განვითარდა ვაჭრობა-

მრჩველობა, და მაშასადამე, ვერც მესამე წოდება. მართალია, უძეველეს დროში, ისტორია გადმოვცემს, რომ ძველ კოლხიდელებს საკმარისად განვითარებული აღებიცემობითი დამოკიდებულება ჰქონდათ უცხო ქვეყნებთან და ერებთან, როგორც, მაგ., ფინიკიელებთან, ეგვიპტელებთან და ინდოეთთან, მაგრამ შემდეგ ხანებში ეს საქმე თანდათან სუსტდება და თითქმის სრულებით ქრება. აქედან ადვილად აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი ხალხის წარსულმა ცხოვრებამ არ იცის არავითარი პოლიტიკური გინდ წმინდა გონიერი ხასიათის მოძრაობა, ასე რომ ქართველი ხალხის მთელი შინაური ცხოვრება წარსულში მხოლოდ ბატონ-ყმური წესწყობილების გარშემო ტრიალებს, ყოველივეს მისი დაღი ასეია, ყველაფერი იმით არის გაედენთილი და შემურევილი. სამწერხარილ, ბატონ-ყმობის ისტორია ჩვენში ჯერ არ დაწერილა, ასეთი ისტორია კი მეტათ საინტერესოა მეცნიერულათაც. ამ წიგნაკში ჩვენ გვსურს გავაცნოთ მეითხველს ერთი მწერალი, რომელმაც ჩვენში პირველად იმოიღო ხმა ბატონ-ყმური წესწყობილების წინააღმდეგ, რომელმაც პირველად დაგმო ეს წყობილება და რომელმაც საზოგადოებას გადაუშალა მისი შემაძრწუნებელი და აუტანელი შხარები. ამ-მწერლის სახელი დანიელ კონქაძეა.

მისი ერთად-ერთი მოთხრობა — „სურამის ციხე“ — ერთ და იმავე დროს აშეარა პროტესტიც არის ამ საზარელი და აღამიანის ლირსების შემარცველები წესწყობილების წინააღმდეგ და მისი ზოგიერთი მხარეების კოცხალი და ნამდვილი სურათიც, თუ როგორი იყო

და რას წარმოადგენდა ბატონიშვილი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში.

დანიელ ჭონქაძის მოთხოვნა შესანიშნავია არა მარტო როგორც ხელოვნური ნაწარმოები, არამედ კიდევ უფრო, როგორც ისტორიული დოკუმენტი. მისი გარჩევა და დაწერილებით გინხილვა გადაგვიშლის რამდენიმედ იმ სურათის ერთ კუთხეს, რომელსაც ბატონ-ყმობა ეწოდება და რომელიც ჯერ ჩვენთვის სქელი ბურუსით არის გარემოცული, მაგრამ სანამ ამას შევუძღვოდეთ, მე შევეცდები მეთხველს გავაცნო თვით ამ მოთხოვნის აეტორის ცხოვრება. ამას მით უფრო სიამოვნებით გასრულებ, რომ დღემდის ჩვენს მწერლობაში ამ შესანიშნავი პიროვნების შესახებ თითქმის არაფერი ცნობა არ მოიპოვება^{*)}).

^{*)} დ. ჭონქაძის და მისი „სურამის ციხის“ შესახებ ქართულ მწერლობაში გარდა ქვერელი ბეჭასი (ფსევდონიმია ანტ. ფურცელაძისა) და გ. თემანოვის წერილისა დღემდის თითქმის არავითარი ცნობა არ არსებობს. პირველი ავტორის წერილი დაბჭყდილია უერ. „ცისკარში“ 1863 წ.; ამ წერილში გარჩეული და დაფასებულია „სურამის ციხე“, როგორც მოთხოვნა. ბ-ნ გ. თემანოვის წერილში გას. „დროება“ 1875 წ. №№ 117—119), სხვათა შორის, მოცვანილია ზოგიერთი ცნობა დ. ჭონქაძის ცხოვრების შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, სრულებით სიმართლეს მოვლებული, როგორც ჩვენ ამას თავის დროს დაეინახავთ. ამ ცნობების თანახმად შედგენილია ბ-ნ ა. ხახანაშვილის წერილი დ. ჭონქაძის შესახებ რესულ ეფუძნალ „Русская мысль“-ში (1902 წ., № 8).

ა ს ა ლ ი შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამას უნდა დაუმატოთ კიდევ შემდეგი: ამ უკანასკნელ დროს დ. ჭონქაძეზე აღმოჩენილ ახალ მასალებში, რომ დღებიც შეიცავენ სხვადასხვა ცნობებს ჭონქაძის ცხოვრების შესახებ. ახალი არაფერია გარდა ერთი ცნობისა, რომელიც გვეუბნება, რამ აღმოჩენილია ჭონქაძის ახალი ხელნაწერი.

დანიელ ჭორეაძის ცხოვრება.

(1830—1860 წ. წ.).

დანიელ ჭორეაძე დაიბადა 1830 წელს^{*)} სოფ. ყვავილაში, რომელიც დუშეთის მაზრაში მდებარეობს (ტფილისის გუბ.) ^{**}). ჩამომავლობით დანიელი გლეხი იყო, და თუმცა ის სასულიერო წოდებაში ირიცხებოდა, მაგრამ მას მაინც

^{*)} ერთი თეთრიალური საბუთი, რომელიც დანიელის სამსახურის აღწერას შეიცავს, გვეუბნება, რომ ეითომც 1839 წელს დანიელი, როცა ის სასწავლებელში მიაბარეს, ყოფილიყოს 14 წლის. თუ ამ წყაროს დაუკვრეთ, მაშინ გამოვა, რომ დანიელი უნდა დაბადებულიყო 1825 წელს; მაგრამ რადგანაც ამას ეწინააღმდეგება ყველა დანარჩენი წყაროები, ამიტომ ჩვენ ამაზე არ ვემყარებით. შემდეგ ჩვენ გავიგებთ, თუ საიდან წარმოდგა ეს წინააღმდეგობა.

^{**) დანიელ ჭორეაძის ცხოვრების შესახებ ცნობები ჩვენ შევკრიბეთ უმეტეს ნაწილად მის ნათესავთა და ნაცნობთა შორის 1897—98 წლებში, ტფილისში. აქ გამსაკუთრებული ყურადღების ღირსია, ერთი მიზრით დან. ჭორეაძის დის, ქ-ნ ეკატერინეს, და, მეორე შერით, დანიელის მახლობელი მეცნიერის ბ-ნ იოსებ ინდუშევის ნამიზობი. ორივე ეს პირები ცნობის გამოყითხვის დროს ღრმა მოხუცებულები იყვნონ, მაგრამ დანიელის სსნოვნა ისე ცოცხლად და ნათლად ჰქონდათ თავის მესიერებაში დაცული, რომ ასე გეონებოდათ, ყოველივე ეს თითქო გუშინდელი ამბავიათ, მიუხედავად იმისა, რომ დანიელის სიკედილის შემდეგ თითქმის 30 წელიწადი იყო გასული. გარდა ამისა, ზოგიერთი საინტერესო ცნობები ტფილისის სემინარიის და საქართველოს სინოდალური კანტორის არქიციდან გვაქვს ამოღებული. დასასრულ, მადლობის ღირსია აგრეთვე ბ-ნი ს. ჭიჭინაძე, რომელმაც ამ მიზნისათვის გვათხოვა თავისი თრი}

გლეხად მიაჩნდა თავი, რაც დაამტკიცა მით, რომ 1856 წელს 31 იანვარს უწმინდესი სიხოდის დადგენილებით თავისივე თხოვნით ის გამორიცხულ იქნა სასულიერო წოდებიდან.

მეორე მხრით, უადგილო არ-იქნება შევნიშნოთ აქვე, რომ დაბალი სამღვდელოება, რომელსაც დ. ჭონქაძე დაბადებით ეკუთვნოდა, თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით ბევრით არაურით განირჩეოდა გლეხკაცობისაგან, რომელიც იმ დროს ბატონ-ყმობის მძიმე ულლის ქედზე იზინიქებოდა; ეს ულელი დაბალ სამღვდელოებასაც აწვა თავზე.

ცნობილია, რომ საქართველოში თავადებს თავის უმებად ყავდათ სასულიერო პირებიც, თუმცა 1808 წელს რუსეთის მთავრობამ ეს უკანასკნელნი გაანთავისუფლა უმობიდან, მაგრამ ბატონ-ყმური დამოკიდებულება სასულიერო პირებსა და თავად-აზნაურობას შორის ფაქტიურად

ხელ-ნაწერი: ერთი ბატონ-ყმობის შესახებ და მეორეც თვით დ. ჭონქაძეზე. საჭიროდ ვთლით აქვე აღნიშნოთ ის გარემოება, რომ, სამწევაროდ, ჩვენ ერთ ჩაეიგდეთ ხელში ერთ ერთი ხელნაწერი რომელიც დანიკელის ხელით ყოფილობოს დაწერილი. თქმა არ უნდა, რომ ეს დიდი დანაკლისია მისი ბიოგრაფიის საესებით შესადგენად. დანიკელის ერთათ-ერთმა შვილმა გიორგიმ, რომელსაც ჩვენ ამის შესახებ მოუმართეთ, შევეცატყობინა, რომ მამისაგან არაეკითარი ხელნაწერი არ დარჩენილა, გარდა თვით დანიკელის სურათისა, რომელიც დაუხატავს დანიკელის სიცოცხლეშივე სემინარიის მხატვერობის მასწავლებელს ფორმუნატოვს. ეს სურათი მან მაშინვე გამოუგზავნა წერა-კითხვის გამაცერებულებელ საზოგადოებას გადასაღებათ.

ა ხ ა ლ ი შ ე ნ ი შ ე ნ ა. მიუხედავად იმისა, რომ ამ წიგნის დაწერის შემდეგ გავიდა 26-27 წელიწადი, საკითხი, თუ რომელ წელს დაიბადა დ. ჭონქაძე, საბოლოოდ დღემდისაც არაა გამორკვეული.

შენარჩუნებულ იქნა თეით ბატონყმობის გაუქმებამდე. გარდა ამისა სასულიერო წოდება თავის თავად წარმოადგენდა თავისებურ კიბეს, რომლის მაღალი საფეხურები, ე. ი. ეპისკოპოსობა, მიტროპოლიტობა და კათალიკოსობა, ეჭირათ განსაკუთრებით გამოჩენილ გვარების პირთ *) და დაბალი წოდების პირნი იქ ძლიერ იშვიათად შესკუპლებოდენ.

ამნაიოად, დ. კახეასე თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით და ცხოვრების პირობებით მეტიდროდ დაკავშირებული იყო გლეხ-ჯაუბასთან. ამ გარემოებაზე ჩვენ განვებ შევაჩერეთ მყითხველის ყურადღება, რადგანიც ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დანიელის ცხოვრებაში.

დ. ჭონქაძის მიმას ერქვა გიორგი; მაზე ჩვენ ვიცით მხოლოდ შემდეგი: სწავლა მიუღია ნათლის-მცემლის მონასტერში, რის შემდეგ გაუმჯესებიათ მღვდლად. გასული საუკუნის ოცდამეათე და მეორმოცე წლებში იგი მსახურობდა მისიონერად ოსეთის სასულიერო კომისიაში. ამ სამსახურში მან გამოიჩინა შესანიშნავი შხნეობა და ბოლოს მას თავიც გადააყოლა. საზოგადოდ წასული საუკუნის 30—40 წლები დიდი მოუსვენარობის და შფოთის დრო იყო მთიულებში. ეს ნახევრად ველური ხალხი, მაპმალის

*) 1798 წელს ნიქონის კათედრა თავისუფალი ეყო; ამისათვის იშუამდგომლეს, რომ ეს ეპარქია მიცემოდა დიონისეს, თავად ციცი-შვილთა ნაყმევს. მავრამ ამაზე გიორგი XIII-ემ უარი თქვა მხოლოდ იმიტომ, რომ ეპისკოპოსი საკიროა „გვარით განთქმული კაცო“.
იხ. პ. იოსელიანი: „გიორგი მეფის ცხოვრება“, გვ. 198. ავტორი იქვე დასტენს: „საზოგადოდ მეფენი არა ადეილათ უბოძებდენ გლეხთა და აზნაურთავანს კათედრასაა“.

სარწმუნოებით გაელენთილნი, უკანასკნელ სისხლის წვე-
თამდის ეწინააღმდევებოდენ რუსეთის მორჩილებას. სხვა-
თა შორის, ქრისტიანობის გავრცელება მიაჩინდა მათ ასე-
თი დამორჩილების ერთ-ერთ იარიათ. მაშა გიორგი
შეიქნა იმათი ფანატიკოსობის მსხვერპლი: 1845 წელს,
სოფ. გიგარში (ოსეთში), გზაზე მას თავს დაესხა ფანა-
ტიკოსთა ბრძო და სიცოცხლეს გამოასალმეს.

შვიდ წლამდის დანიელი ცხოვრობდა თავის სამშობ-
ლო სოფელში — ყვავილში, დედასთან. დანიელის დედა,
მელანია, მეტად კეთილი ადამიანი ყოფილა: მას ჩაუნერ-
გავს თავის ერთად-ერთი ვაჟისათვის — დანიელისათვის
ბევრი ისეთი თვისებები, რომლებმაც შემდეგ კეთილი ნა-
ყოფი გამოიღო. დანიელს პატარობიდანვე ეტყობოდა შე-
სანიშნავი დაკვირვების ნიჭი და მკერცხლი გონება.
1837—38 წლამდის დანიელი იზრდებოდა განსაკუთრე-
ბით თავისი დედის გავლენის და მზრუნველობის ქვეშ.
ამ ხანებში მამა გიორგის თავის თვალი გადაუყვანია ვლა-
დიკავკავში, სადაც იგი იმ დროს მსახურობდა. ამით,
სრულიად ნორჩი ბავშვი მოშორდა როგორც თავის სამ-
შობლო სოფელს და ოოლ-ამხანაგებს, ისე ყოველივე იმის,
რაც შეადგენდა მისი მონათესავე ხალხის მწუხარებას თუ
სიხარულს, ზნე-ჩვეულებას და ხასიათს. ამ გარემოებას
თავისი კვალი უნდა დაემჩნია ბავშვის აღზრდა-ვანეოთა-
რებაზე. ცხოვრებაში კაცს იმდენი მოულოდნელი და
უნებლივეთი ნაბიჯის გადადგმა უხდება, რომ ძნელია იმის
გადაჭრით თქმა: ეს სასარგებლო იყო და ეს უსარგებლოო.
ამიტომ ჩვენ არაფერს ვამზობთ: სასარგებლო იყო თუ არა
დანიელისთვის სამშობლო სოფელთან დაშორება.

ვლადიკავკავში გადასახლების შემდეგ პატარა დანიელშა
 სულ მოკლე ვადაში იმდენად შეითვისა ოსური ენა, რომ
 ჩქარა დაიწყო მაზე ლაპარაკი. ამის მიზეზი ის იყო, რომ
 მის მამასთან, როგორც მისიონერთან, ხშირი მისელა-
 მოსელა და დამოკიდებულება ჰქონდათ ოსებს. აქევ შევ-
 ნიშნავთ, რომ შემდეგ დანიელშა ისე შეითვისა ოსური
 ენა, რომ ეს უკანასკნელი გახდა თითქმის მის მეორე სამ-
 შობლო ენად. მაშინდელი დროის მიხედვით, როცა 15—20
 წლის ყმაწვილი კაცი აწყებინებდენ სწავლას, დანიელს შე-
 დარებით ძლიერ ჩქარა დაებადა სკოლაში შესვლის სურ-
 ვილი, ქართული წერა-კითხვა მან კიდევ თავის სამშობ-
 ლო სოფელში ისწავლა დედისაგან. სკოლაში შესვლას კი
 მშობლები ავეთანებდენ, რადგანაც რვა-ცხრა წლის ბავშვს
 სასწავლებელში იმ დროს არ ღებულობდენ. როგორც
 იქნა, 1839 წელს დანიელი შევიდა ვლადიკავკავის სასუ-
 ლიერო სასწავლებელში, როცა იგი ცხრა წლის იყო.
 ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ წლოვანებას არ
 დაებრკოლებია, მშობლებმა ის 14 წლის გამოიყვანეს^{*)}).

პატარა დანიელი ისე დაეწაფა სწავლას, როგორც
 დიდი ხნის მოწყურებული კაცი დაეწაფება ხოლმე ცივ
 წყალს. ამიტომ არა თუ მშობლები, თვით მასწავლებლე-
 ბიც იძულებული იყვენ დაეშალათ მისთვის მეტის-მეტი
 მეტადინეობა. ბუნებით ნიჭიერი და სწავლას მეტათ მო-
 წყურებული დ. ჭონქაძე საუკეთესო და სამაგალითო მო-
 წაფე იყო მთელ სასწავლებელში. ვლადიკავკავის სასუ-

*) აქედან აისანებმ ის გარემოება, რომ ქრთვით თვითკიალურ
 საბუთის ქაღალდში დანიელი 1839 წელს 14 წლისათ არის გა
 მოყვანილი.

ლიერო სასწავლებელში მან სწავლა დაასრულა 1845
 წელს და იმავე წელს გადმოეციდა ტფილისის სასულიერო
 სემინარიიაში. სემინარიიაში სწავლის დროს დანიელის ცხოვ-
 რებაში შესანიშნავი არათერი მომხდარა; აქ იგი ითვლე-
 ბოდა არა მარტო ნიჭიერ და სამაგალითო შეგირდათ,
 არამედ კიდევ უფრო საუკეთესო ამხანაგადაც. უნდა ვი-
 ფიქროთ აგრეთვე, რომ დანიელს სემინარიიაში უოფნის
 დროს თვითვანებითარებისთვისაც უნდა მოეკიდებიოს ხელი,
 რაც იმ დროს ახალი ხილი იყო მოსწავლეთათვის. იმავე
 დროს იგი უფრო ახლო ეცნობა მაშინდელ ჩვენს ცხოვ-
 რებას, რომელსაც იგი დაშორებული იყო მთელი რვა წლის
 განმავლობაში და რამდენიმედ ქართულ მწერლობასაც.
 მხოლოდ ამით აისხება ის ღრმა ინტერესი და ხალისი,
 რომლითაც სწავლის დამთავრების შემდეგ, დ. ჭონქაძე
 უკვირდებოდა ჩვენი მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვ-
 რების მოთხოვნილებათ და ქირ-ვარაშს; და იმავე დროს
 ცდილობდა მშრომელი ხალხის გლეხ-კაცობის მონური
 მდგომარეობიდან დახსნას.

1951 წელს, 11 სექტემბერს, სემინარიიაში სწავლის და-
 სრულებისთანავე, ადგილობრივი სასულიერო მთავრობის
 განკარგულებით, დ. ჭონქაძე დაინიშნა ოსური ენის მას-
 წავლებლად სტაციონალის სემინარიიაში, სადაც ის დარჩა
 სამ წელიწად ნახევარს, ე. ი. 1855 წლის 5 აპრილამდის,
 როცა იგი ხელახლა გადმოიყვანეს იმავე საგნის მასწავ-
 ლებლად ტფილისის სემინარიიაში. ტფილისში გადმოყვანა
 დანიელისათვის უიკელად ძლიერ სასიამოვნო მოყლენად
 უნდა ჩაითვალოს მთელ მის ცხოვრებაში. ნათესავებსა
 და ნაცნობებს გარდა აქ მას სხვა საქმე იზიდავდა, სხვა

სამსახური იწვევდა. ეს იყო მოღვაწეობა საზოგადოებრივ
ასპარეზზე, რაც მას დიდი ხანია სწადება და რაც შევრად
უფრო შესაძლებელი იყო ტფილისში, სადაც იმ ხანებში
ნელ-ნელა ცხოვრება იღვიძებდა. მაგრამ პირველად აქ მას
გადმოსცლისთანავე დიდი უბედურება შეემთხვა. არ გა-
სულა მისი გადმოყვანის შემდეგ ცხრა თვე, რომ დანიელს
მოუკვდა საყვარელი მეუღლე, რომელიც გან სტაციო-
პოლში შეირთო და რომელიც გარდაიცვალა ძეობიდან
განთავისუფლების შემდეგ, დაუტოვა რა თავის ქმარს ერ-
თად ერთი ვაჟი გიორგი. მართალია, ცოლის დაკარ-
გვამ სამუდამოდ მოუშაამა დანიელს სიცოცხლე, მაგრამ
სასოწარკვეთილებას იგი არ მისცემია: იგი შეუდრიელად
მიღიოდა ერთხელ არჩეული გზით.

უწინარეს ყოვლისა დანიელის საზრუნავ საგანს შეა-
დგენდა მისი ნიეთიერი მდგომარეობის გაუმჯობესება. სემინარიაში სამსახურისათვის ის ღებულობდა წელიწალში
სულ 200 მანეთს; ეს მას ვერ აქმაყოფილებდა, ამიტომ
იძულებული შეიქნა გარდა ამისა კიდევ სამსახური ეშვე-
ნა. აქ მას უშველა ოსური ენის ცოდნამ. სასულიერო მთავ-
რობას იმ დროს ძლიერ ესაჭიროებოდა ოსური ენის მცოდ-
ნე და დ. ჭონქაძე ამ მხრით ყველაზე უფრო გამოსადეგი
იყო. დანიელს ჩქარა მისცეს ადგილი სინოდალურ კან-
ტორაში, ჯერ კერძოთ და 1859 წლიდან კი ჩარიცხულ
იქნა შტატში, როგორც მაგიდის უფროსი. აქ მეტად სწყა-
ლობდა მას სინოდალური კანტორის პროკურორი ტიუ-
რინი, რომელმაც მიანდო დანიელს, სხვათა შორის, საეკ-
ლესიო წიგნების თარგმნა ოსურ ენაზე. ტიურინის წინა-
დადებით დ. ჭონქაძემ გადათარგმნა ოსურ ენაზე რამ-

დენიმე საეკლესიო წიგნი, სხვათა შორის, კურითხევანი, რისთვისაც მან მიიღო ჯილდო 350 მანეთი. ტიურინისავე წინადადებით დაიწყო მან რუსულ-ოსურ ლექსიკონის შედეგინა, მაგრამ ჩენ არ ვიცით, თუ რა ბედი ეწია ამ შრომას.

ამნაირად, ნივთიერად დ. ჭონქაძე შედარებით უზრუნველყოფილი შეიქნა, მაგრამ მას შემდეგ მას ბევრი ალარ უცოცხლია. გამუდმებულმა და მძიმე შრომამ ლუმა პურის მოპოვებისათვის, ცალკე სემინარიაში, ცალკე სინოდალურ კანტორაში და იმავე დროს საეკლესიო წიგნების თარგმნამ ოსურ ენაზე, გაფაციცებით მეცადინეობაშ თვითგანვითარებისათვის, და მთელი ლამების თენებაშ „სურამის ციხის“ წერის დროს, რადგანაც სხვა დრო მას არ ჰქონდა, სრულებით გასტრეხს და მოშალეს ახალგაზრდა დანიელი, რომელიც ის-ის იყო გამოვიდა საზოგადოებრივი მოლევაწეობის ასპარეზზე.

დ. ჭონქაძე გარდაიცვალა 1860 წელს 16 ივნისს ჭლეჭისაგან, რომლის უტყუარი ნიშნები მას ერთი წლის წინად დაეტყო. სიკვდილის წინ მთელი ექვსი თვის განმავლობაში ლოგინიდან აღარ ამდგარა. როცა დანიელი იწვადა სიკვდილს ებრძოდა, ამ დროს მას ტფილისში მოკვლას პირდებოდა მაშინდელი თავად-აზნაურობის ერთი ჯგუფი, რომელმაც, როგორც სარკეში, ისე დაინახა თავის თავი „სურამის ციხეში“*).

ძნელი სათქმელია, თუ რით დაბოლოვდებოდა დ. ჭონქაძის წინააღმდეგ აღშფოთება, რომ ულმობელ სენს იგი სამუდამოდ არ წაერთმია ქართველი ხალხისა და მწერ-

*) იხ. ამის შესახებ წერილი ქერელი ბექასი (ფსევდონიმი ანტონ ფურუცელაძისა) უურ. „ცისკარში“ 1863 წ.

ლობისათვის. დ. ჭონქაძემ რომ დიდი უკმაყოფი-
ლება და ღრმულინება გამოიწვია „სურამის ციხის“ დაბეჭ-
დვით მაშინდელი საზოგადოების გავლენიან ნაწილში, ეს
სხვათა შორის, იქიდანაც მტკიცდება, რომ უურ. „ცის-
კრის“ რედაქტორს, ი. კერესელიძეს, რომელიც დანი-
ელს დიდ პატივს სცემდა, მისი გარდაცვალების ამბავი
ერთი სიტყვითაც არ მოუხსენებია თავის ეურნალში, რო-
მელიც, ნუ დაივიწყებთ, ერთ-ერთი დრო-გამოშეებითი
გამოცემა იყო მაშიმ ჩვენში. ასეთი გარემოება, ჩვენის
აზრით, მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ ი. კერესელიძემ
ამჯობინა სრული სიჩუმე იმ კაცის გარდაცვალების შე-
სახებ, რომელსაც იგი დიდათ აუასებდა და ლრმა პატივს
სცემდა, ვიდრე იგი ცუდად მოეხსენებია, ვინაიდან, წინა-
აღმდევ შემთხვევაში დ. ჭონქაძის მტრები მთელ თავიანთ
შურის-ძიებას თვით მასზე გადაიტანდენ. კერესელიძის-
თვის ისიც საქმარისი იყო, რომ „სურამის ციხის“ გამო-
დიდი საყვედური მიიღო და ზოგიერთებმა ეურნალის გა-
მოწერაზედაც უარი განაცხადეს, რაც, თავის თავად იგუ-
ლისხმება, მისთვის დიდი დასჯა იყო.

აი უმთავრესი ფაქტები „სურამის ციხის“ აეტორის
ცხოვრების შესახებ *), რომლებიც ჩვენ შევკრიბეთ.

*) დანიელ ჭონქაძე მარხია ტფილისში, ერის სასაფლაოზე, თა-
ვის ცოლის გევრდით. ეს ორივე საფლავი შემოლობილია რეიის მე-
სერით. დანიელის საფლავს მაღლიდან ადგეს საქმარისათ სქელი
თუჯი ფიცარი შემდეგი ზედწარწერით: „Здесь погребен Даниил
Георгиевич Чонкадзе. Родился в 1830 году. скончался 16
июня 1890 года“. მისი ცოლის საფლავს ადგეს უბრალო ქვის ფი-
ცარი ამნაირივე წარწერით. დანიელს სიკვდილის შემდე რაც კი
რამ მას დარჩენია, მის ნათესავებს და მცენობრებს ყოველივე გაუ-

აშეარაა, რომ ეს ცხოვრება გარეგანი გამოხატულებით,
 ფაქტებით, არ ყოფილა მდიდარი და ეს გარემოება არა
 თუ ჩრდილავს თვით დ. ჭონქაძის ცხოვრებას, მის სულიერ
 ზეობრივ სახეს, არამედ ის დიდ გასაჭირში აყენებს მის
 ბიოგრაფისაც, რომელსაც ამის გამო არ შეუძლია გადაუ-
 დოს მკითხველს მისი ცხოვრების მთელი სურათი, ჩა-
 ისულოს ის მის სულის მოძრაობაში, გააცნოს საკსებით
 მისი განზრახვანი, იდეები და მისწრაფებანი. სამწუხაროდ,
 ეს ასეა, და ამის მიზნი კი თვით ჩვენი საზოგადოებ-
 რივი ცხოვრებაა, რომელიც საზოგადოთ ყოველთვის შე-
 ტად ვიწრო ფარგალში იყო მომწყვდეული და ამიტომ
 იგი, ე. ი. ცხოვრება, ადამიანის პირად მოქმედებასაც
 მეტად ვიწრო სარბიელს ანიჭებდა. ჩვენში ყოველთვის
 შეზღუდული ყოფილა პიროვნების თავისუფალი მოქმე-
 დება, მისი ნიჭის სრული გაშლა, მის მისწრაფებათა და
 იდეათა საკსებით და დაუბრკოლებლად გამომელავნება.
 დ. ჭონქაძის შესახებ ეს მით უფრო ითქმის, ვინაიდან ის
 გარდაიცვალა ისე, რომ მის ლიტერატურულ ნიჭს გა-
 ფურჩქვნა არც კი დასცლია. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ
 იმ მწერალს, რომელიც პირველი ლიტერატურული ნაწარ-
 მოები „სუსამის ციხეა“, მომავალში ბევრი რამის შექმნა
 შეეძლო. და მართლაც, ივ. ქერქელიძის გადმოცემით,
 როცა ცენზორს „სურამის ციხის“ დაბეჭდვაზე ნება და-

ყიდიათ დასაფლავების და ძეგლის გაკეთების სარჯის დასატარებად.
 ალბათ ამით აისწნება ის გარემოება, რომ დანიელის სიკედილის
 შემდევ არავითარი სელნაწერი არ დარჩენილა, ვინაიდან ჩვენთვის
 წარმოუდგენელია, რომ „სურამის ციხის“ აეტონს არ ქონისოდა
 რაიმე ნაწერი, თუ დამთავრებული არა, დაწყებული მაინც.

ურთავს, დ. ჭონქაძეს მაშინვე განუზრახავს მეორე მო-
თხოობის დაწერა, სათაურით „ფისი ბრალია“, რომელიც
შიაც ავტორი ბევრად უფრო ფართოდ და ვრცლად უნდა
შეხებოდა იმავე საგანს, რომელიც შეადგენს მისი პირ-
ველი მოთხოობის უმთავრეს შინაარსს, ე. ი. ბატონ-ყურ-
ურთიერთობას. მაგრამ რამდენადაც ჩვენ ვიცით, დანიელი
ისე გამოესალმა სისოცხლეს, რომ ამ მოთხოობის დაწყე-
ბაც ვეღარ მოასწორო.

დ. ჭონქაძის მოვლინება ქართულ მწერლობაში პირ-
ველი შეხედვით გასაკვირალია, მისი მონაწილეობა ქარ-
თულ მწერლობაში მიემსგავსება ისეთი გარსკვლავის გა-
მოჩენას ცის სიცრუეში, რომელიც გაანათებს თუ არა,
ისევ სამუდაშოდ ქრება. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ,
რომ დ. ჭონქაძემ თავისი „სურამის ციხით“ დასტოად ქარ-
თულ მწერლობაში გაუქრობელი სხივი, სანამ ქართული
მწერლობის ხსენება არ მოისპობა. მაგრამ დ. ჭონქაძე
შესანიშნავია არა მარტო იმით, რომ მან დასწერა „სურა-
მის ციხე“, არამედ კიდევ უფრო თავის პიროვნებით, თა-
ვის ჩამომავლობით და პირადი ლიტსებით. იგი შესანიშნა-
ვია არა მარტო იმით, რომ მან პირველმა აღძრა ჩვენში
ლაპარაკი ძირითად საჭირ-ბოროტო საგანზე, არამედ მით,
რომ იგი გამოვიდა ისეთი წრიდან, საიდანაც მანამდე ჩვენ-
ში საზოგადო მოღვაწენი არ გამოდიოდენ, ვინაიდან
ეს წრე ამის შესაძლებლობას არ იძლეოდა. დ. ჭონქაძის
გამოსკვლა საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე მოასწავებდა
იმას, რომ ასეთი ნიადაგი უკვე მზადდებოდა ჩვენშიაც.
ამ ახალი ხანის, ახალ-წყების მოღვაწეთა წინამორბედათ
შეიქნა დ. ჭონქაძე, ე. ი. ის, ვინც ნამდვილი ხალხის შეი-

ლი. იყო, ხალხის წიაღიდან გამოსული. როცა თქვენ აკ-
ვირდებით და სწავლობთ ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას
ამ 50 წლის წინათ, განსაკუთრებით ჩვენ მაშინდელ მწერ-
ლობას, თქვენ დაინახავთ, რომ დ. ჭონქაძე ჩვენ მწერლო-
ბაში დგას სრულიად განმარტოვებული. მაშინდელ ჩვენ
მწერლებთან მას საერთო არაფერი აქვს. ის არა გაეს
მათ არც ჩამომავლობით, არც ზნე-ჩვეულებით და უმთავ-
რესად, არც თავის ნაწარმოების შინაარსით და მიმარ-
თულებით. ჩამომავლობით ის ეკუთვნის დაბალ წოდებას,
ე. ი. გლეხ-კაცობას, რომელსაც ბატონ-ყმობის ულელი
აწვა კისერზე. მაშინდელი ჩვენი მწერლები უმეტეს ნა-
წილად თავად-აზნაურები იყვენ, და თუ ზოგიერთ მეტად
იშვიათ შემთხვევაში ისინი სხვა წოდებიდან გამოდიოდენ
მაინც მაღალ საზოგადოებაში ტრიალებდენ. დ. ჭონქაძე
კი ყველა ამაებისაგან შორს იდგა და ერთხელაც არ
უფიქრია ამ მაღალ საზოგადოებასთან დაახლოება, ის
მხოლოდ ერთათ-ერთი ფიქრით, ერთად-ერთი აზრით იყო
აღჭურეილი — დამონებული და დაწაგრული ხალხის აუტა-
ნელი მდგომარეობით. აქ მას არ ეტყობოდა რყევა, ორ-
პირობა, ორ-აზროვნება; მისი განზრახვა, წადილი და
მისწრაფება აშკარაა; იგი ესარჩილება შეურაცყოფილს და
შევიწროვებულ ხალხს. ამ შემთხვევაში მეტად საგულის-
ხმოა ის გარემოება, რომ შეურაცყოფილი და მიწასთან
გასწორებული ხალხის გამოსარჩილება პირველად იქისრა
თვით ამავე ხალხის ნამდეილმა შვილმა, რომელიც თვით
ამ შეურაცყოფილი და ტანჯული ხალხიდან იყო გამოსუ-
ლი. ეს გამოსარჩილება არ ყოფილა გამოწვეული არც
საქველმოქმედო მიზნით და არც თავის მოსაწონებლად,

რაც ცალიერ სიტყვებს გარდა არაფერში არ იხატებოდა, როგორც იყო გლეხების გამოსარჩევება ზოგიერთ თავად-აზნაურ მწერალთა მხრით. არა, დ. ჭონქაძის გამოსარჩევება ყველა ამ თვალთ-მაქტობას და ფარისევლობას სრულიად მოკლებული იყო; ის იყო გაქირვებული და ტანჯული ხალხის გულიდან ამონახეთქი ხმა და ამიტომ ეს ხმა, როგორც ლახვარი, ისე მოხვდა ყველას, ვისაც მის ტანჯვაში და წვალებაში ბრალი ედვა.

მაგრამ ამისათვის არ კმაროდა მარტო ცხოვრების ცოდნა და დაწაგრულისადმი თანაგრძობა; ამისათვის საჭირო იყო ნათელი გონება და ფხიზელი შეხედულება, ე, ი. საჭირო იყო კაცი, რომლის გონება არ უნდა ყოფილიყო შებოჭილი ბატონ-ყმური შეხედულებით და თავად-აზნაურული იდეებით. ასეთი კაცი გამოდგა დ. ჭონქაძე, რომელსაც პატარობიდანვე ჩაბეჭდილი ჰქონდა გულში იმ დროს არსებული ბატონ-ყმური წესწყობილების შემაძრწუნებელი მხარეები. რაც დრო გადიოდა და დ. ჭონქაძის განათლება და თვითგანვითარება წინ მიღიოდა, ბატონ-ყმობის აუტანლობა მისთვის სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა. ბატონ-ყმობა შეიქნა იმ დროს ისეთი მძიმე უდელი ხალხისათვის, რომ მისი არსებობის გაგრძელება ხალხს პირდაპირ განადგურებას უქადდა. როცა კაცს რაიმე სიმძიმე აწევს თავზე, იმ დროს ის მხოლოდ ამ სიმძიმის თავიდან მოშორებაზე ფიქრობს, მისი ფიქრი და გონება მხოლოდ ამ ერთი აზრით არის გამსჭვალული, — და თუ როგორ იქნება მომავალში მისი მდგომარეობა, ეს გარემოება მას იმ დროს სრულებით არ აწუხებს. ასე იყო ამ შემთხვევაშიაც: დ. ჭონქაძე ფიქრობდა როგორმე შხო-

ლოდ ამ ბატონ-ყმობის მოსპობაზე, სხვა რამესე ფიქრი იმ დროს არ შეიძლებოდა. დიდი გაჭირება ან უბედურება ავიწყებიებს კაცს პატარა გაჭირვებას ან უბედურებას. „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენი ბედნიერება არ შეიძლება“, — ეუბნებოდა დურმიშანი თავის სატრეფოს და მისი პირით აქ ლაპარაკობს თვით აეტორი. მაგრამ ეს ისეთი დრო იყო, როცა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მოქმედება კი არა, ფიქრიც აკრძალული იყო და დანაშაულებად ითვლებოდა. ჩვენში ეს შაინც წარმოუდგენელი იყო.

სხვანაირ პირობებში იყო საქმე თვით რუსეთში. იქ ამ საზარელი წესშეყობილების წინააღმდეგ დიდი ხნიდან იბრძოდენ როგორც ფარულად, ისე აშეარად, როგორც მწერლობის საშუალებით, ისე სიტყვიერადაც. გასული საუკუნის მეორმოცე წლების სახელოვან მოლვაშეთა გუნდმა, რომელსაც ამშვენებდენ: გერცენი, ბელინსკი, სტანკევიჩი, გრანოვსკი, ტურგენევი და „შემდეგ უურნალ „სოვერემენიკი“-ის გამოჩენილი თანამშრომლები: ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი, თავის უპირველეს მიზნად ბატონ-ყმობის მოსპობა დაისახეს; ეს იყო მათი მოღვაწეობის პროგრამის პირველი მუხლი. დ. კონქაძე ეცნობა იმათ ნაწარმოებს ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის დროს შემდეგ როცა დანიელი სტავრპოლიდან გადმოიყვანეს და ის ტფილისში დასახლდა, მან შეაღგინა ახალგაზრდათა წრე, რომელიც იქრიბებოდა დანიშნულ დროს. ამ კრების დროს ეს ახალგაზრდები რუსეთის გამოჩენილ მწერლების შესანიშნავ ნაწერებს კითხულობდენ და იმათი გარჩევის და კრიტიკის დროს არკვევდენ და მსჯელობ-

დენ თანამედროვე საჭიროობოტო კითხვებზე, განსაკუთა-
რებით ბატონ-ყმობაზე. ჩვენ არ ვიცით ვისგან შესდგე-
ბოდა ეს წრე, ვიცით, მხოლოდ, რომ დანიელის გარდა
მაშინდელ ჩვენ მოღვაწეთაგან მხოლოდ ლ. ირდაზიანი
ლებულობდა იმაში მონაწილეობას. ბ-ნ იოს. ინდუაშვილ-
მა, რომელმაც ჩვენ დ. ჭონქაძის ცხოვრება გვიამბო და
რომელიც ზევით მოხსენებულ წრეში ლებულობდა მონა-
წილეობას, თავისი საუბარი ასე დაამთავარია: „ჟე! ბევრი
ბრწიყნვალე იმედები და განზრახვა გვეკონდათ. ამ სი-
ტყვებით იგი თითქო იმას ამბობდა, რომ ყოველივე ეს მხო-
ლოდ ამაოება იყო და დანიელის სიკდილთან ერთად ვა-
ჰქრა, ვითა სიზმარი ლამისო.

შაგრამ არა, უმნიშვნელოდ და უკვალიდ არაფერი არ ჩაიღლის: ადამიანის ყოველ-გვარ მოქმედობას, მის სულის-კვეთებას და თავ-განწირვას ყოველთვის რაიმე შედეგი მოსდევს. თუმცა იმ წრის არსებობა, რომელზედაც ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი, დიდ ხანს არ გაგრძელებულა, მაგრამ უნაყოფოდ იმას მაინც არ ჩაუკლია: დანამდევი-ლებით შევვიძლიან ვთქვათ, რომ „სურამის ციხი“-ს შე-ქმნაზე იმას საქმარისად დიდი გავლენა უნდა ჰქონოდა.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ დ. ჭონქაძის მნიშვნელობა მარტო „სურამის ციხით“ არ განიზომება. პირადად მას ისეთი მაღალი ლირსება ჰქონდა, რომ მისი ცნოვრება უნაყოფოდ არასოდეს არ ჩაივლიდა. სამწუხარო ის არის, რომ საზოგადო მოქმედებისათვის იმ დროს ჩვენში არ იყო ნიადაგი მომზადებული. ჩვენ ვიცით, მაგ., რომ ყოველ ზაფხულს, როცა დანიელს სამსახური ნებას აძლევდა, იგი დადიოდა თავის სამშობლო სოფელში, მიჰქონდა იქ სხვა-

დასხვა წიგნები, რომლებსაც უკითხავდა გლეხ-კაცებს და ამით სურდა გაეღვიძებია მათში წერა-კითხების შესწავლის სურვილი. მაგრამ ვინ არ იცის, რომ იმ დროს გლეხ-კაცებისათვის წერა-კითხების ცოდნა, კიდეც რომ შესაძლებელი ყოფილიყო, უსარგებლო იყო, ვინაიდან იმისათვის მას არც მოცალება ჰქონდა და არც გამოსადეგი წიგნები მოეპოებოდა.

II. დ. პონქაძის დრო

დ. ჭონქაძის ლვაწლს და მისი „სურამის ციხის“, მნიშვნელობას ჩვენ სავსებით ვერ დავაფასებთ, თუ წინასწარ ჩვენ რამდენიმედ არის მაინც არ გავეცნობით საზოგადომართო ცხოვრებას გასული საუკუნის პირველ ნახევარში. მიტომ ჩვენ განვიხილავთ აქ რიგ-რიგად შემდეგ კითხვებს: რა ყოფაში იყო იმდროს ჩვენში ბატონ-ყმური ურთიერთობა, რა ურთიერთობა, რას წარმოადგენდა მაშინდელი ჩვენი საზოგადოება და ლიტერატურა.

1. ბატონ-ყმობა.

ჩვენ აქ არ გამოუდგებით იმის გამორიებას, თუ ძველი დროში რანაირი ბატონ-ყმური ურთიერთობა არსებობდა საქართველოში, ან თუ როგორ გაიზარდა და განვითარდა ის ჩვენში. აქ ეხებით ჩვენ მხოლოდ იმას, თუ როგორი იყო და რას წარმოადგენდა ბატონ-ყმობა დ. ჭონქაძის დროს, ე. ი. მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ვიღრე მის გაუქმებამდე.

რაუსეთის მთავრობას დახვდა ჩვენში უკეთ დიდი ხნიდან წარმოშობილი და განვითარებული დამოკიდებულება

ბატონისა და ყმას შორის — ბატონ-ყმური ურთი-
ერთობა. რუსეთის მთავრობა, პირველ წლებში მაინც,
არაეითარ ცელილების მრხდენას არ ფიქრობდა ამ ურთი-
ერთობაში. 1801 წლის 12 სექტემბრის ცნობილ მანი-
ფესტში ნათქვაში იყო, სხვათა შორის, „შემდეგი: „ ყო-
ველი კაცი დარჩება თავის მდგომარეობის უპირატესო-
ბაში და თავის საკუთრებაში შეუხებლად-ო¹⁾). იმავე
მანიფესტის ძალით სისხლის სამართლის საქმეები საქარ-
თველოში უნდა გაერჩიათ თანახმად რუსეთის კანონებისა,
ხოლო სამოქალაქო სექმეები კი — თანახმად ვახტანგ VI
კანონებისა. ამ ნაირად ბატონ-ყმური ურთიერთობა და-
რჩა ისევ უშინდლურად თავის ძალაში. რაში გამოიხატება
ეს ურთიერთობა ქართველ მეუეების კანონებით? როგორი
გახადა ის ცხოვრებამ მე-XVIII საუკუნის ბოლოს?

ვახტანგ VI „დებულება“ პასუხს გვაძლევს პირველ
კითხვაზე. აქ ნაჩენებია გარკვევით, თუ რა უფლება პქონდა
მებატონეს თავის ყმაზე, და ან თუ როგორ ფასობდა
გლეხის სისხლი თავადის და აზნაურის სისხლთან შედა-
რებით. მართალია, ვახტანგის „დებულებაში“ მრავალ წი-
ნააღმდეგობას შეხედებით. იქ ერთი მუხლი ხშირად აუ-
ქმდებს მეორე მუხლის ძალას. მაგალითად, სენატურ
„დებულების“ მე-258 მუხლი ამბობს, სხვათა შორის, რომ
თუმცა ბატონის უფლებას ყმაზე არაეითარი საზღვარი
არა აქვს, მაგრამ ბატონს არ შეუძლია ყმა სიცოცხლეს ვა-
მოასალმოსო; მაშინ, როცა იმავე „დებულების“ მე-95,

1) „Каждый пребудет при преимуществах состояния своего и при собственности своей неприкосновенно“.

პირიქით, გვეუბნება: „ბატონშია რომ შართლაც შოჰელას
ან დააშახინჯოს თავისი ყმა, ამჟანასკნელს ან მის შემცვე-
დრეს, არავითარი უფლება არა აქვს ბატონს აშისთვის
რაიმე საზღაური მოსთხოვოსო“.

აქ საჭირო არ არის იმის განმარტება, თუ საიდან
წარმოდგა ვახტანგ VI ქანონმდებლობაში ასეთი წინაა-
ღმდეგობა ¹⁾. თავის თავად იგულისხმება, რომ ასეთი
წინააღმდეგობა სრულებით ხელს არ უშლიდა მებატონეებს
მოეხმარათ თავისი უფლება გლეხებზე ისე, როგორც მათ
სურდათ; თავიანთი უფლებების განხორციელების დროს
ისინი, ე. ი. მებატონეები, ხელმძღვანელობდენ „დებულე-
ბის“ იმ მუხლით, რომელიც მათ სასარგებლოდ ამბობდა.

აქ საჭიროა ვიცოდეთ, რომ გლეხი არა შარტო ნივ-
თიერად იყო დამოკიდებული მებატონეზე, ე. ი. თავისი
უძრავ-მოძრავი ქონებით და ცოლ-შეილით, მებატონე
იმავე დროს იყო ყოველგვარი დავა-საჩივრის გამრჩევილი,
შსჯავრის დამდები და თავის განაჩენას აშრულებელიც;
შხოლოდ სიკედილით დასჯის ნება არ ჰქონდა მებატონეს
კანონით, მაგრამ სამაგიეროდ კხოვრებამ და ჩვეულებამ
მას ეს უფლებაც მიანიჭა. მაგრამ ჯერ მთლად ის განვი-
ხილოთ, თუ თვით კანონის ძალით საღამდის მიღიოდა
ბატონის უფლება ყმაზე.

ვახტანგის დებულების § 162 ძალათ მებატონეებს
შეეძლოთ ყმების შეძენა და გაცემა ჩვეულებრივ ყიდვა-გა-

¹⁾ ეისაც ეს კითხვა აინტერესებს, იმას შეუძლია მიმართოს ამი-
სათვის ბ. ალ. ხახანაშეიღის წიგნს: „ბატონ-ყმობა საქართველოში
რუსეთთან შეერთებამდის“. ტურისი, 1890 წ.

ყიდვის თუ ბოძება-ჩუქებით. წწ 358 და 260-ით ბატონს შეეძლო თავისუფლათ ესარგებლნა თავის ყმის, როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონებით. ეს უფლება გამოთქმულია მთელი თავისი ძლიერებით ვახტანგის „დებულებაში“ ამნაირათ: „ყმის ყველა ბატონისა არისო“ (წ 258). დაურთეთ ამას წ 95, რომლის ძალით ბატონი განთავისუფლებული იყო ყოველის პასუხის გებისაგან, როცა მას ყმა შემოაკედებოდა ონ დაამახინჯებდა მას. თუმცა წ 201 ვახტანგის „დებულებისა“ ამბობდა, რომ ნურა კაცი თავის ყმას ნუ შეაწუხებსო“, მაგრამ ამას რა ძალა უნდა ჰქონოდა, როცა თვით კანონმდებელმა მისუა სრული საბუთი მებატონეთ თავისი შეხედულებით და სურეილისამებრ ეხელმდლვანელათ „დებულების“ სხვადასხვა მუსლით, როცა რა შოუხდებოდა. თავის წინასიტყვაობაში კანონმდებელი ასე მიმართავს მსაჯულთ: „მსაჯულნო“¹⁾, განიხილეთ და გასიხუეთ კანონები ესე და რომელ ნიც დაგიჯდეთ და საუკეთესო იპოვოთ იმით იხელმძღვანელეთ“ - ა. მსაჯულებშა — მებატონეებშა ასეთი რჩევა დაისვიერ ხელზე და როდის რა გამოადგებოდათ და როდის რა-ში ხედავდენ თავის პირად სარგებლობას, იმით ხელმძღვანელობდენ. „სამართლის ქმნის“ დროს სრულებით არ ურუნავდენ და არ სწუხდენ იმისათვის, თუ რაზე ფიქრობდა თვით კანონმდებელი, როცა მათ ასეთ დარიგებას აძლევდა. აქედან აშეარად ვხედავთ, თუ რა შეუძლებელ უფლებას და ძალას ანიჭებდა ჩვენი კანონმდებლობა მებატონეებს

¹⁾ ნე დაივიწყებთ, რომ ეს მსაჯულნი იშავე დროს მებატონეები იყვნენ.

ყმებზე. შაგრამ ამ მხრით ცხოვრებამ ბევრად გადააჭირბა კანონშდებლობის: ცხოვრებაში ეს უფლება კიდევ უფრო გაფართოვდა, რის გამო იგი ძლიერ სასტიკი და უღმობელი შეიქნა ყმებისათვის. ერთი სიტყვით, შებატონებს მიენიჭათ ბევრი ისეთი უფლებები, რომლებსაც მთ კანონი არ აძლევდა. „ცხოვრებამ — ამბობს ალ. ხახანაშეილი¹⁾ — პუმანურსა და ბრწყინვალე მხარეს ვახტანგის სამართლისას პირი უბრუნა, თავდაუკერელმა თვითნებობამ შემუსრა კაცობრიული შეხედულება (?) ყმის შესახებ, გაავრცელა უკანონო დამოკიდებულება ბატონთა დაყმათა შორის და შევი დღე დააყენაო.“

„ცხოვრებამ“ და პრაქტიკამ დიდი ძალა მისცა ბატონს ყმაზე, იგი გაამეფა ყმის პიროვნებაზე, მის ქონებასა და შრომაზე... ვახტანგის კანონით ბატონს არ შეეძლო ის, რაც მიანიჭია შემდეგ ჩეკულებამო“²⁾... აღნიშნავს რა

¹⁾ იბ. ზევით დასახულებული მისი წიგნი, გვ. 82—83.

²⁾ მაგ., 1, კანონით ბატონს ეძლეოდა ყმის დაშინების ანუ დატუქების უფლება; ჩეკულებამ მისცა მას ჯობით ცემის ნება, რაც ზოგჯერ სიკედილით თავდებოდა ხოლმე. 2, ვახტანგმა დააწესა ზომა, დასდოთ სახლვარი ყმის სამსახურისა ბატონის წინაშე; ცხოვრებამ კი ისე გაუტირა საქმე ყმას, რომ ის თავისი ბატონისაგან გარბოდა, შეღავათს და შევლას სხვაგან ექცედა. 3, წინათ ყმის ყიდვა-გაყადეა, ყმით ვაჭრობა, თუ სულ აკრძალული არ იყო, რამდენიმედ შეწლებული კი იყო მაინც; ცხოვრებაში კი ყმა პირდაპირ აღებ-მიცემობის საგანი შეიქნა. 4, ბატონს არ შეეძლო აეკრძალა ყმისათვის ერთი ბატონიდან მეორესთან გადასელა; ცხოვრებამ ყმას ამის ნება მოუსპო. 5, კანონი უკრძალავადა ბატონებს ობლების ძალით წაყვანას სახლში მოსამსახურებათ, შაგრამ ჩეკულებამ მათ ამის უფლება მიანიჭა, და არა თუ მოსამსახურებათ მოყაედათ მათი ყმის ობლები, არამედ თავისი ყმის ცოლზე და ქალზე ძალას სმარობდენ დედავა-ცური ნამუსის ასაპლელათ და სხვ. და სხვ. (იბ. ალ. ხახანაშეილის დასახულებული წიგნი გვ. 83—88).

ყველა იმ ცვლილებას, რომელიც ცხოვრებაში მო-
ახდინა ბატონ-ყმურ ცხოვრებაში, პატივეცმული ავტორი
დაასკვნის: „საქმარისად სჩანს როგორ გამრუნდდა, აღმო-
იფხვრა კეთილი მხარე ვახტანგის კანონმდებლობისა. პუ-
მანიური კვალი იმის ცხოვრებაში ჯერ ბეუტავდა, მერე
გაქრა და ყმა ჩავარდა, მოექცა ბატონის განუკითხვილ
ტირანიაშით“.

ასეთ მდგომარეობაში იყო საქმე მეცხრამეტე საუკუ-
ნის დამდეგს, ე.ი იმ დროს, როცა საქართველოში რუსე-
თის მთავრობა დაწესდა. როგორც ზევით ვამბობდით, ამით
ბატონ-ყმურ ურთიერთობაში არავითარი ძირითადი
ცვლილება არ მომხდარა: რუსეთის მთავრობაში ყმები დას-
ტოვა წინანდელ მდგომარეობაში, ისევ იმ „განუკითხველ
ტირანიაში“, მით უმეტეს, რომ თვით რუსეთშიაც ასეთი
იყო მათი მდგომარეობა, თუ კიდევ უარესი არა. მაგრამ
რაც დრო გადიოდა, ყმების მდგომარეობა სულ უფრო
და უფრო უარესი ხდებოდა. იმათი შევიწროება და
ტანჯვა თანდათან იზრდებოდა. ამ გარემოებას ხელს უწ-
ყობდა მრავალი მიზეზები. დავასახელოთ რამდენიმე იმათ-
განი:

1) საქართველოს რუსეთთან შეერთებით ქართველ
თავალ-აზნაურობას სულ ერთიანად წაერთვა ის ძირი-
თადი უფლება, რომლის ძალით იგი, როგორც ფეოდა-
ლური წოდება, ქართველ მეფიებისა და მთავრობის დროს
მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო საქმეში, ქვეყნის
მართვა-გამგეობაში; იმის მავიერად დაწესდა მოხელე-
ების — „ჩინოვნიკების“ ბიუროებატია. გარდა ამისა წი-
ნად თავალ-აზნაურობა ჩვენში, როგორც ყველგან ფეო-

დალურ წეს-წყობილების დროს, საერთო სამშეცრო წოდებას წარმოადგენდა; რუსეთის მთავრობის დაწესებით ამასაც არსებითად ბოლო მოეღო. მართალია, მრავალი ქართველი თავად-აზნაურთავინი მიღიოდა რუსის ჯარში, მაგრამ უმრავლესობისათვის აქ კარი დახშული იყო, ეს აიხსნება მით, რომ წინად ჩვენი მხედრობა სულ სხვა იყო, ვიდრე რუსეთთან შეერთების შემდეგ. რუსეთის მხედრობაში სამსახურისათვის საჭირო იყო ისეთი რამები, რაც ქართველ თავად-აზნაურობას აკლდა, განსაკუთრებით, სამხედრო დისკიპლინა ანუ წესრიგის და თავდარიგის დაცვა სამსახურის დროს.

ამნაირად ქართველი თავად-აზნაურობის უმეტესი ნაწილი ერთხაშად მოწყდა ძველ ზე-წევლებას და ერთგვარ საქმიანობას: წინად უმეტეს ნაწილად მოელ თავის დროს ის ან ომში ატარებდა და ან მეფესთან სამსახურში. ახლა კა იგი ყოველივე ამას დაშორდა. ერთ-ერთი მისი საზრუნავი საგანი შეიქნა თავისი და თავის ოჯახის რჩენა; ამიტომ იგი ძალაუნებურად მიბმული დარჩა თავის ყმებთან, რომლებსაც მოელი თავისი სიმძიმით დააწვა ზედ კისერზე. თუ წინად შევიწროვებული იყვნენ ყმები მებატონეთა სამსახურით და ბევარით, ახლა ყოველივე ეს ერთი ორად და ერთი-სამაც უნდა გადიდებულიყო, ვინაიდან თავალაზნაურობის ცხოვრებისათვის სხვა წყარო აღარ ქონდა.

2) მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში იწყება ჩვენში ნატურალური მეურნეობის დარღვევის და გაქრობის ნელი პროცესი. ამ დროიდან დაწყებული ჩვენი ქვეყანა სულ უფრო და უფრო ეცნობა ევროპიდან თუ სხვა ქვეყნიდან შემოტანილ საქონლის გემოს, ამასთანავე ჩნდებიან

ახალი მოთხოვნილებანი, რომელთა დაქმაყოფილება — შეზღუდულებელი იყო შინ გაკეთებული ნაწარმოებით. მაშასა-დამე, ფულის საჭიროება თანდათან და სულ უფრო და უფრო საგრძნობელი ხდებოდა. აშკარაა, რომ ყოველივე ეს უწინარეს ყოვლისა უნდა დასტუყობოდა იმავე თავად-აზნაურობას, რომელსაც საზოგადოებაში პირველი ილავი ექირა. მართალია, მას მოაკლდა ძველი დიდება, მაგრამ სამაგიეროდ მას მიეცა უფრო მეტი დრო განცხრომისა და ფუფუნებისათვის. საჭირო იყო ამისათვის საშუალება, ე. ი. ნივთიერი შეძლება, დრო და მოცალება თავსაყრელად ჰქონდათ. მოთხოვნილების გაფართოებას და გადიდებას, რა თქმა უნდა, შეძლების გადიდება ფეხდაფეხ მისდევდა. თავად-აზნაურობის შეძლებას, მის ერთათ-ერთ ავლადიდებას შეადგენდე ყმები და მამული, ე. ი. მიწა-ადგილი, რომელსაც ეს ყმები ამუშავებდენ. ეს იყო ერთად-ერთი წყარო, საიდანაც თავად-აზნაურობას (ჯაშა-გირს სახელმწიფო სამსახურისათვის ჩვენ არ ვღიბულობთ მხედველობაში, ენიაიდან ამას მცირე მნიშვნელობა ჰქონდა) მოსდიოდა: პური, ლვინო, ხორცი, ტანსაცმელი და სხ. თუ მივიღებთ მხედველობაში ქართველ თავად-აზნაურობის სიმრავლეს ხალხის საერთო რიცხვთან და ქვეყნის ტერიტორიასთან შედარებით, თითეულ თავადის და აზნაურის შემოსავალი ვერ იქნებოდა დიდი სხვა ქვეყნების მებატონეების შემოსავალთან შედარებით; და რაც დრო გადიოდა თავად-აზნაურობის გამრავლების გამო, ამ მცირე შემოსავალსაც უნდა ექლო. იმავე დროს კი, როგორც ჩვენ დავინახავთ, თავადის და აზნაურის მოთხოვნილება, სხვადასხვა ახალი პირობების მეოხებით, დაკლების მაგიერ

კიდევ უფრო იზღებოდა და მატულობდა. შეტი ლონე არ იყო: თავად-აზნაურობას, საიდანაც უნდა ყოფილიყო, უნდა ეშვენა საშუალება თავის გაფართოებულ მოთხოვნილებათა დასაქმაყოფილებლად. მას ჰქონდა ამისათვის შხოლოდ ერთად-ერთი წყარო: ეს იყო სხვადასხვაგვარი გადასახადი და ბეგარა, რომელსაც იხდიდა გლეხებრუმბა მებატონეთა სასარგებლოდ. მებატონები შეუდგუნ ამ გადასახადის და ბეგარის მომატებას; ცდილობდენ გამოეწოვათ გლეხებ-კაცობიდან რაც შეიძლება მეტი შრომა, მეტი სისხლი; საღაც ნებაყოფლობით ვერას გადიოდენ, იქ ძალას ხმარობდენ, რის შედეგი იყო გლეხ-კაცის ოჯახის სრული გაფუჭვნა.

თუ წინად მებატონები რამდენიმეთ უფრთხილდებოდენ თავიანთ ყმების ოჯახებს, ერიდებოდენ იმათ სახლებრის აკლებას და მოსპობას, და პირიქით, ცდილობდენ, რომ ისინი ღონიერი და შეძლებული ყოფილიყვნენ, ვინაიდან ყმების შეძლება და ღონიერობა იმათივე, ე. ი. მებატონეთა, შეძლებას და სიმდიდრეს მოასწავებდა, ახლა ყმების ბედ-ილბალი აღარავის აფიქტებდა: ასე გევონებოდათ, თითქო ბატონებში ერთბაშათ გაქრა ყოველგვარი ფიქრი მომავალზე, მათ აწუხებდა შხოლოდ დღევანდელი მოთხოვნილების დაქმაყოფილება; მის შემდეგ ქვა-ქვაზე-დაც აღარ ყოფილა; იმას ათასწილად ერჩია დღევანდელი კვერცხი ხვალინდელ ქათამს; და აი, კიდევაც მიყო ხელი გლეხ-კაცის ოჯახის აწიოკებას და აკლებას, თითქო ეს ოჯახი მას მომავალში აღარ დასჭირდებოდა. ამის შედეგი ის იყო, რომ ხალხში ჩამოვარდა უკმაყოფილება და ატყდა დაუსრულებელი დავა-საჩივარი: ხალხს ეკონა, რომ ახლად

დაარსებული რუსეთის მთავრობა მას გამოესარჩილებოდა
და დაიფარავდა მებატონეებისაგან¹). მაგრამ რუსეთის
მთავარ საზრუნავ საგანს სულ სხვა რამე შეადგენდა: ეს
იყო ერთი მხრით გამაგრება ახალ შეძენილ ქვეყანაში და
მეორე მხრით კავკასიის დანარჩენი ნაწილების დაპყრობა
და შემოერთება. და მიუხედავად ამისა, თუ მაინც რუსე-
თის მთავრობამ ჩვენებურ მებატონეებსა და კუბს შორის
ატებილ დავა-საჩივრებს ყურადღება მიაქცია და მოინდომა,
რამდენიმეთ მაინც, იმათი ურთიერთ დამოკიდებულების
მოწესრიგება, ეს მხოლოდ იმას უნდა მიეწეროს, რომ
ხსენებული ურთიერთობა მეტად გამწვავებული შეიქნა
საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ.

ჩვენ ვიცით თუ მაგალითი ასეთი გაწესრიგების
ცდისა მთავრობის მხრით; თუივე ცდამ სრულიად უნა-
ყოფოდ ჩაიარა ვლეხებისათვის, ვინაიდან ბატონ-ყმური
წესწყობილების არსებობა სრულებით ამაოდ ჭმიდა
რაიმე წესრიგის დამყარებას ბატონ-ყმურ ურთიერთობაში:
წესრიგის შემოღება თუ მოწინააღმდეგე მხარეთა შორის
მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა თუივე მხარეს
ერთნაირი და თანასწორი უფლება და შეძლება აქვს
დაიცეს ეს წესრიგი. ამიტომ სრულებით ამაო იყო რაიმე
წესრიგის შემოღება იქ, საღაც ერთ მხარეზე იდგა ყოველ-
გვარი უფლებით აღჭურვილი და შეიარაღებული თავად-

¹⁾ ერთი ოფიციალური დოკუმენტი, სხვათა შორის, მოწმობს,
რომ უბრალო ხალხი, რომელსაც ჩაგრაედნ თავადები, როცა მან
გაიგონა რუსეთის მფარველობაზე, გულწრფელ სისარულს უცხადებდა
ახალ მთავრობასო. იხ. АКТ. Кав. Арх. Ком. т. II გვ. 466.

აზნაურობა და მეორეზე კი ყოველგვარ უფლებას მოკლე-
ბული და პირუტყვად მიჩნეული გლეხ-კაცობა, რომელიც
სულიან-ხორციანად თავად-აზნაურობაზე იყო დამოკიდე-
ბული.

პირველად საქართველოს უმაღლეს მთავრობას 1823 წ.
დაებადა აზრი საქართველოს მებატონე და ყმების შორის
ურთიერთ დამოკიდებულებათა ცნობაში მოყვანისა. ცნო-
ბების შეკრების შემდეგ, 1826 წელს საერთო საკრებუ-
ლომ ის აზრი გამოსთვევა, „რომ საქართველოში არ არსე-
ბობს განსაზღვრული გადასახადი და ბეგარა. იმათი აღე-
ბის წესრიგი სხვადასხვაა და დამოკიდებულია
შებატონეთა თვითნებობაზეთ“¹⁾). თუ, ერთი
მხრით, გლეხაცობა უჩიოდა თავად-აზნაურობას გადასა-
ხადის და ბეგარის მომატებას და უზომო შევიწროებას,
რაც ძველად არ ყოფილიყო, მეორე მხრით, არც თავად-
აზნაურობა იყო იმ დროს ჩუმად: პირიქით, იგი ქართვე-
ლი მეფეების კანონებით და ჩვეულებებით ამტკიცებდა
თავის მოთხოვნილებათა საფუძვლიანობას და სიმართლეს.
ყველაზე უფრო შესანიშნავია იმ მხრით თელავის თავად-
აზნაურობის მოხსენება, წარდგენილი იმავე 1826 წელს
საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო კრებისადმი²⁾).
იმ მოხსენებაში ჩამოთვლილია ყოველგვარი სამსახური,
რომელია შესრულება საქირო იყო ყმების მხრით მება-
ტონეთა სასარგებლოდ; შემდეგ ნამეენებია, თანამშად კა-
ნონების და ჩვეულებისა თუ რა უფლება აქვს ბატონის

¹⁾ ი. ხ. მ. თუმანი, о крепостном праве в Грузии, 83. 18.

²⁾ ი. Акты Кав. Арх. Ком. т. VI, ч. I. №. 82—84. შემთ-
ვლებით მოყვანილი, აგრეთვე ილია ბაბტაძის წიგნ.—Податковое
обложение государства крестьян Зак. Красн. Тифлис, 1887 г. в., 9—11.

თავის ყმაზე. სულ მოხსენებაში 38 მუხლია, რომელთაგანაც აშეარიდ ჩანს, რომ თელავის თავად-აზნაურობა ძლიერ ცდილა არ დავიწყებია არც ერთი სამსახური, ბევრა თუ გადასახადი, რაც კი ვალად აწვა გლეხეაცობას თავად-აზნაურობის სასარგებლოდ. და მართლაც იქ არაფერი არ უნდა იყოს დავიწყებული. მაგრამ ასე არ ფიქრობდა თელავის თავად-აზნაურობა; იგი შეშინებულა: ვაი თუ რამე დამავიწყდა და შემდეგ ამაზე ჯარი მითხრას მთავრობამათ. ამიტომ იგი თავის მოხსენებაში დასძნს, რომ იმას შეუძლებლად მიაჩინია გაიხსენოს ყელა ის სამსახური, რომელიც გლეხეაცობა მოვალეა შეუსრულოს მასთ (ე. ი. თავად-აზნაურობას); ყოველ შემთხვევაში, ბატონის უფლება და განშევლობა ყმაზე „შეუზღუდველია“ , აცხადებს თელავის თავად-აზნაურობა თავის მოხსენებაში და მით გვეუბნება სრულ სიმართლეს, თუმცალა მწარე კი იყო ეს სიმართლე. ყოველივე ეს ვეიმტეიცებს, რომ ამ ხანებში ბატონის თავის ყმა მთელი მისი საჩინ-საბალებელით და ცოლშვილით სრულ თავის საკუთრებად მიაჩნდა; იგი ბატონობდა მის სულსა და ხორციელ; ყმა მის თვალში უბრალო სახმარი ნივთი იყო და მეტი არაფერი.

ამ ნაირად მთავრობის ეს პირველი ცდა დაბოლოვდა მით, რომ მან სკნო ბატონის შეუზღუდველი უფლება ყმაზე, რომ ბევრას და გადასახადს, რომელსაც იხდის გლეხი ბატონის სასარგებლოდ, არავითარი საზღვარი, არავითარი ზომა არ აქვს და დამოკიდებულია ბატონის თვითნებობაზე და სხ. მაგრამ ეს ვერ მოსპობდა გლეხების დროინვას და უკმაყოფილებას. საქმის განხილვიდან სჩანს, რომ გლეხები ხშირათ უარს ამბობდენ რომელიმე ხარჯის გადასახადზე

ან სამსახურის შესრულებაზე; მებატონეები ამ შემთხვევაში
 მთავრობას თხოვენ, რომ მას ძალა ეხმარა ურჩი გლეხობის
 მოსარჯულებლად. ამიტომ შეტაკება ხდებოდა ყოველ
 ნაბიჯზე. მდგომარეობა გამწვავდა. საქმე იქამდის მიერ-
 და, რომ ამ საერთო უკმაყოფილების და დრტვინვის ხმამ
 პეტერბურგამდისაც მიახწია. ამის გამო პეტერბურგიდან
 მეორმოცე წლებში იგზავნება სახელმწიფო საბჭოს წევრი
 განი, რომელსაც აღგილობრივ უნდა შეესწავლა ბატო-
 ნებს და ყმებს შორის ატეხილი შფოთი და აყალ-მაყალი.
 ბარონ განის გამოძიებამ ის შედეგი იქონია, რომ 1842
 წელს იმ მიზნით, რომ ბოლო მოელოს იმ დაბრკოლებათ,
 რომლებიც მთავრობას ხედებოდა ურთიერთ საჩივრების
 გარჩევის დროს გლეხების მებატონეებზე და მებატონეთა
 გლეხებზე, მინისტრებმა: სახელმწიფო ქონებათა, ფინანსე-
 ბის და სიშინაო საქმეების, საჭიროდ სცნეს ერთხელ და სამუ-
 დამოდ განსაზღვრული ყოფილიყო ყოველგვარი ბეგარა თუ
 გადასახადი, რაც გლეხები ვალდებული იყვენ ეხადათ
 მებატონეთა სასაჩვენებლოდ ¹⁾). ეს კეთილი განზრახეაც
 მხოლოდ ქალალდზე დარჩა, სანამ მებატონეთ შეუზღუდ-
 ველი უფლება ყმებზე არ აილავმა თვით ბატონ-ყმობის
 გადავარდნით 1864-5 წლებში.

3) აქ უნდა დავისახელოთ ჩეენ ერთი გარემოება, რომე-
 ლიც თავის თავიდ მცირე მნიშვნელოვანია, მაგრამ რომელ-
 მაც, მიუხედავად ამისა, დიდად ავნო გლეხების ინტერესებს,
 ეინაიდან ხელს უწყობდა იმათ ჩაგვრას. ჩეენ ვამბობთ
 მაშინდელ დროის მოხელეებზე, ე. ი. პოლიციის სამმარ-
 თველოს „ჩინოვნიკებზე“. ჯერ დღევანდელი „ჩინოვნიკები“

¹⁾ იხ. ხ. მა. ტუმანოვ, I. c, გვ. 18.

რა არიან და მაშინდელი ხომ რაღა იქნებოდენ. მთავრობა
იმ დროში „ჩინოვნიკებიად“ ნიშნავდა უმეტეს შემთხვევა-
ზი ქართულ თავად-აზნაურობას, უფრო იშვიათად რუ-
სებს. მაშინდელ მოხელეთა განათლება ხშირად უბრალო
წერა-კითხვის ცოდნის იქით არ მიღიოდა. რომ ქართველი
თავად აზნაური მოხელეს როლში სწორი და მიუდგომე-
ლი მოსამართლე არ გამოდგებოდა გლეხ-კაცობისათვის, ეს
თავის თავად აშეარა უნდა იყოს: მაგრამ, მეორე მხრით,
არც რუსი—მოხელე იქნებოდა ასეთი, ვინაიდან სწორი
და პირუთვნელი მართლმსაჯულებისათვის საჭიროა უწი-
ნარეს ყოველისა განათლებული გონება და ეს კი მაშინ
ყველა მოხელეს აკლდა რუსი იყო ის, თუ ქართველი.
მაშინდელ მოხელეთა სასწორი იქით იხრებოდა, საიდანაც
ისინი რაიმე ნივთიერ სარგებლობას მოელოდენ. მაშინ-
დელი მექრთამეობა იხლაც საარაკოდ არის გადაქცეული.
როცა მებატონე თვითონ არ იყო მოსამართლე, იმას მაინც
ყოველთვის შეეძლო, რომ სამართლის სასწორი მისკენ
გადახრილიყო, ვინაიდან ამისთვის საქმარისი იყო მხო-
ლოდ მოხელეს მოქრთამეა, მოყიდვა. ამ უკანასკნელის
ხელში კი სამართალი მხოლოდ „აბრუნდ-გაბრუნდის“ თა-
მაშობა იყო (გ. ერისთავი, —„დავა“) და მეტი არაფერი,
საითაც გაიქცევი, იქით წაიქცევი, —შეეძლო ეთქვა მაში-
ნდელ გლეხ-კაცობას თავის თავზე: მისთვის ყველგან და-
ხშული იყო კარი, არსად არავითარი შველა.

ამნაირად, როგორც კანონმდებლობა, ისე მაშინდელი
ცხოვრების პირობები ხელს უწყობენ გლეხ-კაცის სრულიად
განადგურებას. არ იყო არც ერთი გარემოება, რომელიც
იმას წინ გადალობებოდა და იგი შეეჩერებია. მებატონე-

ებიც არ იხევდენ არაფრის წინაშე: იმათთვის არ იყო
არც შიში და არც სირცეეილი. გლეხის ოჯახის განადგუ-
რება და აწიოკება, ყმების დაყიდვა, დედა-ქაცებისათვის
ძალადობით ნამუსის ახდა, „პირველი ლამე“, ურჩი ყმე-
ბის სასტიკად დასჯა და იმათი მოძრავი ქონების მითვი-
სება, იმათთვის სანაქებო, საგმირო საქმე იყო. ეს ის დრო
იყო, როცა მებატონები აღარ ზოგავდენ ყმებს; როცა
უბრალო დანაშაულისთვის ადამიანს სასტიკად სტანჯავენ,
აბამენ ურებში, აგდეპენ თონეში, აუპატიურებენ დედა-
კაცებს; ეს ის დროა, როცა ყმას არც თავის ქალის გათ-
ხოვება შეუძლია და არც ცოლის მოყვანა ბატონის ნება-
დაურთველად და ამის შემდეგაც „პირველი ლამე“ ბატონის
არის. ეს ის დროა, როცა ყმები მთელი თავისი უძრავ-მო-
ძრავი ქონებით, სახლ-ქარით და მიწა-ადგილით, თავისი
მამულ-დელულით და ცოლშეილით, ხდებიან ალებ-მაცე-
მობის საგნად. მართალია, ყმების გაყიდვა წინადაც იყო
გავრცელებული ჩენები, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის პირ-
ველ ნახევარში ეს სამარცხევინო ხელობა თანდათან სულ
უფრო და უფრო განვითარდა. ყიდდენ როგორც საზღვარ-
გარეთ (ოსმალეთში და სპარსეთში), ისე შინ. ყიდდენ, რო-
გორც ოჯახის ცალკე წევრებს, ისე მთელ ოჯახებს. ყიდდენ,
როგორც მთელი ოჯახობით, ისე ცალ-ცალკე მის წევრებს:
შვილებს ცალკე, ძმას ერთ ადგილას ყიდდენ და დას მეორე
ადგილას. მებატონეებს არ მიაჩნდათ ყმებში მშობლიური
სიყვარული ან ნათესაური გრძობა; იმათ ერ წირმოე-
დვინათ, რომ ყმებიც იდამიანები იყვენ და შეეძლოთ სი-
ყვარული, რომ ამათ ქონდათ გრძნობა. მებატონეები არ
კმაყოფილდებოდენ ხარების და სხვადასხვა გვარი სამსახუ-

რის შესრულებას ყმების მხრით; ისინი ლახავდენ და შეუ-
რაცყოფას იყენებდენ იმათ პიროვნებას. ამას უნდა დაუმა-
ტოთ მხოლოდ ის, რომ ასეთი ადამიანის ლირსების დამამ-
ცირებელი და შემარცხევენელი მდგომარეობა საქართვე-
ლოს სხვადასხვა კუთხეში ერთნაირად არ იყო გავრცე-
ლებული. იმერეთში, გურიაში და სამეგრელოში ეს უკი-
დურეს ხარისხამდე იყო მისული.

შეიძლება წინანდელ დროში ასეთი დამცირება და
შერცხენა აღამიანის ლირსებისა, ასეთი ფეხქეები გათე-
ლვა მისი პიროვნებისა შეუმჩნეველად ჩაივლიდა და საზო-
გადოებაში არ დაბალებდა უკმაყოფილებას და არ ააღელ-
ვებდა მას; მაგრამ იმ დროზე, რომელზედაც ჩვენ ახლა
ვლაპარაკობთ, ე. ი. მეცხრამეტე-საუკუნის პირველ ნახე-
ვარზე, ეს უკვე აღარ ითქმოდა. ის პირობები, რომლე-
ბმაც წელი მოსტებეს თავად-აზნაურობას, როგორც
ფეოდალურ წოდებას და რომლებმაც გაუფართოვეს და
განუვითარეს მას მოთხოვნილებები, ისე იყო თუ ისე,
მოქმედებდენ გლეხ-კაცობაზედაც, რომელშიაც ნელ-ნელა
იღვიძებდა ადამიანური გრძნობა, თავისი პიროვნების
ლირსების შევნება. ეს იყო ის პირობები, რომლებიც
ძირს უთხრიდენ დაპოქსებულ და დახავსებულ ნატურალურ
წარმოებას და რომლებიც იმავე დროს ამზადებდენ იმ
გვარ ნიადაგს, სადაც შეუძლებელი იქნებოდა ბატონ-ყმური
წესწყობილების არსებობა. ამას ახდენდა არა პუმანური
და კაცომუყვარული იდეების გავრცელება, რომლები-
სთვისაც ჩვენში ყოველთვის დახშული იყო კარები, არამედ
უცხოეთიდან შემოტანილი სახმარი ნივთები, ე. ი.
ზუსტო ის საქონელი. რუსეთთან შეერთების შემდეგ

საქართველოში თანდათან მატულობს უცხოეთიდან შემო-
ტანილ საქონლის რაოდენობა; ვაჭრობა-ალებ-მიცემობა
თანდათან იზრდება; ამასთანავე საზოგადოებაში აქა-იქ
ჩნდება და თანდათან ძლიერდება ფულის შეძენის, გამდიდრ-
ების სურვილი. მაგრამ ვაჭრობა-ალებ-მიცემობა ძირიანაუ
ეწინააღმდეგება ბატონ-ყმურ წესწყობილებას. ვაჭრობისა-
თვის საჭიროა პიროვნების თავისუფლება და
ქონების, საკუთრების სრული ხელ-შეუხე-
ბლობა. ბატონ-ყმობა კი არ სცნობდა არც ერთსა და
არც მეორეს. შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ თუმც
ბატონ-ყმობის დროს ყმები არ იყენენ თავისუფალნი და
ხელ-შეუხებელნი, მაგრამ სამაგიეროდ მებატონეები იყენენ
თავისუფალი და დამოუკიდებელნით. მაგრამ ეს დიდი
შეცდომაა: ჯერ ერთი ის, რომ მებატონეები მართლაც
რომ თავისუფალი ყოფილიყვნენ, ეს ვაჭრობას არაფერს
არგებდა, ვინაიდან თავად-აზნაურობისთვის ვაჭრობა
თავის მოჭრა იყო. მეორეც ის, რომ ბატონ-ყმობის
და საზაოგადოდ ყოველგვარი წესყობილების დროს თავი-
სუფალი არავინ არ არის, თვით უპირველესი და უდი-
დესი მებატონეც კი მოკლებულია იშას, რასაც თავისუფ-
ლება ეწოდება. დევ ნურავინ ითიქრებს, რომ იქ, სადაც
ხალხის უმრავლესობა დამონებულია და მასში თავისუ-
ფლების გრძნობა დახულია, ხალხის უმცირესობისათვის
არსებობდეს ეს თავისუფლება.. არა, იქ, სადაც საზოგადო-
ების ერთი ნაწილი მოკლებულია თავისუფლებას, იგი არც
მეორე ნაწილისათვის არსებობს; იქ ყველა მონაა, ყველას
იქ აღრჩობს ერთი და იგივე საზოგადოებრივი წესწყო-
ბილება.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ალებ-მიცემობის აღორ-
ძინებას და განვითარებას ჩვეში წინ ელობებოდა ისეთი
დაუძლეველი ძალა, როგორიც ბატონ-ყმობა იყო, ეს ალებ-
მიცემობის მაინც უნდა განვითარებულიყო; მისი ზრდის
შეჩერება შეუძლებელი შეიქნა, ვინაიდან უცხო ქვეყნები-
დან საქონლის შემოტანა თანდათან მატულობდა და ჩას-
თან ერთად, მაშასადამე, საზოგადოებაშიც იზრდებოდა
სურვეილი ფულის შეძენისა, გამდიდრებისა. რაკი ასეთი
სურვეილი დაიბადა საზოგადოებაში, იმის აღმოფხერა შეუ-
ძლებელი იყო; პირიქით, ამას უნდა თანდათან გაეკვალა
ცხოვრებაში კალაპოტი, რომ მისი ზრდა და განვითარება
არ დაბრკოლებულიყო. ამნაირად ბატონ-ყმურ ურთიერ-
თობის გვერდით წარმოიშვა და გაიზარდა სრულიად ახალი
ეკონომიური ძალა, რომელსაც ბატონ-ყმობა უნდა დაემხო
და მის ადგილას თვითონ გაბატონებულიყო. მაგრამ ეს არ
მოხერხდა უბრძოლველად; პირიქით, საჭირო იყო ბრძოლა
სასტიკი, შეურიგებელი. რასაკეირეველია, მებატონეთა და
ყმებს შორის ბრძოლა წინათაც არსებობდა, ვინაიდან
კლასობრივი ბრძოლა ისე ძველია, როგორც თვით კაცო-
ბრიობის ისტორია: იგი არსებობს მას შემდეგ, რაც ადა-
მიანთა შორის უფროს-უმცროსობა განიდა და ერთი ადა-
მიანის შრომის ნიუოფს მეორე დაეპატრონა; მაგრამ ეს
ბრძოლა უმეტეს შემთხვევაში დაფარული, გამოუცხადე-
ბელია; იგი მხოლოდ ხანდახან ხდება აშკარა, თვალსა-
ჩინო. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე ქართველმა
მებატონეებმა იშვიათად იცოდნენ, თუ რა იყო ყმის
წინააღმდეგობა; იმათ არ ენახათ, თუ რა შეუძლია გა-
უბედურებულ და დამცირებულ ადამიანს, როცა იგი

თავის შეწუხებას და დაშცირებას გრძნობს და იმავე დროს აქედან თავის დალწევას ლამობს. მხოლოდ მეცხრამეტი საუკუნემ ანახვა მათ ეს მწარე გამოცდილება. მართალია, არც გლეხებს უჯდებოდათ ეს იაფად: უზომო წევალება, ზოგჯერ სიკვდილით დასჯა, სამშობლოდან გარდახვეწა, ამ რა იყო ამ წინააღმდეგობის და ამ ბრძოლის შედეგი. მაგრამ მათ არაფერი ეს არ ახვევინებდა უკან. რა-მდენიც ჩეენ უახლოვდებით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისს, მებატონეთა და ყმებს შორის განწყობილება სულ უფრო და უფრო მწვავდება და ბრძოლა უფრო და უფრო აშეარა ხდება. თუ მებატონეთა მხრით გან-შირდა ყმების შევიწროება, მათი ოჯახების განადგურება და გაცივება, იმათი ადამიანური ლირსების შელახვა, დე-დაკაცების გაუპატიურება და ნამუსის ახდა და სხვადა-სხვა,—იმ დროს არც გლეხები იყვნენ გულზე ხელ-დაკორ-ფილები, არც ისინი შესკუროდენ ამას გულ გრილად. ჩეენ ვხედავთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე და მეორმოცდათე წლებში გახშირდა მებატონეთა ამოწყვეტა მთელი ოჯახობით; სადაც ამას ვერ ახერხებდენ, იქ სხვა-ნაირად უწევდენ მებატონეთ წანააღმდეგობას და შემდეგ გარბოდენ სხვაგან თავის შესაფარებლად. ასეთი გარდა-ხევწა უფრო ხშირი იყო იმერეთიდან. იმერეთის გლეხ-კაცობა თავს აფარებდა ამერეთში, ან სულ ტოვებდა თა-ვის სამშობლოს, სახლ-კარს და იხიზნებოდა თურქეთში, სა-დაც ისინი ხდებოდენ მაშმადიანებად. აღმოსავლეთ საქარ-თველოშიაც ხშირი იყო სარწმუნოების გამოცვლა იმ შიზ-ნით. რომ მებატონეთ ვერ ეკნოთ თავის ყმები („ოსმან-ილას“ დედა „სურამის ციხეში“). მებატონეთა წინააღმდეგ

მოძრაობა კანტი-კუნტად ხდებოდა სხვდასხვა ადგილის და
სხვადასხვა დროს; მას ჯერ არ ეტყობოდა გაერთიანების
ნიშნები. მიუხედავად ამისა, ეს მოძრაობაც მაინც საშიში და
თავზარდამცემი იყო მებატონეთათვის, ვინაიდან ხალხის
გულწრფელი თანაგრძნობა ამ მოძრაობისკენ იყო (გაიხსე-
ნეთ, მაგ., არსენას ამბავი), მებატონეებს უკვე დაკარ-
გული ჰქონდათ ნდობა და პატივისცემა ხალხის თვალში.
თუ ყმები იმათ ემორჩილებოდენ, ეს მხოლოდ იმიტომ,
რომ ეშინოდათ და თავიანთ თავს ჯერ კიდევ უძლურად
თველიდენ. მაგრამ განკითხვის დღე, ადრე იქნებოდა თუ
გვიან, უნდა უეჭველად დამდგარიყო. რომ ეს განკითხვის
დღე შორს იღარ იყო, ამას აუარება ფაქტები მოწმო-
ბდენ. მაგრამ ჩეენი ხალხის ისტორია ერთხელ კიდევ გადა-
ცდა ბუნებრივ გზას. ჩეენი ყმების ბედი გადაწყდა შორს
ჩეენგან და იმათ დაუხმარებლად. კარგი იყო ეს, თუ
ცუდი, აქ ამაზე არ ვლაპარაკობთ. ნურც იმაზე დავიწყებთ
ფიქრს, თუ რა უნდა მომზდარიყო, რომ ბატონ-ყმობის
გაუქმება მაღლიდან არ მოელინებოდა ჩეენ გლეხკაცობას.

III. ხაზოგადოება.

რას წარმოადგენდა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნა-
ხევარის ქართველი საზოგადოება?

ამ კითხვაზე პასუხის მიცემა ადვილი არ ირის. როცა
რომელიმე საზოგადოებაზე ვლაპარაკობთ, ჩეენ განსაკუ-
თრებით ხალხის ის ნაწილი გვყავს მხედველობაში, რომე-
ლიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში იქტიურ მონაწილეო-
ბას იღებს და საზოგადოებრივ განვითარებას თავის ბეჭედს
ასვამს. პროგრესიულ როლს თამაშობს ესა თუ ის საზო-

გადოება, თუ რეგრესიულს, ეს სულ სხვა კითხვაა. როცა, მაგ., ჩვენ ვახასიათებთ ძელი საბერძნების, ან რომის საზოგადოებას; ჩვენ არ ვეხებით მაშინდელ მონებს, არ ვიღებთ მხედველობაში იმათ ზნე-ჩვეულებათ; ჩვენ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვყავს მაშინდელი თავისუფალი მოქალაქენი, რომლებიც თავის ქვეყნის საქმეებს განაგებდენ. თავის თავად იგულისხმება, რომ ეს „თავისუფალი“ მოქალაქენი სრულებით არ წარმოადგენენ ერთგვარ მასსას და ერთი სულით და ერთი ფიქრით ვამსჭეალულს; პირიქით, ისინი დაყოფილია რამდენიმე ჯგუფად, რომელთაგან თითეულს თავისი საკუთარი სურეილები და განზრახვები ამოძრავებენ.

ეისგან შესდგებოდა ჩვენში საზოგადოება ამ ნახევარი საუკუნის წინადი რა იყო ამ საზოგადოების განზრახვა და მისწრაფება? რაში გამოიხატებოდა მისი ხასიათი და ზნე-ჩვეულება? რა და რა ჯგუფისაგან შესდგებოდა მაშინდელი ჩვენი საზოგადოება? — ი კითხვები, რომელზედაც ჩვენ აქ უნდა ვუპასუხოთ. როცა ქართველ საზოგადოებაზე ვლაპარაკობთ, სიტყვა „საზოგადოების“ მნიშვნელობა ჩვენ უნდა შევავიწროვოთ და არ მივუკო მას ის ფართო მნიშვნელობა, რომელიც იგულისხმება, როცა უფრო განათლებულ და დაწინაურებულ ქვეყნების საზოგადოებაზე გვაქს ლაპარაკი.

ქართველი საზოგადოება ამ ნახევარი საუკუნის წინად თითქმის მარტო თავად-აზნაურობისაგან შესდგებოდა. გლეხ-კაცობაზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ, ვინაიდან იგი უოველგვარ უფლებას მოკლებული იყო და ამიტომ მას არ შეეძლო საზოგადოებაში აქტიური მონაწილეობის მიღება

მართალია, უმისოდ არ შეიძლებოდა თვით საზოგადოების არსებობა, მაგრამ იგი ცხოვრობდა ისეთ პირობებში, რომ მას თავისი გულიდან არ შეეძლო ჩაიმე საზოგადოებრივი ძალის წარმოშობა, მომქმედი ჯგუფის წამოყენება საზოგადო სარბიელზე. მხოლოდ შეცხრამეტე საუკუნის ნახევარში ჩვენს გლეხ-კაცობაში ჩნდება ასეთი ჯგუფის, ასეთი ძალის წარმოშობის ნიშნები. რაც შეეხება სხვა საზოგადოებრივ ელემენტებს: ვაჭართა და მრეწველთა კლასებს და პროლეტარიატს, შეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში იმათი ქავანებაც არ ისმის; მხოლოდ ცოტახნის შემდეგ ვაჭრები და ჩარჩები ჩნდებიან აქა-იქ, მაგრამ, როგორც საზოგადოებრივი ძალა, იმათი მნიშვნელობა ჯერ კიდევ სრულიად უმნიშვნელო იყო იმ ხანებში. ამნაირად დაგვრჩია მხოლოდ თავადაზნაურობა, ეს ძველი საქართველოს „დიდება“ და „სახელი“, როგორც მას ზოგიერთები უწოდებენ. მაგრამ ჩვენ არ შევეხებით აქ თავად-აზნაურობის წარსულისტორიას, თუ რაში გამოიხატებოდა ძელ დროში მისი მოღვაწეობა; ან თუ რამდენად ნაყოფიერი და საქართველო იყო ეს მოღვაწეობა ქვეყნისა და ხალხისათვის. თავის თავად იგულისხმება, რომ ჩვენ არ ევეუთვნით ჩვენი თავად-აზნაურობის „ლვაწლთა“ აღტაცებით მაღიდებელთა გუნდს. ცნობილია, რომ ეს გზა „ივერიის“ პუბლიცისტების სპეციალურ საგანს შეადგენს და არაეითარი სურვილი არა გვაქვს იმათ რიცხვში გაერიოთ. ჩვენ აქ ვიცდებით დავახასიათოთ ქართველი თავად - აზნაურობა ისე, როგორც მას მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ვხედავთ. არც მეტი, არც ნაკლები.

როგორც ზევით შევნიშნეთ, ბურთი და მოედანი იმ ხანებში, რომელზედაც ჩეენ ახლა ვლაპარაკობთ საზოგადო ასპარეზზე სამოქმედოდ, ისევ მხოლოდ თავად-აზნაურობას ჰქონდა დათმობილი. იგი იყო ერთად - ერთი წოდება, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა მრავალი უფლებები და უპირატესობანი, რომლებიც მას ცხოვრების სათავეში იყენებდნენ. მას საესებით ეპურა ხელში ხალხის უმრავლესობის — გლეხეაცობის — სრული ბედ-ილბალი. მას ჰქონდა მინიჭებული საზოგადოებრივი მოქმედობის, ანუ უკედ წოდებრივი თვითმართველობის უფლება, თუ ამისათვის ნიკი ტუნარი ექნებოდა. გარდა ამისა თავად-აზნაურობას დროც და საშუალებაც ნებას აძლევდა სულიერი ინტერესებისათვის, ე. ი. სწავლა-განათლებისათვისაც ეზრუნა. თუმცა ასეთი იყო თავად-აზნაურობის მდგომარეობა მეცხრამეტი საუკუნის პირველ ნახევარში, თუმცა იგი საქმიარისად ზეითურალებული იყო, რომ ცხოვრებას უკან არ ჩამორჩინოდა, შაგრამ ვისაც თვალი ჰქონდა ხელვად და ყური სმენად, ყველა ხედავდა, რომ ეს წოდება თავდაყირა დამდგარიყოდა და შეუჩერებლად მიემურებოდა დაქვეითებისა და გადა- ჟვარებისაკენ.

თუმცა, როგორც ზევით ვამბობდით, რუსეთთან შეერთებით ქართველი თავად-აზნაურობის უფლება ყმებზე ოდნავათაც არ შეზღუდულა, — პირიქით, ეს უფლება რამდენიმედ კიდევაც გაფართოვდა, შაგრამ დღიდან მისი არსებობისა ეს შეერთება იყო პირველი სილა, რომელიც მას ოდესშე მოხვედროდა. ამას შემდეგ ქართველმა თავად-აზნაურობამ სამუდამოდ დაკარგა პოლიტიკური მნიშვნელობა სახელმწიფოში; იგი, როგორც ფეოდალური წო-

დება, რომელიც ქართველ შეუეტს შთელ საუკუნეების განმავლობაში ერ მოეთრგუნა და ერ დაემორჩილებია: სამუდამოდ დაეცა. ქართველი თავად-აზნაურობა ჩქარა მიხვდა ამას და მაშინვე მიყვო ხელი თავის შეცდომის გასწორებას, ვინაიდან თვით ეს შეერთება რამდენიმედ მისი საქმეც იყო; იგი ამხადებდა და უწყობდა მას ხელს, მაგრამ ეს გვიანდა იყო. რუსეთის მთავრობასთან ბრძოლა ქართველ მეფეეფთან კინკლაობას როდი გავდა. ქართველი თავად-აზნაურობა ამაშიაც იძულებული შეიქნა ჩქარა დარწმუნებულიყო: რუსეთის მთავრობამ თითქმის ერთი დაკერით შეაგნებინა მას მისი უძლურება. ამნაირად „ძველი დიდება“ თავად-აზნაურობას ხელიდან გაუქრა, „ვითა სიზმარი ღა-მისა“.

ამ გარემოებამ სხვადასხვა ნაირად იმოქმედა თავად-აზნაურობის სხვადასხვა ელემენტებზე. ერთი ნაწილი სავსებით დამორჩილდა თავის ახალ ბეჭს და დაუახლოედვა რუსეთის მთავრობას, რომელმაც იგი უხვად დააჯილდოვა ჯამაგირით, ჩინებით და ორდენებით. მისთვის ყველა დაწესებულებაში ღია იყო კარი. მაგრამ განსაკუთრებით ეტანებოდა ქართველი თავად-აზნაურობა საშედრო სამსახურს, რომელიც მისთვის სასახელო და თავმოსაწონი იყო, და მართლაც, ქართველმა თავად-აზნაურობამ ჩქარა ისახელა თავი რუსეთის მხედრობაში. ერთ დროს მისი სახელი იქ პქუხდა და სქექდა. წარსულის მოგონებას იგი თითქო ამით იქლავდა. მაგრამ ეს მხოლოდ უმცირესობას ზვდა წილად. თავად-აზნაურობის დიდი უმრავლესობა კი სულ სხვა გზის დაადგა: მან სრულებით დაივიწყა თავისი წარსული „დიდება“ და მიყო ხელი სრულიად უდარდელ და უსაქო

ცხოვრებას, ქართველობა მას ფეხზე ეკიდა. გარდა სმა-
 ვამის, ჩატარებულისა და მხიარულად დროს გატარებისა,
 მისთვის აღარაფერი არსებობდა. ყველა ამაების დასაქმი-
 ყოფილებლად კი მას მიწემებული ყავდა ყმები, რომლებიც
 მას პირში ლუქმას არ უდებდნ, თორებ სხვას ყველაფერს
 უკეთებდნ. ყოველგვარ მაღალ და კეთილშობილურ მის-
 წრაფებებით მოქლებულს მხოლოდ მას სამი საგანი აინტე-
 რესებდა: სმა-ვამა, ჩატარებული და მხიარულად დროს
 გატარება. ოღონდ კი ეს მოთხოვნილებები დაკამაყოფი-
 ლებია და სხვა მას არაფერი აწუხებდა. ამის იქით
 მისი მოთხოვნილება არ მიღიოდა. მავრამ ამისთვის კი იგი
 არაფერს ზოგავდა, არაფერს არ დაგითმობდათ: მისთვის
 არაფერი არ ღირდა უბრალო რამესთვის ყმის გაყვლეთა
 და დარჩევა, მისი ტანჯვა და სიკედილში ჩაყენება, ყმის
 ცოლის და ქალის შეუძაცყოფა და ძალაზ გაუპატიურება.
 იგი იმდენათ აფასებს ყმას და მის ოჯახს, რომ მას მაძე-
 ბარ ძალაზე ცვლის. როცა თავის ყმის შემოსავალი მას აღარ
 ყოფის, იგი ჯერ აგირავებს და შემდეგ ყიდის თავის ყმებს
 და მათ ოჯახს ¹⁾. ამ ხნიდანვე იწყება თავად-აზნაურობის
 შემულ-დელულის გაფლანგვა, რაც დღემდისაც არ დასრუ-
 ლებულა. შეუძლებელია, რომ ასეთ ცხოვრებას გაპირუტ-
 ყვება დი გამხეცება არ. გამოეწვია და გამოიწვია კიდევაც.
 უამისოდ ძნელი წირმოსადგენია ის საზარელი და შემაძრწუ-

1) მეორმოცე და მეორმოცდა-ათე ჭლების ოფიციალური განხეთები
 „Закавказский Вестник“ და „Кавказ“ გაესებულია. ასეთი შინაარ-
 სის განცხადებებით: ამა და ბატონის ვალში იყიდებიან მისივე ყმები
 ოჯახით და უძრავ-მოძრავი ქონებით, რომელიც დაფასებულია ამდენად
 და ამდენად.

ნებელი ამბები, რომლების მოწიმე იყო მცხოვრიშები
 საუკუნის პირების ნახევარი, განსაკუთრებით მეორმოცე
 და მეორმოცდა-ათე წლები. მხოლოდ მხეცებს და არა
 ადამიანებს შეეძლოთ ყმების ხეზე გაკერა, მიღურსმეა, მოხუ-
 ცებულ მამაკაცების და დედაკაცების კევრში შებმა და
 ხარებივით წინ გარეკვა, ქალწულ ქალების ძალადობით
 ნამუსის ახდა და სხ. ამგეარები, რომლებითაც ისახელეს
 თავი მაშინდელმა მებატონებმა.

ასეთი იყო თავად-აზნაურობის ძეელი თაობა, რომელ-
 საც ახალი დროის სწავლა-განთლების შექი სრულებით
 არ მოხვედროდა. მაგრამ ამ ხანებში თავად-აზნაურობაში
 გაჩნდა ახალი თაობა, რომელსაც ახალი დროის სწავლა-
 განათლება ჰქონდა მიღებული; რიცხვით იგი მცირე იყო,
 მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი სამ ჯგუფად შეიძლება
 გავყოთ. პირველ ჯგუფს შეადგენენ ისინი, რომლებიც ძეელი
 თაობის მსგავსად ლხინის და ქეიფის მოტრფიალენი იყვნენ,
 მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამათ ლხინის და დროს
 ტარებას უფრო ეკროპიული გემო ჰქონდა და ამიტომ
 უფრო ძვირადაც უჯდებოდათ. ყმების და მამულის დაგი-
 რავება და გაყიდვა ამათში უფრო ხშირი მოვლენა იყო,
 ვინაიდან მათი ეკროპიულ გემოზე ცხოვრება უფრო შეტ-
 ხარჯს ითხოვდა. უმთავრეს შემთხვევაში ესენი მსახუ-
 რობდენ სხვადასხვა ადმინისტრატიულ. ჭ სამოქალაქო და-
 წესებულებებში. თ-დ ალ. ჭავჭავაძის პოეზია იყო იმათ შო-
 რის ყველაზე უფრო პატივცემული. თქმა არ უნდა, რომ
 ესენი ყველა ბატონყმური ურთიერთობის ერთგული მომ-
 ხრენი იყენენ და, შესაძლებელია ის, მხოლოდ, რომ ისი-
 ნი არ თანაუგრძნობდენ ისეთ მებატონეთ, რომლებიც

მეტად სასტიკად და მხეცურად ექცეოლენ თავიანთ
ყმებს. სულ წინააღმდეგს ვხედავთ მეორე ჯგუფში,
რომელიც რიცხვით სულ მცირე უნდა ყოფილიყო.
ამათთვის ლხინი და ქეიფი არ ყოფილა ცხოვრების
მთავარი მიზანი, მათ სულ სხვა აფიქრებდათ. მათ მარ-
ტო-ოლენ სევდა და მწუხარება აწვათ გულშე და მათი
მისწრაფებაც სულ სხვაგვარი იყო. ბატონ-ყმური ურთიერ-
თობა იმათ სრულებით არ აფიქრებთ, თითქო არც
კი არსებობს იმათ გარშემო, თითქო იმის მეობებით
შეწუხებული და შეზარებული არ იყოს მთელი ქვეყანა. მაშ-
რა აწუხებდათ იმათ, რა იყო იმათი ჭმუნეარების და
სევდის მიზეზი? მათი აზრი ეს იყო საქართველოს წარსული
დიდება და ამ დიდების სამუდამოდ დაკარგვა. შესანიშნავი
და ამავე დროს ერთად-ერთი წარმომადგენერი ამ მცირე
ჯგუფისა იყო პოეტი ნიკ. ბარათაშვილი, რომლის თით-
ქმის ყველა ლექსებში ჩაქსოვილ-ჩატანებულია ლრმა სევ-
და და მწუხარება. ბარათაშვილი ლრმად წუხს აწმყო და
მომავალ საქართველოს ბეღზე, განურჩევლად წოდებისა და
მდგომარეობისა. მას არა სწამს, ანუ უფრო მართლად რომ
ვთქვათ, მას აშინებს სამშობლოს მომავალი ბეღი და ეს
გარემოება მას ლრმა მწუხარების გვრის. მიუხედავად თავისი
ლრმა პესიმისტური მიმართულებისა, იგი თანამედროვეთ
ურჩევს ქვეყნის საქმეებისათვის ზრუნვას: „არც კაცი ვარგა,
რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფ-
ლისთვის არა იზრუნვოს“, — ამბობს იგი ერთ თავის
ლექსში („ფიქრი მტკერის პირას“). ჩენ ნუ შევალთ იმის
გამოძიებაში, მართალი იყო თუ არა ნ. ბარათაშვილი,
როცა წირსული „დიდების“ დაკარგვა მას ასე უკლავდა
გულს; აშკარაა მხოლოდ ის, რომ იგი ერთად-ერთი პირია,

რომელშიაც ეს გრძნობა ყოველგვარ ანგარებას შოკლებული იყო. კიდევ განვიმეორებთ, რომ ამ ჯგუფის წარმომადგენლები ძლიერ ცოტა იყო, და შეიძლება ბარათაშვილის გარდა არც კი იყო ვინმე. იგი იდგა სრულებით განმიარტოვებით; მისი პასუხის გამცემი, მისი შინა გრძნობის გამგები არავინ იყო. ტყვილა კი არ შესჩივის იგი თავის „სულის ობლობას“!

მაშინდელი ახალი თაობის ამ ორ ჯგუფს შუა დგას მესამე ჯგუფი, რომელიც არც აქეთ არის და არც იქით, რომელიც, როგორც ამბობენ რუსები, მიწას მოშორებია, მაგრამ ზეცამდის ვერ ამაღლებულა. ამ ჯგუფის არსებობას ჩვენ პირველად ვგებულობთ დ. ჭონქაძის „სურამის ციხიდან“. აქ მას გამოყენილი ჰყავს ვინმე ლ. დ., რომელსაც „კნიაზ-ლიბერალის“ სახელით ნათლადა; „კნიაზ-ლიბერალობა“ შეტაც საინტერესო მოვლენაა; სამწუხაროდ ცოტად თუ ბევრად სისრულით იმათ დახასიათებას ლიტერატურის საშუალებით ჩვენ დღემდისაც ვერ ველირსეთ. როგორც „სურამის ციხე“ მოწმობს, „კნიაზ-ლიბერალები“ ყოფილან დ. ჭონქაძის დროსაც. არიან ისინი, რა თქმა უნდა, დღესაც. დ. ჭონქაძეს, რომელიც პირველად და უკანასკნელად შეეხო „კნიაზ-ლიბერალებს“, გარდა სახელშოდებისა იმათ შესახებ არა გაღმოუყია რა ჩვენთვის. ამიტომ ძნელია იმის გაცნობა, თუ რის თქმა უნდოდა აეტორს ამ სახელშოდებით. უნდა ვითიქროთ, რომ ეს „კნიაზ-ლიბერალები“ დ. ჭონქაძის დროსაც ისეთები უნდა ყოფილიყვენ, როგორც არიან ისინი დღეს, ე. ი. სიტყვით „ლიბერალები“ და საქმით-კი ნამდვილი „კნიაზები“. „სურამის ციხის“ აეტორი შესანიშნავად მიხვდა იმათი გულის ზრახვებს

და კიდეც შესაფერი სახელწოდება გამონახა იმათთვის.
 ესე არ არის, რომ ახალგაზღობას, რომელსაც უოტა-
 დენი განათლება მიელო, არაფრად მოეწონებოდა, რო-
 ცა მებატონები მეტის-მეტად სასტიკად შეცეოდენ თავის
 ყმებს, და შესაძლებელია, რომ ზოგიერთი შათვანი თანაუ-
 გრძნობდა ყმების განთავისუფლებას. მაგრამ თუ როგორი
 მოსარჩელენი იყვნენ „კნიაზ-ლიბერალები“ საჭმით ყმების
 განთავისუფლებისა, ამის შესახებ ისტორია სდუმს. დ. ჭონ-
 ქაძის მეოხებით ვიცით, რომ მათ ძლიერ უყვარდათ
 თურმე „მაღალი ფრაზები“. ეს ისეთი დამახასიათებელი
 ნიშანია, რომ „კნიაზ-ლიბერალებში“ ჩვენ პირველი შე-
 ხედვითვე ვცნობილობთ ეგრედ წოდებულ მესამოცე წლე-
 ბის მოღვაწეებს. განა ვინ იყვნენ ესენი, თუ არა „კნიაზ-
 ლიბერალები“, რომლებსაც ყოველთვის პირზე ეკერათ
 „მაღალი ფრაზები“, პუმანიური იდეები, ხალხის კეთილ-
 დღეობისათვის თავის განწირვა და სხვა ამგვარები და სა-
 ჭმით კი სულ სხვა რამეს ემსახურებოდენ ¹⁾. სხვის რა მო-
 გახსენოთ და ჩვენ-კი, როცა „კნიაზ-ლიბერალს“ ვასსე-
 ნებთ, მაშინვე ძველი „კნიაზ-ლიბერალი“ და იმავე დროს
 მესამოცე წლების მოღვაწეთა მებაირალე, თ-დი ილია ჭავ-
 ჭავაძე მოგვაგონდება ხოლმე. ასე იყო თუ ისე, დ. ჭონქა-
 ძის დროინდელი „კნიაზ-ლიბერალები“, შემდეგში მარ-
 ტოდენ „ლებერალებათ“ გარდაქმნილნი, საკმარისად არი-

¹⁾ რასაკვირველია, მესამოცე წლების მოღვაწეებზე საერთოდ,
 en bloc, ამის თქმა არ შეიძლება: ყოველ ეპენის გარეშე, რომ იმათ-
 შიაც ერთა თითო-თრთლა ნამდეილი გულწრფელი მოღვაწე, რომ-
 ლებიც თავისებურად ხალხის კეთილდღეობაზე ყიქრობდენ, მაგრამ
 საერთოდ ასეთების რიცხვი მეტად მცირე იყო.

ან ცნობილი ჩეენს მწერლობასა და საზოგადოებაში, მაგრამ, რადგანიც ამათი მოღვაწეობა შემდეგ ხანას ეკუთვნის, ამიტომ აქ იმათ ჩეენ თავს ვანებებთ.

დაუბრუნდეთ ისევ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარს. ჩეენ დავინახავთ, რამდენიმედ მაინც, თუ როგორ ცხოვრიობდენ ან რას შეტროფოდენ მაშინდელი თავად-აზნაურების სხვადასხვა ჯგუფები. მაგრამ ეს დახასიათება არ იქნება სრული, თუ აქ არ დავასახელეთ კიდევ რამდენიმე გარემოება.

ჩეენ ვიცით, რომ, რაც დრო გადიოდა, თავად-აზნაურობას მოთხოვნილება ერთი ორად ემატებოდა. ნივთიერი საშუალება კი, პირიქით, კლემულობდა; ამიტომ თავად-აზნაურობა იძულებული შეიქნა დაევირავებია თავისი ყმები. მაგრამ მოხდებოდა ხოლმე, რომელიმე მებატონე შეიძიდა და აგირავებდა არა თავის საკუთარ ყმებს, არამედ სხვისას. ეს, რასაკვირველია, აყალ-მაყალს და შელლს იწევდა თვით თავად-აზნაურობაში, მით უმეტეს, რომ ასეთი დავის გადაწყვეტა ხშირად ძალმომრეობით ხდებოდა ხოლმე, ვიდრე სასამართლოს ჭესით. ვისაც ყმებს გაუყიდენ დაუკითხავად, ის თვითონ ექვებდა დაკარგულ ყმებს და, იპოვიდა თუ არა, თავის კაცებით გაქაჩიავდა და ყმებს უკან იბრუნებდა. ზოგიერთ თავად-აზნაურთაგანს, განსაკუთრებით იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში სხვისი ყმების მოტაცება და გაყიდვა ხელობად გადაექცა, და ამის შემდეგ თქვენ აღვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რანაირი მდგომარეობა უნდა ყოფილიყო ჩამოვარდნილი იმ ხანებში. ასეთ პირობებში ხშირი მოვლენა იყო, რომ ერთსა და იმავე ყმას რამდენიმე ბატონი ჰყავდა და მაშინ უნდა

გენახათ ამ ბედერულ ადამიანის ვაება: ერთს რომ შეუს-
რულებდა თავის სამსახურს და ბეგარას, ასლა მეორე მოა-
დგებოდა კარზე, შემდევ შესამე და ასე ამგვარად. ეს იყო
დაუსრულებელი დავა-საჩიტოების დრო თვით თავაღ-ან-
ნაურობაში, რაც მას იაფად არ დასჯდომია. მაშინდელი
სასამართლოები გავსებული იყო ასეთი საქმეებით. ამ რას
აშპობს ამის შესახებ, სხვათა შორის, ერთი ოფიციალური
დოკუმენტი, რომელიც ბატონ-ყმობის უკანასკნელ წლებს
ეკუთვნის და რომელიც შეიცავს ორას-ორმოც ქართველ
მებატონეთა 21 აზრს გლეხობის შესახებ¹). „ვალები ჩვენ—
ნათქვამია იქ, — ერთობ მეტად ბევრი გვაქვს. ამის
შიზე ზოგი სადაც საქმეების წარმოება—
არ შევიტოვდები და მამულზეოდ.

ამ რას ჭარბოდებული ქართველი თავად-აზნაურობა ამ ნახევარ საუკუნის წინად; მისი ზნეობრივი და გონიერივი დაქვეითება აშკარაა (ლურსაბ თათქარიძე იმ დროს იშვიათი მოვლენა არ იყო). ნივთიერადაც იგი სულ უკან დაუკან მიღიოდა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. უსაქმო და

¹⁾ Свод 21 мнению двух сот сорока грузинских помещиков по крестьянскому вопросу. Составлено в апреле 1803 года. ხელთხაურის ინახება ჭერია-კიოთხვის საზოგადოების ჭიდავთა ცალში.

2) საინტერესოა, რომ თავისი დავალიანების მიზნებად მნიშვნელოვან საქმეების წარმოებას თვლილენ და არა თავიანთ უსაქმიო უდარღელათ ცნოვრებას, რომელიც მნიშვნელოვან ლხინსა და დროის ტარებაში იხატებოდა.

უდარდელმა ცხოვრებამ იგი სრულებით გადააჩინია შრომის და მეცალინეობას: იგი სრულიად გაფუქსავატდა და მან ყოველგვარი შრომის უნარი დაკარგი. იმას ვერ წარმოედგინა, რომ იგი შეიძლებდა უყოდ ცხოვრებას, მისი წარმოდგენით, ყმები თვით ღმერთმა გააჩინა ბატონებისათვის; ყმების დანიშნულება ბატონების სამსახურით და ყმებიც მხოლოდ იმათვის ცხოვრობენ.

ასეთ საზოგადოებაში ელვსავით გაისმა, რომ მებატონებს ყმები უნდა ჩამოერთვას, ბატონ-ყმობა უნდა გაიუქდესთ და ყმები უნდა გაათავისუფლონო. რა თავშარდამ-ცემი უნდა ყოფილიყო მათთვის ასეთი ამბავი! პირებულად ეს მათ არ ჯეროდათ, მაგრამ როცა მოახლოვდა ბატონ-ყმობის გაუქმების წამი და მებატონეებიც ძალაუნებურად იძულებული შეიქნენ ამაში დარწმუნებულიყენენ, მაშინ იმათ მორთეს ყვირილი: გვიშველეთ, ვიღუპებით! გლეხების განთავისუფლების შემდეგ ჩვენ ყველანი მშეირ-მწყურ-რეალი უნდა დავიხოცოთ! — აი როგორ შეხვდა ბატონ-ყმობის მისპობას ჩვენი თავად-აზნაურობა. მაგრამ უმჯობესია მოვიყეანოთ აქ მისი აზრი ამის შესახებ სიტყვა-სიტყვით.; ყმების განთავისუფლების შემდეგ¹⁾ — ვეითხელობთ ჩვენ ზევით დასახელებულ დოკუმენტში, — მთელი ჩვენი მეურნეობა იმ წამსვე გაქრება; ჩვენ შევიქნებით ქუჩის მაწანწალა, რომელიც მოწყალებას თხოულობს. დაერჩებით უმოსამსახუროდ, უმუშა-ხელოთ, უმწყესოდ და უძაძოდ... აქ თქვენ ხედავთ მუქთა-ჭამია კაცის სამღერაეს, რომელიც სხვისი ხელით დაეჩვია ჭამას და ახლა როცა ეს

¹⁾ ი. Свод 21 мнению 240 грузинских помещиков по крестьянскому вопросу.

სხვისი ხელი მას გამოაცალეს, ალარ იცის როგორ ჩაიღვას პირში ლუქმა! შეიძლება თქვენ იფიქროთ, რომ კიდევ კარგი, ბოლოს მაინც გაუგია, თუ რა სამსახურს უწევდენ მას, თუ რა-იყვნენ მისთვის ყმები; შეიძლება გამოთხოვების დროს მაღლობის გადახდა მაინც სწადდა, — იფიქრებს ვინმე. მაგრამ ეს სრულიად ტყუილი ფიქრია: „ჩენ იმათ (ყმებს) მიწებს ვერ მიუცემთ, ჩენ სრულიად არ გვინდა, რომ ისინი ჩენი მაღლიერი იყვნენო. ვინ ჩენ და ვინ ისინია: ისინი მხოლოდ შევი მუშაობისათვის არიან დაბადებულნია“¹⁾),

ამნაირად საზოგადოების ბანის მიმცემი და მის მბრძანებელი იყვნენ ისინი, ვინც თავიდან ფეხამდე გაეღენთილი იყვენ ბატონ-ყმური შეხედულებით და ვისაც პირადი სიამოვნებისა და მხიარულად დროს გატარების გარდა ყოველივე ფეხზე ეკიდა. არა თუ ნ. ბარათაშვილი, არამედ „კნიაზ-ლიბერალებიც“-კი მხოლოდ წვეთი იყენებ ზღვაში. თუ რა ზომამდის გამჯდარი პჭონდა მაშინდელ საზოგადოებას ძვალსა და რბილში ბატონ-ყმური შეხედულება, ამას, სხვათა შორის, გვიმტკიცებს შემდევი ფაქტი, რომელიც ივ. კერძესელიძისაგნ არის ნაამბობი²⁾).

„მოგეხსენებათ, რომ თ-დი ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანი კარგი ცნობილი პირია ჩენს საზოგადოებასა და მწერლობაში: იგი ღებულობდა მხურვალე მონაწილეობას ურნალ „ცისგარში“ მეორმოცდა-ათე წლებში და

¹⁾ ibid.

²⁾ ეს ფაქტები ჩენ ამოღებული გვაქს ბ. ს. ვიტინაძის დაუბეჭდავი ხელნაწერიდან ამ სათაფრით: „ბატონ-ყმობა საქართველოში“.

გარდა ამისა, მას აქვს დაწერილი რამდენიმე დრამატიული ნაწარმოები. ეს გვამი, როგორც კერძესელიძე გაღმოგვცემს, მეტად კეთილი აღაშიანი ყოფილა კერძო ცხოვრებაში, გლეხობის მოწყალე და შემბრალი, ყველა შეწუხებულის მფარველი და ამავე დროს საქართველოს დიდი მოყვარული. თუმცა ასეთი იყო ეს გვამი, მაგრამ, როგორც მებატონე, ყმა მისთვის მხოლოდ ყმა იყო, ე. ი. ყოველ გვარ უფლებას მოკლებული და მეტი არაფერი, — ე. ი მისთვისაც ყმა უბრალო სახმარი ნიეთი იყო, რომელსაც პირადი სარგებლობისათვის ისე მოიხმარდა, როგორც მას სურდა. ამას შემდეგი ამბავი ამტკიცებს: ერთხელ ალ. ორბელიანს ერთი ქართველი თავადისაგან, რომელიც ცნობილი იყო, როგორც ყმების გამყიდავი, ერთი გლეხი ოჯახი უყიდია 150 მან. ეს ოჯახი შესდგებოდა ქმრის, ცოლის და ორი შეილის — ქალ-ვაჟისაგან. ესენი თავადმა ტუოლისში ჩამოიყვანა და დროებით დაკავებული ყავდა თავის სახლში; მერე განიზრახა მოგებით იმათი გაყიდვა. გლეხებმა, რა თქმა უნდა, ტირილი შექნეს და თავადს ივიღრებოდენ: „ბატონო, ცალკალკე ნუ დაგვყიდით, გვიმსახურეთ თქვენ მონად, ნუ დაგვაპნევთო“.

თავადი ალექსანდრე ივ. კერძესელიძის ნათლია ყოფილიყო, რომელიც იმ დროს თურქე გიმნაზიაში სწავლობდა. გაუგია რა ეს ამბავი კერძესელიძეს, წასულა და თავადისთვის უთხოვნია, რომ მას ეს გლეხები არ გაეყიდნა ცალ-ცაკვ, არამედ თავის ყმებად დატოვებია, და თუ მაინც და მაინც გაყიდდა, მაშინ ერთად მაინც გაეყიდნა. ეს სხვებსაც უთხოვნია შემბრალე თავადისათვის; მაგრამ საქმე სულ სხვანაირად დატრიალებულა: ქმარი კახეთში

გაუყიდია, ცოლი სომხეთში, ბიჭი ერევანელ სომხისთვის და ქალი კი შინ დაუტოვებია მოსამსახურედ და როგორ თავისი ქალი გენ. ქობულოვისთვის მიუცია ცოლად, ეს გოგოდ მას მზითვში გაუყიდებია. სწორედ დრო იყო ასეთი, თორემ უამისოდ ძნელია ამის ასსნა. მაგრამ თუ მას ჩადიოდა მაშინდელი საუკეთესო „მამულიშვილი“, კაცი, რომელიც გლეხების შემბრალე და მოწყალე იყო, რომელიც საქართველოს „ბედნიერებისათვის“ ზრუნავდა, და თუ არ ზრუნავდა, ფიქრობდა მაინც ამაზე, როგორი უნდა ყოფილიყო თავიანთ ყმებისთვის არა თუ სასტიკი, არამედ ჩვეულებრივი საშუალო ტიპის მებატონე, რომელიც მარტოდენ თავის სიამოვნებაზე ფიქრობდა? აშეარაა, რომ ასეთი საზოგადოება ბატონ-ყმობის წინააღმდეგ არა თუ საჯაროდ ლაპარაკს, არამედ ფიქრსაც კი არავინ აპატიებდა, და მართლაც ყველას ხმა გაემედილი ჰქონდა. შხოლოდ დ. ჭონქაძემ დაარღვია ეს სიჩუმე, რისთვისაც მას მტკვარში გადაგდებას უპირებდენ.

საზოგადოება ცხოვრობდა დახშულ და მოწამლულ ჰაერში; აქ ყველაფერს პოქვის და ობის სუნი ასდიოდა: გრძნობასაც, აზრსაც და მწერლობასაც. ამის შედეგი იყო აზროვნების და გრძნობის დაჩლუნება და დამახინჯება. ამასევ მოყვა ზნე ჩვეულებათა დაწვრილმანება და გადაგდარება. მაღალ საზოგადოებას ეთავისულებოდა ქართულ ენაზე ლაპარაკი ¹⁾, და ვინც ლაპარაკობდა, ნახევარზე მეტს უცხა სიტყვებს უჩევდა. ჩატა-დახურვა აღარც ქართული იყო და აღარც უცხა; ყველაფერში უაზრო და ულაზათო მიბაძეა იხატებოდა. ცოლებს ირთავდნენ და ქალებს ათხოვებდენ ანგარიშის გულისათვის: ან გამდიდრე-

¹⁾ ეს ახლაც ასეა.

ბისათვის და ან სახელის შეძენისათვის. დავალიანებული და გაკოტრებული თავად-აზნაურობა, რომელსაც ჩარჩ-სოფდაგრების თვალში სრულებით გატეხილი ჰქონდა სა-ხელი და პატივისცემა დაკარგული, სიმოუნებით აძლევ-და თავის-გვარს, ამ ძეველთა დროთა დიდების აჩრდილს რომელიმე ჩარჩ-სოფდაგრის მანიჯ და გონჯ ქალს, რომე-ლიც, ვინ იცის, რა სილარიბის და სიბინძურის სილრმიდან ამოცურებულიყო ზევით. ყოველივე ეს საქმიარისად დასუ-რათებულია მაშინდელი მწერლობის ნაწარმოებებში, რო-გორც არიან თ-დი გ. ერისთავი, ნ. ანტონიოვი და ლ. არდა-ზიანი. ამიტომ გასაკეთირალი არ არის, რომ ვისაც რიმე ცხოველი ნაპერწერალი კიდევ ულვიოდა გულში, იგი ამ მოწა-მლულ ჰაერში სულს ეელარ ითქვამდა, ჰაერი აღარ ყოფნი-და და აქედან მოშორებას ლამობდა თავის სევდა-ნალელის გასაქარებლათ. „გასწი, მერანო, ზენს კენებას არ აქვს საზ-ლვარი და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი“, — ასე მიმართავდა პოეტი (ნ. ბარათაშვილი) თავის თა-ვისი თანამემამულებშე გულგარეხილი და უკმაყოფილო.

მაგრამ ამ საზოგადოებას მეცხრამეტი საუკუნის პირ-ველ ნახევრის მიწურულში უკვე დათვლილი ჰქონდა დღეები; იგი ამ დროს უკვე მომაყვდავი იყო. მის გეერდით კი ახალი საზოგადოება ისახებოდა და ფერს და ხორცს ისხამდა. რამდენადაც პირველს სული ელეოდა და იხრ-წნებოდა, იმდენად მეორე იზრდებოდა და ძალას იძენდა. მართალია, ახალი საზოგადოება ჯერ მსოლოდ ნასახად იყო, მისი ძალა და განმავლობა ჯერ სულ მცირე იყო, მაგ-რამ მისი მოვლინება უტყუარი და აშეარა იყო. ახალი სა-ზოგადოების საფუძველი იყრებოდა საქონლის გაცელა-გა-

მოცვლის, ე.ი. აღებ-მიცემობის ნიადაგზე. ეს იყო ჩარჩის, მევახშის და ვაჭრის კაპიტალი. ყვავილებით არც ამის გზა ყოფილა მოფენილი: იგიც წვითა და დაგვით იკვალავდა გზას და სიმწრით და გასაჭირით იზრდებოდა. ლ. არდა-ზიანის „მეჯლანუაშვილში“ ვხედავთ ამ საზოგადოების ნიშნებს და წინამორბედებს. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცდა-ათე წლების მიწურულში ამ ახალ საზოგადოებას ჯერ კიდევ სრულებით გამოკვეთილი სახე არა აქვს მიღებული. ჯერ კიდევ არავინ იცის, თუ რა გამოვა მისგან, რა სახეს მიიღებს იგი, ან როგორი იქნება, როცა მომწიფდება. მაგ., ზევით დასახელებული ალ. ორბელიანი, რომელიც ასე იყო თუ ისე განსხვავებას ამჩნევდა ძელ დროს და ახალს შორის და რომელიც ამბობდა, რომ დღეს (ე.ი. მის დროს) „თოფის და ხმალის“ მაგიერ სწავლა-განათლება და ვაჭრობაა საჭირო ¹), სრულებით ვერ ხედავდა და ვერ წირმოედგინა, თუ რა ძირითადი და შეურიგებელი წინააღმდეგობა არსებობდა ძელ ბატონ-ყმურ და ახალ ბურეუაზიულ დროს შორის, რომელსაც ვარდა ფულისა, არაფერი არ სწამდა: არც წოდება და არც ხარისხი და რომელიც სიკედილს უქადდა ძელ პატრიარქალურ და ბატონ-ყმურ წესწყობილებას.

ამით ვათავებ საუბარს მაშინდელ საზოგადოებაზე და გადავდივარ მწერლობაზე.

3. მწერლობა.

როგორიც ერი, ისეთი ბერი, როგორიც საზოგადოება იყო, ისეთი უნდა ყოფილიყო. მწერლობაც, — ეს საზოგა-

¹⁾ იხ. „ეისკარი“ 1859 წლის, № X. წერილი: „ჩვენი საქართველოს საზოგადოება“.


დოებრივი ცხოვრების ღვიძლი შვილი. მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მწერლობა ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით ჩვენში სრულებით არ არსებობდა. ჯერ კიდევ დღესაც ბევრს საეჭვოდ მიაჩინია ჩვენი ლიტერატურის არსებობა, თორემ ამ ნახევარ საუკუნის წინადარალა უნდა ყოფილიყო ¹⁾.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისი ისეთი ხანაა ჩვენში, როცა ძელი ცხოვრების საფუძველი ძირიანად შეირყა; საზოგადოებრივი ცხოვრების მიმდინარეობა გადაცდა თავის ჩვეულობრივ გზა-კვალს და იმავე დროს ახლი გზის აჩენა და გაეკალვა ერთბაშად შეუძლებელი შეიქნა. უფრო მაღალ კულტურულ საზოგადოებაში, კიდრე ჩვენი საზოგადოება იყო იმ დროს, ასეთი ცვლილება გამოიწვევდა სასტიკ შეტაკებას და ბრძოლას ძელსა და ახალს შორის, მაგრამ ჩვენი ცხოვრება იმ დროს მეტად სადა და მარტივი იყო, ამიტომ იგი დიდ წინააღმდეგობას ვერ უწევდა ახალ პირობებს, რომლებიც მას ხელს აღებინებდნენ ძელებურ ცხოვრებაზე. მეორე მხრით, თვით ახალი პირობები როდი

1) ნიკოლაძე 1876 წელს სწერდა: „ამ ხუთი, ექვსი წლის წინეთ, იცით რა დრო და რა ამინდი იყო ჩვენთვის? ქართული ენა ვის ახსოედა, ქართულ მწერლობას ვინ აქცევდა ყურადღებას, ქართული განხეთი ვის რათ მიაჩინდა? განხეთზე ხელს აწერდნ თხოვნისა და წევწნის გამოისობით, თითქოს მოყალებას იძლოთდნ. ქართველი მწერალი ზოგს ტუტუცათ მიაჩინდა და ზოგს გიეათ: საქმე გამოლევია, ჯლაბისო, ამბობდენ კველგან.. მის სიტყვას სრულიად არავითარი გავლენა არ ჰქონდა საზოგადოებაში“ იშ. ნ. ერდანა „ქართული პრესა“ გვ. 19 — 20. თუ ეს ასე იყო მესამოცდაათე წლებში, რაღა უნდა კოუილიყო წინად?

იყო ისე ძლიერი და მკეთრად გამოხატული, რომ შეს შე-
 შინებ აღებეჭდათ თავისი გაცლენა ჩვენს დახვეცებულ ცხო-
 ვრებაზე და იგი ერთბაშად შეეცვალათ. ამიტომ ჩვენში
 დადგა რაღაც არევ-დარევის ხანა, რომელმაც კარგა
 ხანს გასტანა. ასეთივე გავლენა უნდა განეცადა ჩვენს
 მწერლობასაც. მწერლობა ჩვენში დადი სნიდან არ-
 სებობდა. მაგრამ იგი უფრო გარედან გადმონერ-
 გილი მცენარე იყო, ვიდრე ჩვენი ცხოვრების ნიადგზე
 აღმოცენებული. ამიტომ ის დაბადებიდანვე მკედარი იყო,
 ხალხის ცხოვრების გარეშე იდგა და მასთან არაეითარი და-
 მოკიდებულება არ ჰქონდა. მას ჰქონდა გინსაზღვრული
 წრე სავნებისა, რომელსაც ის ეერ გადასცდებოდა: ღვთის
 შეტყველება, ღვთის მახურობა, განყენებული ფილოსო-
 ფია და ზნეობა და წმინდანების ცხოვრება, — აა შთე-
 ლი მისი შინაარსი, რომლის გარეშემო ის ტრიალებდა.
 ცხადია, რომ ყოველივე ამის ცოდნა ხალხისთვის სიჭი-
 რო არ იყო, და იმავე დროს ყოველივე მისთვის სრუ-
 ლიად მიუწდომელი. როგორც თეთო მწერლობას შინაა-
 რსი იყო წინდაწინეე განსაზღვრული, ისე განსაზღვრული
 იყო მისი მწერლების და მკითხველების წრეც; ესენი
 თითქმის ყველანი ან სასულიერო პირები იყვნენ ან თავად-
 აზნაურები ¹⁾). როგორც ხედავთ ძეელი მწერლობა არ იყო

1) თავის თავაზ იგულისმება, რაც ჩეენ ძეელ მწერლობაში,
 როგორც სსვაგან, საქაო პირები; გამოეჩერენ ზოგჯერ,
 შაგრამ ისინი მწერლობას როდი შეაღვენდენ; პირიქით, ისინი მწერ
 ლობის გარეშე იძადებოდენ და საზღვრობდენ. როცა ძეელ მწერ-
 ლობაზე ელაპარაკობთ, ჩეენ მხედველობაში გვყავს მხოლოდ იშ-
 მირთა გუნდი, რომლების ხელშიაც იყო ძეელი მწერლობა და რომ
 ლებიც მას ასაზდოებდნენ.



ცხოვრების მიერ შექმნილი და არც მისი მასაზრდოებელი; კი იმათი გზა სულ სხვადასხვა იყო; იმათ საერთო სრულებით არაფერი ჰქონდათ, თითქმის ენაც კი სხვადასხვა იყო; ამას ამტკიცებს ძელი წიგნური საეკლესიო ენის და ხალხის ცოცხლად მჩქეფარე ენის შედარება. ძელი მწიგნობრის ენა, ეს ძნელი გამოსათვემელი შესართავებით და დაბოლოებით დატვირთული და ძნელად გასაგები ენაა, მაშინ, როცა ხალხური ენა ცოცხალი, მარტივი მსუბუქი და ადვილი გასაგებია. ეს არ მოხდებოდა, რომ ძელი მწერლობა ხალხთან დაახლოებული ყოფილიყო. ხალხს ჰქონდა თავისი საკუთარი წყარო, რომელიც შეაღენდა მის გონებრივ საზრდოს და რომელსაც იგი მიმართავდა, როგორც გასაჭირის, ისე დალხუნის დროს, — ეს იყო ხალხური პოეზია, სხვადასხვა გადმოცემაზე და ზეპირი თქმულებანი. ყოველივე ეს გადადიოდა ერთი თაობიდან მეორეზე. მართალია, სასულიერო წოდება მოელი თავისი ძალლონით სასტიკად სდევნიდა ხალხურ პოეზიას და ზეპირგადმოცემათ, მაგრამ იგი აქ უძლური იყო; ამის აღმოფხერა მან ვერ შესძლო, თუმცა ამის გამო დიდად დაბრკოლდა ხალხური პოეზია. ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს საგანს.

მწერლობა ერთი უდიდესი იარაღია საზოგადოებაში რაიმე აზრის, შეხედულების ანუ იდეის გასავრცელებლათ; იგი ენის საუცხოვო დამატებაა. სადაც ჩვენი ლაპარაკის ხმა არ წვდება, იქ იმის როლს მწერლობა ასრულებს. ამით ფართოვდება აღამიანის გავლენის ასპარეზი. აღამიანის სიტყვა შეზღუდულია დროისა და სიცრცის გამო¹⁾. გამოთქმული სიტყვა მოქმედობს მხოლოდ იმაზე, ვინც მას

¹⁾) როცა ეს იწერებოდა, იმ დროს რადიო და რადიო-გადაცემაზე აცნებაც კი არ შეიძლებოდა.

უსმენს, ვის წინაშე იგი ითქმება და მხოლოდ მაშინ, როცა
 იმის ხმა ისმის. დაწერილმა სიტყვამ კი, პირიქით, არ იცის
 არაეითარი საზღვარი; იმის განმეორება შეიძლება ყო-
 ვლგან და ყოველთვის. დაუწერელი სიტყვა ანუ აზრი
 ადვილად იკარგება და ჰქონდა, დაწერილის კი მეტადრე,
 თუ იგი ნაყოფიერი და სასარგებლოა, ვერაფერით ვერ
 აღმოფხვრით და ვერ გააქრობთ, ვინაიდან მისი წაკითხვა
 შეიძლება ყოველგან და ყოველთვის. ყოველივე ეს დიდი
 ხნიდან, თითქმის მწერლობის გაჩენიდანვე, კარგად შეიგ-
 ნეს სამღვდელოებამ და იმათ, ვინც ხალხის ბეჭს განაგებ-
 და; ამიტომ ისინი პირველადვე დაეპატრონენ ამ ძლიერ
 იარაღს და მრავალ საუკუნეების განმავლობაში ცდილო-
 ბდენ ის ხელიდან არ გაეშვათ, ვინაიდან ეს იმათთვის დი-
 დად სასარგებლო იყო. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრე-
 ბის განვითარებამ წარმოშობა ისეთი პირობები, რომელთა
 მეოხებით მწერლობა ხალხის ხელში გადავიდა, ე.ი. ხალხ-
 შა ის თანდათან გაიხადა თავის განვითარების და წარმა-
 რების იარაღად. ასე მოხდა დასავლეთ ევროპაში.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, როგორც მოელი
 ჩენი საზოგადოებრივი ცხოვრება, ისე მწერლობაც, ერთ-
 ბაზად მოწყდა ძეელ პირობებს; როგორც ერთი, ისე მეო-
 რე სულ სხვა გარემოებაში მოემწყვდა. მართალია, ძეელი
 მწერლობა ისევ განაგრძობდა თავის არსებობას, მაგრამ
 იმას სასიცოცხლო პირი აღარ უჩინდა. როგორც ახალი
 ცხოვრების პირობები სულ სხვა ნიადაგზე აღმოცენდა,
 ისე ახალი მწერლობის დაბადებაც სულ სხვა საფუძველ-
 ზე მოხდა. ახალი, ე. ი. თანამედროვე მწერლობა ჩენში
 სრულებით ძეელი მწერლობის გაგრძელება არ არის,—

პირიქით, თანამედროვე მწერლობა პირდაპირ უარყოფაა
ძელის, ვინაიდან ამ უკანასკნელის საგანი და ღანიშნუ-
ლება ხალხის სიბრელიდან გამოყენაა, მასში სინათლის
მოფენა. მაგრამ ის ხალხი, რომელშიაც თანამედროვე მწე-
რლობა თავის გავლენას ავრცელებს, ახალ საზოგადოებ-
რივ ურთიერთობათა მიერ არის წარმოშობილი; წერა-კი-
თხვის ცოდნა და თავის-თავის შეგნება მისი არსებობისათ-
ვის აუცილებელ პირობას შეადგენს. თეოთ თანამედროვე
მწერლობის წარმოშობა და აღორძინება პირდაპირი შედე-
ვია თანამედროვე მშრომელ ხალხის ზრდა-განვითარების;
უამისოდ თანამედროვე პრესას და ლიტერატურას სულ
სხვა მიმართულება და ხასიათი ექნებოდა. მაგრამ რადგანაც
ჩვენში ახალმა ცხოვრებამ დიდხანს ვერ გაიკვალა გზა,
ამიტომ თანამედროვე პრესის და ლიტერატურის აღორ-
ძინებაც დაგვიანდა.

თანამედროვე მწერლობის ფაქტორებად სამი უმთავ-
რესი პირობაა საჭირო: ხალხში წერა-კითხვის ცოდნის სა-
ჭიროება, სტამბა და უურნალ-გაზეთობა. არც ერთი ამ პი-
რობათაგანი მეცხრამეტი საუკუნის პირველ ნახევარში
ჩვენში ჯერ კიდევ არ არსებობდა, ვინაიდან ამისათვის
ჯერ კიდევ არ იყო ნიადაგი მომზადებული. მართალია,
როგორც წინად, ისე ამ ხანებშიაც ჩვენში აქა-იქ იყვნენ
მწერლები ანუ უფრო მართლად რომ ვთქვათ, მოლექსე-
ები, მაგრამ ისინი იდევნ ცხოვრების განაპირობას, ხალხის
ჭირ-ვარამს ვერ უახლოედებოდენ და ვერც რამეს უზიარე-
ბდენ მას, ვინაიდან ხალხსა და მწერლებს შუა არ იყო
შემაერთებელი ხიდი, ე. ი. არ იყო უურნალ-გაზეთობა,
პრესისა. ან კი საიდან უნდა ყოფილიყო პრესა, როცა სა-

ზოგადოებაში სრულებით არ იყო ამის მოთხოვნილება. კარგიც რომ გამოსულიყო იმდროს ჩვენში ვინმე, რომელ-
 საც გაზეთის ან ეურნალის გამოცემა ეკისრა, ასეთი გამო-
 ცემა უდღეური იქნებოდა; მას არ ეყოლებოდა არც მეით-
 ხველი, არც თანამეტნობი და ის ჩაკვდებოდა ისე, რომ
 ვერავითარ კვალს ვერ დატოვებდა. ეს მართლაც ასე მო-
 ხდა. ჩვენ ვიცით, რომ ქართული გაზეთის გამოცემა უც-
 დიათ პირველად მეცხრამეტე საუკუნის მეოცე წლებში. ამ
 ცდის შესახებ ჩვენ ვიცით მხოლოდ ის, რომ 1821 წელს
 ქართულ ენაზე გამოდიოდა გაზეთი სახელწოდებით „ქარ-
 თული გაზეთი“¹⁾. ვინ იყო ამ გაზეთის რედაქტორი, ვისი
 თაოსნობით გამოდიოდა ის, როდის დაიწყეს მისი გამო-
 ცემა, ან როდის შეწყვიტეს ის,—ამის შესახებ არავითარი
 ცნობა არ მოიპოვება. რომ სრულებით შემთხვევით ერთი
 ნომერი ამ გაზეთისა (№ 36) ჩვენ არ ჩავარდნოდა ხელში,
 ამ საინტერესო ცდის შესახებ თითქმის არაფერი არ გვე-
 ცოდინებოდა, ე. ი. მისი არსებობაც კი არ იქნებოდა
 ჩვენთვის ცნობილი. გასაკვირალია, როგორ ჩაქრა ისე
 ასეთი საქმე, რომ მან არავითარი კვალი არ დატოვა თა-
 ვის შემდეგ, ასე წარმოიდგინეთ, რომ უბრალო სსოვნაც-კი
 აღარ არსებობს მის შესახებ. ეს მით უფრო გასაკვირალია,
 რომ „ქართული გაზეთის“ გამოცემა, იმ დროის კვა-
 ლობაზე, საქმარისად დიდ ხანს გავრძელებულია, ვინა-
 დან მე-36 ნომერი, რომელიც გან „დროების“ რედა-
 ქციას ჩავარდნია ხელში, უკანასკნელი არ უნდა იყოს;

1) იბ. გან. „დროება“. 1875 წ. № 57, სადაც გადმობეჭდილია „ქართული გაზეთის“ ერთი ნომრიდან (№ 36) ზოგიერთი ადგილები.

იმავე დროს ხსენებული გაზეთი, როგორც შინარსის, ისე
 ენის მხრით, არ უნდა ყოფილიყო ინტერესს მოკლებული,
 როგორც ეს ჩანს ამ ერთად-ერთი ნომრიდან, რომელიც
 ზევით მოეიხსენიეთ ¹⁾). უფრო მეტი ვიცით მეორე გაზე-
 თის გამოცემის შესახებ, რომელიც გამოდიოდა 1832 წელს
 სოლ. დოდაშვილის ჩედაქტორობით და სახელად
 ერქვა „ტფილისის უწყებანი“. ეს გაზეთი კვირაში ერთხელ
 გამოდიოდა; გარდა ამისა დოდაშვილი ბეჭდავდა აგრე-
 სე თვეში ორჯერ უტრინალს, რომელსაც ერქვა „სალი-
 ტერატურონი ნაწილნი“. ამათი გამოცემა შეწყდა დოდა-
 შვილის დატუსაღებით და ციმბირში გაგზავნით, რაღაც
 მას მონაწილეობის მიღება დაბრალდა იმ შეთქმულე-
 ბაში, რომელიც განხრასული იყო რუსეთის მთავრობის
 წინააღმდეგ ქ. ტბილისში მაშინდელ თავად-აზნაურთა
 ერთი ნაწილის მიერ. მაგრამ ჩეენ დარწმუნებული ვართ.
 რომ დოდაშვილს ისეთი ბეჭდი არ სწვევოდა, „ტფილისის
 უწყებათა“ გამოცემა ცოტა ხნის შემდეგ თავის თავად
 შეწყდებოდა, რაღაც გაზეთის მკითხველი მაშინ ჩეენში
 არ იყო, როგორც არ იყო ათი წლის წინათ, როცა
 „ქართული გაზეთი“ გამოდიოდა. ქართველი მკითხველის
 მოელინებას ჯერ კიდევ ბევრი აკლდა; უწინარეს ყოვლისა

1) მოგვუას აქ, როგორც შინარსის, ისე ენის ნიმუშად შემდევი
 ამონაწერი „ქართულ გაზეთიდან“ (86, 1821 წ. სექტემბრის 16 დღე-
 სა). უკარ ქვეყნის ამბავი: გერმანიდან ვენით 23 ივნისს, „ვალა-
 ხიდამ მოვიდა სარწმუნო ამბავი, რომ ჯარი ღატერისტთა 2000 კაცი
 გაგზავნილი ქნ. იძისილანტისაგას, სრულებით დამარცხებულა და
 ჰაბნეულა“. როგორც სედავთ, ეს ენა სამღვთო ჭურილის ენა არ
 არის, იგი უფრო უახლოედება თუ გნებავთ თითქო დლევანდელ „ივე-
 რიის“ ენას.

საჭირო იყო ბატონ-უმური მონობის თავიდან მოშორება და სანამ ეს არ მოხდებოდა, ვერც გაზეთი მოიკიდებდა ფეხს და ვერც სწავლა-განათლება, მაშინ დელ პირობებში კი ჩვენში გაზეთის გამოცემა ქარგავთა ყოფილგარ მნიშნელობას, კიდევაც რომ შესაძლებელი ყოფილიყო თვით გამოცემა. თუ რამდენად უდროვო იყო იმ დროს ჩვენში გაზეთის გამოცემა, იქიდანაც სჩინს, რომ მხოლოდ 35 წლის შემდეგ, ე. ი. 1866 წელს, როცა უკვე ბატონ-უმური გაუქმებული იყო, შესაძლებელი შეიქნა, თუმცა დიუტი გაჭირვებით, ქართულ ენაზეც ასეთის გამოცემა („დროება“).

ჩვენში ბევრს გონია, რომ ქართული უურნალ-გაზეთების, პრესის მამამთავარი ვითომც თავადი გ. ერისთავი იყო, რომელმაც ბ. ი. მეუნარების სიტყვით, „პირველად დაარსა ქართული უურნალი“¹⁾. მაგრამ აქ ერთნაირი შეცდომაა. ჯერ ერთი ის, რომ დროგამოშვებითი გამოცემა ქართულ ენაზე, გაზეთის სხით, უკვე 1821 წელს მოხდა, ე. ი. 31 წლის წინად, ვიდრე გ. ერისთავის „ცისკრის“ პირველი ნომერი გამოვიდოდა; მეორეც ის, რომ თუმცა გ. ერისთავის „ცისკარს“ გარეგნობით ჩვეულებრივი უურნალის სეხე პქონდა, მაგრამ ნამდვილად კი ის დროგამოშვებითი გამოცემა სრულებით არ ყოფილა. გ. ერისთავი მთელი ორი წლის განმავლობაში (1852-1853 წ. წ.) ყოველ თვეში ბეჭდავდა თავის „უურნალს“; ამაირად მან დაბეჭდა სულ ოცდაოთხი ნომერი უურნალ „ცისკარისა“. სამწუხაროდ, არც ერთ ნომერში არ დაბეჭდილა ისეთი რამ, რასაც „ცისკარისთვის“ დრო-გამოშვებითი

¹⁾ იბ. გ. ერისთავის თხულება. მეორე გამ. 1884 წ., წინა-სიტყვაობა გვ. XVII—XVIII.

გამოცემის ხასიათი მიეცა. ამ ოცდა ოთხ წიგნში თქვენ
 ურსალ ვერ შეხვდებით ვერავითარ ცნობას, უბრალო ამ-
 ბავსაც კი, თანამედროვე ცხოვრებიდან. ეს თავისებური
 რედაქტორი თავის ეურნალში ბეჭდავდა მხოლოდ თავის
 და თავის ნაცნობების ლექსებს და დამახინჯებული ენით
 ნათარგმნ მოთხოვდებს. ზოგიერთი ლექსების ავტო-
 რები უკვე დიდი ხნის გარდაცვალებული იყვნენ, მაგ.
 დ. გურამიშვილი, ალ. ვავეავაძე, ნ. ბარათაშვილი და
 სხვები. გ. ერისთავის „ცისკარში“ ერთხელაც არ დაბეჭ-
 დილა. არც შინაური ცხოვრების მიმოხილვა და არც უცხ-
 ვეთის ამბავი. ამ მხრით „ქართლი გაზეთი“ და „ტფილისის
 უწყებანი“ ბევრად მაღლა იდგენ 1852-3 წლების „ცისკარ-
 ზე“, მაშინ როცა მეორმოცდაათე წლებში დრო-გამოშვე-
 ბითი გამოცემის საქმე უფრო მოსახერხებელი უნდა ყო-
 ფილიყო, ვიდრე ოცი—ოცდა-ათი წლის წინედ. და გარ-
 და ამისა, ამ ხანებში ეურნალს უფრო მეტი თანამშრომელი
 და მკითხველი უნდა ყოლოდა, ვიდრე წინეთ. გ. ერისთავის
 გამოცემა-კი ყველას ხალისს უკარგავდა. თქმა არ უნდა,
 რომ გურამიშვილის და ნ. ბარათაშვილის ლექსები თავის
 თავად როგორც პოეზიის ნიმუში კარგნი იყვნენ, მაგრამ
 ურნალისთვის მარტო ეს როდი კმაროდა. გ. ერისთავის
 „ცისკარი“ მარტოდენ ლექსების და მოთხოვდების კრე-
 ბული იყო. ის იყო ერთი პატარა წრის თავშესაქცევი
 საკითხაცი წიგნი ¹⁾; ამ წრის წევრები იმავე დროს მწერლე-

¹⁾ ბ. ი. მეუნარეგიას სიტყვით, იმ ხანებში ჩეგნში, ბევრი თჯახი
 იყო, რომელთაც „ასრების და ამბების დრო დროსე მიმტან-მომტანი
 ურნალი შეექნათ დღის ღალადებათ“. იხ. ბ. ს. გვ. XVIII. სამწუ-
 ხაროდ, სწორეთ ეს „ჰასირები და ამბები“ აკლდა გ. ერისთავის „ურ-
 ნალს“.

ბიც იყვნენ და თავის გასართობად „ცისკარსაც“ კითხულობოდა და მომდევნობის გარდა პოეზიისა, ისიც არა ნაკლებ აინტერესებლა, თუ „როგორ კეთდება ბატი ძმრით“, ან „მურაბა და შელე“ (№№ 3 და 4—1852 წ.) და იმავე დროს კი არც „ცისკრის“ რედაქტორს, გ. ერისთავს, და არც ერთ მხს თანამშრომელს არც ერთხელ არ გახსენებიათ თანამედროვე ცხოვრებაზე საუბარი ჩამოეგდოთ; თითქო ისინი ზეცაზე ყოფილიყვნენ და არა ცოდვილ მიწაზე. ერთი სიტყვით, გ. ერისთავი, როგორც ეურნალისტი და პუბლიკისტი, სრულებით მოუმზადებელი და უნაყოფო გამოდგა.

1853 წლის დამლუქს გ. ერისთავმა შესწყვიტა „ცისკრის“ გამოცემა, რომელიც 1857 წელს ისევ განიახლა იქ. კერესელიძემ. ეს უკანასკნელი, როგორც მწერალი, ბევრად დაბლა იღვა გ. ერისთავზე, მაგრამ როგორც რედაქტორმა, მან ბევრად უფრო მეტი ნიჭი და უნარი გამოიჩინა, ვიდრე გ. ერისთავმა. ჩა თქმა უნდა, ეურნალს ჯერ კიდევ ბევრი ჩამ აკლდა, როგორც დრო-გამოშევებით გამოცემას, მაგრამ წარსულთან შედარებით მას ჩამდენიმედ სიცოცხლის ნიშან-წყალი დაეტყო. მართალია, ეურნალში არც ახლა ვხედავთ შინაური ცხოვრების და უცხოეთის მიმოხილვას, მაგრამ ისიც მაინც კარგი იყო, რომ იქ თანამედროვე საზოგადოების ფესახებ ლაპარაკი დაიწყეს, მისი ზოგიერთი ნაკლულევანება, თუმცა არა უმთავრესი და არსებითი, გამოამეღავნეს, თუმცა, ჩა თქმა უნდა, დიდი შიშით და მოკრძალებით. „ცისკრის“ რედაქციის გარშემო ამ დროს თავს იყრის მის თანამშრომელთა წრე, რომლე-

ბიღანაც დავისახელებთ აქ შემდევთ: თავად ალექსანდრე
 და ვახტანგ ჯამბ. ორბელიანებს, მის. თუმანიშვილს
 (მოლაყბეს ფსევდონიმით), ლ. არდაზიანს, ბერძენიეს, ბა-
 ქარ ქართლელს (დიმ. ყიფიანს), ლიმ. ბაქრაძეს, ალ. სავა-
 ნელს და სხ. არც ერთ იმათგანს ერთმანეთ შორის საერთო
 არა ჰქონიათ-რა, გარდა იმისა, რომ ერთ და იმავე უურნა-
 ლში ღებულობდენ მონაწილეობას, და მაშინდელ „ცის-
 კარს“ ხომ, როგორც შემდეგშიაც, არავითარი მიმართუ-
 ლება არ ჰქონებია შემუშავებული თავის სახელმძღვანელოდ.
 „ცისკარის“ რედაქტორი, ივ. კერესელიძე, პირდაპირ
 აცხადებდა, „რომ ნურავინ ნუ დაგვემდურება, უკეთუ
 დაიბეჭდა ვისმეზე წინააღმდეგი სტატია; როგორც ადრე
 ვთქვი უოველსავე სტატიასა ვგბეჭდავ, თუ ნ-
 დაც მეც თითონ შემეხებოდესო“¹⁾). თუ ეს
 სხვადასხვა შეხედულების და აზრის ხალხი ერთად თავ-
 სდებოდა და გამოსაჩენად არ იბრძოდენ, ამას ის გარემოება
 შველიდა, რომ ჩერენი ცხოვრების ძირითად საქირ-ბოროტი
 კითხვებზე არ წერდენ და არც შეეძლოთ წერა, კიდევაც
 რომ მოენდომებიათ. ქართულ ენაზე უურნალის აზრებობა
 და ქართული მწერლობის წარმატება თავისებურად ყველა
 იმათგანს სურდა, დანარჩენი კი მაშინ საქირო არ იყო. მარ-
 თლაც იმ დროს მხოლოდ ერთად-ერთი საგანი იყო, რომ-
 ლის შესახებ მსჯელობას შეეძლო მშეიღობიანობის დარ-
 ღვევა და „ცისკარის“ თანამშრომელთა შორის უთანხმების
 გამოწვევა: ეს იყო ბატონ-ყმობა. ჩვენ ვიცით, როგორ
 გამწვავებული იყო იმ ხანებში ბატონ-ყმური ურთიერ-

¹⁾ ის „ცისკარი“ 1857 წ., № 5. რედაქტორის შენიშვნა.

თობა; მაგრამ მაშინდელი მწერლები თითქმის სრულებით გაუჩინდოდნ ამის შესახებ საუბარს. აქ ჩვენ აშეარად ვხედავთ მაშინდელ საზოგადოების გავლენას მწერლობის შე-შაკებზე; ეს უკანასკნელი პირდაპირ მებატონების გაფლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი. გარდა ამისა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ მაშინდელი მწერლები თითქმის ყველანი მებატონები იყვნენ, და რა გასაკეირალია, რომ ამ მეტად საჭირო-ბოროტო საკითხის შესახებ კრინტსაც არ ძრავდნ.

უწინარეს ყოვლისა „ცისკარი“ გვაცნობს ჩვენ, თუ როგორ უყურებდა ქართულ უურნალს და ქართულ მწერლობას მაშინდელი ჩვენი ეგრეთ წოდებული დარბაისელი, ე. ი. მაღალი საზოგადოება, ვინაიდან დაბალ საზოგადოება-მდის ჯერ ქართულ მწერლობას გზა არ ჰქონდა გაკვალული. საინტერესოა ამ მხრით ალ. ორბელიანის და გან-საკუთრებით მოლაყბეს (ცსევდონიმი თ-დ შიხ. თუმანი-შვილისა) წერილები. 1858 წ. „ცისკრის“ მეშვიდე ნომერში დაბეჭდილია, სხვათა შორის, თ-დ ალ. ჯამბაკურიან-ორბელიანის წერილი სათაურით: „მე და ის“, რომლიდანაც ეტყობილობთ, რომ იმ დროს ბევრი დარბაისელი წინააღმდეგი იყო, როგორც ქართული უურნალის გამოცემისა, ისე თვით ქართული ენის. შემდეგ, 1859 წ., იმავე „ცისკარში“ ვკითხულობთ (№ 2, „გამოსარჩევა თერთმეტი მებუკისა“): „ზოგიერთი არ მიუდგნენ თავიანთ „ცისკარს“ და ითაკილეს თავიანთი მამა-პაპის ენა, სადაც ბრძანება გადის, უბრძანებენ, სადაც არა, ესვეწებიან“... მოლაყბეს სიტყვით „ცისკარს“ უმეტეს ნაწილად კითხულობენ. ბუზები... კაბინეტში შეტანა როგორ იქნება, ქართულ ენაზე არი დაბეჭდილი. სხვათა ენაზე რომ იყოს, აი ეს სხვა არის;

ჩემის ენას ეხლა არავინ ხმარობს, წამხდარი ენა არისოდაც
 („ცისკარი“ 1857 წ. № 11, გვ. 35). მოლაყბეს ძლიერ აწუ-
 ხებდა ის გარემოება, რომ ქართული დარბაისელი საზოგა-
 დოება ასე აგდებულად ექცეოდა ენას და ქართულ მწერ-
 ლობას და ამიტომაც ერთს თავის წერილში მან სასტიკად
 დაგმო და გაკიცხა ასეთი საქციელი. „მსურს სიცოცხლე —
 სწერს იგი ერთს თავის წერილში — მხოლოდ იმისათვის
 რომ ვნახო ქართველნი, იმ გონების მქონენი, რომელთაც
 ესმოდეთ ღირსება თავიანთის მამულისა“... მხოლოდ
 „თქვენ — მიმართავს იგი საზოგადოებას, — თქვენ დარ-
 ბაისელნო ქართველნო! ნუ ინებებთ გაუშვათ ქართული
 ენა უყურადღებოდ“ (იხ. „ცისკარი“ 1857 წ. გვ. 3). ქარ-
 თველ დარბაისელ საზოგადოების შერით ქართული ენის
 და მწერლობის აგდება რომ უფრო აგრძნობიოს მეიოთ-
 ველს, ბ. მოლაყბეს ამ საზოგადოების გვერდით გამოყავს
 სრულიად უბრალო ოდამიანი, საზოგადოების უკანასკნელ
 საფეხურზე მდგომი ხაბაზი და დაცინვით და მწერე ირო-
 ნით საესე სიტყვებით მოგვითხრობს, რომ „ზის ერთის
 დუქნის კარებზე ხაბაზი, უბრალო ხაბაზი! უძევს მუხლზე
 „ცისკარი“, კითხულობს „სალაყო ფურცელს“ შალალი
 ხმით, თანაბმა უხდება ყველაფერში მოლაყბეს; ხედავთ
 ხაბაზები რას ჩადიან! მე კიდევ იქა ვარ ხაბაზთან,
 ხაბაზთან!“ (იქვე). ეს დაპირდაპირება საუცხოოდ ახასია-
 თებს არა მარტო მაშინდელ მაღალ საზოგადოებას; ეს
 მართალია დღესაც. არავისთვის დაფარული არ არის, რომ
 ჩვენს მაღალ საზოგადოებაში საქართველოს რუსეთან
 შეერთების შემდეგ, როგორც ქართული ენა, ისე ქართული
 მწერლობა თანდათან კარგავს თავის მნიშვნებლობას და

შმარებიდანაც გამოდის. მოლაყბეს შხრით კი ასეთი და-
პირდაპირება ნამდვილი მხილება იყო, და დარბაისელნი
ქართველნი ამას არ შეარჩენდენ. ეს მართლაც ასე მოხდა.
უნდა შევნიშნოთ, რომ მოლაყბე „ცისკრის“ თანამშრომ-
ლებში ერთად ერთი გონება-მახვილი და იდეიური თანამ-
შრომელი იყო. მისი სიტყვები პირდაპირ გულს ხვდებოდა.
მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ იგიც მეტად ფრთხილი არ ყო-
ფილიყო. მაგ., ჩვენ ვიცით რომ, იგი ყმების განთავისუფლე-
ბის მომხრე იყო, მაგრამ ამის შესახებ მან ერთხელაც ვერ
გაძედა ხმის ამოლება თავის „სალაყბო ფურცელში“; ვერ
გაძედა მაშინაც-კი, როცა ამისათვის მას მარჯვე შემთხვე-
ვა მიეცა. 1858 წლის „ცისკრის“ დეკემბრის ნომერში ვან.
„ქავეკაზიდან“ მოყვანილია შემოყლებით იმპერატორ ალექ-
სანდრე მეორის სიტყვა, რომელიც შან წარმოსთვევა 1858
წელს 3 აგვისტოს მოსკოვის კეთილშობილთა წინაშე და
რომელშიაც იგი სხვათა შორის ამბობდა: „გახსოვთ თქენ,
როდესაც მე, ორი წლის წინედ ამისა, თვით ამ დარბაზში,
გეტუოდით მას, რომ ადრე იქნები თუ გვიან, უნდა შეუ-
დგეთ ცვლილებას ბატონ-ყმობის უფლებათა და უმ-
ჯობესი არის დაწყება თავით, ვიდრე
ბოლოდან (сверху, иежели снизу)“. ყველასთვის
აშეარა იყო, რომ იმპერატორი ამბობდა ბატონ-ყმობის გა-
უქმებაზე, რაზედაც ლაპარაკობდა მაშინ რუსეთის მთელი
მოწინავე საზოგადოება და მწერლობა. მაგრამ ჩვენში კი იმ
ხანებში ბატონ-ყმობის გაუქმებაზე კრინტის დაძერაც კი არ
შეიძლებოდა. ამიტომ ვერც მოლაყბე ბედავს საგანს ნამდვი-
ლი სახელი უწოდეს. აი რას ამბობს იგი იმპერატორის
სიტყვების გამო: „ამის წაკითხვაზე ყოველი ჩემი გონება,

სული, გული და თითეული ასო გარდაიქცა გრძნობადა ჩეცე-ზეა
ნი მეფე შესდგომია იმისთანა საზოგადო კეთილ აზრს, რო-
მელზედაც კვირობს მრელი ექრიბა“ („ცისკარი“, 1858წ.,
№ 12). იმის მაგივრად, რომ იმპერატორის სიტყვების მნიშ-
ვნელობა აეხსნა და განემარტა ბ. მოლაყბეს, მას სიტყვების
მნიშვნელობა და აზრი კიდევ უფრო გაუგებარი და ბუნ-
დოვანი გახდა. მართლაც ევროპისთვის რა იყო გასა-
კვირალი იმაში, რომ რუსეთში მეცხრამეტე საუკუნის მე-
ორე ნახევარში ბატონ-ყმურ წესწყობილების გაუქმება
უნდოდათ? პირიქით, ევროპა უფრო იმაზე კვირობდა, რომ
ამ სახელმწიფოში აქამდის არსებობდა ბატონ-ყმური მო-
ნობა. მაგრამ სულ სხვა იყო ჩენი საზოგადოება და მწერ-
ლობა იმ დროს: იქ ბატონ-ყმობის გაუქმებაზე ლაპარაკი
აშეარად არ შეიძლებოდა, ამას მაშინდელი საზოგადოება
არავის აპატივებდა. მაგრამ სიცირობილემ მაინც არ უშევ-
ლა ბ. მოლაყბეს: „ცისკრის“ რედაქტორი ჩქარა აიძულეს,
რომ მოლაყბეს თავი დაენებებია „ცისკრის“ თანამშრომ-
ლობაზე. ჩენ არ ვიცით, თუ სახელდობრ რისთვის
ააღებიეს მოლაყბეს ხელი „ცისკრის“ თანამშრომლობაზე.
შემდეგი წლის დასაწყისში ჩენ ვტყობილობთ მხოლოდ,
რომ რედაქტორი უკან უბრუნებს ბ. მოლაყბეს მის „სა-
ლაყბო ფურცლებს“ და ამასთავე მწუხარებით შენიშ-
ნავს, რომ ბ. მოლაყბე „ერთად ერთი გრძნობის მექონე
მწერალი იყო, მაგრამ საუბედუროდ, როგორც უცებ გამო-
ნდა, ისე უცბად გაქრაო“. ამის მიზეზი ის იყო, რომ, რო-
გორც მოვეითხობს ივ. კერესელიძე, „აქა-იქ გვესმოდა
მდურვა, თუმცა უმეტესობას მოსწონდაო“. იმის შემდეგ
ზოგიერთებს რედაქტორისათვის უთხოვია „სალაყბო

ფურცლის“ ცალკე გამოცემა, მაგრამ ჩედაქტორს აშანევდაც ხელი აულია, ვინაიდან „ოთხი-კუთხივ აღგვიდგენო“. ამნაირად „ცისკრის“ რედაქტორი იძულებული შეიქნა აყოლოდა საზოგადოების ფეხის ხმას, მისი მაჩანჩალა გამზდარიყო. რამდენიმე ხნის შემდეგ ბ. მოლაუბერ ისევ დაიწყო „ცისკარში“ წერა, მაგრამ მერმინდელ მის წერილებს უკეთ ჰარი ეტუმბოდა წინანდელი ხალისი და სიცოცხლე.

თუმცა ამ დროს ბატონ-ყმობის ძაგება და მის გაუქმებაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო, მაგრამ მეორე მხრით არც იმის ქება შეიძლებოდა, რაც გარშემო ხდებოდა; თუმცა საჯაროდ ვერავინ ბედავდა ბატონ-ყმობის დაგმობას, მაგრამ იმავე დროს ბატონ-ყმობის მომზრეთაც საჯაროდ ეთაკილებოდათ იმაზე ლაპარაკი, რასაც მაშინდელი მებატონები ჩადიოდენ. თუმცა ზოგიერთებს არ მოსწონდათ ის გამწვავებული ურთიერთობა, რომელიც არსებობდა მაშინდელ ბატონსა და ყმას შორის, მაგრამ მიუხდავად ამისა, იმათ თვალში ბატონ-ყმობა იდეალური დაწესებულება იყო, რომელიც როგორც ბატონს, ისე ყმას სასურველ კეთილდღეობას ანიჭებდა. თუ თანამედროვე პირობები არ ამართლებდენ ასეთ შეხედულებას ბატონ-ყმობაზე, სამაგიეროდ მის დამტკიცებას ცდილობდნ წარსულის მოგონებით. და ასე მოიქცა ერთი მაშინდელი მწერალი, თავადი ალ. ჯამბ.-ორბელიანი. 1858 წელს „ცისკარის“ მეთორმეტე ნომერში დაბეჭდილია მისი წერილი სათაურით „ძველი დროის ბატონ-ყმობა საქართველოში“.

თ-დ ალ. ორბელიანის წერილი მრავალ მხრით არის საინტეროსო. როგორც ზევით შევნიშნეთ, ავტორი ეხება მხოლოდ ძველ დროს, მის თანამედროვე ხანაზე კი კრინტსაც

არ შრავს. იგი ცდილობს გააცნოს მკითხველს, თუ როგორი დამოკიდებულება იყო ძველად საქართველოში ბატონსა და ყმას შორის, და თუ რა ყოფა ჰქონდათ მაშინდელ ყმებს. ავტორის სიტყვით „საქართველოში მებატონ - ნეთ ყმობა მონობათ არ ითქმის. მართალია, სიტყვა ყმობა იყო, მაგრამ საქმე მონობას არ აცხადებს... უწინდელ დროში გარეშე კაცი იმას ეძებდა: მებატონე ვიშოვნო და იმას შევეხიზნოვო, ამისათვის, რომ მებატონე თავის. ყმას შვილისაგით ყურს უგდებდა და შვილის მსგავსათ გული სტკიოდა ყმისათვისო“ (გვ. 315-36*). სამწუხაროდ, ავტორი სრულებით არაურის გვეუბნება, თუ რაში გამოიხატებოდა ეს „მამაშვილური“ დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის, რაც შემდეგ ხელზე დაიხეიეს თავად-აზნაურობიდან გამოსულმა პუბლიკისტებმა და მწერლობამ. ჩენ ვიცით, რომ პირველ ხანებში, როცა ბატონ-ყმური ურთიერთობა კიდევ არ იყო განვითარებული, ყმების მდგომარეობა არ იყო შევიწროვებული ისე, როგორც შემდეგში. მაგრამ ავტორი არ ამბობს, თუ რომელი დრო აქვს მას აქ მხედველობაში. ჩენ ვიცით, მაგ., რომ მეწილდეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში მებატონები უკვე ყიდიან თავის ყმებს; ტანჯვა-წვალებაზე ჩენ აქ არ ვლაპარაკობთ. ახლა ვიკიოთხოთ: რომელი მამა გაყიდდა თავის შვილს, ან რომელი მამა შეაბამდა თავის შვილს კევრში? ყოველივე ეს რაღაც გაუგებარია ჩენთვის, მაგრამ მოუსმინოთ ავტორს ბოლომდის.

* ხახს ჩენ უსვამთ.

„მებატონეები — განაგრძობს ავტორი — თავს არასოდეს არ ზოგავდენ ყმებისათვის... ობლებს მებატონე კაცებს დაუყენებდა და იმათ პატრონობით ზრდიდა, თუ არა სახლში გამოიყენდა მოსამსახურედ და შეილისავით ზრდიდა, თუმცალა მოსამსახურეთო“⁴. აქ თითქმის ყველა სიტყვაში წინააღმდეგობაა: მებატონე ისე ზრუნავდა ობლებისათვის, რომ იმათ კაცებს უყენებდა და იმავე დროს ეს ობლები მას შინ მიყავდა მოსამსახურებად. აქედან ჩვენ ვხედავთ, თუ როგორი დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო იმ ძელ დროშიაც კი, რომელზედაც ავტორი მოგვითხრობობს: თუ ობლების სალეში მოსამსახურებად წაყვანა შეიძლებოდა იმათ დაუკითხავად და იმათ უნდაურად, იმათი დაყიდვა კიდევ უფრო ადვილი იქნებოდა. და აი, ამას უწოდებს ჩვენი ივტორი მამაშვილობას! მართალია, ალ ორბელიანის სიტყვით, ძელ დროშიაც იყენენ „მებატონეებში სასტიკი კაცები ანუ უწყალონი“, მაგრამ იმათი რიცხვი ძლიერ მცირო იყოო. მეფე ვახტანგის სიტყვებს: „სულის გარდა მებატონისა არის ყმაო“ თავადი ორბელიანი ასე ხსნის: „შეილიც ხომ მამის არის და ასე ამგვარად ყმაც ბატონის არისო, თორემ ბრძენი ვახტანგი ასე უწყალო კანონს როგორ დასდებდაო“. მაგრამ ივტორი იმას კი არ აქცევს ყურადღებას, რომ ცხოვრებამ და ჩვეულებამ მეფე ვახტანგის კანონსაც ბევრად გადააჭარბა და მებატონეებმა მოიპოვეს ყმებზე ისეთი უფლებები, რომელთაც მათ კანონმდებლობა სრულებით არ იძლევდა. გარდა ამისა ივტორის აზრით, ბატონ-ყმობას ძელ დროში მეგობრული კავშირის ხასიათი ჰქონდა: მისი აზრით ბატონი და მისი ყმა, — ეს ორი მეგობარი იყო, არც მეტი არც ნაკლები.

„მებატონე რომ თავზე ადგა გლეხს, — მოვეოთხრობს ჩენი ავტორი, — მუშაობის დროს და იმათ სიმღერაში ჩაერეოდა, ესეც არა წაქეზებისათვის მუშაობაზე, არამედ უთაკილობისათვის“. ერთი სიტყვით, მისი აზრით, „ყმას მებატონესთან სრული თავისუფლება ჰქონია, მეგობრული შახლობლობა“. ბოლოს ავტორი დაასკვნის, რომ „უწინდელ დროში ყოველი მებატონე იმას ცდილობდა, თავისი გლეხ-კაცი გაკეთებული ყოლოდაო“.

თ-დ ალ. ორბელიანის წერილი დიდად საგულისხმოა. თუმცა ამ წერილში თანამედროვე ვითარება ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები, მაგრამ მყითხველი მის წაკათხვის შემდეგ ადვილად მიხედვება, რა სწადედა ავტორს, როცა იგი ძველი დროის ბატონ-ყმოჩაზე სწერდა. თავის თავად ბატონ-ყმური წესწყობილება მას საუკეთესოდ მიაჩნია, მხოლოდ მას აწუხებდა ის გარემოება, რომ მისი დროის მებატონეები მეტის-მეტ შეუბრალებლად და სასტიკად ექცეოდენ თავის ყმებს. ვიღას ახსოვდა ის „მამაშვილობა“ და „მეგობრული შახლობლობა“, რომელზედაც ალ. ორბელიანი მოგვითხრობს, ან ვინდა წუხედა იმის გამო, რომ „თავისი გლეხ-კაცი გაკეთებული ყოლოდა“? ავტორი კარგად ხედავდა, რომ ცხერებსა და მგლებს შორის უფრო შესაძლებელი იყო მეგობრობა და მამაშვილური დამოკიდებულება, ვიდრე მებატონეთა და ყმების შორის. მავრამ მას მაინც წინ უდგას იდილიური განწყობილება ბატონსა და ყმას შორის, რომელიც მისი წარმოდგენით ძეელ დროში არსებობდა. ხედავს რა თავის გარშემო საერთო აოხრების და მწუხარების სურათს, ავტორი იგონებს ძეელი დროის ვითარებას, რომელიც მხოლოდ მის ოკუნებაში არსებობდა

და ამოოხვრით კითხულობს: „სად არის ძევლი დროის სიმ-
დიდრე? პერ, პე, სოუელო! ეს არის წესი შენი?“.

საკვირველი მხოლოდ ის არის, რომ ის კაცი, რომე-
ლიც თითქმი წუხდა ყმების მდგომარეობაზე, თვითონ, როცა
მისი პირადი სარგებლობა მოითხოვდა, ისე ექცევდა მათ,
როგორც ნივთს, ვაჭრობდა კიდეც ყმებით, ე. ი. ყიდუ-
ლობდა და ყიდდა შოგებით. ერთი სიტყვით, ალ. ოჩბე-
ლიანის, და არა მარტო იმის, წალილი იყო ბატონსა და
ყმებს შორის მამაშვილური განწყობილება ჩიმოვარდნი-
ლიყო და იმავე დროს ბატონ-ყმური ურთიერთობაც უ-
ლებლად დარჩენილიყო. მაგრამ ეს მხოლოდ ფუჭი ოცნე-
ბა იყო და მეტი არაფერი, თორემ ვისაც თვალი დაბრმავე-
ბული არ ჰქონდა, ყველა კარგად ხედავდა, თუ რა თვალუწ-
ვდენელი უფსკრული არსებობდა მიშინ ბატონსა და ყმას
შორის, რომ მათში შესაძლებელი ყოფილიყო არა მამაშვი-
ლური და მეგობრული განწყობილება, არამედ რაიმე მო-
რიგებაც კი. ამაზე ფიქრი ნიშნავდა ისტორიის ჩარხის უკუ-
ლმა შეტრიალებას და საზოგადოებრივი ცხოვრების რა-
მოდენიმე საუკუნით უკან დახვევას. ჩვენთვის სრულებით
გასაკვირი არ არის, რომ ბატონ-ყმობის შეხედულებით
გაულენთილი ავტორი ბატონყმობის დაცვის დროს საში-
ნელ წინააღმდეგობას უნდა დასჯახებოდა და დაეჯახა კიდე-
ვაც. მეორე ასეთ წინააღმდეგობას დაეჯახა იგი, როცა მან
მოინდომა ერთი მხრით ბატონ-ყმობის და, მეორე მხრით
ვაჭრობა-აღებმიცემობის და მრეწველობის შერიგება. და
ამ ასრით გატაცებული იგი ბრწყინვალე ქართველ თავად-
აზნაურობას ურჩევდა, რომ მან თავი ანებოს „უწესო ცხო-
ვრებას“, და მიბაძოს „საკვირველ საქართველოს სომხებს“,

ე. ი. ხელი მიუს „ვაჭრობას და შემატებასთ“. წინააღმდეგ შემთხვევაში, ავტორის სიტყვით თავად-აზნაურობა „ისე გაღარიბდება, რომ ლარიპ გლეხ-კაცზე უფრო მომეტებით, თუ ვაჭრობისათვის არა იფიქრებსო“ *). ამნაირად, თ-დ ალ. ოჩიბელიანმა თითქმის ამ ნახევარი საუკუნის წინად ვამოაცხადა, რომ თოვმა და სმალმა უკვე დაკარგეს თავის მნიშვნელობა და დღეს „აუცილებლად საჭიროა სწავლა-განათლება, მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობათ“ **). ავტორი სრულებით ვერ გრძნობდა, რომ ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინება ტ სწავლა-განათლების გავრცელება სამუდაბოდ ბოლოს მოულებდა ბატონყმობას; ყოველივე ეს-ძირულად უარყოფდა ძველი დროის პატრიარქალურ ურთიერთობას ბატონსა და ყმას შერის, რომელსაც ჩვენი ავტორი ასე შენატრიდა და რაც იმავე დროს ნიშნავდა თეთი წოდებრივ უპირატესობათა მოსპობას, რასაც იყი ვერასოდეს ვერ შეურიგდებოდა. ასე იყო თუ ისე, ის კი აშკარაა, რომ ბევრად იდრე, სანამ

*) იშ. „ციხეარი“, 1859 წ. № 10, წერილი ალ. ოჩიბელიანისა: „ჩემი საქართველოს საზოგადოება“.

**) სხენებულ წერილში თ-დი ალ. ოჩიბელიანი მოვალეობრივი თ-დ ივ. ბაგრატიონ-მუხრანსკის გამდიდრების ამბავს, რომელმაც 15 წლის განმავლობაში თავის მამულის შემოსავალი ორმოცი თუმანი სამათას თემანზე მეტად გადააქცია. ეს მოიმოქმედა მან შექმნით, მომჟი ნეობით და ჯამაგირით. ავტორის სიტყვით სხენებულს გვამს „ამ ცხოვრების პირველ საგნად გაუსწია კელავ უფრთ შემატება“ და მის თვალში „ეკრიპიელის ლრმა გონიერს კაცათ ითქმის თ. ივ. ბაგრატიონ-მუხრანსკი“! ამისთვის ქართველ თავად-აზნაურთ ურჩევს მას მიბაძოს.

გაშ. „ივერია“ დაიწყებდა ქადაგების იმის თაობაზე, რომ თოვების და ხმლის აღგილი ჩეენ დროში ფულშა დაიკირაო, ეს უკვე ქართველ თავად-აზნაურობის აღ. ორბელიანშა ამცნო.

ასეთია მაშინდელი დროის საუკეთესო და თითქმის ერთად-ერთი პუბლიცისტი, ეინაიდან ხსნებული ავტორი ასე იყო თუ ისე მაინც ეხებოდა მაშინდელ ჩეენი ცხოვრების ზოგიერთ მხარეებს. რაც შეხება კრიტიკას, ის ჯერ კი-დევარ იყო, მისი არსებობა ჯერ უადგილოდ და უდროვოდ მიიჩნდათ. ამ აზრის იყო, სხვათა შორის, ერთი მაშინდელი საუკეთესო მწერალი ლ. არდაზიანი¹), რომლის შეხედულება ქართულ ენაზე ჩეენ საჭიროდ ვთვლით აქ მოვიყვანოთ. ლ. არდაზიანი პასუხს აძლევს ბერძენოვს, რომელიც გამ. „კავკაზში“ კრიტიკულად არჩევდა „ცისკრის“, ნომრებს. როგორც ეტყობა, ბერძენოვი სასტიკად მოქმედება „ცისკრის“ თანამშრომლებს. ბ. ლ. არდაზიანი ამაზე უპასუხებს, რომ ეს აზრის „კრიტიკა სასტიკი, უადგილო, უდროვო“. ამნაირად კრიტიკა ჯერ კიდევ ადრეა „ცისკრისთვისო“. ჩეენ, ქართველებს, — გვიუბნება იგი — მამებისაგან არა შეგვისწავლია რა, სხვას არა უსწავლებია რა ჩეენთვის. წიგნები არ გვქონია, რომ გვესწავლა რამ. საიდგან უნდა ვიკოდეთ წიგნის წერა, მაგრამ ხედავთ როგორ ხალხი განსწავლდა თავის თავადო!²) ტ მართლაც,

1) ამავე აზრის იყო აგრედევ ა. სავანელიც, რომელიც ამბობდა: „ჩეენი უცრალია (ე. ი. „ცისკარი“) არის მსგავსად ჩეილის ყმაწევილია, რომელიც ცდილობს ფეხის ადგმასა და რომელისაც პიროვნების აადაღვნა არ დაეწუნება. უცრალის სტატიები მსგავსად ამინა უნდა იყენ დაწენებულებით“ („ცისკარი“, 1887 წ., № 8).

2) იბ. „ცისკარი“ 1859 წ. № 8.

საიდან უნდა ესწავლათ იმ ხანებში ჩერა-კითხვა, საიდან უნდა შეეძინათ ცოდნა? წიგნები არ იყო, მაგრებმა თავისთვის არა იცოდენ-რა და შვილებს რას ასწავლიდენ. მაგრამ მიუხედავად ამისა „ხალხი მაინც კანსწავლდა თავის-თავად“. საიდან, როდის მოხდა ეს „განსწავლა“? ის გამო-იწევია თვით ცხოვრებამ, ანუ უფრო მართალი რომ ვსტკვათ, ცხოვრების პირობების ცვლილებამ. პატივცემულ ავტორს კი გონია, რომ ეს „თავის თავად“ მოხდა; მაგრამ მისი მხრით ისიც საკმარისი იყო, რომ მან ეს ახალი მოვლენა შეუნიშნავად არ გაუშეა; სირცხვილიც იქნებოდა, რომ „მე-ჯღანუაშვილის“ ავტორს ეს გამოპაროდა: სამაგიეროდ შემდეგი მისი მსჯელობა მეტად საუკელიანი და გო-ნიერია.

ბერძენოვმა შენიშნა, სხვათა შორის, მოლექსეთა სიმ-რავლე“. 12 წიგნში 57 ლექსია და 15 სტატია“. ლ. არ-დაზიანი განმარტავს ამ გარემოებას, და უნდა შეუნიშნოთ, რომ მისი გნმარტება ამ შემთხვევაში ძლიერ სამართლიანია. „მართლაც რა არის ეს დაუთელელი ჯარი უნიჭო მოლე-ქსებისაომ?“ — კითხულობს ჩერნი ავტორი; — „რათ არის იშვიათი ჩერნიში პროზაიკული მწერალიო?“ — უქართული პოეზია — გვეუბნება იგი — უფრო განვითარებულია, მი-ნამ პროზა... ლექსებს სწერენ მსუბუქად, მარტივად, ცხო-ველად, ყოველი სიტყვა ხტის, თამაშობს; პროზა ჩერნი არის მძიმე, მოუდრეკელი, ძნელი, სიცოცხლეს მოკლებული, ცივი, მაშინ, როცა ქართული ენა მერხევი და სამოაო“. შემდეგ ავტორი ადარებს სამღვთო წერილის და საერო ენის ფორმას. მისი აზრით, ფორმა სამღვთო წერილის

ენისა არ არის ძირეული ფორმა ქართული ენისა. სამ-
ლეთო წერილი გადმოითარება სიტყვა-სიტყვით ბერ-
ძნულ ენიდან; ამიტომ შემოგვეპარა ამნაირი კილოფორმა
საერო სრულებით არ მიემსგავსება სამღვთო წერილს.
საერო ენით ლაპარაკობდა ხალხი, სწერდენ მოლე-
ქსეები... როდესაც შეიმუსრა ჩვენში ყოველი საერო სწა-
ვლა, მაშინ შეგვრჩა მხოლოდ მიმაღლული მონასტრებში
სამღვთო სწავლაო" ... „მხოლოდ მოლექსეები არ მოწყვე-
ტილან ხალხს და ეს არის მიზეზი პოეზიის განვითარე-
ბისა... განმშვენიერებული პროზაც შესაძლებელია მხო-
ლოდ საერო ენაზეო", — ე. ი. იმ ენაზე, რომელზედაც
ლაპარაკობს ხალხი. ეს ძლიერ ნაყოფიერი იზრი იყო, რო-
მის გავრცელება და შეგნება დღესაც ძლიერ დაეხმარებოდა
ქართული მწერლობის განვითარების სამეშს.

დაახლოებით ასეთივე იზრი წარმოსთქვა ცოტა ხნით
ამის წინად მეორე მაშინდელმა მწერალმა პლ. იოსელიანმა
გ. ერისთავის ნაწარმოების შესახებ. ჩვენ ვიცით,
რომ გ. ერისთავმა პირელად იხმარა თავის კომედიებში ხა-
ლხური ენა, ე. ი. ისე, როგორც თვით ხალხი ლაპარაკობდა.
მანამდის კი ყველა გაურბოდა ხალხურ ენას, იმის სშარება
სათაკილოდ მიაჩნდათ. გ. ერისთავმა კი აშკარად ულალატა
ასეთ ჩვეულებას და მწერლობაში კარი გაულო ხალხურ
ენას, მდაბიურ კილოს, რომელიც ცხოველ-ყოფელ და
დაუშრეტელ წყაროდ გადაიქცეოდა ახლო მომავალში.
ამიტომ ქართული მწერლობის ახალი ხანის დასაწყისად
სამართლიანად ითვლება თ-დ გ. ერისთავის კომედიები.
ხალხური ენის ხმარებით მან ღრმა ცელილება მოახდინა
ქართულ მწერლობაში, რაც მაშინვე იქნა შენინული, როცა

მისი კოშედია „გაყრა“ ცალკე წიგნიდ გამოვიდა. იმას დართული პეტონდა პლ. იოსელიანის წინასიტუვაობა, რომელ-შიაც ავტორი, სხვათა შორის, აი რას ამბობდა: „მწერლობა ძველთა, გარდა რუსთველისა და მცირეთა სხვათა, არ იყო ჩვეულებითისა საუბრისა ენითა, რომელთაც არის და უნდა იყოს ქეშმარიტი ენა ხალხისა. დამწერმა ამა პირველისა ქართულ ენაზედ კოშედისა, თ-დრან გ. დ. ერისთავმან, და ბა და ქართული ახლისა გვარისა მწერლობისა ქებას არავინ მიიღებს პირმოთნეობით თქმულათ და თითოეული ქუთილ განზრახი ქართველი სიხარულლით და სიამოვნებით წაიკითხავს ამ კოშედისა და სხვანიც ახალნი მწერალნი გაბეჭეით შეუდგებიან მაგალითს მისს“...¹⁾) მაგრამ ამ მაგალითის შედგომა ადვილი არ იყო; უმრავლესობას და თვით მაშინდელ მწერლობასაც, მაგ., თ-დ ალექსალრე ორბელიანს²⁾), სრულებით არ ესმოდა, თუ რა ხილი იყო ან რაში მდგომარეობდა ახალი კილოს შემოტანა ქართულ მწერლობაში. მეორე მხრით, ცხადია, რომ დიდი ხნიდან განმტკიცებული ჩვეულების ერთბაშად დატოვება და ახლის შეთვისება სრულებით არ იყო ისე ადვილი, რომ გ. ერისთავის მაგალითს და პლ. იოსელიანის მოწოდებას მაშინვე გაექრა. თვით პლ. იოსელიანის მაგალითი გვიმტკიცებს, რომ ძელ კილოზე წერა ისე პეტონდათ გამჯდარი ძვალსა და რბილში მაშინდელ მწერლებს, რომ იქიდან განთავისუფლება მეტად ძნელი

¹⁾ იბ. „ცისკარი“, 1857 წ. № 9.

²⁾ იქვე.

საქმე იყო. ზევით მოყვანილი ამონაწერი იოსელიანი, წინასიტყვაობიდან ნათლად ამტკიცებს ამას.

საზოგადოდ მაშინდელი ქართული პროზა ძველ საეკლესიო კილოზე იწერებოდა, რომელიც დიდად განსხვავდებოდა იმ ცოცხალი ენისაგან, რომელზედაც ხალხი ლაპარაკობდა... საეკლესიო ენას ჰქონდა თავის დანიშნულება, — ეს იყო საეკლესიო მწერლობა, ე. ი. სამღებო წერილი, ლეთის მეტყველება და სხვა ამგვარი, მაგრამ თანამედროვე რომანების წერა ამ კილოზე სრულებით შეუფერებელი იყო და მხოლოდ სიცილის გამოწვევა შეეძლო¹⁾. მაგრამ კიდევ უფრო სასაცილო ის იყო, რომ ძველ საეკლესიო კილოს რუსული ენის გავლენა დაეტყო შესამჩნევად არა თუ უცხო სიტყვების ხმარებით, არამედ თვით ფრაზების შედგენაშიაც²⁾. ერთი სიტყვით, ეს ენა აღარც ძველი იყო და აღარც ახალი, აღარც საეკლესიო კილო და

1) მაგალითისათვის მომზადეს აქ რამდეტომე ნიმუში მაშინდელი „ცისკრის“ პროზიდან: „არა მიშედეველი წინარეთა ამათ სიცრთში-ლეთა და არც დოხტურის, რომელიც მცირე უამ განუშორებლივ გვი-დით უჯდა ბელინის: სწორება მისი ევზონებოდა თანდათან, მაშინ კა ესკულამპან დიდეაცურათ მოუკიდა სიგარას“ („ცისკრი“, 1859 წ. № 3). „ყოველივე ესე და სხვანი ამგვარი ბუნების მშენერებანი ეცრდარა მძლე იქნებიან განდევნონ ის მწერება, რომელიც, როგორათაც შევი ღრუბელი, ეცრეთ ზრქლათ და ბნელათ გარემოებე-ვის კაცისა სულსა“... („ხანიშდექ“, ბ-ნი ი. ბერიძისა „ცისკრი“, 1859 წ. № 7).

2) მაგ., „ამპარტავნად მეირავი თავისა, გამოსულმან განრით-ლეტიდან მარდმან მან უფალმან მისცა „ვოზევები მსახურსა („ცისკრი“, 1859 წ. № 9) „უფალმა მალიელ დაჭიდა ცხვირი და გარალი პირი“ (იქ. გვ. 32).

ალარც სხვა რამე; ეს იყო გადამახინჯებული, წამხდარი ენა, რომლის განდევნა ლიტერატურიდან შეიძლებოდა მხოლოდ ხალხური ენის საშუალებით. მაგრამ, ეტყომა, რომ უცხო ენის გაელენამ, რომლის გამო უცხო სიტყვებს ხმაროდენ იქაც-კი, სადაც ეს სრულებით საჭირო არ იყო, გამოიწვია სრულიად წინააღმდეგი უკიდურესობა, ე. ი. მოინდომეს უცხო სიტყვების განდევნა იქაც კი, სადაც იმათი ხმარება აუცილებელი იყო. მაგ., ალ. ოჩბელიანი სიტყვა „უურნალის“ მაგიერ ურჩევს შემოღებას „სიტყვიერების ტომარისას“ („ცისკარი“, 1859 წ., № 9), ხოლო იმერელი თაეადი ირ. ლორთქითანიძე, ამავე სიტყვის ნაცვლად გვირჩევს შემოვილოთ „ოქმი, სიგელი, ანუ მატიანე“, ნაცვლად „სალიტერატუროსი“ — „მეტყველება“¹⁾). მაგრამ არც ენის და არც ლიტერატურის განვითარება არ ხდება ხოლო მარტოოდენ გარეშე ძალთა ზეგავლენის მეოხებით; გარეშე ძალებს შეუძლია მხოლოდ ამ განვითარების დაბრკოლება, რამდენიმე ხნით შეჩერება, მიგრამ სრულიად შებოჭვა არასოდეს. აქ მოქმედებენ თავისი საკუთარი კანონები; ამიტომაც ჩვენში მწერლობა აცდა ყველა იმ უკიდურესობათ, რომლებსაც ძალდატანებით ახვევდენ მას თავზე ზოგიერთი მწერლები.

ამნაირად უურნალი „ცისკარი“, ი. კერესელიძის რედაქტორობის დროს, რომელიც ასე იყო თუ ისე, ეხებოდა ზოგიერთ თანამედროვე საზოგადოებრივ თუ ლიტერატურულ

¹⁾ იყიდე პირი გეირჩევდა ხმარებას ნაცვლად „რედაქტორისა“ მესტაბბე ანუ აღმბეჭდელი, ნაცვლად „პოეზიისა“ — მოშაირობა, ანუ მოლექსეობა, ნაცვლად „პროზისა“ — წართქმა, ანუ წარმოთქმითი წერა და სხვ. და სხვ. (იხ. „ცისკარი“, 1857 წ. № 7).

კიოხვეს, ქრინტსაც არა სძრავს იმის შესახებ, თუ რა ყოფაში იყო იმ ხანებში ჩვენში ბატონ-ყმური ურთიერთობა, თუ რა იბეჭდებოდა ან რას ამბობდა ამის შესახებ მაშინდელი რუსეთის მოწინავე უურნალ-გაზეთები თუ მწერლობა, ან თუ რას უპირებდა ამას მთავრობა. ეს ისეთი დიდი ნაკლია, რომ მას ეერ გამოიყიდის მრავალი ლიტერატურული რაც რაც რასაკეირველია, არასოდეს არ ჰქონებია ხსენებულ ორგანოს.

ჩვენ ზევით განვიხილეთ მოკლედ უურნალ-გაზეთების საქმე ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე მეორმოცდაათე წლების გასელამდე. ამ განხილვაში ჩვენ დაგვანახვა, რომ ამ ხნის განმავლობაში თუმცა რამდენიმე ჯერ სცადეს ჩვენში დრო-გამოშვებით გამოცემათა დაარსება, ე. ი. უურნალ-გაზეთების „შექმნა“, მაგრამ ამ საქმეში ჩვენში იმ დროს ფეხი კიდევ ვერ მოიკიდა: რამდენიმე გამოცემა ჩქარა ჩაქრა თითქოს სრულებით უკვალოდ და უნაყოფოდ; ერთი იმათვანი, სახელდობრ „ცისკარის“, თუმცა რამდენიმე წლის განმავლობაში შეუწყვეტლად გამოდიოდა, მაგრამ მასში ცხოვრების მაჯა ძლიერ სუსტად ცემდა, ანუ უფრო მართლად რომ ვთქვათ, ცხოვრებასთან იყი დიდი მანძილით იყო დაშორებული. ეს სისუსტე, ეს დაშორება მარტო ჩედაქციის და მისი თანამშრომლების ბრალი არ ყოფილა; ამის ბრალი უფრო სასოფთებას ედება, რომელშიაც ძლიერ სუსტად იყო განვითარებული ყოველგვარი გონებრივი ინტერესი. 1860 წლის „ცისკარის“ პირველ ნომერში ჩვენ ვკითხულობთ: „მთელ კახეთში, იმერეთში, გურიას, სამეგრელოს და აფხაზეთს გამოვიდა 118 კაცი, რომ შარშან „ცისკარზე“

ხელი მოწერილი ჰქონდათ და წრეულსაც მოაწერეს თუ არა, ეს არავინ იცის! მაშასადამე, ამ თარმოც ბუ თარმოც-დაათი წლის წინად ერთად-ერთი ქართულ დრო-გამოშვერბით გამოცემას იწერდა მხოლოდ 118 კაცი! იმას ნულარ კითხულობთ თუ რა ზომებს ხმარობდა რედაქცია ამ 118 ხელის მომწერის საშოვნელად, თუ რა ვაი-ვაგლახით აწერი-ებდა მათ თავის გამოცემას!..

თუ პუბლიცისტურ მწერლობას თავს დავანებებთ და ყურადღებას მივაქცევთ მაშინდელ პოეტებს და ბელეტრისტებს, აი რას შევამწინეოთ: ვერ ვიტყვით, რომ პოეტების და ბელეტრისტების რიცხვი მაშინ ჩეცნში შედარებით მცირე ყოფილიყოს, განსაკუთრებით პოეტების. სამწუხაროდ, ნიჭიერნი იმათში ძლიერ ცოტა იყო. განსაკუთრებით ბელეტრისტებში. რათქმა უნდა არცერთ იმათვანს ბატონ-ყმობის შესახებ ხმა. არ ამოულია; ეს საკითხი მათვეის არ არსებობს. თ-დი ალ. ჭავჭავაძე, საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველი ხანების გამომხატველი, ლეიინოს და ქალებს უგალობს; თ-დი გრ. ორბელიანი ბუნების აღწერა-ში პპოვებს სიამოვნებას; თ-დი ვახტანგ ორბელიანი კი—საქართველოს წარსულის მოგონებაში, რომელიც ამ მოგონების დროს ცხარე ცრემლებს ლერის. ამათ ლექსების კითხვის დროს თქვენ ერთხელაც არ მოგივათ იმის ფიქ-რი, რომ იმათ გარშემო რაიმე მწუხარებას ჰქონდეს ალაგი. იმათში იყო მხოლოდ ერთად-ერთი მაღალი ნიჭის პატიონი მგოსანი, რომელმაც მართლა სამწუხაროდ აავლერა თავისი ქნარი,—ეს იყო ნიკ. ბარათაშვილი. მისი პოეზია თავიდან ბოლომდე გაუღენთილია ლრმა სევდით და მწუხარებით, რასაც სულ სხვა საფუძველი ჰქონდა. ეს იყო ლრმა

მწუხარება „სულით დაობლებული“ აღამიანისა, რომელ
 ლიც თავის „მსველრს ეერ პოვებდა და მით კაეშანს ვე-
 ლარ იშირებდა“, რომელსაც მოელი „ჩენი ცხოვრება ფუ-
 ქად და მხოლოდ ამაოებად“ მიაჩნდა. ასეთი შავი ფიქრე-
 ბით დანალვლიანებული პოეტი მიმართავს თავის „მერანს“
 და მას თხოვს, რომ მან იგი „მოაშოროს მისსა მამულს,
 გადაატაროს წყალს, ქლდეებს და ლრეებს და ნიავს მისცეს
 ფიქრები მისი შავად მღელვარი“... პოეტს აღარ ანუკე-
 შებს აღარც მამული და აღარც სწორი და მეგობარნი,
 აღარც შობლები და აღარც — „სატრფო, ტყბილ-მოუბა-
 რი“. ამ ლრმა მწუხარებას მარტო სამშობლოს შწარე ხვე-
 დრი არ ასულდებულებდა: მისი სევდა უფრო წუთისოფ-
 ლის ამაოებიდან მომდინარეობდა, ე. ი. პესიმსტური შე-
 ხედულებიდან აღამიანის ხეედრზე. განვითარება ხელს უშ-
 ლიდა ბარათაშვილს საწოგადოებრივი ცხოვრების პირო-
 ბებს ჩაიკირვებოდა. ამიტომ იგი ვერ ხედავდა აღამიანს
 მის კერძო, წოდებრივ ანუ კლასობრივ პირობებში; ვერ
 ხედავდა დაჩაგრულთ და მჩაგვრელთ; მისთვის ყველა წო-
 დების, ყველა მდგომარეობის აღამიანი სულ ერთი იყო;
 ყველას ერთნაირი ბედი, ერთნაირი ხეედრი პქონდა¹⁾.
 ამიტომაც პოეტი ველარ დაუკირდა თანამედროვე ცხო-
 ვრებას, ვერ შეიგნო ამ ცხოვრების ქირვარამი, ვერ გაიგო
 მაშინდელი ყმების შწარე ბედი. მაგრამ რაც უნდა იყოს,

1) ერთ ლექსში („ფიქრი მტკვრის პირას“) პოეტი ამბობს: „თეო-
 თონ მეტენიც უძლეველნი, რომელთ უმაღლეს ამაო სოფლად არღა
 არის სხვა რამ დიდება, შუოთვენ და დრტვინენ და იტყვიაშ: „როდის
 იქნება ის სამეურიც ჩენი იყოს“, და აღიძვრიან იმავ მიწისთვის, რაც
 დღეს თუ ხალ თვითუ არიან“...

6. ბარათაშვილის პოეზია იყო სპეტაკი; იგი ბრწყინავდა და დღესაც ბრწყინავს მთელ ჩვენ მწერლობაში, როგორც უდიდესი მხათობი ცის სივრცეში.

ამნაირად ბარათაშვილის პოეზიამაც გვერდი აუარა მა-
ჟინდელ ძირითად საჭირ-ბოროტო საკითხს — ბატონ-ყმურ
ურთიერთობას და ერთი სიტყვითაც არ გვამცნო, თუ
რა შეხედულების იყო ამ საგანზე ქართული პოეზიის ერთ-
ერთი საუკეთესო წარმომადგენელი.

ასევე მოიქცა თ-დი გ. ერისთავი, პოეტი, ქართული
დრამის მამამთავარი და უურნალ „ცისკრის“ დამაარსე-
ბელი. მაშინ, როკა წ. ბარათაშვილის პოეზია შორს მიიყუ-
რებოდა, აღამიანის გულსა და სულს ღრმად წვდებოდა
და ამავე დროს კი თანამედროვე ცხოვრების საჭირბორო-
ტო საგნებს ოდნავაც ყურადღებას არ აქცევდა, გ. ერის-
თავი-კი, პირიქით, თავის ლექსებსა და კომიდიებში თავს
დასტრიიალებდა თანამედროვე ცხოვრებას; მაგრამ იგი ამ
ცხოვრების ზედაპირს ვერ გასცილდა, ძირითად
კი თხვებს ვერ მისწვდა და დაქმაყოფილდა მხო-
ლოდ წერილშან ნაკლულოვანებათა მხილებით და გაეიც-
ხვით. ქართველი თავად-აზნაურობის გაღარიბება და გა-
ფუქსავატება, მისი დავალიანება და მამულის და ყმების
დაყიდვა, ცრუშორწმუნეობა, ჯვრის წერა ქონების და ხა-
რისხის მიხედვით და არა გრძნობის, მოხელეთა გაიძევერო-
ბა, სომებ-ვაჭრების ყაირათი ფულის შეძენაში და შათი
გასაოცარი სიძუნწე; ძველ ჩვეულებებშე ხელის აღება და
ახლებისადმი მაიმუნური მიბაძვა, რუსული სიტყვების ხმა-
რება წამდაუწუმ, ენის დამახინჯება, — აი რასაც კიცხავს
და გმობს თავის ნაწერებში გ. ერისთავი. ყოველივე ამას

იგი პოულობს თავად-აზნაურობაში და ჩარჩ-ეკვრებში, იგი მუდამ თავად-აზნაურობის წრეში ტრიალებს. შეკახშე ან ჩარჩ-ეკვარი და მოსამსახურე გლეხი საჭიროა მისთვის მხოლოდ თავად-აზნაურობის დასახასიათებლად, მისი გარეგანი მორთულობისათვის. იგი ერთხელაც არ შეხებია გლეხების მდგომარეობას, არასოდეს არ მოუწადინებია ბატონ-ყმური ურთიერთობის დახასიათება. საკეირველია, როგორ გამოეპარა გ. ერისთავს, როცა იგი მის თანადროების სურათს გვიხატავდა, მთელი ის წოდება, რომელიც იმ დროს მარტოდ-მარტო ეწეოდა საზოგადოებრივი ცხოვრების ჭაპანს, რომელიც თავისი შრომით და ოფლით ჰყელას კვებდა და ასაზრდოებდა¹⁾). ეს გარე-მოება ჩრდილს ფენს გ. ერისთავის მოღვაწეობას. მისი დუ-მილი გლეხ-ეკუობის მდგომარეობის შესახებ არ დარღვეულა მაშინაც-კი, როცა, როგორც გაღმოგვცემს თ-დი აქა-კი წერეთელი, „ბატონ-ყმობის გაყრაზე მოსწრავებულმა ხმებმა სადლესასწაულოდ გამოიხმეს ახალგაზრდობა და მოწინავე პირები“²⁾). გ. ერისთავი მაინც გაჩუმებული იყო და არავითარ მონაშილეობას არ იღებდა ამ საერთო სიხარულში. რით უნდა აიხსნას ეს გარემოება? რათ გაურ-

¹⁾ მიუხედავათ ამისა, არ ვიცი რა საბუთოს ძალით, თ-დი აკაკი წერეთელი აი რას გვეუბნება თ-დ გ. ერისთავის ნაწერების შესახებ: „არ დაუგდია, რომ სიცილით არ მოესცენებიოს არც ერთი მხარე, არც ერთი წოდება (?) ჩემი ქვეყნისა მისის სხვადასხვა იმ დროის მოელინებებით: გვიხატავს თავად-აზნაურობის ეითარებას, გლეხების მდგომარეობასთ“ (იბ. თხუზულებანი გ. ერისთავისა, გამ. 1884 წ., წინასიტყვ. გვ. IX). აშკარაა, რომ ეს მხოლოდ ფანტაზიის, ნაყოფია და მეტი არაფერი.

²⁾ იბ. ibidi გვ. X.

ბოლა გ. ერისთავი სისტემატიკურად ბატონყმობაზე ლაპა-
რაკს? თ-დი აკ. წერეთელის აზრით, ამის მიზეზი ის იყო,
რომ პოეტს უნდოდა ენაზა ბატონ-ყმობის გაყრა ისე, რომ
შემდეგისთვის საკირ-ბოროტო და საჩივინო აღარ დარ-
ჩენილიყო რა, და რადგანაც წინა-ნიშნები სულ სხვას უქა-
დლენ, ის თავისებური სიცილით, ნალვლიანად ამბობდა: „ეს
ფონი კარგია, მაგრამ ერთ ედგილას კი აჩინობსო“¹⁾).
ჩვენის აზრით კი ამის მიზეზი სულ სხვა გარემოება იყო და
არა ის, რასაც ზევით დასახელებული პირი გაღმოგვცემს
და რაც მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია. ჯერ ერთი ეს
ვიკითხოთ: სად იყო გ. ერისთავი, სანამ ეს „წინანიშნები“
გამოჩენდებოდენ, ეს „წინანიშნები“ ხომ მხოლოდ უკანასკა-
ნელი წლების საქმეა, როცა ბატონ-ყმობის გაუქმება უკვე
გათავებული საქმე იყო? და მერე რა მხრით, ან რით არ მოს-
წონდა მას ბატონ-ყმობის გაუქმება? რაში ხედავდა იგი
ცუდ ნიშნებს? ყველა ამის შესახებ არაფერს არ გვეუბნება
არც თ. გ. ერისთავი და არც მისი დამცველი თ. აკ. წერეთე-
ლი. მაგრამ შეიძლება მას სრულებით არ მოსწონდა გლეხ-
კაცობის განთავისუფლება, შეიძლება მისი გული უფრო
ბატონ-ყმობისაკენ იყო? რამდენადაც უფრო ეფიქრობთ
ამაზე, იმდენად უფრო ერწმუნდებით მის სიმართლეში. ნუ
დაიგიწყებთ, რომ გ. ერისთავი მებატონე იყო. მოიგონეთ,
რომ „როცა ბატონ-ყმობის გაყრაზე მოსწრაფებულმა ხმე-
ბმა სადლესასწაულოდ გამოიწვიეს“ ყველა, ვისაც კი სა-
ზოგადო კეთილდღეობისადმი გული უძვერდა, გ. ერისთა-
ვი სრულებით განშე იდგა და ხმას არ იღებდა. ესეც ერთ-
ნირი პოლიტიკა იყო მისი მხრით.

¹⁾ ი. idibl., გვ. XI.

გ. ერისთავს, როგორც დრამატურგს, თავისივე სიცოქა-
ლეში ყავდა რამდენიმე მიმდევარი; იმათში პირველი ად-
გილი ზ. ან ტონთვეს უკირავს. მას ეკუთვნის რამდენიმე
ნიჭიერად დაწერილი კომედია. ანტონოვის კომედიები შე-
გვაგონებს მის მასწავლებლის — გ. ერისთავის პიესებს.
როგორც ეს უკანასკნელიც, ისე ანტონოვის კომედიებიც
მარტო თავად აზნაუროვას და ვაქჩეჩს ეხებიან. რაც შე-
ეხება მაშინდელ მოთხრობის მწერლებს, როგორიც არიან
მაგ., გრ. რჩეულოვი და ი. ბერიძე, იმათ შესახებ იქ ლაპა-
რაკი სრულებით მეტად მიგდაჩნია, ფინაიდან იმათ ნაწე-
რებს დღეს ჩვენთვის სრულებით არავითარი მნიშვნელობა
არა აქვს. აქ საჭიროა შეკიტდეთ რამდენიმეთ ლ. არდა-
ზიანის შესანიშნავ რომანზე: „სოლომონ ისაკი
მეჯლანუ შვილი“.

ლ. არდაზიანი სსენებულ რომანში ჯერ კიდავ მეორ-
მოცდაათე წლებში აღნიშნავს იმ ტიპიურ მოელენას ჩვენს
საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რომელმაც მხოლოდ იმ ხა-
ნებში იჩინა თავი. მაგრამ გარდა ამისა, ლ. არდაზიანის
რომანი შესანიშნავი ხელოვნური ნაწარმოებია, სავსე სი-
ცოცხლით და მშვენიერებით. მეჯლანუ შვილის მოელინე-
ბა უკვე ახალ დროს მოასწავებს, ახალ საზოგადოებრივ
ურთიერთობის გაჩენას გვამცნობს. ეს ურთიერთობა მცი-
დრდებოდა და ფეხს იყიდებდა ძველ ურთიერთობის — ფე-
ოდალიზმის და ნატურალური წარმოების ნანგრევებზე. აფ-
ტორი ცოცხლად და ნათლად წარმოგვიდგენს იმ პირს (მე-
ჯლანუ შვილს) უკანასკნელ მეჯლანეს შვილს, რომელიც
დაიბადა და იიზარდა უკიდურეს სილარიბესა და გავიჩვ-
რებაში, გამოუთქმელ სიმწარესა და დამცირებაში, რომელ

შაც სძლია ათასგვარი გასაჭირი და დაბრკოლება და რის ვაი-ვაგლახით ცხოვრების ფსკერიდან სულ მაღლა იმა-ცურდა ისე, რომ მის წინაშე ქედს იხრიან წარსულთა დრო-თა დიდებული და წარჩინებული. უკიდურესი სილატიკი-დან და დამცირებული მდგომარეობიდან საზოგადოების ცხოვრების უმაღლეს საფეხურზე შესკუპება მოახერხა ფუ-ლმა. ის სულ სხვა საქმეა, რომ პირველ ხანებში ერთბაზად ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადამხტარი მეჯლანუა-შეილი უხერხულად გრძნობს თავის თავს მისთვის შეუჩე-ვილ პირობებში. სიმდიდრისა და ფუფუნების სამფლობე-ლოში, თითქო ის იქ შემოხვევით სტუმარი იყოს; მაგრამ გავა დრო, სოლომონ ისაკი მეჯლანუაშეილები გამრავლ-დებიან და თანდათან შეეჩევებიან თავის როლს.

ამნაირად ჩვენ განვიხილეთ მოქლედ, რამდენადაც არ-სებული მასალა და ადგილი ნებას გვაძლევდა, ერთი მხრით მაშინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობა გა-სული საუკუნის პირველ ნახევაში, ანუ უფრო მართლად რომ ესთევათ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან 1860 წლამდის. ჩვენი აზრით, ეს წელიწადი ანუ 1859 წლის ბო-ლო, შეიძლება ჩაითვალოს ახალი დროის სათავედ თუ არა ისეთ დროდ მაინც, რომლის შემდეგ აშეარად და საჯაროდ იწყება ჩვენში ლაპარაკი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. რო-გორც დავინახეთ ამ დრომდის ჩვენში სრულებით არავის ამოულია ხმა საჯაროდ ამ საძაგლი წესწყობილების შესა-ხებ. თუ ვინმე იყო ისეთი, ვისაც ეს წესწყობილება სძაგლა, იგი იძულებული იყო თავისი აზრი და სურვილი თავისსაევ გულში მოექლა. რა იყო ასეთი სილაჩრის, ასეთი გონებ-რივი სიბერიავის და გაუბედაობის მიზეზი? გონებრივი გა-

ნუეითარებლობა იყო ამის მიზეზი, თუ ის გარემოება, რომ თითქმის ცველა მაშინდელი ჩენი მოღვაწენი და მწერლები წარჩინებულ წოდებას, გაბატონებულ კლასს ეკუთვნოდენ? ჩენის აზრით, ორივე გარემოება, მაგრამ უფრო-კი— უკანასკნელი. ლიბერალობა კარგია, როგა იგი სიტყვის მეტს არაფერს თხოვლობს თქვენგან. მაგრამ როცა ნიერი ინტერესების დათმობაა საჭირო, ეს სულ სხვა საქმეა. შეიძლება თქვენ სამართლიანად მიგანდეთ ეს დათმობა, შეიძლება სიტყვით თქვენ კიდევაც გმობდეთ თავისი იე მოქმედებას, მაგრამ როცა თვით დათმობაზე მიღება საქმე, როგა თვითონ თქვენ უარი უნდა თქვათ იმაზე, როთაც საუკუნების განმავლობაში უსარგებლია თქვენს წინაპრებს და რაც იმავე დროს თვით თქვენზვი კეთილდღეობის საფუძველს შეადგენა, მაშინ თქვენ ლიბერალობას უდივილად დასძლევს პირადი სარგებლობის გრძნობა და სამართლიანი მოთხოვნილების წინაშე უკან დაიხევთ. ასე სჩეკვია ყოველგან და ჸოთელთვის მყვირალა ლიბერალობას და ასე იყო მაშინაც.

1859 წელს, ურნალ „ცისკრის“ უკანასკნელ ნომერში დაიბეჭდა დანიელ ქონქაძის „სურამის ციხე“—ს პირველი ნახევარი (მეორე ნახევარი დაბეჭდილია 1860 წ. პირველ ნომერში), რომელშიაც პირველად იქნა საჯაროდ დაგმობილი ბატონ-ყმობა. ამის შემდეგ სიჩუმის დაცვა შეუძლებელი შეიქნა. დაგუბებულმა აზრმა ამოხეთქა, დაიწყეს ლაპარაკი. ზოგი ბატონ-ყმობას იცავდა, ზოგი მისი წინააღმდეგი იყო¹⁾. მაგრამ მწერლობაში ჯერ კიდევ სმას

¹⁾). ის ამის შესახებ ბ-ნ ქერქლი ბექას (ან. ფურცელაძის) წერილი „სურამის ციხე“, („ცისკარი“ № 1, 1863 წ.).

არავინ იღებდა, თუმცა ეგრეთ შოდებული მესამოცე წლების მოღვაწენი იმ დროს უკვე გამოსულნი იყვნენ სამოქმედო ასპარეზზე. მაგ., თ-დი ილია ჭავჭავაძე, მესამოცე წლების მოღვაწეთა მებაირალტრედ მიჩნეული, 1857 წლიდან ურნალ „ცისკრის“ თანამშრომელი იყო¹⁾. მეორე მხრით, მესამოცე წლების დასაწყისში უკვე ისეთი ხანა დადგი მთელ რუსეთის სახელმწიფოში, როცა ყველგან ბატონ-ყმობის გადავარდნაზე ლაპარაკობდენ, როცა რუსეთის მოწინავე მწერლობა ღირსეულად და გაბედვით უქმდა შხარს ამ ერთად-ერთ ღირსშესანიშნავ მოძრაობას მოელ მის წარსულ კონვენციაში. ამავე დროს მთავრობა ადგენდა ახალ დებულებას ბატონ-ყმური დამოკიდებულობიდან გამოსულ გლეხ-კაუნბისათვის. 1861 წლის 19 თებერვალს მთავრობამ გამოაცხადა, რომ ამიერიდან რუსეთში ბატონ-ყმური დამოკიდებულება უნდა შეწყვეტილიყო. პირველად ეს შეეხო რუსეთის შიდა გუბერნიების ლგეხვაცობას; ცოტა ხანში ჩენ გლეხ-კაუნბისაც გაანთავის-უფლებდენ. ამ დროს ბატონ-ყმობაზე წერა თავისუფლად შეიძლებოდა. მთავრობა ამას ოლარივის უკრძალავდა. მაგრამ ჭონქაძის შემდეგ რამდენიმე წელიწადი გავიდი, რომ ბატონ-ყმობის შესახებ ხმა არავის ამოუღია. შბოლოდ სამი წლის შემდეგ, ე. ი. 1863 წელს, ანტ. ფურცელაძემ მოათავსა იმავე „ცისკარში“ დ. ჭონქაძის „სურამის ციხის“ გარჩევა, სადაც მოთხოვის ავტორთან ერთად დაგმო ბატონ-ყმური ურთიერთობა. ილია ჭავჭავაძის „ჭავჭავაძის“ და „გლახის ნამბობის“ დასაწყისი, „საქართველოს

¹⁾ ი. „ცისკარი“. 1857 წ., № 6.

მოამბე—“ში დაბეჭდილი 1863 წელს აქ მხედველობაში მი-
სალები არ არის, ვინაიდან იქ არსებითად ბატონ-ყმური
ურთიერთობა უარყოფილი როდია; იქ მხოლოდ გაეკიცე-
ლია ზოგიერთი უკიდურესად უარყოფითი მხარეები ამ წელ.
წყობილებისა. თუ რაიმე უკმაყოფილებაა ამ თბილებებში
გატარებული ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, ეს მხოლოდ იმი-
ტომ, რომ ჩვენ ავტორს არ მოსწონს ერთი მხრით ზოგიერთ
მებატონეთა გაფუქსავატება, იმათი სრული ზნეობრივი და
გონიერივი გადაშენება („კაცია-ადამიანში!“) და მეორე
მხრით, ზოგიერთების მეტად უდიერი და სასტიკი მოქა-
ვა თავის ყმებთან („გლანის ნაამბობი“ და „რამდენიმე სუ-
რათი ყაჩალის ცხოვრებიდან“). თუ არ ეს უკიდურესობანი,
ბატონ-ყმობა შეიძლება საუკეთესო წესწყობილებაც ყო-
ფილიყო, რასაკვირველია, ავტორის შეხედულებით. რომ
მართლა ასე ესმოდა ილია ჭავჭავაძეს ბატონ-ყმობა, ამას
ამტკიცებს მისივე ცნობილი პუბლიკისტური წერილი:
„ცხოვრება და კანონი“ ხანგამოშეებით დაბე-
ჭდილი „ივერაში“, 1877—1881 წლებში... აი სხვათა-
შორის, რას სწერს ჩვენი ავტორი, ხსენებულ წერილში:

„ჩვეს ძველ ცხოვრებაში დას-დასად და-
ყოფვა ერობისა არ არსებობდა იმ მხრით,
რომ ერთ წოდებას რაიმე წარმომადგენლობა ჰქონდა
უპირატესობით ქვეყნის საქმეთა გამგეობაში და მეორეს
არა და ერთსა ამით ეჩაგრა მეორე¹)... „ჩვე-
ნში — განაგრძნობს ავტორ — თავად-აზნაურობას დღევა-
ნდლამდე თითქმის მარტო ის უპირატესობა ჰქონ-

¹⁾ ხახს ჩვენ ეუსვამთ.

ნდა, რომ მოკითხვის წიგნში ბრწყინვალებად იხსენია
ებოდა და "გლეხი კი, არაო" ... „მართალია — გვამცნობს
შემდეგ ავტორი — აქა-იქ ჩეენშიაც არის წოდებათა შო-
რის განხეთქილება, მაგრამ ამის მიზეზი იგივეა,
რაც თვითეულ კაცთა შორის: ავი გული, ხა-
რბი თვალი, გრძელი ხელი და ნამუსის
ქუდის ახდაო" ... რა უყო ავტორმა ქართველ მეფი-
თა კანონმდებლობა, რომელიც სრულებით შეუძლე-
დეს უფლებას ანიჭებდა მებატონეთ თავის ყმე-
ბზე და რომლის მეოხებით ერთი წოდების კაცი მე-
ორე წოდების კაცს ჩაგრავდა? რა უყო ავტორმა ჩეენი
წარსული ისტორია, რომელიც ერთ წოდების მიერ მეო-
რე წოდების დაჩაგრაზე იყო აგებული, და არის დღესაც,
თუმცა სხვა საჯუძელით? ერთი ვიკითხვოთ, საით უკუაგ-
დო ავტორმა ცხოვრების სინამდვილე? თავად-აზნაურო-
ბის უპირატესობა იმაში მდგომარეობდა, რომ იგი „წო-
კითხვის წიგნში ბრწყინვალედ იხსენიებოდა და გლეხი
კი არაო". — ამის თქმა შეუძლია მხოლოდ იმას, ვინც წარ-
სულ ცხოვრებას ან სრულებით არ იცნობს, ანდა განშრას
ამაზინჯებს იმას მკითხველის თვეალში. ამნაირად იმ პირს,
რომელიც წარსულ ცხოვრებაში წოდებათა შორის ვერა-
ვითარ განხეთქილებას და წინააღმდეგობას ვერ ხდავდა,
ვინაიდან, მისი აზრით იქ ერთი წოდების კაცი სრულებით
არ ჩაგრავდა მეორე წოდების კაცს, სეთ პირს ვიმეორებთ,
ბატონ-ყმობის წინააღმდეგ არსებითად არათერი არ უნდა
ჰქონოდა. ასეთი პირი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამ
მხრით იმეორებდა, თუმცა სხვა სიტყვებით, თ-დ ალ. ორ-
ბელიანის აზრს, რომელიც, როგორც ვიცით, ამტკიცებდა,
რომ ძველად საქართველოში ბატონსა და ყმას შორის მხო-

ლოდ მამაშვილური და მეგობრული დამოკიდებულებაა ა. სებობდათ. აქ ერთი საკვირველი გარემოებაა, რომლის ას-
სნა ჩვენ გვეძნელება: როგორ მოხდა, რომ ის მწერალი,
რომელიც უარის ჰყოფდა ჩვენ წარსულში ერთი წოდების
მიერ მეორე წოდების დაჩაგვრას, იმავე დროს ბ.-ყმობის
გაუქმების შესახებ მოტანებულ ხმას „ხალხის ბორკილის
მტვრევის სანატრელ ხმას“ უწოდებდა? თუ ბ.-ყმობის გა-
უქმება „ხალხთ ბორკილის მტვრევა“ იყო, მაშ ჩვენი გლეხ-
კაცობა წარსულში რომელიმე წოდების მიერ შეზღუდული
და შებორკილი ყოფილა ისე, რომ იგი სრულებით მოკლე-
ბული უნდა ყოფილიყო ყოველგვარ პირად თავისუფლებას? თუ ეს ასე იყო, რის უარის ყოფა არავის შეუძლია,
უთუოდ უნდა ყოფილიყო როგორც მჩაგვრელთა,
ისე დაჩაგრულთა წოდება. ჩვენ არ ვიცით,
თუ როგორ ურიგდებიან ერთპანეთს ახალ გაზრდა პოეტი
ჭავჭავაძე უკვე დავაუკაცებულ და დინჯ პუბლიცისტს
ჭავჭავაძეს. ვიცით მხოლოდ, რომ ცნობილი ლექსი: „მესმის
მესმის სანატრელი ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა“ დაწე-
რილია 1860 წელს, დაიბეჭდა კი მხოლოდ 1871 წ., როცა
უკვე რამდენიმედ დაკაგრული მნიშვნელობა ამ ლექსის
მქონდა ¹⁾. სჩანს რომ ილია ჭავჭავაძე, ჯერ კიდევ ახალ-
გაზრდობაშიაც მეტისმეტი დინჯი და თავდაცერილი მწე-
რალი ყოფილი, თორემ გულმა როგორ მოუთმინა, რომ ეს
ლექსი გამოაქვეყნა მაშინ, როცა ბატონ-ყმობა დიდი

¹⁾) აძირომაც ჩვენ ეს ლექსი არ მოგვიხსენებია ზევით, როცა
ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მიმართულ ლიტერატურაზე ელაპარა-
კობდით, ვინაიდან დაწერა და მაგიდის უჯრაში შენახვა სულ სხვა
და მისი გამოქვეყნება კიდევ სულ სხვა.

ხანია გადავარდნილი იყო? აი ვინ იყო ილია ჭავჭავაძე, და როგორი იყო მისი შეხედულება ბატონ-ყმურ ურთიერთობაზე.

ჩვენს საზოგადოებასა და მწერლობაში კი ი. ჭავჭავაძის შესახებ სულ სხვა აზრი არსებობს. საზოგადოდ გონიათ, რომ როგორც ილია ჭავჭავაძე, ისე იმ ახალგაზრდობის გული, რომელსაც მესამოცი წლების მოღვაწეებს უწოდებენ, საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსელისთანავე ჰქონდენ და ჰქონდენ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. უფრო გასაკირვალი აქ კიდევ ის გარემოებაა, რომ ყველა ეს მოღვაწენი თავად-აზნაურები, განთქმული ოჯახის შეილები იყვნენ და აი თურმე პირველად ვის „ამოულია ხმა დაჩიგრულ გლეხ-კაცობის სასაჩვებლოდ, ვინ ცდილობდა აღდგინა ფეხქეებზ გათელილი სახელი აღამიანისა“; აი თურმე „ვინ მიიტანა იერიში თავად-აზნაურობის და მის უფლება-უპირატესობის წინააღმდეგ“¹⁾). საიდან, ან როგორ გავრცელდა მესამოცი წლების მოღვაწებზე ასეთი აზრი? როდის იყო, რომ „თავად-აზნაურებს და განთქმული ოჯახის შეილებს ოდესმე ჩვენში ბრძოლა იერებოს ბატონ-ყმობის

1) ასე მსჯელობს ბ. შაიაშვილი (ინ. „იერია“ 1880 წ., გვ. 823, წერილი „ძველი და ახალი თაობა“). სჩანს, რომ აეტორს არაერთარი სურვეილი არ ქვენებია იმ საგამს გასცნობოდა, რომელსედაც ასე თავაზად სწორს. მიუხედავად ამისა, ასეთი შეხედულება დღეშისაც არსებობს ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში. შაგვ., იმავე გან „იერიაში“ ამას წირად დაიბეჭდა ბ. ი. ნ-ძის წერილი, რომელშიაც ილია ჭავჭავაძეზე აი რა არის ნათქეამი: „ადრაევბული მიერალმა ის ბატონ-ყმობის მრჩობას, იცავდა გლეხია უფლებას მამ-ლის პატრონთა და თავად-აზნაურობის წინაშეო“. ინ. „იერია“, 1903 წ., № 192).

წინააღმდეგ? ჩვენ განვიხილეთ ამ მხრით მესამოცე წლების მწერლობა და არაფერი ამის მსგავსი იქ ჩვენ არ დავვინახავს. მესამოცე წლების დასაწყისში, ე. ი. იმ დროს, როცა ეს საჭირო იყო, ჩვენ ერ ვხედავთ, რომ მესამოცე წლების მოღვაწენი ან სიტყვით ან საქმით ამხედრებული ყოფილიყვნენ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. მხოლოდ post factum, როცა ბატონ-ყმობა კანონით გაუქმდა და ესეც პირებს ხანებში, ისინი ლიბერალობდენ და ეითომც დაზიაგრულ გლეხ-კაცობას ესარჩევებოდენ. მაგრამ რაც ხანი გადიოდა, იმათ ლიბერალობასაც თანდათან საფანელი აკლებოდა და ბოლოს ძევლი ლიბერალები ნამდვილ კონსერვატორებად გადაიქცენ.

1860 წელს 16 ივნისს ქ. თბილისში გარდაიცვალა ჭლეჭისაგან დ. ჭონქაძე. იგი არ არის შერიცხული მესამოცე წლების ცნობილ მოღვაწეთა გუნდში და მართლაც დ. ჭონქაძე არ ეკუთვნის ამ გუნდს არც სულით და არც ხორცით: ჯერ ერთა ის, რომ შთამომავლობით იგი იყო გლეხი და მეორეც ის, რომ იგი იყო ერთად-ერთი პირი, რომელმაც ჩვენში პირებელი და მოილო ხმა დაჩაგრულ გლეხ-კაცობის სასაჩვებლოდ და სასტიკი და შეურიგებელი ომი გამოუცხადა ბატონ-ყმურ ურთიერთობას; და ეს იმ დროს, როცა არა თუ ჩვენში, თვით რუსეთშიაც კი ბატონ-ყმური წესწყობილება ისევ თავის ძალაში იყო და მის წინააღმდეგ ხმის ამოღება მეტად საშიში.

III. „სურამის ციხი“

ჩვენში რომ ვისმე კითხოთ: რომელი წიგნია ხალხში უფრო გავრცელებულიო — უმშეველია პასუხს მიიღებთ, რომ

„ვეფხის ტყაოსანი“. მართალია, რომელიმე ჭიგნის გავ-
რცელება მის შინაგან ღირსებას სრულებით არ ამტკიცებს,
მაგარმ ამ გარემოებას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს. ერთ
დროს მართლაც „ვეფხის-ტყაოსანი“ დიდად გაერცელებუ-
ლი იყო ჩვენში და თუ მივიღებთ მხედველობაში მის ხშირ
გამოცემას ამ უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლო-
ბაში, ეს პოემა დღესაც საკმარისად გაერცელებული უნდა
იყოს. მაგრამ ჩვენ მაინც იმ აზრის ვართ, რომ დღევან-
დელი მშრომელი ხალხი, ე. ი. რომელსაც დაბალი ხალხი
ეწოდება ონამედროვე ენაზე, „ვეფხის-ტყაოსანს“ ნაკლე-
ბად ეტანება, და რაც დრო მიდის, მისი ინტერესი ამ წიგ-
ნისაღმი კიდევ უფრო კლებულობს. „ვეფხის-ტყაოსანს“,
უფრო ეტანება და გასავალი აქვს საზოგადოების იმ ნაწილში,
რომელიც დაჩვეულია უსაქმობას და რომელსაც მოსწონს
აღმოსავლეთის საშუალო საუკუნოების ცხოვრება. თუ ოდე-
სმე ხსენებული პოემა, როგორც ზღაპრული პოემა იპყრობდა
ხალხის ყურადღებას, დღეს ეს სრულებით აღარ ითქმის.
შოთა რუსთველის მეტად მდიდარი ფანტაზია, გარმონიუ-
ლი ლესქი, სიტყვების და ანდაზების დაუშრეტელი წყარო,
ეს გარევანი ღირსებანი დიდხანს ხიბლავდენ ძლიერ მკით-
ხველის თუ მსმენელის გრძნობას და გონებას. დღევანდელი
ცხოვრების პირობები კი სულ სხვანაირია: ცხოვრება
რთულდება და ხალხში ისეთი მოთხოვნილებები ჩნდებიან,
რომლებიც წინად სრულებით არ არსებობდნ, ამასთანავე
ძველი წარმოდგენები და შეხედულებები სამუდამოდ ქრე-
ბიან. დღეს მკითხველი წიგნში ეძებს აზრს, მიმართულებას
და პასუხს ათასგარ „დაწყევლილ“ კითხვებზე, რომლებ-
საც მას წინ უცენებს ყოველ-დღიური ქაპან-წყვეტა. აშეა-

რაა, რომ „ვეფუზის-ტყაოსანი“ მას დღეს ველარ უშეველის, იქ გამოხატული და დასურათებული გმირები დღევანდელი მეითხველისთვის სრულებით გაუგებარი და უსარგებლოა: მას ესაჭიროება თანამედროვე ცხოვრების ახსნა და განმარტება, თანამედროვე ცხოვრების დახატვა, ჩვენი დროის გმირების გაცნობა. მხოლოდ ის წიგნი, ის ლიტერატურული ნაწარმოები მიიპყრობს დღეს ხალხის ყურადღებას, რომელიც დაკმაყოფილებს ასეთ მოთხოვნილებათ.

სამწუხაროდ ჩვენდა, უნდა ალვნიშნოთ, რომ ჩვენი მწერლობა მეტად ღარიბია ასეთი წიგნებით. მაგრამ არც ის ითქმის, რომ სრულებით არ მოგვეპოებოდეს რა. დ. ჭონქაძის „სურამის ციხით“ იწყება ჩვენში თანამედროვე სახალხო წიგნების ხანა. ეს ერთად-ერთი მოთხოვნია, რომელმაც პირველად გაიკვალა გზა ჩვენს ხალხში და პირველ გაცნობისთავე მოიპოვა მის გულში მხურვალე თანაგრძნობა და მკვიდრი საბუდარი. დღეს ჩვენში იშვიათად უნდა მოიპოვებოდეს ისეთი მყითხველი, რომელსაც წაკითხული თუ არა, გაგონილი მაინც არ პქონდეს „სურამის ციხის“ შინაარსი. პირველ ხანებში „სურამის ციხის“ გაერტყელებას ხალხში მრავალი დაბრკოლება ელობებოდა წინ, და უმთავრესად ის, რომ „ცისკარში“ დაბეჭდვის შემდეგ, ის კიდევ დიდხასნ არ გამოუციათ ცალკე წიგნად. მხოლოდ 15 წლის შემდეგ, ე. ი. 1874 წელს ელიჩსა „სურამის ციხეს“ პირველად ცალკე წიგნაკად გამოცემა¹⁾. ამის შემდეგ იწყება მისი გაერტყელება ხალხში. ვერ ვიტყვით, რომ „სურამის ციხის“ გავრცელება აიხსნებოდეს მის გარეგანი ლირსებით;

¹⁾ ეს პირველი გამოცემა ეკუთხენის ი. ბაქრაძეს და ე. ხელაძეს.

როგორც „სახალხო წიგნს, მას ბევრი ნაკლულევანებაც აქვს. მაგრამ მიუხედავად ამისა, თანამედროვე ქართულ შეერტობაში არ მოიპოვება შეორე მოთხრობა, რომელიც „სურა-მის ციხესავით“ იყოს გავრცელებული ხალხში. ამის მთავარი მიზეზებია ის, რომ ხალხშა „სურამის ციხეში“ დაინახა თავისი თავი როგორც სარკეში, თავისი შრარე ხვედრი და თავგადასავალი, თუმცა წარსულში, მაგრამ ბევრს ეს თავისი თვალით უნახავს და თავის თავზე გამოუყდია; და განა დღეს კი მას არ ადგას გასაჭირი დღეს კი იგი თავისუფლად გრძნობს თავის თავს? განა ბატონ-ყმური უღელი სხვანაირ ტვირთად არ შეიცვალა მისთვის? ერთი სიტყვით, იგი დღესაც დაჩაგრულია და რადგანაც „სურამის ციხე“ თავიდან ბოლომდე გაედენთილია მაღალი ქაცობრიული თანაგრძნობით დაჩაგრულ ადამიანისადმი, ამიტომ რა გასავეირალია, რომ იგი ხალხშა თავისიანად მიიღო.

დაწერილებით „სურამის ციხის“ შინაარსი ჩვენ აქ არ მოგვყავს, რადგანაც წინდაწინვე წარმოდგენილი გვაქვს, რომ ჩვენი მკითხველი პირადად იცნობს ამ მოთხრობას.

აეტორი მოთხრობის დასაწყისშივე შეითხველის ოცნებას აპყრობს საშუალო საუკუნოებს, როცა საქართველო ჯერ კიდევ დამოუკიდებლად ცხოვრობს თავისი შეფეხბით, მთავრებით, ვეზირებით, ძლიერი ფეოდალებით. მას ჩვენ გადავყევართ იმ სიბნელით და საიდუმლოებით მოცულ დროს, როცა ხალხში უმეცრება — ცრუმორწმუნოებაა გამეფეხული და როცა ყველაფერს ზესთაბუნებრივ ძალას და გავლენას აწერენ. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ გარეგანი მორთულობაა, დეკორაციაა განზრას გამოგონილი

აეტორის მიერ იმ მიზნით, რომ მოთხრობის დედა-აშრი ძლიერ აშკარად არ ძევრებოდა თვალში მაშინდელ საზოგადოებას. თეთო მოთხრობის შინაარსი აეტორს აღებული იქვს მის თანამედროვე ცხოვრებიდან. ესაა მაშინ-დელი ბატონ-ყმური ურთიერთობის გამოხატვა. აეტორს სურს დაანახოს მეითხველს, ერთი მხრით, ყოველგვარ უფლებას მოკლებული ადამიანის — ყმის მდგომარეობა მებატონეს ხელში და, მეორე მხრით, ის, თუ რა ხარისხამდე აღწევს ადამიანის მიერ ადამიანის დაჩავრა. ამ თანამედროვე და ცოცხალ შინაარსს დ. ჭონქაძე განვითარებს ახვევს ძველი ლეგენდარული გადმოცემის ბურუსში, რათა თანამედროვე მებატონეთათვის დავთარი დაებნია. და, მართლაც, პირველი შეხედვით ყველას ეგონებოდა, რომ აქ საშუალო საუკუნოებზეა ლაპარაკი. მაგრამ მოთხრობაში აწერილი ამბები მეტად აშკარად და თვალსაჩინოდ ლილადებდენ, რომ ასეთი თავისი თავის მოყტუილება დიდხანს გაგრძელებულიყო. ეს მართლაც ასე მოხდა. როგორც გადმოვცემს ან. ფურცელაძე,¹⁾ მაშინდელი მებატონები „ჯერ დიდხანს ეერ მოვიდენ ცნობასა და ბოლოს, როდესაც მოიპოვეს გრძნობა... „სწორედ ჩვენა ვართო“ — თქვეს ყველამ ერთი ხმით, მაგრამ საქვეყნოდ კი არ სტყდებოდენო. ამნაირად დ. ჭონქაძე თავის „სურამის ციხით“ თითქო ეუბნებოდა თანამედროვე საზოგადოებას: de te fabula pannatur — არაკი შენზეა ნათქვამიო.

როგორც ზევით ვამბობდით, „სურამის ციხის“ შინაარსი აეტორის თანამედროვე ცხოვრებიდან არის აღებუ-

¹⁾ იბ. „ცისკარი“, 1863 წ. № 1 „სურამის ციხე“.

ლი. მაგრამ ეს ცოცხალი შინაარსი აფტორს ჩაუსვამს ძველ ჩარჩოში. თუმცა ამ შემთხვევაში დ. ჭონქაძემ შესანიშნავი ნიჭი გამოიჩინა, მაგრამ ამ ძველი და ახალის დაკავშირებამ დიდად აენო მოთხრობას, როგორც ხელოვნურ ნაწარმოებს. აფტორის თავი და თავი მიზანი თანამედროვე ბატონ-ყმურა ურთიერთობის გამოხატვაა, მაგრამ იმავე დროს იგი იძულებულია, ისეთი ამბავი მოგვითხროს, რომელსაც არაეითარო კავშირი არა იქვე მოთხრობის მთავარ საგანთან. ამნაირად „სურამის ციხეში“ თითქო ორი სხვადა სხვა მოთხრობაა: ერთის მხრით, ხალხური გადმოცემა სურამის ციხის გაკეთების შესახებ, რომელთანაც დაკავშირებულია ამბავი დურმიშხანისა და გულისვარდზე, და მეორე მხრით ოსმან-აღა თავისი თავითა სავალით. მაგრამ იმავე დროს დურმიშხანის მოქმედება სულ ტურილად არის გადატანილი საშუალო საუკუნოებში: მთელი მისი ცხოვრების ამბავი თვით აფტორისვე დროს ეკუთვნის.

პირველად ჩვენ განვიხილოთ, თუ რაზე ააგო დ. ჭონქაძემ თავის მოთხრობის დედა აზრი. ეს არის სურამის ციხის გაკეთების ამბავი. აქ მან ისარგებლა ხალხური გადმოცემით. ერთხელ საქართველოს მტრების შემოსევა მოელის; იმათ მოსაგერებლად და ქვეყნის დასაცავად საჭიროა სურამის ციხის გაკეთება, რასაც კიდევაც შეუდგენ. მაგრამ ციხის კედლების ამოყვანა არა საშუალებით არ ხერხდება: ამოიყვანენ თუ არა, მაშინვე ინგრევა. საქართველოს ბედი ბეწვეუ ჰქიდია და არ იციან რას მიმირთონ. ყველანი, დიდი აუ პატარა, ამაზე ფიქრობენ. ამ დროს ვიღაცამ წამოიძახა: „მოდი ერთი მეითხაეს გაკითხეინოთო“. ევზირმა მოიწონა ეს აზრი და გადასწყვეიტეს ეკითხეინებიათ „ავლა-

ბრეს ვარდუასთვის“. გზავნიან კაცს მასთან, მაგრამ ვარდუა მიიხმობს თვით ვეზირს და ურჩევს მას, რომ ციხის გაკეთებისათვის საჭიროა კედელში ცოცხალი ვაკის დატანება, დედისერთა ვაკის — ზურაბისათ. ხელახლა შეუდებიან ციხის კეთებას, დაიჭირენ ზურაბს, რომელსაც კედელში ცოცხლად დატანებენ. ასეა ეს ამბავი მოთხრობილი „სურამის ციხეში“. აქვე უნდა დავუროთ, რომ ავლაბრელი მკითხავი ვარდუა ანუ გულისვარდი დურმიშხანის საკოლეიო დურმიშხანშია იგი შემტევ სხვაზე გასცეალა და გულისვარდიც ასე საშინლად იძიებს მასზე შურს.

სამწუხაროდ, ჩენ არ ვიცით, რა სახით ორსებობდა ხალხში ეს გადმოცემა; ამიტომ არ შეგვიძლია დავაფასოთ, თუ როგორ ისარგებლა დ. ჭონქაძემ ამ ხალხური ლეგენდით: შეუცვლელად, თუ მოახდინა მასში რიომე ცულოლება. საინტეროსოა, რომ თითქმის ამგვარივე ლეგენდა არსებობს ვალახურ ენაზე; მაგრამ ამ ორ ლეგენდას შორის დიდი განსხვავება არი. მოვყავს აქ სულ შემოკლებით ამ ლეგენდის შინაარსი. დასაწყისი ორივეგან ერთნაირია: იქაც ციხეს აკეთებენ, მაგრამ კედლების ამოყვანა ეერ შოუხერხებიათ. ხალხი დიდ სასოწარკვეთილებაშია. ამ დროს საიდანლაც გაჩნდება უცხო ქვეყნიდან მოსული ლრმა მოხუცი, რომელიც ამბობს, რომ ციხის ასაშენებლად საჭიროა კედელში დატანებული იქნას ცოცხალი ვაკით. მხოლოდ არა ძალდატანებით, არამედ თავის სურვილით, ვაკმა თვითონ უნდა მოისურვოს თავისი თავის შსხვერპლად შეწირვა საშშობლოს საკეთილდღეოთო, მეფე ახდენს ხალხის ყრილობას, რომელსაც უცხადებს მოხუცის რჩევას. ხალხში ჩამოვარდება საშინელი მღუმარება. ამ დროს ხალხიდან გამო-

დის ახალგაზრდა ყმაწვილი, დედის-ერთა ვაუი და აცხა-
დებს სურვილს, რომ იგი ცოცხალი დაატანონ კედელში,
ოლონდ კი ამით სამშობლოს ეშველოსო. როცა ამ გულად
და სამშობლოსათვის თავდადებულ გმირს ცოცხლად მარ-
ხავენ კედელში და უკანასკნელად უნდა დააყარონ მას
თავშე კირი, ამ დროს ხელახლა გამოჩნდება იგივე მოხუცი
და ამბობს: ქმარი! ამოიყვანეთ ვაუი კედლიდან! მისი და-
ტანება საჭირო იღარ არის: იმ ხალხს, რომელსაც შეუძლია
ასეთი გულადი და სამშობლოს ერთგული შეილების იზრ-
და, მტერი ვერაფერს დააკლებსო!

ასეთია ვალახური ლეგენდა; ჩენ ვხედავთ, თუ რამდე-
ნად მაღლა დგას ის იმ გადმოცებაზე, რომელიც დ. ჭონქა-
ძის მოთხრობაშია. ამ გარემოებას ორჟეცებს გარდა ამისა
ის გარემოებაც, რომ დ. ჭონქაძის მოთხრობას თავიდან ბო-
ლომდე ახალი დროს დალი ატყვია: თუ ძველად ხალხის
თვალში კედელში ცოცხალი ადამიანის დატანებას კიდევ
რაიმე ნიადაგი ჰქონდა, — იმ დროს, რომელსაც ნამდ-
ვილად ეკუთვნის მოთხრობა, ეს შეუძლებელი იყო. აწა-
ირად, დ. ჭონქაძემ თავის მოთხრობაში ძალდატანებით
გადმოიტანა ძველი თქმულება და მასთან ერთად ძველი
წარმოდგენები და შეხედულებები ახალ დროში. თუმცა,
როგორც შევით შევნიშნეთ, ამ გარემოებამ ძლიერ ავნო
დ. ჭონქაძის მოთხრობას, როგორც ხელოვნურ ნაწარმო-
ებს, მაგრამ ავტორი იძულებული იყო ამ საშუალებისათ-
ვის მიემართა, რომ ჩი: პოთხრობას დღის სინათლე ღირ-
სებოდა.

როგორც ვამბობდით, უმთავრესი დედა-აზრი, რომლის
გარშემო ტრიალებს დ. ჭონქაძის მოთხრობის შინაარსი,

არის ურთიერთ დამოკიდებულების გამოხატვა პატონის და
ყმას შორის მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. აქ,
ერთი მხრით, თქვენ ხედავთ მებატონეს აულაგმავ თვეოთნე-
ბობას და მის შეუზღუდველ უფლებას თავის ყმაზე და,
მეორე მხრით, — ყმას, რომელსაც ახდილი. აქეს ყოველ-
გვარი ადამიანური უფლება და რომელიც ბატონის
სრული მონაა.] ავტორი გასაოცარი სინამდვილით და ხე-
ახებ ლოვნურად გვიხატავს ამ ნიადაგზე აღმოცენებულ ურთი-
ერთობას და აქედან წარმომდგარ განხეთქილებას და შეტა-
კებას. თქვენ აქ ხედავთ ყმების სრულ დამონებას და იმათ
ოჯახის შოშლას; ხედავთ, როგორ სტაცებენ დედას ერთად-
ერთ შვილს, და საჩუქრად აძლევენ ან ყიდიან მას სხვა ად-
გილას, რომლის ნახვას დედა ვერასოდეს ველარ ელიტსება;
უყურებთ ადამიანის პირობების უკიდურეს ხარისხამდე
დამცირებას და მისი ღირსების ფეხ-ქვეშ გათელვას, დედა-
კაცების ძალად გაუპატიურებას; ხედავთ უზომო და აუტა-
ნელი სასჯელის მიყენებას და სასჯელში სულის დალევას
და რა ვიცი კიდევ რას. ავტორს თანდათან შევყვარით ამ
საზარელ ატმოსფერაში. პირველად იგი მოგვითხრობს
დურმიშანის ამბავს: იგი იყო წერეთლიანთ გოგოს ერთად-
ერთი შვილი. „დურმიშანის დედა იყო ისე უბედური, რომ
მოეწონა თვრამეტი წლის წერეთლის ვაჟს და იმის შემდევ
გაჩნდა დურმიშანი“. ერთხელ წინანდელ მის ბატონს მუხ-
რან-ბატონი ეწვია სტუმრად. რაღაც უბედურებაზე მუხ-
რან-ბატონმა მოიწონა დურმიშანი, ეს იყო და ეს: ამით
გადაწყდა მისი ბედი. ნეორე დღეს იგი შემოუსვეს ცხენზე
მუხრან-ბატონის ბიჭს და გააყოლეს მას. რა თავზარდამცე-
მი იყო დურმიშანის დედისათვის შვილის წართმევა, ეს

ჩანს იქიდან, რომ მან ვერ გაუძლო შეილის ასე დაკარგვის და ერთი წლის შემდეგ ამ ამბისა დალია სული. მაგრამ ეს მხოლოდ ზესავალია იმ ამბების, რომლებიც ეტოლმა შემდეგ უნდა მოვეითხოოს და რომლებიც ოსმან-აღას თავ-გადასავალს შეადგენენ.

— ოსმან-აღას მამა იყო ქაოთველი გლეხი, ბატონის ყმა; მიუხედავად ამისა, იგი ერთ დროს იყო შეძლებული და სოფელში თავკაცად ითვლებოდა. მაგრამ რაღაც ფათერაკმა იგი იმსხვერპლა და ამის შემდეგ მისი სახლი „გადაბრუნდა გულალმა“. როგორც მოვეითხოობს ოსმან-აღა,— „ბატონ-მა ჯერ წაგვართო ვენახი, მერე თითო-თითო ხარ-კამეჩი და უკანასკნელათ უბრძანა დედაჩემს, რო გადასულიყო იმასთან სალხში მოსამსახურეთ. საწყალი დედა-ჩემი! უნდა ვენახა, რა მწუხარებით ესალმებოდა სახლს! რა ვეარათ არ ეხვეწებოდა ბატონს, რო დაენებებინა თავი და არ მოეშალა ოჯახი... ჩემი შეილები აქედან უფრო ვემსახურებიან, რა-საც მოვიყვანო სულ შენ მოვართმევთ. ჩეუნ ნაცარს ავუშ-რუკავთ და იმას ვჭამთ, ოლონც ნუ მოვეიშლი ოჯახს“... („სურამის ციხე“), მაგრამ ბატონს ეს არ ეყურებოდა. მეორე დღეს ისინი ჩასვეს ურეშში და გადაიყვანეს ბატონთან. დედა პურის მცხობლად გახადეს და ოსმან-აღა, რომელსაც მაშინ ნოდარი ერქვა, თავისი დით პირის მოსამსახურებად. ასე გავიდა ხუთი წელიწედი. ერთხელ ნოდარის ბატონს ესტუმრა ერთი კახელი მლეჟელი, რომელმაც მუშტრის თვალით დაუწყო ყურება ნოდარს. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ბატონი, ამ მლეჟელჩე გაეყიდა ნოდარი და მისი და. ამის ვაგონებაზე აკანკალებული დედა „დაემზო მიწაზე და დაუწყო ხვეწნა ბატონს ისე,



როგორც შეუძლია შეხვეწნა დედას, რომელსაც საუკუნე-
ნოდ ართმევენ შეიღება. ბატონშა კი უბრძანა ბიჭებს, რო
გაეგდოთ ის კარში“ (იქვე). დედა ვერ შეურიგდა შეიღე-
ბის დაკარგვის აზრს და დააპირა ბატონის სახლიდან გაქ-
ცევა შეიღებითურთ. მან კიდევაც მოიყვანა თავის განზრა-
ხვა სისრულეში: იგი გაექცა ბატონს და დაიწყო ცხოვრება
საშინელ გაჭირებასა და შიშში ტფილისში. მან მაშინვე
გამოიცვალა და შეიღებსაც გამოიუცვალა სახელები და და-
ირქო სომხობა. რის ვაი-ვაგლახით აქ გაატარეს დედამ და
შეიღმა (და მიათხოვეს ერთ სომებს) ხუთი წელიწადი, რის
განმავლობაში ისინი არ ზიარებულან, რაღვანაც სომხის
საყდარში არ უნდოდათ და ქართველთ კელესიაში კი ეწი-
ნოდათ გამოჩენის. ერთხელ ნოდარის დედამ მოინდომა ზი-
არება; შეიღს უთხოვია, რომ მლვდლისთვის არ გაეცხადე-
ბია თავისი ჩამომავლობა. დედამაც მისცა პირობა, მაგრამ
სინდისისთვის კელარ გაეძლო და ყველაფერი ეთქო
მლვდლისთვის აღსარებაში. „იმავე დღეს ვიღაც კაცები
დაგვესხენ თავზე, შეგვიკრეს ხელები და გაგვიგდეს წინ...
ბატონთან რო მიგვიყვანეს, იმან შემდგომ სხვათა და სხ-
ვათა სასჯელათ, უბრძანა ბიჭებს, რო შევებით გუთანში
ისე, როგორც აბმენ ხარებს, ხარის ულელი დაგვადგეს კი-
სერჩე. მაგრამ ეს სასჯელი ბატონშა პოვა სუბუქათ, იმი-
ტომ, რო გუთანში ხარები დადიოდენ ნელა და ვერ და-
ვიღლებოდით და ამისათვის მეორე დღეს შეგვაბა კეცრში,
კეცრზე დაჯდა თითონ და გვერეცებოდა. ცოტაც რომ დავ-
მდგარიყავით ამოსუნთქვისათვას, მაშინვე გველოდა სახ-
რე... დედა-ჩემმა თითქმის— ათჯერ შემოურმინა კალოს
ისე, რო ერთი ჩივილიც არ ამოსვლია პირიდან, მეორერთ-

მეტეთ რო უნდა დაგვეწყო შემოვლა, დედაჩემი უცირათ
ჭირებული და მოკედა. საწყისი დედა-ჩემს არცეკი დააცალეს
მშეიდათ მომკედარიყო. ბატონს ევონა, რო ატყუებდა მას,
და ამიტომ სახრით დაუწყო ცემა... სახრის ქვეშ ამოუ-
რიდა სული"...

შემდევ ამისა გავიდა წამდენიშე წელიწადი და ბა-
ტონიც შეურიგდა ნოდარს, რადგანაც ბატონი შესში ხე-
დავდა „სასარგებლო ნიეთს“ და დარწმუნებულიც იყო,
რო ნოდარი იყო მისი ერთგული. რა მშარე სიცილს გერის
ეს კაცს: „ერთგულებას ეძებდა იმაში, რომელსაც დე-
და მოუკლა ულელში! საკვირველი არიან, შენმა გაზრდაში,
ჩაგვარნი კაცნი!“ — დასძენს ოსმან-აღა. ამ ხანში ნოდარს
შეუსრულდა 23 წელიწადი, და მან შეიყვარა თავისი ქალ-
ბატონის გოგო, ნატო; ნატოსაც უყვარდა იგი. მაგრამ იმათ
მდგომარეობაში მყოფთათვის განა შესაძლებელი იყო სი-
ყვარული? განა ყმას თავისუფლად ცოლის შერთვის ნება
ჰქონდა, ან ქალს თავისუფლად გათხოვებისა? რა იყო, რო
იმათ ერთამანეთი მოსწონდათ? ისინი ხომ ბატონის შეი-
ლები არ იყვნენ? — „წადი, დაიკარგე, არ შეიძლება! მო-
სამსახურეს შინიდან არ გაუშებ და არც შენ მოგცემ
ნებას, შინ მინდიხარო“, — იყო ბატონის პასუხი, როცა ნო-
დარმა ნატოშე ჯვრის წერის ნება სოხოვა მას. ამის შემ-
დევ ბატონმა თვითონ მოინდომა ნატოს გაუპატიურება და
ნებით რომ ვერ დაიყოლია, ძალით მოინდომა ნამუსის ახ-
და; უბედური ქალი არ დანებდა და ნამუსის ახდას წყალ-
ში თავის დახრჩობა ამჯობინა. ამ დროს ნოდარი სადღაც
გაგზავნილი იყო; როცა დაბრუნებისას ნატოს დახრჩობის
ამბავი გაიგო, მაშინვე მან თოვის წამალივით იუეთქა. მისი

მოთმინების ფიალა უკვე აიღსო. მას მოებჯინა სისხლი უკვე ლში; ამის შემდეგ მოთმენა-აღარ შეიძლებოდა. ყველა ის მწეხარება და დამცირება, რომელიც ბატონშა მას მიაყენა: ოჯახის მოშლა, დედის კევრში შებმა და მისი სიკედილი სახრეს ქვეშ და ბოლოს მისი უმანქო საცოლეს ასე უბედურად სიკედილი, — ყოველივე ეს მას თვალწინ წარმოუდგა და თხოულობდა შურისძიებას, სისხლს. იგი შევარდა ქალბატონის ოთახში. — „ნოდარჯან, მე მომყალ, ჩემ გიგოს ნუ მომიკლამ, არა დაუშავებია-რა შენთვის“, შეკვედრა მას ქალბატონი. „მე ნუ მომყალამ, შენთვის არა დამიშავებია რა“, — განუმეორა ნოდარს ბავშმა. „მაგრამ მე არ მესმოდა იმათი ხევწინა, სისხლისაგან გაგიერებულმა მე დავაკალ დედა შეიღსა“.

ი ამას ქვია შურისძიება. მაგრამ აქ ერთი კაცის შურისძიება როდია! აქ მთელი თაობის, მთელი ხალხის შურისძიებაა გამოხატული. აქ იგი მარტო თავისთვის კი არ იძიებს შურს; იგი სამაგიეროს უხდის იშ შეურაცხოფის, მწიხარებისა და ტანჯვისათვის, რასაც ერთი წოდება საუკუნოების განმავლობაში უსაშაროთლოდ აყენებდა მეორე წოდებას. ამიტომ ხალხის თვალში ეს შურის მაძიებელნი სრულებით დამნაშავეებად არ ითვლებოდენ და ყოველთვის შველიდენ, რომ ისინი არ დაეჭირათ და სამართალში არ მიეკათ. ამასე ვხედავთ ჩემ აქაც, როცა ნოდარს დაეწინ მდევრები, „არა თუ არ მოინდომეს მისი მოკელა, არამედ თითონვე ასწავლეს, რომ გადავარდნილიყო აზალციხისაკენ“ (ასე ექცეოდა ხალხი არსენასაც). ნოდარი მართლაც მეორე დღესვე მივიდა ახალციხეს, გამოეცხადა მოლას, გმო ქრისტე და მიიღო მაპმადის რჯული. შემდეგ იგი

წავიდა სტამბოლში, შევიდა იანიჩარის ჯარში. მან ჩეარა
 გაითქვა მამაცობის და გულადობის სახელი და შეიქნა
 ასის თავი. მაგრამ მას მობეზრდა ჯარში ყოფნა, რადგანაც
 მას ძლიერ აწუხებდა სინდისი, რომ მოკლა უბრალო ბავშვი
 და გადუდგა ქრისტეს. ამიტომ ჯავრის გასაქარებლად იგი
 ანებებს თავს ასისთაობას, იწყებს ვაჭრობას, რომლის საშუ-
 ალებით იძენს დიდძალ ქონებას. მაგრამ სინდისის ქენჯნა
 მას არასოდეს არ ტოვებს, ამიტომ იგი თავის სიმდიდრის
 ნახევარს სტამბოლში სწირავს ეკლესიას, გმობს მაჭმალის
 სარწმუნოებას და ხელახლა უბრუნდება ქრისტეს რკულს.
 ოსმან-აღის ასეთი საქციელით გააფთრებული ოსმალები
 მას სასტიკ სასჯელში აყენებენ, რომ ისევ მაჭმალის
 სარწმუნოება მიაღებინონ, მაგრამ რომ ვერას გადიან,
 სიკოცხლეს უსპობენ.

ასეთია ოსმან-აღის თავ-გადასაფალი; მაგრამ ეს არ არის
 მხოლოდ მარტო იმისი ხევდრი. ოსმან-აღის თავ-გადასაფა-
 ლი ნამდვილი, თუმცა შედარებით ძლიერ მკრთალი, სუ-
 რათია იმის, რაც ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნა-
 ხევარში ხდებოდა. აქ ერთი სიტყვაც არ არის მეტი: პირი-
 ქით, მკითხველს საწყენადაც რჩება ის გარემოება, რომ მო-
 თხრობის აფტორი აქ ძლიერ მოკლედ სჭრის სიტყვას, რომ
 იგი ერიდება მრავალსიტყვაობას იქაც კი, სადაც ეს საქი-
 როა; სამაგიეროდ იგი ერთი მოხერხებული სიტყით ზოგ-
 ჯერ მთელ სურათს გვიხატავს. აქ თქვენ უდავთ ქვრივ-
 ობლების ოჯახს როგორ აპინტრაშებს და აწიოკებს ბატო-
 ნი, როგორ გადაყავს თავის სახლში დაქცეული და ამოვარ-
 დნილი ოჯახის შევრები მოსამსახურებად, როგორ უპი-
 რებს უბედური დედის შვილების გაყიდვას და ყიდის კი-

დევაც; ხედავთ, რომ ამ სამარცხეინო ხელობას მღვდლებ-
შიც კი არ ერიდებიან, პირიქით, ისინიც თამაშიდ ვაჭრობენ
ადამიანის შვილებით; როცა საჭიროება მოითხოვს, აღსა-
რებასაც ამეღლავნებენ, რითაც ლალატობენ ჯერ თავის
რჯულს და შემდეგ თავის სინდისს; ხედავთ დედას, რომე-
ლიც გამოუთქმელ მშობლიურ სიყვარულთან ერთად
იჩინს სამაგალითო სიმამაცეს და ხასიათის სიმტკიცეს; ყო-
ველის მხრით უძლური იგი გაურბის შვილებითურთ ძლი-
ერ ბატონს, მიიპარება ტფილისში, აქ ირქმევს სომხობას,
რომ თავისი ვინაობა არ გამოამეღლავნოს; ტანჯვის დროს
კი ისე ლევს სულს სახრის ქვეშ, რომ მის თვალთაგან ერ-
თი ცრემლიც-კი არ გადმოვარდება და მასთან არც ერთი
შებრალების სიტყვაც. ხედავთ უბრალო მოსამსახურე გოგოს
(ნატოს), ყოველნაირად უძლურს ძლიერ ბატონის წინა-
შე, რომელიც მიუხედავად ამისა, როგორი სიმტკიცით და
გადაწყვეტილებიდ უმკლავდება ბატონის პირუტყულ მო-
თხოვნილების დაქმაყოფილებას და სხვას რომ ეურას გან-
დება, თავს იხრჩობს. ხედავთ ნოდარის გააფორებას და მის
მიერ ბატონის ოჯახის სრულიად ამოწყვეტას, მის რსმალე
თში გადავარდნას და გამაშმადიანებას. როგორც ეთქვა.
აქ იოტის ოდენა არა არის-რა გამოვონილი, რაც მაშინდედ
სინამდევილეს ეწინააღმდეგებოდეს. თქვენ აქ ვაგა-
კეირვებთ მხოლოდ ის გარემოება, რომ ასეთ მოწამლურ
პირობებში, სადაც ადამიანის პიროვნება ასე დაჩაგრული
და ფეხ-ქვეშ გათელილი, როგორ-ლა შერჩათ დედებს ასე-
თი თავგანწირული სიყვარული შვილებისაუმი და ხასია-
თის ასეთი სიმტკიცე და სიძლიერე; ან უმანკო ქალებს რო-
გორ შეეძლოთ თავის ნომუსის დაცვაზე ფიქრი და იმის და-

კარგვას უფრო სიკვდილს აზჯობინებდენ, როცა იმათ, ეის
 ხელშიაც იმყოფებოდენ, შეუზღუდველი უფლება ჰქონ-
 დათ მინიჭებული იმათ პიროვნებაზე? და ბოლოს, რათ
 ოვით ისმან-ალა ანუ ნოდარი არ ისრის ქედს და არ ემორ-
 ჩილება ბატონის განკარგულებას, როცა იცის, რომ მას
 იმას იქით გასაქანი არ აქვს, როცა დარწმუნებულია, რომ
 ძალა ბატონის ხელშია და ძალა ხომ იღმართსა ხნავს! მაგ-
 რამ ჩანს, რომ გარეგან შევიწროებას, რაც უნდა ძნელი,
 და აუტანელი იყოს ის, არ შესძლებია აღამიანური ნა-
 პერტკალის სრულიად გაქრობა, თავისუფლების, სიყვარუ-
 ლის და პატიოსნების გრძნობათა აღმოფხვრა. შეიძლება
 მხოლოდ დროებით დაიძინოს აღამიანში ასეთმა გრძ-
 ნობამ, მაგრამ მით უარესი იშათთვის, ვინც მის აღმოფხვ-
 რას ცდილობს თავის სასარგებლოდ. ეს ყველაზე უსაში-
 ნელესი დანაშაულია, და ის არავის შერჩება, როგორც ირ
 შერჩა ნოდარის ბატონს ის შეწუხება და დამკირება, რაც
 ამ უკანასკნელმა მოელ მის ოჯახს და კერძოდ მას
 შეაყენა.

ამნაირად დ. ჭონქაძემ პირველად გადაუშალა მაშინ-
 დელ ჩეენს საზოგადოებას ბატონ-ყმურ ურთიერთობათა
 ა. მაძრტუნებელი სურათი. ეს იყო ბნელ სამეფოში სი-
 სახალის შეტანა. ამას-კი მაშან არავინ მოელოდა. მებატო-
 ნეთი წირმომაღვენლებმა, რომლებმაც წაიკითხეს „სურა-
 მის ციხე“, ეს გარემოება არა თუ მხილებიდ, პირდაპირ
 ცილისწამებად მიიჩნიეს¹⁾). იმას ვინ კითხულობდა, რომ

1) ის. ზეეით დასახელებული შერილი ან. ფურცელაძისა „ცის-
 კარშია“, 1868 წ.

დ. ჭონქაძის მოთხრობაში აწერილი ამბები იმ დროს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხდებოდა. მაგრამ ცნობილია, რომ მახინჯს ყოველთვის ეჯავრება თავის სახის დანახვა სარკეში, და აი ჩეენ მებატონეებსაც არ მოეწონათ თავისი სახე, როცა იმათ „სურამის ციხეში“, როგორც სარკეში, ისე დაინახეს თავის თავი. ეს იყო ერთი მხარე დ. ჭონქაძის მოთხოვაბისა. მაგრამ აქ იყო კიდევ მეორე მხარე, არა ნაელებ საინტერესო და საგულისხმიერო, რომელიც ჩეენ აგრედე პარველად „სურამის ციხიდან“ შევიტყეთ. ჩეენ ვამზობთ ვანე, რომ დ. ჭონქაძემ პირველად მიაქცია ვლებ-კაცობის მდგომარეობას ჩეენი ყურადღება, რომ მან პირველად უაგვანახვა, თუ რა ხდებოდა იქ და აი ჩეენ ვსედავთ, რომ იმ დროს ვლებ-კაცობაში თანდათან იღვიძებსა ადამიანური გრძნობა,—ის გრძნობა, რომელიც საუკუნოების ვანმავლობაში ცდილობდენ აღმოეფხერათ იმაში, და იმავე დროს ეს ვლებ-კაცობა გრძნობს ბატონ-ყმური ულლიდან უანთავისუფლებას, ერთი სიტყვით პირადი თავისუფლების საჭიროებას. ეს გრძნობა ორნაირად იჩენს თავს. ვლებ-კაცობის ერთი ნაწილი, პრაქტიკულ ცხოვრებაში უფრო ვამობრძნილი და გაწიფული, თავისუფლების მოპოვას ცდილობს ბატონის მომადლიერებით, მეტი სამსახურით და მეტი შრომის გაწევით, და ან თუ შეძლება ნებას აძლევდა პირდაპირ ფულის საშუალებით ყიდულობდა თავისუფლებას. მეორე მხრით, ვლებ-კაცობაში იმ დროს ჩნდებიან ისე-თი პირები, რომელიც გრძნობდენ რა ბატონ-ყმური დამოკიდებულების სისასტიკეს და სიმძიმეს, ხელს იღებენ თავიანთ ბატონებზე, ძიობენ შურს და შემდევ გარბიან თავის ჭყეუნიდან და თითქმის სამედიმოდაც ეთხოვებიან თავი-

ანთ სამშობლოს. ეს ორგვარი ტიპი ჩვენს გლეხ-კაცობაში აღმოცენდა ერთ და იმავე ნიადაგზე, მხოლოდ სხვადასხვა პირობებში. ფულის ან სხვა რაიმე სამსახურის საშუალებით თავისუფლების შოვნა უფრო შესაძლებელი იქნებოდა იქ, სადაც ალებ-შიცემობა და ვაჭრობა ფეხს იყიდებდა, ე. ი. ქალაქებში; პირიქით, ბატონებზე ხელის აღება, შურისძიება, და მერე გადავარდნა სხვა ქეყანაში უფრო სოფლებში ხდებოდა. დ. კონქიძემ დურმიშხან წამალაძეში და ოშან-აღაში შესანიშნავად დაგვიხატა ეს ორი ტიპი.

დურმიშხან წამალაძე შესანიშნავი წარმომადგენელია იმ გაიძვერა და მოხერხებულ ადამიანთა, რომლების ვანგითარებას ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცხოვრების ვაგლახი პირობები; გაჭირვება თანდათან ანვითარებს ადამიანში: გაიძერობას და მოხერხებას, ე. ი. ცხოვრების ალლოს აღებას იმის კვალობაზე, თუ რა პირობებში უხდება მას ცხოვრება. დურმიშხანს რომ ქალაქში არ შეხვედროდა ცხოვრება და იქ არ გაეგო ბევრი რამ, ვერასოდეს ვერ შეიქნებოდა ისეთი გაიძვერა და მოხერხებული, როგორიც იგი გამოვიდა. მან გამოსცადა ბევრი სიმწარე, ბევრი გაჭირება და ვაი-ვაგლახი; მაგრამ ამავე დროს დურმიშხანი, რადგანაც იგი ცხოვრობს ქალაქში, ხედავს და იგნებს ბევრ ისეთ რამებს, რის გაგება მას სოფელში არასოდეს არ შეეძლო. ერთი სიტყვით, მწარე გამოცდილუბამ და ქალაქურმა ცხოვრებამ მას ბევრი რამ შეაგნებინა და შეასწავლა. პირველი კეშმარატება, რომელიც დურმიშხანმა შეიგნო, ის არის, რომ „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლებაო“, — ეუბნება იგი გულისვარის. მაგრამ

მარტო პირადი თავისუფლებაც არ კმართდა. კერძოდ საც, თუ ნივთიერი სახსარი არა გაქვს, პირადი თავისუფლება იგივე მონობაა და მაშინ კიდევ უარესი იყო. ესეც კარგად ჰქონდა შეგნებული ჩვენს დურმიშხანს. „სანამ ჩვენ,— ეუბნება იგი იმავე გულისფრადს, — ჩვენ იმდენი არ გვექნება საცხოვრებელი, რო სხვის თავდაუკრელად ეიცხოვოთ, მანამ ჩვენი განთავისუფლება განთავისუფლება არ არის ~ ამიტომ დურმიშხანშა იშვია თუ არა გახთავისუფლების წიგნი, იგი სანამ ცოლს შეირთავდეს, მიღის „ფულის საშოგნელათ, გასამდიდრებლად“. და მართლაც, ბედნიერი შემთხვევა, ე. ი. ოსმან-აღის გაცნობა, მას ნებას აძლევს ჩქარა გამდიდრდეს: თვით ოსმან-აღაშ აჩუქა მას თავის ქონების ნახევარი. ამნაირად უპატრონო და უთვისტომო იმერელი ბიჭი, რომელსაც პატარაობიდან დავაქაცებამდის ერთი მხიარული დღე არ უნახავს, რომელიც ყველას სასაცილოდ იყო გამხდარი და ყველას იგდებული ყავდა და რომელიც მუდამ ბატონის ნასუფრალის შემყურე იყო, შეძლებული კაცი შეიქნა, რომელიც დაახლოვებას ბევრი მაშინდელი თავადები და წარჩინებული გვარის შეილები დანატროდენ, რასაკეირელია, იმ მიზნით, რომ მისგან ესარგებლნათ. გულში კი ყველას ეთავილებოდა დურმიშხანთან საქმის დაჭერა, ვინაიდან იგი უგვარო და უთვისტომო იყო. აქ დ. ჭონქაძე გვიხატავს გაკეთებულ შინა-ყმის სულიერ მდგომარეობას, მის ფსიხოლოგიას. მართალია, დურმიშხანს კარგად ახსოეს, თუ რა გასაჭირო ადგა მას, როცა ბატონის ყმა იყო, მაგრამ როცა იგი პირადად თავისუფალი შეიქნა და სხმდიდრე შეიძინა, ბატონ-ყმობის წინააღმდევი როდია; პი-


რიქით, იგი დიდი სიამოენებით იყიდდა აზნაურშეილობას, თუ ეს შესაძლებელი იქნებოდა. ამიტომ იგი უკეცე ძმზა-დებს ამისათვის ნიადაგს, ცდილობს, რაც შეიძლება უფრო მტკიცე კავშირი დაიკიროს თავადებთან, განთქმულ ოჯა-ხის შვილებთან. ასეთი კავშირის შექმნას ფიქრობს დურ-მიშხანი მით, რომ თავის ვაეს ანათელინებს თ-დ ქაიხოს-რო აბაშიძეს. აქ მას შემთხვევა ეძლევა გამოთქვას თავის შეხედულება. ცოლის სიტყვებზე: „ჩეენებიანთ გოგია მთხოვს, მე მოვნათლამო“ (დურმიშხანის ვაეზეა ლაპარა-კი), იგი აგდებულად უპასუხებს: „გოგია, კი არა, მოგია არ გინდა! უთხარი, რომ თავადიშვილს უნდა მოვანათლინო-თქო“. — თავადიშვილი რა არის, ის გოგია უფრო მოკუ-თეობას არ ვეიზამს? — ეკითხება ცოლი.

— „შენ რა იცი, რა არის... ერთხელ რომ დიდმა თა-ვადმა დაგიძახოს შენ ნათლიდედა, ერთხელ რო იმისმა ცო-ლმა გამოგარჩიოს შენ სხვა დედაკაცებში და მოგიყირხოს, აბა მითხარი რათ ღირს?“.

აქ, ერთი მხრით, იხატება მთელი ის ზიზღი, რომელსაც დურმიშხანი, ყოფილი ყმა, გრძნობდა თავის წინანდელ ტოლ-ამხანაგებისადმი („გოგია კი არა, მოგია არ გინდა!“), მეორე მხრით ის, თუ საით მიიწერდა იგი, სად წამოსკუ-პება სწადდა. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მას, როგორც დიდი შეძლების პატრონს, მრავალი თავადიშვილი უახ-ლოვდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მისი ვაჟი ზურაბი არც თვალტანადობით და არც ვაჟკაცობით ბევრ თავიდის შვილებს არ ჩამოუევარდებოდა, დურმიშხანსა და თავადების შორის მაინც ჩატეხილი იყო ხიდი. და ეს გარემოება ძლიერ სტანჯაედა და აწუხებდა დურმიშხანს. ძნელი გამოსაცნო-

ბია, თუ რით დაბოლავდებოდა დურმიშხანის ასეთი წე-
დილი, რომ მისი სიცოცხლე მოულოდნელად იჩ შეწყვ-
ტილიყო.

სრულიად წინააღმდეგს ვხედავთ „სურამის ციხის“ გე-
ორე მოქემედ პირზი, — სახელდობრ ოსმან აღაში. ოსმან-
აღა გაიზარდა სულ სხვა პირობებში; ცხოვრებას მისთვის
არ უსწივლებია არც გაიძეერობა და არც მოხერხება. მან
უზომო გაქირვება და ჯოჯოხეთი გაიარა თავის ცხოვრე-
ბაში, მაგრამ მიუხედავად თავისი მეტად მგრძნობიარე აგე-
ბულობისა, იგი მაინც ვერ გასტეხა ამ ჯოჯოხეთურმა ცხო-
ვრებამ; იგი ითმენს იქამდის, სანამ მოთმენა შეუძლია.
წინააღმდეგ დურმიშხანისა, იგი სრულებით ანგარების მო-
ყვარე არ არის: მას არც სიმდიდრის შეძენა სწადია და არც
დიდ-კაცებთან დაახლოებება. იგი სიამოვნებით იგონებს თა-
ვის ბავშობას „დროს უმანქოებისას, შმინდის სინდისისას“,
როცა „გუთნის დედა უბრძანებდა მას ოროველას მღერას
და ამხანაგები შურით ისმენდენ იმის სიმღერას“. დღეს
იგი, ოსმალის იანიჩარის ასისთავია და მქონებელი დიდის
სიმდიდრისა, მაგრამ გასერილი ქრისტიანის სისხლში, „სი-
ხარულით დაანებებდა თავს ყოველივე ახლანდელ სიე-
თეს, რომ შეძლებიყო უწინდელი დროის მობრუნება;
იმ დროის, როდესაც იგი იყო დღის მეხრე და იღებდა ერთს
ალოს!“ ოსმან-აღა სულ ერთიანად გრძნობისაგან არის შემ-
დგარი, მის ცხოვრებაში ფულს, ანგარიშს სრულებით აჩა-
ვითარი მნიშვნელობა არა აქვს; ამიტომ მისი ცხოვრების
მიმდინარეობაც სულ სხვანაირია; ის თავიდან ბოლომდე
ნამდვილი ტრაგედიაა. თავის ჯოჯოხეთურ ცხოვრების და-
კვირვებამ იგი მხოლოდ იმაში დაარწმუნა, რომ ბატონები



ყმებს უყურებელ ისე კი არა, როგორც აღამიანებს, არა არ იმათ გონიათ, რომ ჩვენ კაცნი არ ვიყვეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძული, იმათ გონიათ, რომ ჩვენ არა გვქონდეს გული, არ გვქონდეს სჯა”, — ეუბნება გულ-დათუთქულა ოსმან-აღა დურმიშხანს. ასეთი გრძნობის აღამიანს, რა თქმა უნდა, გაუკვირდებოდა, როცა ბატონები თავის ყმებში ერთგულებას ეძებდენ. „ბატონი დარწმუნებული იყო — მწარე დაცინებით ამბობს ოსმან-აღა, — რომ მე ეყიყავი მისი ერთგული! ხა, ხა, ხა, ხა! ერთგულებას ეძებდა იმაში, რომელსაც დედა მოუკლა უდელში! საკვირველი არიან, შენმა გაზდამ, მაგვარნი კაცნი!” ასეთი იყო ოსმან-აღა, ანუ ქართლელი გლეხი მთელი თავისი გულწრფელობათ და პირდაპირობით. მიუხედავად იმისა, რომ იგი ბევრ გაქირვებას, შეწუხებას და დამცირებას იტანს თავის ბატონისგან, აღრე იქნებოდა თუ ვეიან, იგი უკველად უნდა გასწორებოდა თავის ბატ-ნს. ხალხის თვალში იგი სათაყვანებელი გმირია, ხალხი უერთდება მას ყვილაფერში. ეს არა იმიტომ, რომ მას ბევრი სიმწარე და შავი დღე მიადგა კარჩე, არამედ იმიტომ, რომ მის მიერ ჩადენილი საქმე — ბატონის ოჯახის ამოწყვეტა — არ იყო მარტო მისი საქმე, რომელიც მას კურძოდ ეხებოდა; ეს იყო საერთო საქმე. შავი დღე დურმიშხანსაც ბევრი დასდგომია ცხოვრებაში, მაგრამ მან აქედან მოასწრო ამოცურვა და ისე მოაწყო თავის ცხოვრება, რომ თვითონ დააჯდა კისერზე სხვებს. ამიტომ იგი არ იწვევს მკითხველში თანაგრძნობას მაშინაც კი, როცა მას საშინელი უბედურება

ეწვევა. დან. ჭონქაძე არ იკვლევს ამას დაწერილებით, მიუ-
რამ იქიდანაც, რაც მან ამის შესახებ გადმოგვცა თავის
მოთხრობაში, აშეარად მოწმობს, რომ იგი შესამჩნევად
იცნობდა ჩეენი ხალხის ცხოვრებას. და საზოგადოდ რა
მნარესაც-კი შეეხო იგი ჩეენს ცხოვრებაში, ყველგან ვამორ-
ჩინა ამ ცხოვრების ღრმა ცოდნა და დაკაირების შესა-
ნიშნავი ნიჭი. ავილოთ მაგ., იმერელი ბიჭის მდგომარე-
ობა ტფილისში.

იმერელი ბიჭი. ტფილისში სრულებით შემთხვევითი
მოვლენა არ არის. პირიქით, იყი შედეგია რთულ ისტო-
რიულ და სოციალურ პირობებისა, რომლებმიაც იმყოფე-
ბოდა იმერეთის გლეხ-კაცობა მეცხრამეტე საუკუნის პირ-
ელ ნახევარში. ცნობილია, რომ აქ ბევრიად უფრო შეწუ-
ხებული იყო გლეხ-კაცობა ბატონ-ყმურ ურა იერთობის
გამო, ვიდრე ქართლ-კახეთში. აქ გლეხ-კაცობაში რაღაც
საოცარი და წარმოსუდგენ რლი სიღატაკე სუფევდა. შეწუ-
ხებული გლეხი იყიწყებდა ყველაფერს და გარბოდა თავის
ქვეყნიდან. ტფილისი ითვლებოდა უმთავრეს თავშესაფარ
ადგილად ასეთ გადავარდნილ უთვესისტომო ქაცებისთვის.
საღა უნდა შესულიყავით ტფილისში, ყველგან ნახავდით
იმერელ ბიჭს. ადვილი წარმოსადგენია, თუ როგორ შეი-
ნახავდენ ასეთ უთვესისტომო ბიჭებს, რომლების პატრონი
არავინ იცოდა. იმას ყველა ჩავრავდა, თვით მოსამსახუ-
რებიც-კი იმას სასაცილოდ და სამასხაროდ იღებდენ.
რა ექნათ? მათი დამცემლი, მათი მოსარჩევ არავინ იყო,
მაგრამ აქ დაუთმოთ სიტყვა დ. ჭონქაძეს. „რა არ ვამოვსცა-
დე — ამბობს დურმიშხანი — შემდეგ ამისა (ე. ი. რაც იყი
იმერეთიდან ტფილისში წამოიყვანეს), შენ ვერ წირ-

მოიღენ, ვართო: შიმშილი, წყურეილი, სიცივე, ცემა, და-
 ცინვა და სხვა ბევრი ამისთანა გამოვსცადე თქვენ საქართვე-
 ლოში. ეინც რამეს დააზავებდა ყველა ჩემი ბრალი იყო: ვინ
 რა მოიპარა? — იმერელმა. ვინ რა გატეხა? — იმერელმა. ვის
 დასცინიან? — იმერლის ბიჭს. ვის სცემენ გაჯავრებულ გულ-
 ზე? — იმერლის ბიჭს. ვის გასაჯავრებლად სთქონ იმერლების
 გასაცინი ანდაზები? — იმერლის ბიჭისა. — მე, ვართო, ბევრ-
 ჯერ მიგმია ღმერთი ჩემი გაჩენისათვის. ბევრჯერ მიტირია
 მწარე ცრემლით, მაგრამ ვინ იყო ჩემი ნუგეშისმცემელი? —
 არავინ! „აქ წარმოდგენილია მართალი და იმავე დროს
 საშინელი სურათი. იმ დამცირებისა და ზიზღისა, რასაც
 იჩენენ ტფილისში იმერეთიდან გადმოხვეწილთადმი, რო-
 მელთაც თავის სამშობლოდან ერეუებოდა მწარე ხვედრი.
 ვინ მოთვლის, რამდენი დამცირება და აგდება აუტანიათ
 იმერეთიდან გადმოხვეწილთ ტფილისში. სამწუხარო ის
 არის, რომ თვით მწერლობამაც შეითვისა ასეთი მოქცევა
 იმერელ ბიჭებთან, და საზოგადოდ იმერელთან, ეინც უნდა
 ყოფილიყო იგი. ქართველ მწერლებს იმერელი მაშინ გამო-
 ყავდათ თავიანთ ნაწერებში, როცა მეოთხველში ან მსმე-
 ნელში საქიროა უზომო სიცილ-ხარხარის გამოწევება. საქ-
 ვირველი და იმავე დროს მეტად სამწუხაროა ის გარემო-
 ება, რომ დ. ჭონქაძის შემდეგ, რომელმაც პირველად და
 უკანასკნელად დაგვიხატა იმერელი ბიჭის მდგომარეობა
 ტფილისში, ჩევნში არ გაარჩნდა ისეთი მწერალი, რომელ-
 საც ამისთვის ყურადღება მიექცია და ეს საპრალო მდგო-
 მარეობა საზოგადოებისათვის ემცნო, რომელსაც სიკილ-
 ხარხარი და დაცინვა სიბრალულზე და თანაგრძნობაზე შე-
 იცვალა. ეს გარემოებაც სხვებთან ერთად აშეარად ამტ-

კაცებს დ. ჭონქაძის მაღალ ხელოვნურ ნიერს, შესანიშნავ დაკავირვებას და ხალხის ცხოვრების ცოდნას.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ დ. ჭონქაძემ მხოლოდ ორი სიტყვით შესანიშნავი სიხამდვილით დასასიათა მაშინდელი ახალგაზრდობის მთელი ერთი ჯგუფი, რომელიც პირველად მხოლოდ მის დროს გამოვიდა საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე და რომელიც შემდეგში კარგახანს საქმარისად გამოჩენილ როლს თამაშობდა მთელ ჩევნს ცხოვრებაში. ჩევნ ვამბობთ „ქნიაზ-ლიბერალებზე.“ ერთი ასეთი „ქნიაზ-ლიბერალი“, ვიღაც ლ., დ., დ. ჭონქაძეს თავის „სურამის ციხეში“ მყავს გამოყვანილი არა როგორც მოთხრობის მომქმედი პირი, არამედ როგორც ერთი წევრი იმ შეკრებულობისა, რომელიც დ. ჭონქაძესთან ერთად იკრიბებოდა და რომლის წევრები ერთი ერთმანეთს მოუთხრობენ „სურამის ციხეს“. დ. ჭონქაძის „ქნიაზ-ლიბერალს“ თურმე დიდი გულმოლგინებით სურდა ყმების განთავისუფლება“, მავრამ იქვე ეტყობილობთ, რომ ეს „გულმოლგინება“ „მაღალ ფრაზებს“ იქით არ მიღიოდა. სწორედ ასეთი „ლიბერალების“ დალი ასვია შესამოცე წლების მოღვაწეთა დიდ უმრავლესობას თ-დ ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელთაც მთელი 30 წლის განმავლობაში საზოგადო მოღვაწეობის „დროშა“ ექირათ ხელში. თქმა არ უნდა, ამ ხნის განმავლობაში „ლიბერალობამ“ საქმარისად იცვალა ფერი ჩევნში. მაგრამ ჩევნი აქ არც დრო და არც იფგილი ნებას არ გვაძლევს გამოვიკვლიოთ ის, თუ რა რიგად გახუნდა და დახურდავდა ხენებულ მოღვაწეთა ხელში ეს სიტყვა — „ლიბერალობაც“.

ჩეენ ზევით აღვნიშნეთ ის, თუ რა საზოგადოებრივი და
ისტორიული მნიშვნელობა აქეს დ. კონქაძის „სურამის
ციხეს“. ახლა უნდა განვიხილოთ და გავარჩიოთ ამ მოთ-
ხობის უმთავრეს მომქმედ პირთა კერძო ხასიათი, სახელ-
დობრ: შეეფერება თუ არა მოთხოვობის ამა თუ იმ პირს ესა
თუ ის მოქმედება იმ პირობებში, რომელებიც მათ გარს
ახვევია, თუ იმათი მოქმედება სულ სხვა უნდა ყოფილიყო.
ამ საგნის შესახებ ან. ფურცელაძემ, რომელმაც პირველად
გაარჩია ეს მოთხოვობა მესამოცე წლებშივე, შემდევი აზრი
წარმოსთქვა ¹⁾. მისი სიტყვით, „სურამის ციხეში“ თქვენ
ხედავთ, პირთ, სხვა და სხვა აზრების და მიმართულების
პატრიონთ გვამთ, მაგრამ ხასიათს ამათს კი ვერ ამ-
ჩნევთ, რომ პეტრი და რომელ სამე მოქმედ პირს
თავისი საკუთარი კერძოობითი ხასიათი,
გარდა გულისვარდისა, თუმცა არა ისე ნათლად, როგორც
შეეფერებოდა კარგს ხუდოენი კის (მაშინ ამ რუსულ
სიტყვის შმარილენ მხატვრის მაგიერ) გამოსახულებასო“. რაც შეეხება დურმიშანს, ბ-ნ ფურცელაძის აზრით, მასში
„ჩეენ ვერავხედავთ ამ კერძოობით ხასიათს: იგი არის რო-
გორც ბნელი და მკრთალი მკითხველის თვალშიო“ საერ-
თოდ ამ საგნის შესახებ კრიტიკოსს ის დასკენა გამოაქვს,
რომ „სურამის ციხის“ მოქმედი პირი ხასიათით ერთ-
მანეთს გვანან, ისინი მხოლოდ ამა თუ იმ მოქმედებით
განირჩევიან ერთი მეორისაგან და ეს იმიტომ, რომ „ყოვე-
ლი მოქმედება მომქმედი პირისა არ წარმოსდგება თავის
დასაწყისიდან და არ ამოდის სულისა და გულის სილრში-
დანო“. ამ აზრს ჩეენ სრულები ვერ ვეთანხმებით.

¹⁾ იხ „აისტარი“ 1868 წ., № 1. ხახს ჩველაგან ჩეენ ვუსვამთ.

რასაკეთი გენერალია, ჩეენ სრულებით იმას არ ვამბობთ, რომ „სურამის ციხე“, როგორც ხელოვნური ნაწარმოები, უნაკლო იყოს; პირიქით, ჩეენ ამ მხრით მასში შეერ ნაკლულევანებას ვამჩნევთ, მაგრამ ის აზრი, რომ იმაში ვითომე ჩეენ კერძო ხასიათს სრულებით ვერ ვხედავდეთ, ჩეენ შეცდომად მიგვაჩინია; ჩეენ ვიცით უკვე, თუ როგორ ცოცხალ სინამდვილეს წარმოადგენს „სურამის ციხის“ ორი უმთავრესი მოქმედი პირი, ე. ი. დურმიშხანი და ოსმან. ალა. ახლა ვიკითხოთ, თუ როგორ არის მოთხოვნის მსელელობაში თითოეულ იმათგანის კერძო ხასიათში დაცული და ვატარებული? ლალატობენ თუ არა ისინი თავის მოქმედებაში უმთავრეს თავის სულისკვეთებას, ან თავის ძირითად ზასიათს? შიძლება თუ არა, რომ ისინი ერთი-მეორეს ადგილას დაესვათ, და ინათ იმოქმედონ, როგორც მოთხოვნაშია? განვიხილოთ პირველად ამ მხრით დურმიშხანის ხასიათი.

ჩეენ ვიცით, თუ სად და როგორ პირობებში ვატარა მან თავისი ბავშობა და სიყმაწვილე, თუ როგორ დააჯახა იყი გარემოებამ ცხოვრების სხვადასხვა ტალღებს. დურმიშხანისთვის, როგორც ბუნებით მკეირცხლი და გამჭრიახი ადამიანისთვის, ყოველივე ეს უნაყოფოდ არ ჩაიცვლიდა; ამასთანავე ნუ დაივიწყებთ, რომ იგი „იმერელი ბიჭია“, და მწარე გამოცდილებამ ხელი შეუწყო მას, თანამედროვე ცხოვრების ალლო აელო. თავის ცხოვრების მიზნად მან ვაიხადა პირადი ბედნიერება. ამისთვის იბრძოდა იგი მოელ თავის სიცოცხლეში, ამისათვის თმობდა და იმას ანაცვლებდა იგი ყველა თავის მაღალ გრძნობას, თუ ოდესმე ეს უკანასკნელი მასში ღვიოდა. მაგრამ როგორ შეეძლო ბედნი-

ერების მოპოვება ბატონის ყმას, უთეისტომოს და პირალებულის მქონებელს, როგორიც იყო დურმიშანი? და თა, იგი შეუდგება თავის გულის წადილის შესრულებას. გულისყარდის სიყვარულით იგი სარგებლობს, რომ მოიპოვოს ბატონისაგან განთავისუფლების ბარათი. ეს არის პირველი მისი ნაბიჯი, პირდაპირ თავის განხრახვის შესასრულებლად გადადგმული. მაგრამ ამავე დროს იგი ღრმად დარჩეულებულია იმაში, რომ ეს „განთავისუფლება განთავისუფლება არ არის, სანამ მას იმდენი არ ექნება თავისი, რომ სხივის თავდაუკერძლად შეიძლოს ცხოვრება“. ამიტომ დურმიშხანი, შეიარალებული წიგნის, ენების და რამდენიმე ხელობის ცოდნით“, გაემართება „ფულის საშოვნელად“. თავისი მოქნილი და მოხერხებული ქცევათ იგი პირველ შეხვედრაზე სიბლავს გულუბრიყვილო ოსმან-ალას, რომელიც მას ჯერ მოჯამავირედ იყენებს და შემდეგ უთმობს თავისი დიდძალი ქონების ნახევარს. ამავე ანგარიშებით გატაცებული იგი უარპყოფს გულისვარდის სიყვარულს და ირთავს ცოდნად იმავე ოსმან-ალის მონათლულს, რასაკვირველია, მარტო ანგარიშის გულისათვის. გარეშე ადამიანში, ვინც უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი: ნათესავი და მეგობარი, დერმიშხენი მარტო თავის გამდიდრების, თავის ბედნიერების იარაღს ინუ საშუალებას ხედავდა; გარეშე ამისა მისთვის არავინ საჭირო არ იყო. მან უარყო გულისვარდის სიყვარული მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი მისი მიზნისთვის საჭირო აღარ იყო; დაივიწყა ოსმან-აღა, რომელმაც იგი დააყენა გზაზე და გახადა დიდძალი შეძლების პატრიონი მას შემდეგ, რაც იგი იმაში აღარ საჭიროებდა. ამნაირი გზით მან მოიპოვა ჯერ თავისცულება და შემ-

დეგ სიმღილრე. მაგრამ რამდენადაც იგი მიტოპავდა ცხოვე
 რების მორევში, იმდენად მას უფრო და უფრო ეშლებოდა
 საღერლელიც ცხოვრებისა. ამავე დროს იგი სულ უფრო
 და უფრო რწმუნდებოდა იმაში, რომ მაღალ საზოგადოე-
 ბასთან, გვაროსან არისტოკრატიასთან დაახლოებას ხელს
 უშლიდა მისი ჩამომავლობა; დურმიშხანს რცხვენოდა, რომ
 მას ასეთი ბნელი წარსული ჰქონდა. მისი ბედნიერებისთ-
 ვის საჭირო იყო შავბნელი წარსულის სრულად ამოშლა
 მისი ცხოვრებიდან, საჭირო იყო მისი ჩარიცხვა მაღალ
 საზოგადოებაში. მაგრამ ჯერ დღესაც-კი გვაროსანი არის-
 ტოკრატია, როცა შეძლება ნებას აძლევს, მუდამ გაურბის
 ვაჭარ-სოვედავართან დაახლოებას, თორემ მეცხამეტე სა-
 უკუნის პირველ ნახვარში რაღა იქნებოდა. მაგრამ წარ-
 მოიდგინეთ, რომ ცხოვრებისაგან გალალებულ დურმიშხანს
 აქაც ბედი წყალობს, აქაც მომავალი უდიმის მას. ეს არის
 მისი ერთად ერთი ვაეფი — ზურაბი, თ-დი აბაშიძის მონათ-
 ლული, რომელიც არაფრით არ ჩამოუვარდებოდა მაშინ-
 დელ ახალგაზრდა თავადიშვილებს. და აი დურმიშხანიც
 ოცნებობს, რომ თავისი შვილის მეოხებით იგი სამუდამოდ
 დაუახლოებება მაღალ საზოგადოებას, დავიწყებული იქ-
 ნება მისი მდაბალი ჩამომავლობა. ამ დროს სრულიად მო-
 ულოდნელად, თითქო განგებ, მას ხელიდან გამოეცლება
 ეს ერთად-ერთი საშუალება, რომელსაც შეეძლო მისთვის
 ბედნიერების მინიჭება, რათა დაკმაყოფილებულიყო მისი
 უზომო თავმოწყვარეობა. როცა ზურაბი დაიკარგა, ამას
 შემდეგ ყოველივე მისი განზრახვა სამუდამოდ დაირცვა და
 გადაბრუნდა. ამით ერთხელ და სამუდამოდ შეილახა მისი
 თავმოწყვარეობა; დურმიშხანმა მაშინვე იგრძნო, რომ ამის

გამომოւლება არასოდეს აღარ შეიძლებოდა, რომ მას დასკუს კიკალ გულში. იგი სრულებით ანგარიშ-მიუცემლად მიღის იმასთან, ვისი წყალობითაც იგი ასე გაუბედურდა, იძიებს შურს, ე. ი ჰქლავს მისი უბედერების მომგონს, ე. ი. გულისვარდს და თითონაც იმისივე ხელით კვდება.

ასეთია ცხოვრების გარემოებათა მსვლელობა. ადამიანი თავისითვის განგებ ვერ წარმოშობს ცხოვრების პირობებს; ეს პირობები არსებობენ უიმისოდ, მის გარეშე. მხატვრის ნიჭიც იმაში მდგომარეობს, რომ სინამდვილით წირმოგვიდვინოს ის, თუ როგორ მოიქცევა ამა თუ იმ პირობებში ესა თუ ის პირი თავისი ხასიათის მიხედვით. თუ მწერალი თავისი თხსულების მომქმედ პირს ამოქმედებს და ალაპარაკებს არა მისი კერძო ხასიათის მიხედვით, არამედ ისე, როგორც ეს თვითონ იყრორს სურს, მიშინ თქვენ წინ არ არის მომქმედი პირი, არამედ რალიც მკედარი, უსულო და უგულო არსება. დ. ჭონქაძეს დურმიშხანი-კი ნამდვილი ცოცხალი ადამიანია, მტკიცე და მაგარი ხასიათით, რომელიც არასოდეს არ ღალატობს თავის ძირითად ხასიათს, ასე რომ, მკითხველს წინდაწინვე შეუძლია მიხედვეს, თუ როგორ მოიქცევა დურმიშხანი ამა თუ იმ პირობებში.

რაც შეეხება ოსმან-ალას, ჩვენ არ გამოუდგებით აქ დაწვრილებით მისი ხასიათის განხილვას, რადგანაც ეს განმეორება იქნებოდა იმის, რაც ჩვენ ზევით ვთქვეთ მის შესახებ. ვიტყვით მხოლოდ, რომ ოსმან-ალა ნამდვილი ხორც-შესხმული ადამიანია, ისეთი, როგორიც უნდა ყოფალიყო მაშინ ქართლელი გლეხ-ქაცის შეილი. მისი თითეული მოქმედება, თითეული ნაბიჯიც-კი შესანიშნავი სისწორით

არის აწონ-დაწონილი და გათვალისწინებული. ერთი სი-
ტყვით, ოსმან-ალის მოქმედებაში არ არის ისეთი რამ, რაც
მის ბუნებას, მის ძირითად ხასიათს ეწინააღმდეგებოდეს.
იგი ერასოდეს ვერ გასწევდა დურმიშანობას, როგორც
ეს უკანასკნელი ეერ გასწევდა ოსმან-აღმობას. როგორც
ოსმან-ალის, ისე დურმიშანის დახატვაში არავითარი ნა-
ძალადეობა არა ჩანს. ჩვენი აზრით, თუ რომელიმე მომ-
ქმედი პირის დახასიათებაში ჩნას რამდენიმედ ნაძალადე-
ობა, ეს ისევ გულისეარდის დახასიათებაში. ამ პირს ავტო-
რმა მეტად ძნელი როლი აკისრა და ვერ ვიტყვით, რომ
აქ ავტორის არ გამოეჩინოს შესანიშნავი ცოდნა ადამიანის
ფსიქოლოგიისა. მაგრამ მისგან ჩადენილი საქმე, ე. ი. დურ-
მიშხანზე შერისძიება მკითხაობის საშუალებით, რომლის
მსხვერპლი გახდა დურმიშხანის ერთად-ერთი ვაჟი — ზუ-
რაბი, არა თუ მეტად სასტკიდ და ზომაზე გადასულია, არა-
მედ — პირდაპირ არა ბუნებრივია.

ყოველ შემთხვევაში ამ სამ მოქმედ პირების: გულის-
ვარდის, ოსმან-ალის და დურმიშხანის დასურათებაში
დ. ჭონქაძენ გამოიჩინა ადამიანის ბუნების ლრმა ცოდნა. რა-
საკითხელია, ჩვენ არ ვამბობთ, რომ აქ იგი შეუდარებე-
ლია; პირიქით, ავტორი არც აქ დაექცეს ადამიანის ბუნე-
ბის ყოველმხრივ-დასურათებას და გამოხატვას; მას მხო-
ლოდ ერთი მხარე აინტერესებს, სახელდობრ ბატონ-ყმურ
ურთიერთობის ნიადაგზე განვითარებული გრძნობები და
ზნე-ჩვეულებები; გარდა ამისა იგი არ შედის თითქულის
სულიერი მდგომარეობის დაწვრილებითი განსილვაში,
იგი ხშირად ერთბაშად და მოულიდნელად სწყვიტს
სიტყვას, ასე რომ, ჯე მხრით მთელ მოთხრობას თითქოს

დაუმთავრებლობაც ეტყობა. დანარჩენ პირების შესახებ: ისმან-ალის და ლურმიშვილის ბატონებზე, ისმან-ალის დედაზე, ნატოზე და სხ., აი რა უნდა შევნიშნოთ: აეტორს, რა თქმა უნდა, სრულებით მხედველობაში არ პქონებია იმათი სისრულით დახატვა და გამოყვანა სკენაზე, არამედ მხოლოდ დასახმარებლად, უმთავრეს პირების დასახასიათებლად; ამიტომ ეს პირები არ წარმოდგებიან მკითხველის წინაშე ისე ცოცხლად, როგორც ცხოვრებაში არიან. მაგრამ სადაც-კი ავტორი ეხება იმათ ცხოვრებას, ისინი შეუდარებელი სინამდვილით არიან გამოყვანილი. მაგ., თქვენ ხედავთ მებატონეთა მხიარულ, მედიდურ და წარბ-შეუძრელ სახეს და იმ დროს, როცა ისინი სრულიად უდანაშაულოდ ადამიანების ბედს სწყვეტენ, თიოქო აქ არათერი ხდებორეს. პი თქვენ თვალწინ დედებს სტაცებენ და უყიდიან შვილებს, დედები ემხობიან მიწაზე და ენდო მოუთქმელი ვედრებით ემუდარებიან ბატონებს შებრალებას; გევონებათ, რომ იმათი ხეეწინა-მუდარა, იმათი ტირილი და ცრემლი ქვასაც-კი გააღმობსო, მაგრამ არა: ბატონები თათქო ქვაზე უფრო მეტ შეუბრალებლობას იჩენენ; ადამიანის ჯოჯოხეთური ტანჯვა, რომლის მიზეზი თვით ისინი არიან, იმათთვის არ არსებობს. ისინი განაგრძობენ ჩეულებრივ ქეიფს, როცა იმათ გარშემო ტანჯვა და მწუხარებაა. ეს მხარე საქმარისად ნათლად იქვს დ. ჭონქაძეს წარმოდგენილი, და მისი მიზანიც სწორედ ეს იყო. აეტორს სრულებით არ იინტერესებდა მებატონეთა კერძო, ოჯახური ცხოვრება: მას არ სურდა ერვენებია ჩვენთვის, როგორი იყვენ ისინი, როგორც ქმრები, მამები ან ოჯახის უფროსნი; მისი მიზანი იყო წარმოედგინა მკითხველისათვის

იმ დროის უმთავრესი საჭირო-ბოროტო საგანი, ე. ი. ბატონ-
 ყმური ურთი-ერთობა. ამიტომ იგი არც ყმების შინაური
 ცხოვრების დაწერილებით განხილვაში შედის; გარეშე იმი-
 სა, რაც ბატონ-ყმურ ურთიერთობის გავლენის პირდაპირ
 არ ეხება, რაც ყოველდღიური ცხოვრების ჭირ-ვარამს შე-
 ადგენს, იგი არ ეხება. აიღთ, მაგ., თუნდა ოსმან-აღის დე-
 დის ვითარება, მისი ბედკრული და საბრალო ცხოვრების
 ამბავი. აეტორს აქ შეეძლო ბევრი რამ ეჩვენებია ჩვენთვის,
 ბევრი რამ ეამბნა ამ საბრალო დედის ცხოვრებიდან, მაგ-
 რამ ამას იგი არ შეება, თითქო განვეგ გაურბის, თითქო
 ეშინია, რომ უმთავრესი საგანი არ ვაუშვას ხელიდან და
 მკითველსაც არ ვამოებაროს ის შეუმნეველი. შეგიძ-
 ლიათ ეს მას ნაკლულევანებად ჩაუთვალოთ, შეგიძლიათ
 ლირსებად მიიღოთ, ეს დამოკიდებულია იმაზე, ვინ რო-
 გორ უყურებს საგანს. მაგ., ანტ. ფურცელაძე ამაში
 „სურამის ციხის“ ნაკლულევანებას ხედავს. მისი აზრით,
 თუმცა დ. ჭონქაძე, მაშინდელი ცხოვრების მთავარ საჭირ-
 ბოროტო საგანს „გვიხატავს ნათლად და ვარკვევით“, მა-
 გრამ დაწერილებით არ გვიჩვენებს ამ საგანს, არ უშვება
 მას ანალიზსო. ამას იგი ხსნის არა აეტორის ნიჭის სისუს-
 ტით, არამედ იმით, რომ დ. ჭონქაძის „ძლიერ ნიჭს აკლდა
 მხოლოდ შემუშავებაო“. ეს მართალია, მით უმეტეს, რომ
 „სურამის ციხე“ მისი პირველი ცდა იყო ლიტერატურულ
 ასპარეზზე, მაგრამ იმავე დროს ჩენ არ უნდა დავივიწყოთ
 ის პირობები, რომლებშიაც დ. ჭონქაძეს წილად ხედა
 ბატონ-ყმურ ურთიერთობაზე წერა. შეიძლება თვით ჭონ-
 ქაძეც კარგად გრძნობდა, რომ სურათის სისრულისათვის
 საჭირო იყო მაშინდელი ურთიერთობის უფრო დაწერილე-

გით ჩვენება, მაგრამ ეს შას არ შეეძლო უფრო მისგან და-გოუკიდებელ მიზეზების გამო. ჩვენ ვიცით, რომ მაშინ-დელი ქართველი მწერლები ბატონყმობის შესახებ სრუ-ლებით გაჩერებული იყვენ და კრინტსაც არ ძრავდენ მაზე. მეორე მიზეზი თვით მაშინდელი საზოგადოება იყო, სადაც მხოლოდ მებატონეებს ჰქონდათ ხმა და გავლენა; დანარ-ჩენები კი იმათ წინაშე ძრწოდენ და იქრუნჩხებოდენ; იმათ დამონებული და დამორჩილებული ყავდათ არა მარტო გლეხ-კაცის პიროვნება, არამედ თვით საზოგადოების აზ-რიც-კი. გარდა ამისა მაშინდელი საზოგადოებრივი ურთი-ერთობის უფრო დაწერილებით დასურათება უფრო იმ მხრით იყო საშიში, რომ შეიძლებოდა ამ შემთხვევაში ცენ-ზორს არც კი დაერთო ნება „სურამის ციხის“ დაბეჭედაზე. ჩვენ ვიცით, რომ კონქაძეს უფრო ეს უქანასკნელი გარე-მოება უშლიდა ხელს და სწორედ ამ გარემოებამ აიძულა იგი თავის მოთხრობის მოქმედება საშუალო საუკუნოებში გადაეტანა.

რადგანაც აქ „სურამის ციხის“ ნაკლულევანებაზე ჩა-მოვარდა ლაპარაკი, საჭიროა ამაზე რამდენიმედ შევჩერ-დეთ. ჩვენის აზრით, ამ მოთხრობის ერთი უმთავრესი ნაკლულევანება იმაში მდგომარეობს, რომ აქ ივტორმა მოინდომა ორი დროის, ძველის და ახალის ერთად შე-ერთება, ერთად გადადულება. ამ გარემოებამ, როგორც ეს წინადვე შევნიშნეთ, ბევრად ვენო დ. კონქაძის მოთხრო-ბას შეატერობის მხრით, ვინაიდან ეს გადადულება მან ვერ მოახერხა და ძველი დროის მოთხრობას სრულებით არა-ფერი არ სცხია. მეორე დიდი ნაკლულევანება წარმოდგება ენის უკოდინარობისაგან. ივტორი წერს რუსულ-ქართუ-

ლი ენით¹⁾ და იმავე დროს მისი ქართული ძეგლ საეკლესით ენას მოგვაგონებს, ვიდრე ჩვეულებრივ ქართულს, რომელზედაც ხალხი ლაპარაკობს. თუმცა ალაგ-ალაგ ეტყობა, რომ ავტორს უცდია ხალხური კილო ეხმარა, მაგრამ რუსულ-ქართულის გვერდით ეს რაღაც შეუხამებელია და კიდევ უფრო ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მყითხეველებზე. ამ მხრით, დ. ჭონქაძე ვერ წაუვიდა თავისი დროის გაფლუნას: უნდა შევნიშნოთ, რომ ეს გარემოება ამცირებს „სურამის ციხის“ ლირისებას.

მაგრამ მიუხედავად ამისა, მიუხედავად კიდევ სხვა უფრო წვრილმან ნაკლულევანებათა, „სურამის ციხე“ უნდა ჩაითვალოს ერთ უშესანიშნავეს ნაწარმოებად, რომელიც კი გასული საუკუნის განმავლობაში ქართველ მწერალთა გონებას შეუქმნია. დ. ჭონქაძის მოთხრობა შესანიშნავია თავსი მაღალი მიზნით; შესანიშნავია იგი თავისი შინაარსითაც, რომელიც შეიცავს ავტორის დროის უმთავრეს საჭირ-ბოროტო საგანს. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ მისმა დაბეჭვდამ თავზარი დასკა მაშინდელ ბატონ-ყვურ საზოგადოებას და ეს საზოგადოება ორ ნაწილათ გაყო. ერთ მხარეზე შეიკრიბენ ყველა ისინი, ვინც ბატონ-ყმობის მოსარჩევნი მისი დამცველი იყვენ, ვინც ბატონ-ყმობაში პირად სარგებლობას ხელავდა. ესენი ამაყად და გამედულად იცემირებო-

1) საკვირველია, ან. ფურცელაძეს, რომელიც ამავე ნაკლულევანებას უსაყვედურებდა დ. ჭონქაძეს, იმავე წერილში ბევრად უფრო ატყევია რუსული ენის ზეგავლენა, არა მარტო ფრაზების შედგენაში, არამედ რესული სიტყვების ხმარებაშიც. თქვენ იქ გხედებათ ჩაგ.: ასეთი სიტყვები: „ხუდონიკი“, „უეი“, „აბურანი აპარაიისა“ და მრ. სხვ.

დენ, თუმცა საჯაროდ-კი ვეღარ იღებდენ ხმას. მეორე მხა-
 რეზე თავს იყრიდენ ისინი, ვინც ბატონ-ყმობის წინააღმ-
 დეგი იყო; ესენი რიცხვით, რა თქმა უნდა, უმცირესობას
 შეადგენდენ და იმათ მოქმედებას ამ მხრით შიში და მოკრძა-
 ლება ეტყობოდა. საჯაროდ ხმის ამოღებას ვერც ესენი
 ბეღავდენ, ზოგი შიშის გამო, ზოგი ვინ იცის რატობ. გავი-
 და ცოტა ხანი, და დ. ჭონქაძე გარდაიცვალა; შემდეგ
 გადავარდა თვით ბატონ-ყმობაც. დ. ჭონქაძის ხსენება თან-
 დათან მიწყნარდა საზოგადოებაში, და იგი დაივიწეს. მისი
 გარდაცვალების 15 წლის შემდეგ, გ. თუმანიშვილი, რო-
 მელიც ვაზ. „დროებაში“ არჩევდა „სურამის ციხის“ პირ-
 ველ გამოცემას, აი რას ამბობს: „შესაძლებელი საქ-
 მეა, რომ თქვენ არ იცნობ დეთ დ. ჭონქაძეს...
 არა მგონია, რომ იმის მართლის თქმა სრულებით უნაყოფოდ
 დარჩენილიყო და არ გაემხნევა ჯერ დაჩაგრული ახალგაზ-
 დობაო“¹⁾. ჩანს, 15 წელიწადი საქმარისი იყო, რომ დაევ-
 იწყათ ის, ვინც პირველად საჯაროდ დაგმო ის წესწყობილე-
 ბა, რომელიც საუკუნოების განშავლობაში სულს უხუთავდა
 ჩვენს ხალხს და რომლის მეოხებით ადამიანი პირუტყვად იყო
 მიჩნეული. მაგრამ არც გ. თუმანიშვილის გახსენებამ უშვე-
 ლა საქმეს. ამ გახსენების შემდეგ გაივლის კიდევ რამდე-
 ნიმე ხანი, „სურამის ციხე“, როგორც საკითხავი წიგნი,
 ხალხში ვრცელდება, მაგრამ ქართული მწერლობა არც
 თვით მოთხრობაზე და არც მის ავტორზე ხმას არ იღებს.
 და ეს ასეა დღესაც. შეიძლება „სურამის ციხე“ მართლა
 არ არის იმის ლირსი, რომ მას ყურადღება მიქცეოდა? შეი-

¹⁾ იბ. გაზ. „დროება“ I 75წ., № 118. ბაზს ჩვენ კუსკამთ.

ძლება ქართული მწერლობა სამართლიანად უწევდა და
დღესაც უწევს დ. ჭონქაძეს ავი დედინაცვლის როლს? შეიძლება მის მოთხრობას ხალხი სრულებით უსამართლოდ
სცემს პატივს? ვგონებთ, ზევით ნათქვამი აშკარად გვიცნება,
თუ ვინ იქცევა ამ შემთხვევაში სამართლიანად:
ხალხი, რომელსაც უყვარს და პატივს სცემს დ. ჭონქაძის
„სურამის ციხეს“, თუ ქართული მწერლობა, რომელმაც
თითქმის სრულებით დაივიწყა, როგორც დ. ჭონქაძე,
ისე მისი მოთხრობა.

დ ა ს პ გ ნ ა

ზევით ნათქვამიდან მყითხველი დაინახავდა, თუ რა მნი-
შენელობა უნდა ჰქონოდა მესამოც წლების დასაწყისში „სურამის ციხეს“ გამოქვეყნებას. ვერც ერთი იმ დროის
ქართველი მწერლის ნაწარმოები ვერც იდეიურად და ვერც
შინაარსის მხრით ვერ შეედრება დ. ჭონქაძის „სურამის
ციხეს“. ილია ჭავჭავაძის ცნობილი „გლახის ნამბობი“
და „რამდენიმე სურათი ყაჩალის ცხოვრებიდან“ გამოქვე-
ყნებულ იქნენ არა თუ „სურამის ციხეს“ დაბეჭდვის შემ-
დეგ, არამედ იმ დროს, როცა ბატონ-ყმობა უკვე გაუქმე-
ბული იყო, და, მაშასადამე, გარდა ამისა, თუმცა ხსენებული
ნაწარმოებნი ენის და სტილის მხრით გამშენიერებული
და გალამაზებულია, ასე რომ, ამ მხრით მათ „სურამის
ციხეს“ სრულებით ვერ შეედარება, მაგრამ იმავე დროს
ილ. ჭავჭავაძის ხსენებულ ნაწარმოებთ აქლია ისეთი რამ,
რაც ენით ძნელი გამოსათქმელია, რაც მხოლოდ გრძნობით
იცნობების. ერთი სიტყვით, იმათ აქლია ის მხურვალე
გრძნობა, რომლითაც გამობარია დ. ჭონქაძის „სურამის

ციხის“ არა თუ თითოეული სიტყვა, არამედ თითოეული მარცვალიც-კი. ზევით დასახელებულ ნაწარმოებებში თქვენ ხედავთ გარეგან სიშვენიერეს, წმინდა ლიტერატურულ ენას, ხალხისადმი თანავრძნობას და მისთვის ცრემლების ღვრას, მაგრამ ყოველივე ეს რაღაც ძალადატანებულია, არა წრფელი გულიდან ამონახეთქი; ეს უფრო მედილურებაა, მაღლიდან მოწყვალების თვალით გადმოყურება: ით ჩვენც თანაგიგრძნობთ, ჩვენც ვკადრულობთ და ხელს თუ არა, თითო მაინც გიწვდითო! სულ სხვაა დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“, მასში სულ სხვაგვარი გრძნობაა ჩატანებული და ამიტომ მიუხედავად გარეგანი ულაზათობისა, მან მაინც მოიგო ხალხის გული!

ორშოც წელიწადზე მეტია, რაც ქართველი მწერლობა სისტემატიურად სდევნის დ. ჭონქაძის „სურამის ციხეს“. ასეთი დევნა იშვიათი მოვლენა არაა; ამასვე ჩვენ ვხედავთ სხვა ხალხთა ლიტერატურაშიაც. ჩვენ ვიცით, რომ სდევნიდენ უდიდეს და უშესანიშნავეს მოაზროთ, მწერლებს და მოლვაწეებს. დევნის მიზეზი ყველგან ერთი და იგივე იყო: მდევნელები ხედავდენ, რომ ამა თუ იმ მწერლის ან მოლვაწის იდეიის ან შეხედულების გავრცელება მავნებელი იქნება იმათ ინტერესებისათვის და ამიტომ დევნიდენ ამ აზრის გამომთქმელთ და მატარებელთ. ეს მდევნელები ზოგან გაფანატიკოსებული სამლელელოება იყო, ზოგან ერთი რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფი ან კლასი, ზოგან თვით მთავრობა. დან. ჭონქაძეს პირველად სდევნიდენ ისინი, რომლებიც ბატონ-ყმობის მომხრენი იყვნენ. ამათი დევნა ადვილი გასაგებია; ამას ასსნა არ სჭირია, ვინაიდან ყმების ბატონები დ. ჭონქაძემ სამუდამოდ

სამარტინო ბოძზე გაიკრა. მაგრამ ამავე გზას დაადგა ჩეცნი
მწერლობაც: რა იყო ამის მიზეზი? რათ იკისრა ჩეცნა
მწერლობამ ასეთი ყოვლად შეუფერებელი როლი? ამის
მიზეზი მარხია ჩეცნი საზოგადოებრივი ცხოვრების ვანვითა-
რებაში.

ჩეცნი საზოგადოებრივი ცხოვრება მეცხრამეტე საუკუ-
ნეშიაც ძლიერ ნელი ნამიჯით მიღიოლა წინ. იმ დროებაში
დ. ჭონქაძე არა თუ იშვიათი, არამედ თითქმის ერთად-
ერთი მწერალი იყო, რომელიც თვით ხალხის წიალიდან
იყო გამოსული, რომელსაც ხალხის გასაჭირი აწუხებდა
და აფიქრებდა და რომელსაც ხალხის კეთილდღეობა სწყუ-
როდა. მაგრამ მისი მოღვაწეობისათვის ჯერ კიდევ არ
იყო მომზადებული ნიადაგი. საზოგადოებრივ მოღვაწეო-
ბის ასპარეზზე მან ვერ დატოვა მემკვიდრე. საზოგადოებ-
რივი მოღვაწეობის ასპარეზს, რომელიც იმ დროს მხო-
ლოდ ლიტერატურით ისაზღვრებოდა, ეპატრონებოდენ
ისეთი პირები, რომლებიც მებატონეთა წოდებიდან იყვნენ
გამოსულნი. ამათ კი მწერლობა ხალხისათვის როდი უნდო-
დათ; მწერლობა იმათ იყის ან დროს გასატარებელი და ან
სახელის მოსახვევი საშუალება იყო. უმეტესობა ამათში
ერთნაირი „ლიბერალები“ იყენ, რომელთაც ყოველთვის
და ყოველგან მხოლოდ „მაღალი ფრაზები“ უყვარდათ. ეს
„ლიბერალები“ თითქმის ყველანი ერთი წრის ხალხი იყო,
ერთი გრძნობით და ერთი შეხედულებით გამსჭვალული.
იმათ თავისი ნაწარმოებით აავსეს მაშინდელი ჩეცნი მწე-
რლობა, რომელსაც რა თქმა უნდა თავისებური ელფერი
და მიმართულება მისცეს. უწინარეს ყოვლისა იმათ გამო-
აცხადეს თავისი თავი მამულის მოყვარულებად და საქარ-
თველოს ძეველი დიდების მომარეებად. იმათი „მამულიშვი-

ლობა” თხოულობდა, რომ საქრთველოში ძველად ყოველი-
ვე კარგი ყოფილიყო. ამ გარემოებამ მოითხოვა ჩვენი წარ-
სული ისტორიის თავისებურად გადაკეთება, თავისებუ-
რად ახსნა. ასევე უნდა მოქცეოდენ ბატონ-ყმობასაც; ეს
უკანასკნელი არც მონობას მოასწავებდა იმათ თვალში-
და არც ერთი წოდების კაცისაგან მეორე წოდების კაცის
დაჩაგვრას. იმათი აზრით ჩვენმა ცხოვრებამ არ იცის, თუ
რა არის წოდებათა და კლასთა შორის განხეთქილება-
უთანხმოება. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ადგილი
აღარ ქონდა არც დ. ჭონქაძეს და არც მის „სურამის
ციხეს“. ჯერ თეთი ჭონქაძე ვინ იყო, რომ იმაში თავისი
ტოლი და ამხანაგი ეცნოთ? და მერე „სურამის ციხე“? ეს
ხომ ძირიან-ფესვიანად არღვევდა იმათ შეხედულებას
ჩვენს წარსულ ცხოვრებაზე. ეს ერთი. მეორეც ის, რომ
აქ, ცოტა არ იყოს, იმათი პირადი თავმოყერეობაც იღა-
ხებოდა: ისინი ხომ ყველანი ოსმან-აღის ბატონების შეი-
ლები და შეილის-შეილები იყვნენ. იმათ არ უნდოდათ,
რომ იმათ მამა-პაპების საქმეებს ფარდა ახდოდა. იმათი
აზრით ყოველი ჩვენი წარსული შარავანდებით უნდა
ყოფილიყო გარემოცული ხალხის თვალში. დ. ჭონქაძის
საქციელი-კი ამ მემთხევაში მეტად სასტიკი და შეუ-
ბრალებელი იყო. მან ფარდა ახალა ჩვენს წარსულ საზო-
გადოებრივ ურთიერთობათ; გვიჩვენა ჩვენი მოწინავე
წოდების „საქმენი საგმირონი“ შეუდარებელი სინამდვი-
ლით. ეს, რა თქმა უნდა, არ მოეწონებოდათ იმათ, რომ-
ლებიც იმ წოდებიდან იყვნენ გამოსულნი და რომლე-
ბიც იმავე დროს ჩვენი მწერლობის სათავეში იდგენ.
იმათ სრულებით განუშება არჩიეს დ. ჭონქაძის და მისი

„სურამის ციხის“ შესახებ, ვიდრე ამაზე ლაპარაკი მწერალობაში. მაგრამ აქ იყო კიდევ სხვა გარემოებაც, არა ნაკლებ ღირსი აღნიშვნისა.

მესამოცე წლების მოღვაწენი, ავად იყვნენ თუ კარგ-ად, მაინც ლიპერალობდენ. იმათ ლიპერალობას შით უმეტს ჰქონდა გასავალი, რომ იმ ხანებში უკვე თვით მეფის მთავრობაც-კი ფიქრობდა ბატონყმობის გაუქმებას. მესამოცე წლების მოღვაწენი მთავრობას ხომ ვერ ჩამორჩებოდენ, სიტყვით მაინც, თუ საქმით არა. და, აი, ისინიც უერთდებიან საზოგადო ხმას. ამ დროს ვიღას ახ-სოვდა დ. ჭონქაძე, რომელმაც პირველად გაილაშქრა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ, რომელმაც პირველათ დაგმო საჯა-როდ ეს წესწყობილება. იმათი სახელისთვის საჭირო იყო, რომ ამ საქმეში პირველობა იმათვე დარჩენოდათ. ამნაი რად შემუშავდა და გავრცელდა ის ზღაპარი, რომ ბატონ-ყმობის წინააღმდეგ ჩვენში გაილაშქრენ პირველად ვი-თომც თვით თავად-აზნაურებმა, წარჩინებული გვარის შეიღებმათ; რომ ვითომც დაჩაგრული გლეხვაცობის სა-სარგებლოდაც იმათვე ამოილეს პირველად ხმაო. სამწუხა-როდ, ამნაირმა ყალბმა მიმართულებამ და უკულმარითმა შეხედულებამ თანდათან მოიკიდა ფეხი ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებაში; მის დამკვიდრებას და გამაგრებას როგორც ვიცით, ხელს უწყობდენ თვით მესამოცე წლების მოღვაწენი; იმათ ჭირიერი ეჯავრებოდათ დ. ჭონქაძე და მისი „სურამის ციხე“. ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა იყო ამ ახალი მიმართულების გავრცელების მიზეზი: ეს ჩვენთვის ახლა ადვილი წარმოსადგენია.

დღეს კი გარემოება შეიცვალა: ხალხი თვითონ გებულობს და აფასებს იმათ, ვინც საზოგადოებრივ ასპარეზზე მოქმედებს. ამიტომ ყველას უნდა მიენიჭოს საქმისა-მებ հ მათისა. ამ წიგნაჟის მიზანი იყო აღვედგინა დ. ჭონ-ქაძის პიროვნება და მისი ლვაწლი ქართველ საზოგადოებისა და მწერლობის წინაშე; ჩვენ გვსურდა გვეჩერებია ის მნიშვნელობა, რომელიც „სურამის ციხეს“ აქვს ქართულ მწერლობაში. თუ რამდენად მივაღწიეთ ჩვენს მიზანს, ამის მსაჯული მკითხველია.

დასასრულ, აქ ჩვენ უნდა დავაყენოთ ერთი კითხვა-იქნია თუ არა რაიმე გავლენა ქართულ მწერლობაზე დ. ჭონქაძემ? სამწუხაროდ, უნდ ვალვიაროთ, რომ თითქ-მის სრულიად არავითარი. ამის თავი და თავი მიზეზი მოკლედ ჩვენ უკვე იღვნიშნეთ ზევით. დაწვრილებით ამ სა-გნის განხილვა არ შეადგენს ამ წიგნის დანიშნულებას. ის სულიერი ნათესაობა კი, რომელიც არსებობს ერთი მხრით დ. ჭონქაძესა და მეორე მხრით, მაგ., ეგნატე ნინოშვილს შუა, აიხსნება იმით, რომ ეს მწერლები პირდაპირ ხალ-ხისგან იყვენ გამოსულნი და ამიტომ იმათ უფრო მეტი სინა-მდგილით და უფრო მეტი დაკირვებით შეეძლოთ გაე-გოთ ხალხის გასაჭირი და მისი მწუხარება. ამ ორ მწე-რალს შორის მართლაც ბევრია საერთო. თუ ერთი იმათ-განი (დ. ჭონქაძე) გვიხატავდა ყმების აუტანელ მდგომა-რეობას ბატონების ხელში, მეორე, (ე. ნინოშვილი) მო-გვიოხრობს უკვე იმავე ყმების ამბავს განთავისუფლების შემ-დეგ. მიუხედავად ამისა ჩვენ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ არავითარი გავლენა არ მოუხდენია დ. ჭონქაძეს ე. ნინოშვილის მოთხრობებზე.

კიდევ გავიმეორებთ, რომ თუ დ. ჭონქაძემ უკი იქონია
ჩეენ მწერლობაზე ვერავითარი გავლენა, ამის ბრალი
უთუოდ თვით ჩეენი მწერლობის მესვეურთ და განსა-
კუთრებით კრიტიკოსებს უნდა მიეწეროთ, რომლებიც თა-
ვიდანე ყალბ შიმართულებას დაადგენ და შემდეგში ოდ-
ნავათაც არ მოინდომეს იქედან განთავისუფლება.

ქ ქუთაისი.

1903 წ. სექტ.—ოქტომბერი.

(დაბეჭდილი იყო ცალკე წიგნაკად 1904 წ.).



5

აგდაპტორის გენეზები

**„სურამის ციხის“ ზესახებ რედაქტორის
განხარტვაზე**

1) „სურამის ციხე“ ავტორის სიკედილის შემდეგ გამოცემული იყო ცალკე წიგნად 14-ჯერ. უკანას-ნელი გამოცემა მე-15-ტეა. აი „სურამის ციხის“ ცალკე. წიგნად გამოცემის წლები:

- ა) 1875 წელს—გამოცემულია ექ. ხელაძისა და ი. ბაქრაძის მიერ, ტფ. 12° 2X96 გვ.
- ბ) 1879 წ.—გ. ჩარქვიანის მიერ. ტფილისი, 16° 64 გვ.
- გ) 1892 წ.
- დ) 1902 წ.—ქ. თავართქილაძეების მიერ, ბათომი, 12°95 გვ.
- ე) 1910 წ.—გამომცემლობის „კულტურა“-ს მიერ, 12°95 გვ.
- ვ) 1914¹ წ.—ამხ. „ქავშირის“ მიერ, ტფ. 16°82 გვ.
- ზ) 1920 წ.—წ.-ქ. გ. საზოგადოების მიერ. ტფ. IV+60 გვ.
- თ) 1925 წ.—გამრცემლობა „შრომა“-ს მიერ, ტფ. 16°83 გვ. (1 გამოცემა)
- ი) 1926 წ.—გამომცემლობა „შრომა“-ს მიერ ტფ. 16°83. გვ. (2 გამოცემა).
- კ) 1927 წ.—გამომცემლობა „შრომა“-ს მიერ ტფ. 16°78 გვ. (3 გამ.).

¹) გარე კანზე 1917 წელი აწერია. ალბათ, ამ წელს შესძლეს მისი ფაქტიური გამოცემა. ტექსტი—კი. ალბათ, აწყობილი იყო 1914 წ.

- ლ) 1928 წ.—გამომცემლობა „შრომა“-ს მიერ, ტფ.
 16° 78 გვ. (4 გამ.)
- მ) 1929 წ.—გამომცემლობა „შრომა“-ს მიერ, ტფ.
 16° 74 გვ. (5 გამ.)
- ნ) 1929 წ.—გამომცემლობა „შრომა“-ს მიერ, ტფ.
 16° 78 გვ. (6 გამ.)
- ო) 1930 წ.—გამომცემლობა „შრომა“-ს მიერ, ტფ.
 16° 64 გვ. (7 გამ.)
- პ) 1930 წ. რუსეთის სახელგამის გამოცემა (რუსულ
 ენაზე) გ. თავზარაშვილის რედაქციითა და შესავალი წე-
 რილით. 16° 80 გვ.
- 2) არეზე მოთავსებული რიცხვები გვიჩვენებს უკრ-
 ნალი „ცისკრის“ 1859 წლის XII №-ის გვერდებს
 287-345 და 1860 წლის I №-ის 19-57 გვ.
- 3) ანდაზა ავტორს ხმარებული აქვს ამბავის მნიშვნე-
 ლობით.
- 4) ივ. კერესელიძე ჩვენი 50-60-იანი წლების
 მწერლობისა და საზოგადობრივი აზროვნების ცნობილი
 წარმომადგენელია. ის ტფილისის ვაუთა I გიმნაზიაში
 მსახურობდა ილმზრლელის თანამდებობაზე. მწერლობაშიც
 იღებდა მონაწილეობას. სწერდა ლექსებს, მოთხრობებს,
 დრამატულ ნაწარმოებებს, პუბლიცისტურ წერილებს. 1857
 წელს მან განაახლა 1852 წელს გ. ერისთავის მიერ
 დაარსებული პირველი ქართული უურნალი „ცისკარი“. გ.
 ერისთავი „ცისკარის“ ხელმძღვანელობდა 1854 წლამდის.
 1854 – 1857 წლამდის „ცისკარი“, არ გამოდიოდა. ივ. კერე-
 სელიძემ უურნალი „ცისკარი“ გამოაცოცხლა. მან უურნალ-
 ში სამუშაოდ მიიზიდა იმ დროის საუკეთესო მწერლები და

მოლვაწეები, მაგ. დან. ჭონქაძე, მიხ. თუმანიძე -
 შვილი, ლავ. არდაზიანი, ვრ. რჩეულიშვილი,
 ალ. ორბელიანი და მრავალი სხვაც. აქვე დაიწყეს
 თავიანთი პოეტური და პუბლიკისტური მოლვაწეობა
 თერგადალეულებში, კერძოდ: ილია ჭავჭავაძემ,
 აკაკი წერეთელშა და სხვებმა. მაგრამ ივ. კე-
 რესელიძის უურნალი „ცისკარი“ არ იყო სწორი და
 გაბედული გამომხატველი საზოგადოებრივი ცხოვრების
 მაჯის ცემისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ცოცხალი
 აზრის ტალღის ქცევისა. „ცისკარი“ იყო ორგანო ძველი
 თაობისა, მას ძველი მსოფლ-მხედველობა, ტრადიცია და
 გემოვნება ახასიათებდა. მას აგრედვე ახასიათებდა მთავ-
 რობისადმი მორიდება, მოკრძალება, მადლობა და პა-
 ტივისცემა. 60-იანი წლების დასაწყისში უურნალ „ცის-
 კარში“ აშეკრად გამომეულავნდა ძველსა და ახალ თაობას
 შორის სხვაობა, შეუთანხმებლობა. „ცისკარშა“ ახალთა-
 ობას კარი დაუხურა. ახალი თაობა (თერგდალეულები)
 იძულებული შეიქმნა თავისი ორგანო „საქართველოს
 მოამბე“ 1863 წ. დაერსებინა.

5) ეინაიდან დან. ჭონქაძისათვის „სურამის ციხის“
 მიხედვით დამახასიათებულია კავშირი „რო“. ს ხმარება
 „რომ“-ის მაგიერ, ამისათვის ყველგან მთელი მოთხრო-
 ბის მანძილზე დავიცავით „რო“, იქაც, სადაც რომ (რამოდენიმე შემთხვევა) არის. უკანასკნელი ფორმა, ეფი-
 ქრობთ, კორექტული შეცდომაა.

6) ნაზირობა ავტორს ხმარებული აქვს შინაუმის, მო-
 ურაობის მნიშვნელობით.

7) წიგნს აეტორით ხმარობს, როგორც ხალხი დაუშენებული, კი, წერილის, საქმიანი ქალალდის მნიშვნელობით.

8) დედანშია (ისე ვუწოდებთ უერნალ „ცისკარშია“ დაბეჭდილი „სურამის ციხის“ რედაქციას): „ალბალ ლუთის ნება იყო თქვენი ცოლქმრობა“, „არა“ დედანში შეციონითაა გამოტოვებული.

9) ვინაიდან დან. ვანქამისათვის „სურამის ციხის“ მიხედვით დამასასიათებელია ხალხური ფორმის „ხო-ს ხმარება „ხომი“-ის მაგიერ, ამიტომ ყველგან მოვლი მოთხოვობის მანძილზე დავიცავით „ხო“, აქაც-კი, სადაც ხომ (რამოდენიმე შემთხვევა) არის. უკანასკნელი ფორმა, ვკუ ქრობთ, კორექტურული შეცდომაა.

10) დედანშია: „რა რომ აშნაური არ არის?“.

11) დედანშია: „როგორც მორცხვი პატარძალი თავადის დანიშნულს“.

12) ოროველა ან ოროველა მეხრის სიმღერაა გუთანზე, ურემზე, კალოში კივრზე.

13) დედანშია: „ხომე“, აქაც და სხვაგანაც ყველგან შევცეალეთ „ხოლმე“-თი, რადგანაც ეს ორივე ფორმა ისახება მეტად მერყეფად, იმას გარდა დან. კონქაძე რომ ხმარობს ხალხურ დიალექტს, იმისათვისაც უფრო დამახასიათებელია „ხოლმე“.

დედანშია: „პიჭაგორის ტეორემას“. პითაგორი შესანიშნავი ბერძენი ფილოსოფოსი და მათემატიკოსია. ზოგიერთი მისი თეორემა დღესაც შეაქვთ მათემატიკოსებს ჩვეულებრივ სახელმძღვანელოებშიც.

15) დედანშია: „ხარკამბეჩი“. ვინაიდან მოთხოვობაში იხმარება „კამეჩი“ და „კამბეჩი“-ც, ჩვენ ყველგან ვიხმა-

რეთ კამეჩი, როგორც დან. ჭონქაძის დიალექტისათვის დამახასიათებელი.

16) მარჩილი—ძველი ქართული ფულია. ხშირად მოხსენებულია ვახტანგ მეურის სამართალში. უდრის რუსული ერცხლის ფულის 30 კაპ.

17) ფედანშია: დურმიშხანმან.

18) ფედანშია: „ვითამც“, მაგრამ დან. ჭონქაძისათვის ამ მოთხრობაში დამახასიათებელია „მითომც“, ფორმა „ვითომც“ სჯლ რამოდენიმეჯერ გვხვდება, ამისათვის ყველვან ვიცავთ „მითომც“-ს.

29) დუშაყი—პალვანდი, თასმა, ხუნდი, ცხენებს როგორც საძოვარზე მიუშვებენ, გაუყრიან ხოლმე ფეხებში, რომ ვირ გაიქცეს.

20). სოფელი ბოდორნა არაგვის პირზეა, ბოდორნის მთაზე. საქართველოს სამხედრო გზით 43 კილომეტრზეა ტფილისიდან. სოფელი ნაოზა-ც მდ. არაგვის პირზეა, საქართ. სამხედრო გზით 36 კილომეტრზეა ტფილისიდან.

სოფ. ნაოზა მხურვალი ადგალია. ცნობილი იყო ვენახებით, მე-XIX-ტე საუკუნეში მთლად სოფლის მიდამოები კარგა მანძილზე ვენახებით იყო თურქე გაშენებული. ვენახები ასლა ფილოქსერისაგანაა გაფუჭებული. მე-XX-ცე საუკ. თანდათან გაიკაფა და მოიხნა. რაც შეეხება მოთხრობაში მოცემულ ცნობას: „ზედ არაგვის პირზე პარდანასა და ნაოზის შუა, არაგვის გაღმა არის სოფელი გ. ეს სოფელი თითონ პატარა, დიდი პსჩანს თავისი ვენახებით“, იწევეს პატარა გაუგებრობას. განზე დაწყებული სოფლის სახელწოდება ბოდორნასა და ნაოზას

შუა არც ახლა არის და არც მე-XIX ტე საუკუნეში
მოჩანს, არც არაგვის გაღმა და არც გამოღმა. აյ აღმად
კორექტურული შეცდომაა. ჩენის ფიქრით, გ-ანის მა-
გიერ მ-ანი უნდა იყოს. ბოლორნასა და ნაოზას შეა მე-
XIX-ტე საუკუნეში ყოფილი პატარა სოფელი მლ აშე-
რი, ცნობილი დიდი ვენახებით. ეს ვენახები მე-XIX-ტე
საუკუნის დამლევებში ფილოქსერის გაუნადგურებია. სო-
ფელს ცხოვრების უძლიერესი წყარო დაპარგინია. ამი-
ტომ მოსახლეობა ზოგი თუ ამოწყვეტილა, როგორც
ადგილობრივ მეზობელ სოფლების მცხოვრებლები ამბობენ,
ზოგიც აქა-იქ მახლობელ სოფლებში გადასახლებულან
(საკრამულში, შაშაბურაში, ნაოზა).

ჩემს ბავშობაში ხშირად ცყოფილვარ სოფელ ნაოზა-
ში. იქ ხშირად გამიგონია ამბავი „სურამის ციხეში“
რომაა აწერილი. იქ, სოფ. ნაოზის ბოლოზე არაგვის პი-
რზე იქაურ მცხოვრებთ არა ერთხელ უწევენებიათ ადგი-
ლი, სადაც დამხრჩეალი ნატუა ვითომც არაგვს გამოერი-
ყოს. ამბობდენ, რომ ეს ამბავი მლ აშურ ში მოხდაო.
სოფელი მლაშერი ახლა (1925 წლიდან) ილდგენილია
და ჰქვიან წითელი სოფელი.

რომ მოხხრობაში აღნიშნული სოფელი მართლაც
არაგვის მარჯვენა ნაპირზეა და, მართლაც, სოფ. მლაშერი
უნდა იყოს, ეს იქიდანაცა ჩანს, რომ ტეილისისაკენ გა-
ქციული დედა-შეილნი არაგვის მარჯვენა მხრით მოდიან.

დან. ჭონჭაძემ ფაქტი ცხოვრების სინამდვილი-
დან აიღო. ამას ადასტურებს ალ. ორბელიანის წერილი
„დართულს დართული“ (იხ. წინასიტყვაობა). მაგრამ რა-
თა სიმწვავე, განრისხება შეესუსტებინა და ცენზორის

კლანული დიდი ფინანსობრივი მისამართის, მან ის ძეები და ლი ლეგენდის ქსელში ჩახლართა.

ლეგენდა „სურამის ციხის“ მსგავსი ძელიდგანერა ცნობილი. მისი სიუკუტი მოხერიალე სიუკუტებს ეკუთვნის. ანალოგიური ლეგენდა ცნობილია: რუსეთში, ოსეთში, ვალახიაში და სხვაგან.

საქართველოში „სურამის ციხის“ ლეგენდა ასეთია:

„დავით ალმაშენებელი (ზოგან ლეგენდაში ვახტანგ გორგასლანია გამოყვანილი) აშენებს მტრის წინააღმდეგ სიმაგრებს, სხვათა შორის სურამის ციხესაც. მასზე მრავალი ხალხი მუშაობს. სურამის ციხის კედლები რამდენჯერაც ამოიყვანეს, იმდენჯერ დაინგრა. ამ გარემოებამ მეფე ძალიან დაალონა. მეფემ სარჩევად ბრძენი მიიწვია. ბრძენთა ხანგრძლივი რჩევა უშედეგოდ დარჩა. იმათ მეფეს ეერაფერი ვერ ურჩიეს. მეფეს მოახსენეს: „არის ერთი არაბი-ბრძენი, რომლის მისნობის ნიეს ხალხი განციფრებაში მოჰყავს“—ო. ურჩიეს მეფეს მისი მოწვევა. მეფემ ის დაიბარა. არაბმა უთხრა: „ეგ ციხე მაშინ აშენდება, თუ მაგ ციხის კედელში დედის-ერთა ვაჟს ჩაატანო“. მეფე ამ გარემოებამ უფრო დაალონა. ამისთანა საქმის ჩადენა მას უმძიმდა, დანალვლიანდა და მოიწყინა. ხალხმა მეფეს გუნების ასეთი გაუარესების მიზეზი მოსთხოვა. როდესაც ხალხმა მეფის დამწუხრების მიზეზი გაიგო, ერთი ახალგაზრდა, დედის-ერთა ვაჟი შეილი ზურაბი გამოვიდა და სთხოვა მეფეს ის ჩაეტანებინა სურამის ციხის კედელში. მეფე არ დათანხმდა, სანამდის ამ ვაჟების დედას არ შეეკითხა. როცა დედას ეს ამბავი უთხრეს, ისიც თანახმა გახდა. დაიწყეს ხელ-



ახლა კედლის აშენება. ზურაბი ჩატანეს. როდესმცუდაროვა
ლის აშენება დაწყებულია და ზურაბი კედელში თანდა-
თან იმაღლება, გამოჩინდება ბრძენი არაბი, შიგა, საღაც
კაბუკს ატანენ და ოსტატებს ასე მიშმართავს: „დაანგრიეთ
ეს კედელი“. გაკვირვებულმა ისტატებში უთხრეს: „შენ
თითონ არ ურჩიდე მეფესო?“ არაბმა უპასუხა: „ამისთანა
შეიღების მყოლელ ქვეყანას, ციხეები არა, სკირდებთან,
დაანგრიეს კედელი, გაანთავისუფლეს ზურაიბი. მეფემ ზუ-
რაბი დაასაჩუქრია“.

დაახლოებით ასეთისავე შინაარსისაა ეს ლეგენდა
გალახიაში (იხ. ფილიპე შახარაძის „დანიელ ქონ-
ქაძე და მისი დრო“). ეს ლეგენდა ძალიან ყოფილა გივრ-
ცელებული ისების ხალხურ თემულებებშიაც.

21) სახასო სოლელი — სახელმწიფო, სამეცნ სოლელი.
აქ გაუგებრობაა. შინაარსის მიხედვით უნდა იყოს სა-
ბარონო. ამიტომ ტექსტში ჩეკასწორეთ.

22) ოსმალის იანიჩარის ასისთავი — ასისთავი ოსმა-
ლეთის საგანგებო ჯარისა, ოომელიც სულთანის სასახლეს
იცავდა. ეს ჯარი შესღვებოდა ოსმალეთში აღზრდილ და
ტყვი თუ თავისი ნებით გამაპმაღიანებულ ქრისტიანთავან.
იანიჩრებად ქართველებიც სშირად იყვნენ ხოლმე.

23) დედანშია: „ამის სიცუდილის უმდეგ ჩეკი სახლი
უოველივე გადაბრუნდა ფულალშა“.

24) „რომელთამე“-ს აეტონი შიარობს შრაფალის მნი-
შენელობით.

25) დართის კარი იღვილია არაგვის პირზე. მცხე-
თის მახლობლად — ჩრდილოეთით, ბენრის ციხიდან ერთი
კილომეტრის მანძილზე. საქართველის სამხედრო გზით



ტფილისიძან 24 კილომეტრზეა. შიუვალი ოდგილის ცნობა.
შილია როგორც კარგი თავის დასამალი.

26) ფშავი არაგვის ხეობაში საქართველოს მთის
ნაწილია, საღაც ფშაველები ცხოვრობენ.

27) კლდის - უბანი ქველი ტფილისის ნაწილია.
ახლანდელი სოლოლაკის სამხრეთი ნაწილი, მოტანიეური
მაღის ძირობაზე.

28) ინგრელები — უხეშები, უზრდელები, იეზნიანები.

31) „როგორათაც“ ავტორი სმირობს როგორც
კი-ს მნიშვნელობით.

33) დედანშია: „რამტენიმე მინუტის შემდეგ“ (ტექს-
ტში კიდევ რამდენიმე შემთხვევაა „შინუტის“ სმირები-
სა. მართალია, ზესტად გვინდოდა დაგვეცვა „ცისკრის“
რედაქციის სახე, შავრამ ამ ბარბარიზმის შეცვლა ყველგან
სწორი ლიტერატურული ქართულით შესაძლებლად და-
ვინახეთ, ვინაიდან ეს გარეშობა ტექსტის მთლიან შთა-
ბეჭდილებას არ დაარღვევს. მით უმეტეს ტექსტში არის
შემთხვევები სწორი ფორმის — წუთის — ხმარებისაც.

34) დან. ჭონქაძემ „სურამის ციხეში“ პირველად იხ-
მარა სახელწოდება „ქნიაზ-ლიბერალი“ იმ წრის მიმართ,
რომელიც გამოიდა თავედა-აზნაურობის წოდებიდან და
უნიადაგოდ ლაპარაკობდა გლეხთა შევაწროებულ მდგო-
მირეობისზე და მის განთავისუფლებაზე.

35) დედანშია: — „დაიწყობს ვაჭრობას...“

36) დარბაზი — სასახლეში უდიდესი პალატი, სამეფო
დიდი სახლი. ჩვეულებრივ დარბაზიად იწოდება სახლში
დიდი საერთო საცხოვრებელი თავისი, რომელშიაც ოჯა-
ხის წევრები თავს იყრიან ჭამის ან სტუმრების მიღების
დროს.

- 37) უნდა იყოს: — „მამაშენმა რო გაგათხოვოს-კი“.
- 38) დედანშია: „არა იმიტომ“. .
- 39) კურტიზანება — მსუბუქი ყოფა-ქცევის ქალი.
- 40) დედანშია: — „იმტენი ვერ შეიძლო გამოეთხოენა ტამბოლის მართებლობისათვის იმისი დამარხვა“. .
- 41) ბოსფორი — სრუტეა, რომელიც მარმარილოს ზღვას ზღვასთან აერთებს.
- 42) დედანშია: „წარმოიდგინა“. .
- 43) სუფ-კარაპეტის ეკლესია — სომხის ეკლესიაა ტულისში, ხარუჭების ნაწილში.
- 44) ქურსი — „ტახტი გადაფარებული საბნითა, რომლის ქვეშ დგას გალვიფებული ცეცხლით მაყალი სათბობლად“ (ჩუბინიშვილი — „ქართულ-რუსული ლექსიკონი“, 1887 წ.).
- 45) დედანშია: „არა თუნდა რომ მომდიოდა ტირილი“...
- 46) ლაშარის ჯვარი — მთაში, არაგვის ხეობაში ცნობილი ხატია, სალოცავი იყო.
- 47) დედანშია: „მგონებიხარ“. .
- 48) დედანშია: „რომელ“...
- 49) დედანშია: „საშინელმა ხალხმა“...
- 50) დედანშია: „ორ-ატაერიანი“...
- 51) დედანშია: „არ შეგაშეყენ“...
- 52) დედანშია: „შებლავლიდნენ ხოლმე დროითა და დროით ძროსხები მეტმეტი თავიანთ ხბორების სიყვარული რომ მოაგონდებოდათ ხოლმე მაშინ“. .
- 53) დედანშია: „რო დრო არ ყოფილიყო უსაქმო და დაედო ამაზე თავისი ბეჭედი“. .

- 56) კუნკულა — ბავშვის მონათვლის დროს გასანათლებელი გასახვევები ქსოვილია.
- 57) დედანშია: „იმედი მაქვს შეილო, რო მამაშენი არ შეარცხვინო“...
- 58) დედანშია: „აბა მაშინ დურმიშხან აზნაურშეილობა!“
- 59) სიტყვა ოცნება დანიელ ჭონქაძეს ნახმარი აქვს გაოცების მნიშვნელობით.
- 60) დედანშია: „ხოლო ის დაიკერს ჯარს“.
- 61) დედანშია: „ხომე“.
- 62) დედანშია: „ვინა შველიყო ცხენის ჩამოსვლიდამ“
- 63) დედანშია: „მოხდენილიყო“.
- 64) მეფისტოფელი — ევროპელ ხალხთა თქმულებაში ცნობილია ამ სახელით ბოროტი ძალა, ეშმაკი, კეთილის დასაბამის უარისმყოფელი. ხალხურ თქმულებათა ეს სახე გამოყენებული აქვთ მწერლებს: შექსპირს, მარლოს, გოეთეს. გოეთეს „ფაუსტი“ -ში მეფისტოფელი ადამიანსა და ბოროტ ძალას — ეშმაკს შუა მდგომა არსებაა. მეფისტოფელი აქ უარყოფისა და ეჭვის მატარებელი სულია, რომელსაც ცხოვრებაში ყველაფერი მობეზრდა, ყველაფერი ეზიზლება, ფიქრობს ბოროტებაზე და ცინიკური ირონიით დაპყურებს ფაუსტის იდეალისტურ ძიებას.
- 65) დედანშია: „დურმიშხანი მოვიდა და იკითხა ვარდო. საკვირველია ვერც ერთმა ვერ იცნეს ერთმანეთი ისე გამოცვლილიყვნენ ორნივე შემდგომ გაყრისა. დურმიშხანს აჩვენეს ვარდუა“.
- 67) დედანშია: „მინუტისი“.
- 68) დედანშია: „ორი საყვარელი მოხვეული ერთმანეთისა“...


დანიელ ჭავაძის ამ პოემაში ბიოგრაფიული ცნობები.

1. დანიელ ჭავაძის მამა იყო დუმეთის რაიონის, სოფ. უკავილის მცხოვრები, ღარიბი მღვდელი, ჩამომავლობით გლეხი.

2. დანიელ ჭავაძის დაბადების წელი და იდგილი უკიდევ არ არის ზუსტად გამორკვეული. მისი წლოვანების ქალალდი სასულიერო სემინარიის არქივში არ შენახულია. მის ატესტატის შავში არ არის აღნიშნული დაბადების თვე და წელი. ნამსახურობის სიაში, 1860 წელს რომა შედგენილი, სწერია, რომ დან. ჭავაძე ამ წელს (ქ. ი. 1860 წ.) 28 წლისა იყოთ ერთ-ერთ ნამსახურების სააზო-კი აღნიშნულია, რომ 1855 წელს დან. ჭავაძე 25 წლისა ირისო. საფლავის ქვაზეც (ვერის ძველ სასაფლაოზე) აღნიშნულია, რომ დ. ჭავაძე დაიბადა 1830 წ. ეს უკანასკნელი დატა უფრო სწორად მიგვაჩნია.

3. 1845 წელს დან. ჭავაძემ დაამთავრა ქავეყის სასულიერო სასწავლებელი და იმავე წელს ტფილისის სასულიერო სემინარიიში შევიდა.

4. 1851 წელს, 3 ივნისს მან დაამთავრა ტფილისის სასულიერო სემინარია და იმავე წლის 11 სექტემბერს კავკასიის სასულიერო სემინარიაში (ქ. სტავროპოლის) ოსური ენის მასწავლებლად იქნი დანიშნული. აქიდან იწყება დანიელ ჭავაძის სერიოზული მუშაობა (და საკუთრივადის გრძელდება) ოსურ ენაზე, ოსურ ხალხურ შემოქმედებაზე. მან აქიდანვე დაიწყო ოსურ ენაზე თარგმანი



დანიელ ჭონქაძის საფლავი
ტფილისში ვერის (ძველ) სასაფლაოზე

და ლექსიკონის „შეღეგნა“. მაგრამ, სამწუხაოოდ, დან. ჭობქაძის არქივი სავსებით დაკარგულია და ამიტომ მასი კონკრეტი აღნუსხვა და დაფასება შეუძლებელია.

5. 1853 წ. 11 სექტ. მან კოლექსის ჩეგისტრატორის ჩინი შიღღო.

6. 1855 წ. 5 სექტ. დ. ჭობქაძე დანიშნული იქმნა ტფილისის სასულიერო სემინარიაში მისწავლებლად.

7. 1856 წ. 31 იანვარს მან განცხადება შეიტანა სასულიერო წოდებიდან განთავისტულების „შესახებ“.

8. 1858 წლის 1 ოქტომბრიდან ის დანიშნული იქმნა საქართველოს სინოდალურ კანტორაში მაგიდის უფროსად, ამასთანავე ერთად დატოვებული იყო სემინარიაში მასწავლებლის თანამდებობაზეც.

9. ეურნალი „ცისკრის“ 1859 წლის მე-XII-ტე წ.-ში და 1960 წლ. I წ.-ში დაიბეჭდა დან. ჭობქაძის მოთხოვნა „სურამის ცისკრის“.

10. 1860 წ. 16 იქნის დან. ჭობქაძე გარდაიცვალა ქ. ტფილისში, დასაფლავებულია ვერის ძეგლ სასაფლაოზე.

ბიბლიოოგიაზე

1. ფილიპე მახარაძე — „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“, 1904 წ.
2. ქირელი ბექა (ანტ. ფურცელაძე) — „სურამის ციხე“ თხხ. ჭონქაძისა, „ცისკარი“, 1863 წ. № 1.
3. გ. თუმანიშვილი — „დ. ჭონქაძის სურამის ციხე“ — „დროება“ 1875 წ. № 119.
4. პროფ. ა. ხახანაშვილი — „ქართული სიტყვიერების ისტორია“ (XIX ს.) 1913 წ.
5. А. С. Хаханов — „Темное старое время Грузии (Первый реалистический роман Чонкадзе „Сурамская крепость“) — „Русская мысль“ 1902 г. № 8.
6. А. С. Хаханов — „История грузинской словесности“, т. IV, М. 1906 г.
7. ი. გოგებაშვილი — ორიოდე სიტყვა დ. ჭონქაძეზე და ე. ნინოშვილზე, „ივერია“ 1904 წ. № 106.
8. ზ. ჭიჭინაძე — „ფ. მახარაძის „დანიელ ჭონქაძე და მისი დრო“-ს გარშემო ატეხილი დავის გამო პასუხი ქართველ თავად-აზნაურებს. (იხ. „ბატონ-ყმობის მასალები“ ტ. IV, გვ. 107—116).
9. ზ. ჭიჭინაძე — „დანიელ ჭონქაძის გარდაცვალებიდან 50 წელი“ (იხ. „ბატონიყმობის მასალები“ ტ. IV, გვ. 117—121. პირველად დაბეჭდილი იყო „ახალ აზრში“, 1910 წ. № 4).

- სამართლებრივი
კულტურული
და სპორტული
მუზეუმი
- 10. о. ფერაძე — „ქართველი გლეხი და დ. ჭანქაძის ცანკები“ „სურამის ციხე“, „ქრებული“, 1921 წ. № 1.
 - 11. არჩ. ჯორჯაძე — „მასალები ქართველი ინტელიგენციის ისტორიისათვის“ ტ. V. 1914 წ.
 - 12. ვ. ქოტეტიშვილი — „ქართული ლიტერატურის ისტორია“ — 1925 წ.
 - 13. მ. ზანდუკელი — „თერგდალეულნი და ხალხოსნები ქართულ ლიტერატურაში“, 1928 წ.
 - 14. კ. კაპანელი — „ქართული ლიტერატურის სოციალური გენეზისი“, 1928 წ., 1931 წ.
 - 15. ვ. ხუროძე — „ქართული ლატერატურის თემატიკური განხილვა“. 1928 წ.
 - 16. არ. ხუნდაძე — დ. ჭანქაძე (მასალები მისი პიოგრაფიისათვის) — „ქართული მწერლობა“ 1929 წ. № 10.
 - 17. Г. Тавзарашвили — „Жизнь и творчество Даниила Чонкадзе“, 1930 г.
 - 18. ივ. კერესელიძე — „რედაქციისავან“ — „ცისკარი“ 1860 წ. № VII.
 - 19. ალ. ორბელიანი — „დახირელ ჭანქაძის“ „სურამის ციხის“ შესახებ — „დართულს დართული“ (სახ. უნივ. ხელნაწერთა მუზეუმი № 1645).
-



ମୁଦ୍ରଣ ନଂ ୧୦୩୫୩୬୪

1859 წ. აპრილის 6. ¹⁾

სახელითა მამისათა და ძისათა და სულითა წმინდი-
სათა, ამინ.

შეპყრობილი ისეთი ავადმყოფობით, რომლის მორ-
ჩენაც არ შეიძლება, და დღითი დღე სიკვდილის მომლო-
დინე, მტკიცე შევნებით ვსწერ ანდერძს: 1) ჩემი ნების
აშირულებელნი იქნებიან ჩემი და ეკატერინე პავლიევისა
და სიძე მღვდელი გრიგოლი; 2) მეურვე ჩემი ობოლის
იყოს ჩემი სიძე გრიგოლ პავლიევი და მზრუნველობა
დაივალოს ჩემმა დამ ეკატერინემ, რომელიც დაბადები-
დანვე იმას დედის მაგივრობას უწევდა. ვთხოვთ მათ მე-
ურვეობის ქვეშ იქნეს ჩემი შვილის ქონება, რომ ამაში
ისინი არავის არ აძლევდენ ინგარიშს და განაგებდენ ქო-
ნებას, როგორც თითონ დაინახვენ საჭიროდ.

1859 года апреля 6 дня.

Во имя Отца и Сына и Святого Духа, Аминь!

Будучи одержим, тою несчастною болезнью, от которой нет исцеления и, ожидая со дня на день смерти, я, будучи в твердой памяти, завещаю:

1) Быть моим душеприкащиком сестре моей Екатерине Павлиновой и зятю моему Священнику Григорию; 2) Опе-

1) ანდერძი დაწერილია დან. ჭობქაძის წელით. ახლა ანდერძი გადაცემული აქვს მწერალთა მუზეუმს. როგორც დან. ჭობქაძის ან-
დერძი, ისე მისი წერილი ივანე ფეოდოროვთან გადმოგვცა არკ.
ხუნდაძემ.

რედ.

թամուլո, հառմանու թերինը օյնեծ հեմո և սոճ, թքքակաց-
տես դուշետու մանրանո, և ող, պաշտոնո. յս թամուլո նի-
սդցեմա սանացո մոխուսացան დա ծալուսացան օհացըն ձերնո,
հաւ գարնցաւ օվաս հիմեա դամ. 3) Ցյ լամասալուսացը զայ-
նչուագյենագ, ունուալու, ու Ծոյուլունո զարձաւրու-
նո — լուսու, զբարձու, ու Սոյուլունո — գյենացու.
4) հեմո Մզունու թերինը Մզումուս զայուցու պայուն հիմ
նոցուցո թուցիւնուս հայուցըլագ, ունուն մուսեմանու — նա-
միւնու հեմս քասացլացընեց, նախունո հեմո Մզունուս օլու-
նցանց. 5) ան զայուցու թերուու հեմո մզունո եղանա-
կյերնեծ, Մենանունո օյնեց Մզունուտցուս. 6) զտեց պայուն
հեմ նատյուսացըն անուցըն սարպաւնո հեմո դա. ու զայուն-
ուսուցըն ուզե թունո դա հեմո ծացնուս զուլուտցուս. ոգո ես-

կуном над сиротою моим Георгием я прошу быть любез-
ного моего зятя Священника Григория Навашека, а по-
ничительницю о сыне сестру Екатерину, которая с рожде-
нием заступала ему мать. Прошу их быть безотчетными
опекунами над именем сына, не отдавать никому в дей-
ствиях своих отчета и управлять именем по своему благо-
усмотрению.

Имянне, над которым он, т. е. зять должен быть
опекуном находится в Душетском участке в сел. Каз-
вали и заключается в пахотных землях и в саде в Арагви-
нирах и в прочем, что хорошо известно сестре. 3) Меня
похоронить не затейливо и скромно, если случится умереть
в Тифлисе рядом с женой, а если в селении, то рядом с
матерью. 4) Опекун моего сына может продать все мои ве-
щи, без вмешательства впрочем начальства, вырученные
деньги употребить часть на мои похороны, а часть на вос-
питание сына. 5) Не продавать только мои старые рукоицех,
а хранить для сына. 6) Прошу всех моих родных утешать

ქირთა მათთვის. მე კი იქ ვილოცავ იმისთვის და და
თქმა უნდა ადრე თუ გვიან იქ შევხედებით ერთმანეთს.
საწყალი და, რა გულ დამშეიღებით მოვკედები, რომ ვი-
ცოდე, რომ ის გულგრილი გადაიტანს ჩემს სიკე-
დალს. უთხარია, რომ მე მინდა, მან ძალიან არ იშუხოს,
უსიამოვნობას მომაყენებს თუ ბევრი იშუხა, უსიამოვნობა
იქნება ეს ჩემი მშობლებისთვისაც. იქ შევხედები ზათ
და ერთად ვილოცავთ იმისთვის.

7) ჩემი ლოცვა-კურთხვა ყველა ჩემ ნათესავებს
და ვთხოვ მაპატიონს, თუ ვინმეს ვაწყენინე რამე. იმის
ვთხოვ ჩემ მეგობრებსაც ნიკოლოზ ბერძენოვს, ალექსი
პეტროვს და იოსებ ინდოვს, აგრეთვი ყვილა ჩემ თა-
ნამოსაშასურებს. ღმერთია მოწამე, რომ არავისთვის
ცუდი არ მინდოდა, პირიქით ყველას პატივს ვცემ-

бедную сестру. Пусть она бережет себя для ея и моего дитя. Она им несобходима.. А я буду молиться за нее и, конечно, рано или поздно встретимся. Бедная сестра, как бы я умер спокойно, если бы я знал, что она перенесет мою смерть равнодушно. Скажите ей, что моя воля, чтобы она не горевала много, а то мне будет очень неприятно, неприятно будет и нашим родителям, которых я встречу там и вместе будем молиться за нее.

7. Всех моих родных я благословляю и прошу прощения, если кого, чем обидел. Это же прошу и моих друзей: Николая Берсенова, Алексея Петрова и Иосифа Индуева и всех моих сослуживцев. Свидетель Бог, что я не желал никому зла, напротив всех уважал. 8) Прошу Иосифа Ивановича Индуева снести с Тюриным и если захочет иметь, отослать: мои труды по словарю как тетрадки, так и карточки, перевод литургии Василия Великого, пословицы и

დი. 8) ვთხოვ ოსეგბ ივანესძე ინდოევს მისწერის
ტიურინს და, თუ ეს უკანასკნელი მოინდომებს, გა-
უგზავნოს ჩემი ნაშრომები ლექსიკონისთვის — როგორც
რეიულები, ისე ბარათები, ვასილი დიდის წირვის თარ-
გმანი, ანდაზები და თქმულებები, აგრედვე ზღაპრები
ოსურ ენაზე და ჩემი შენიშვნები კურთათინის ოსების შე-
სახებ. ეს უკანასკნელი ვთხოვ მოაგროვოს, გადასწეროს
და ასე გაუგზავნოს. ეს ქალალდები მოინახება ან ჩემ სა-
წერ მაგიდაში, ან ჩემ კარადაში (в камоде) (9) ოსებსაც
ვთხოვ, კარგად გადაიყითხოს მესამე ტომი წესდებისა პე-
ნისის და ერთდროული დახმარების შესახებ. იქ, მონია
ნათქვამია, რომ თუ მასწავლებელი ავად გახდა სამსახურ-
ში ისეთი ავადმყოფობით, რომელიც ხელს უშლის და სხვა,
მაშინ იმას უახლოესი მთავრობის შუამდგომლობით უნდა
დაეწიშნოს პენია — მთელი ჯამაგირის რაოდენობით ათი

поговорки, а также сказки на осетинском языке и мои за-
писки о куртатинских осетинах. Последнее прошу собрать,
переписать и так отослать. Бумаг этих можно найти или в
моем письменном столе, или в моем комоде. 9) Иосифа же
прошу посмотреть хорошенько 3-й том уст. о пенсиях и
единовременных пособиях. Там, кажется, сказано, что если
наставник получил на службе одну из тех болезней, кото-
рые пренят¹⁾ и проч., то ему можно по ходатайству бли-
жайшего начальства назначить пенсию полного оклада даже
за 10 лет службы, нельзя ли будет на основании этого на-
значить, будет что-либо Георгию. Больше мне ничего пи-
сать. Единственная моя просьба всем это утешать сестру и
жалеть моего сыроту и... и молиться за меня грешного. Мое-

¹⁾ ეს სიტყვა დაუმოავრებელია. ბეჭ.

ჭლის სამსახურისთვისაც კი. იქნებ ამის მიხედვით დაენიშნოს რამე გიორგის. მეტი არაფერი ზაქეს დასაწერი. ერთადერთი ჩემი თხოვნა ყველასთან, ანუგეშოთ ჩემი და, გეცოდებოდესთ ჩემი ობოლი... და ილოცოთ ჩემი ცოდვილი სულისთვის. ჩემ სიძეს სპირიდონს მოჟითხვა და ლოცვა-კურთხევა. ვთხოვ მაპატიოს თუ შევცოდე რამე, ან ვაწყენინე.

დანიელ ჭონქაძე.

მერვე მუხლს ამ ანდერძისას ვაუქმებ ზოგიერთი გარემოების გამო. ამის მაგივრად შეხიშვნები კურთათინის ოსების შესახებ გადაეცეს ბერძენოვს, რომელიც თუ საჭიროდ დაინახავს, დაბეჭდავს საღმე ეურნალში, დაალაგოს, როგორც უნდა, დალაგება აკლია იქ, თორემ ფაქტები ბევრია. დანარჩენი დაიკარგოს. მათ გარჩევაზე არავის ეყოფა მოთმინება.

დანიელ ჭონქაძე.

1860 წ. მარტი 5.

му зятю Спиридону кланиюсь и благословляю, прошу его простить мне мои согрешения, если я провинился перед ним в чем нибудь.

Даниил Чоннадзе.

Восьмой пункт этого завещания я отменяю по некоторым обстоятельствам. Вместо этого записки о куртатинах сдать Берзенову, который если заблагоразсудит пусть изложит по своему и падаст в каком-нибудь журнале, хотя изложения нет в них, по фактов много. Остальные пусть пропадают, на разбор их ни у кого не достанет духу.

1860 года марта 5 дня.

Даниил Чоннадзе.

დიდი გამოცემა ქართველი მეცნიერებების შესრულებით

შენი წერილი ამ ღლუებში გაღმიომცა მე ბ. კაკა-
ლავება. ძალიან გამახარი წერილში და იმ ამბავში, რომ
შენ სტაგნაციულში კარგი ადგილი გაქვს, და მთავრობაც
ყურადღებით გებულობა. გამეხარდა ისიც, რომ ჩვენი და-
შა გათხოვდა. ღმერთში შისცეს ბედნიერება და ჯაშერე-
ლობა. მეტადრე ის გამეხარდა, რომ ვაჭარს წიყოლი.
მე მგონია, ვაჭრის ქალიშვილი უკუთხესია თუ ვაჭარს ზა-
თხოვდება, ლუკმაპური მაინც არ გამოელევა, ეს უჩიევ-
ნია, ეიდრე შშიერ კუთილმობილს გაყვეს. დარწუნებული
ვარ, სულაც არ ინანებს, რომ ვაჭარი ამოირჩია. ღმერ-
თში ქნას მხოლოდ, რომ ზნეობით კარგი კაცი გამოდგეს.

Любезный братец Вано!

Твое письмо передал мне на днях г. Каналов. Как са-
мое письмо, так и то обстоятельство, что ты в Ставрополе
при хорошем месте и пользуешься вниманием начальства
весыма, весьма обрадовало. Был рад и тому, что наша Да-
шеника вышла замуж. Дай Господи ей счастья и здоровья.
В особенности рад был тому, что она вышла за купца. Мне
кажется, что купеческой дочке лучше выходить за купца же,
имеющего кусок хлеба, чем за голодного благородного и

¹⁾ ეს წერილი დაწერილია დან. განქაძის¹ ხელით. წერილი
მიმართულია ცილისმისადმი. წერილი დაუმთავრებულია. რო-
გორც გრძელი წერილი დაწერილია ავადმყოფობის დროს, სიკ-
დილის წინა დღეებში. შეიძლება ესტუ კი მთასწორ მისი დამთავრე-
ბა და გამოვა. ეს წერილი აგრძელებულია მუქალათა მშეეტში.

მე, ძმათ, იგერი ორი თვეებ ივად ვარ, და ხუმრობა არ
არის ჩემი იცალმუოფობა. კიდელოვმი გადმომიცა სხვათა
შორის, რომ დედა თურმე გულმოსულია ჩემსე, წერილს
რატომ არ მწერსო. მართალია, დიდი დაწიაშავე ვარ
იმასთან, მაგრამ თავის გასამართლებლად ერთი შემძლია
კოქეა, სახელითობრის, რომ სანამ ივად გაცხდებოდი, მო-
ვაწიადე წერილი, და ივადმუოფობამ ხელი შემიშალა,
ლოგიაში ჩამაგდო ფოსტის წასელამდის. შენ დასაჯერე-
ბლად, რომ მე არ კსტური, გიგჩაენი იმ წერილის ნი-
ხევს, რაღვან მოელი აღარ არის საინტერესო შენი წე-
რილის შემდეგ. შენმა წერილში იმდენად დააკმაყოფილა
ჩემი ცნობის მოყვარეობა, რომ მე იღარიშები მაქს ზო-
საწერი, მეტადრე იმ ავადმუოფობის დროს, როცა ხელუ-
ბი მიკანკალებს სისუსტისგან. თუ, რა სუსტად ვარ რომ
იცოდე!

уверен, что она искренно не раскается в своем выборе.
Дай только Господь, чтобы по нравственности был хорош!

Я, брат, вот уже целых два месяца болен и болен не
шутку. Мне Кахалов передал, между прочим, что будто ма-
мелька сердится на меня, что я не пишу письма. Да, я много
виновен перед нею, но я в оправдание себе одно только мо-
гу сказать и именно то, что до болезни моей я приготовил
письмо, но болезнь моя не допустила меня и прихлоннула
до почтового дна. В доказательство того, что я не зру, ино-
силлю тебе лоскунок того письма, потому что целое пись-
мо уже не предстает после твоего письма никакого ин-
тереса. Письмо твое настолько удовлетворило моему любо-
вниству, что я не нахожу более о чём писать особенно при
настоящем моем болезненном положении, когда у меня к

როგორ ფიქრობ, რითი ვარ ავად? ციებით? ან
ტიფი იქნება? ომ, არა. მე ძმაო სისხლს შაღლებინებს. უნ
იცი, რომ ხშირად მაწუხებდა მკერდის ტკივილი, ხშა-
რად შემომიჩინევლია ამის გამო შენთვის. მეტე კიდევ მო-
მიმატა ამ ტკივილმა განსვენებულის გარდაცვალების შექ-
დეგ. ბოლოს სახელმწიფო სამეცნიერო აკადემიამ შარშან-
წინ მომანდო ოსური ლექსიკონის შედგენა და მე მოვცეკი-
დე ამ საქმეს მთელი ჩემი ენერგიით, რომელიც შემცენის
ახალგაზრდას, ვისაც სწყურია წინ წაწევა. ჯერ კიდევ სამ
ასოზედაც არ მქონია შედგენილი, რომ დამიწყო სისხლის
ლეინება. ეს მოხდა შარშან ამ დროს, მაგრამ სისხლი
პირველად ცოტა მოდიოდა, არ იყო საშიშო, თვენახევა-
რში მომარჩინეს, ბასი ლის ბრალიაო, ამბობდენ. მე მა-
ინც უარი ვთქვი აკადემიისაგან მონდობილ საპატიო საქ-

тому же трясутся немноги руки от слабости. Ох, и slab же я, если бы ты знал?

Я болен чем бы ты думал? Лихорадкою? Тифом по-жалуй? Ох, нет. Я болен, брат кровохарканием. Известно тебе, что я еще там часто жаловался на грудную боль. После того эта боль еще более увеличилась после смерти покойницы. Наконец в позапрошлом году Императорская Академия Наук поручила мне составить Осетинский словарь и я принялся за этот труд со всеми энергии, свойственными молодому человеку, желающему составить себе карьеру, но не успел составить на три буквы словарь, как со мною случилось кровохаркание—это было в прошлом году в это же время, но кровь шла немногого и не опасно и меня в полтора месяца вылечили, приписав эту болезнь геморрою. Тем не менее я отказался от предложенной мне Академией чести. Но так как у меня какой то проклятый характер, и мне,

მეზე.—სამწუხაროდ ისეთი წყეული ხასიათი მაქვს, რომ
სამსახურის გარდა, უსათუოდ მინდა სხვა რამეც გავაგი-
თო ხოლმე, და ხელი მოვკიდე ქართულ ლიტერატურის
(აქ ქართულ ენაზე ერთი უურნალი გამოდის, ახალგაზრ-
დობა მხარს უჭირს იმას მთელი თავისი ძალონით, ეროვ-
ნული გრძნობა იღვიძებს) და დავწერე ერთი მოთხრობა,
სათაურით „სურამის ციხე“. მოთხრობას ძლიერ კარგიდ
შეხვდა საზოგადოება, ზოგიერთ უვიც მემამულის გარდა,
რომელთაც ვაწყენიე გლეხის საკითხით. იმითი წაქმაზებუ-
ლი შეუდექ ახალ შრომას, ღმერთმა იღია დამაცალა
მისი დამთავრება, უკვე თვევა ცუდად ვგრძნობდი თავს,
მაგრამ არ ვაქცივდი უურადლებას, გამივლისთქმ, ვფიქ-
რობდი. არ გამიმართლდა იმედი.

ერთხელ, ეს იყო შაბათს საღამოს, მე ერთ მევობარს
ვეწვიე, დავრჩი იმასთან 9 საათამდე, იქიდან წავედი და-


какоме служебных дел, непременно хочется что-нибудь де-
лать, то я взялся за Грузинскую литературу (у нас здесь
издается на Грузинском языке журнал и молодежь всеми
силами поддерживает его. Национальное чувство пробуждается-
ся) и написал одну повесть под заглавием „Сурамский замок“.¹⁾ Повесть была очень благосклонно принята публикою,
кроме некоторых невежд помещиков, которых я задел крестьянским вопросом. Поощренный таким успехом я при-
нялся за новый труд, но Бог не дал мне докончить его. Уже
месяц я чувствовал себя дурно, но не обращал на себя вни-
мания; думал, что пройдет само собою. Но надежда моя не
исполнилась.

¹⁾ ვინაიდან ავტორი თავის ნაწარმოებს რუსულად ასათაურებს „Сурамский замок“, ამიტომ ჩვენც ეს სახელწოდება ვიწმარეთ.



სთან და უკვე 11-ის ნახევარი იქნებოდა სახლში მცხოვრები, დაეპრუნდი. თავს ვვრობოდი, როგორც ყოველთვის, არც გარდად, არც ცუდად. ვივასშემ, რაც მქონდა ლეთის მოკუმული და დაუწევი დასაძინებლად — დაუწევი აუარა, მაშინვე ამექაუა ტანი. ვიგრძენი, რომ ეს სისხლის დედას ნიშნავდა, მავრამ რას ვიზამდი, მიერნდე პედიღძილს. ცოტა, ხანს შემდევ უკლში მომალვა ჩაღაც თბილი, წა. მოვასელე, ეხედავ ბევრია ნახველი. ცხვარსახოცი არ შეან. და და პერანგის კალთა მოეიშველი, იელექა, მოუკადე სინთელს, ჟევხელე, შართლა სისხლია. მაშინვე ჭამომახველა ისევ სისხლი თითქმის ერთი საჩიიე ჭიქის ოდენი. მერე კიდევ და კადევ, ვხედავ საქმე ცუდათაა, გამოვეარდი ვარელ, დაუძახე კაცს, კაცა დაიბნა, არ იცოდა რა ექნა, უთხარი დალაქისთვის დაეძხებნა. სინამ მოუკანდა დალაქს, სისხლი, რომელიც $\frac{1}{4}$ საათის განმავლობაში

Однажды я это было в субботу вечером я был у одного своего приятеля и посидел у него до 9-ти часов, оттуда пошел к сестре и уже к половине 11-ти я пришел домой. Чувствовал себя как и всегда ни дурно ни хорошо, закусив, чем Бог послал, я лег спать. Но только лег, как у меня зачесалось тело. Я почувствовал, что это волнение крови, но что я мог сделать? Я предоставил себя судьбе. Через несколько времени я почувствовал в горле что то теплое. Харкнул смотрю, что то харкотье слишком сильно и я газ неизменен при себе платка выхоркнул в подол рубашки, истал зажег свечу, посмотрел, действительно, кровь. Но в то же время закипался и выхаркнул кровь с чайной стакан, за тем еще, еще, еще, вижу что плохо, выбежал и позвал человека. Человек так растерялся, что не знал, что делать.



ამომდიოდა, შემიჩერდა. მოვიდა დალაქი და ამილო სისხლის ნელი, მთელი გირვანქა თითქმის. ამდენი სისხლის დაკარგვაშ (1½ გირ. წიმომალებინა, ერთიც დალაქმა ამილო) რასეკვირელია, ძალიან დამისუსტა, და გული წიმინდა. მთელი შეოთხედი საათი ვიწვვი. სიცოცხლის ნიშანი არ შეტყობინდა. ბოლოს, როგორც იქნა, მომიუვანეს გრძნობაზე. უცებ სისხლში ისევ ითქრიალა ჟულიდან, მაგრამ ღმერთმა ვადამარწინა მაშინ და არ მოვკვდი.

Я приказал ему достать цирюльника. Пока он приводил цирюльника кровохарканье продолжавшееся ¼ часа остановилось. Цирюльник, пришедший открыл кровь фунт целий. Потеря столь значительной крови (выхаркинул 1½ фунта в достали фунт) конечно, ослабила меня, так что со мною сделалось дурно. Целых четверть часа я лежал, не подавая никаких признаков жизни; наконец меня привели в чувство но в то же время кровь хлынула в гору с новой силой, то Господь спас меня и я не умер.



ზემოთ დაღის პერიოდი შეცვლილი:

ს. სტ.	დაბეჭდილია:	უნდა იყოს:
6 13	კერძელიძესევე	კერძელიძესევე.
11 4	ეარშიცებოდა	ეარშიცებოდა.
13 14-15	ხოველისაც	ხოველისაც.
36 25	დუქანს	დუქანს.
40 11	შაუა	შაუა.
41 2	ოროელას	ოროელას.
48 5	ერთგული;	ერთგული.
48 26	ას, რა კარგი კაცი ხარ	„ას, რა კარგი კაცი ხარ“.
64 12	დურმიშჩახე	დურმიშჩახე
61 22	სტამბოლითდგან	სტამბოლითგან
70 22	ქურასთან	ქურასთან
103 14	1874	1875.
103 17	ცენტურში	ცენტორთან
107 15	მიჩქალეას	მიჩქმალეას
116 11	დიდებული	დიდებული
125 25	საწავლებელში	საწავლებელში
129 25	ქაშილ	ქაშილ
„ „	თუშები	თუშები
159 28	უსაქომ	უსაქმო
160 23	ამა და ბატონის	ამა და ამ ბატონის
164 23	„ ლემერალებათ“	„ლიბერალებათ“
167 8	ელვასეით	ელვასაეით
171 10	ნ. ანტონოვი	ნ. ანტონოვი
179 26	იტსილანტისაგას	იტსილანტისაგან
180 10	ენაზედ აზეთის	ენაზედ ასეთის
186 27	უწოდეს	უწოდოს
188 23	1858	1859
„ 24	მეთორმეტე	მეთერმეტე
„ 25	„ქელ დრ თის	„ უწინდელ დროის

190	17	მცირეთ	მცირე
191	28	1887	1857
199	5	ხმაროდენ	სმარობდენ
205	7	ედგილას	ადგილას
216	23	დიდწანი	დიდწანის
"	24	1874	1875
218	16	მოუტუილება	მოტუილება
223	6	ქართველი	ქართველი
228	16	გადაწყვეტილებიდ	გადაწყვეტილებით
"	18	იხრჩაბს	იხრჩაბს
229	27	1868	1868
245	14	ხდებორეს	ხდებოდეს
246	12	მკითხველსაც	მკითხველსაც
252	7	ნამიჯურთ	ნაპიჯურთ

పరిచయం:

33-

1. శింగల్ కృష్ణరావు—ప్రినిసిపాల్యుమెంటు	1
2. డా. కృష్ణకుమార్ గౌడ్—“స్వార్థాధికస్తువం”	13
3. ట్రా. మానసారావు—“దానియల్ కృష్ణకుమార్ రామిసి లభితా”	101
4. కృష్ణాజీత్రాంగులు—శేర్సిష్ట్రెబిల్	257
5. శింగర్ అట్లాయ్లాం ప్రమాద్రెబిల్	270
6. శింగల్ అట్లాయ్లాం	271
7. రామిశ్రీబా	276
8. శేర్సిష్ట్రెబిల్ శేప్రాంమ్రెబిల్	289

ԱՐԵՎԱՏՅԱՆ ԿՐՈՅՉԵՐԻ ԳԼՈՒԽՈՒՄՆԵՐԻ



K 62.614/2